N3 (502) 21/I-27/I-2010 ფასი 1 ლარი

# გზა







¡ „გზაში" წლის ბესტსელერის ბეჭდვა დაიწყო !










30-წლიანი პატიმრობა და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

ISSN 1987 - 5029

# ბიბლუსი

Books

წიგნის მაღაზიათა ქსელი

დარეკეთ

**307 - 402**

„ბიბლუსის“ სპეციალური შეთავაზება

სკოლის ბიბლიოთეკებს!

ასეთ პირობებს სხვაგან

ვერსად შემოგთავაზებენ!

სხვადასხვა ქართული

გამომცემლობების წიგნები

განსაკუთრებულ ფასებში



წაიკითხე წიგნები - ჭკვიანი იქნები!

№3 (502)
21 — 27 იანვარი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა





### „ოჯახში ინგა ბიწაძის დიქტატს ვეგუები“

„ინგა იურისტია, ერთმანეთი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გავიცანით. შემდეგ, დიდი ხნის მეგობრობა გრძნობაში გადაიზარდა, გრძნობა კი — ოჯახის შექმნის სურვილში“...

7

## სახე





### როგორ „ეყოლა“ თაკო აბაშიძეს ტყუპი

„ ეკრანზე უფრო მსუქანი ვჩანვარ და ინტერნეტის მეშვეობით ხალხი სხვადასხვა დიეტას მიგზავნის — რატომღაც ჰგონიათ, რომ გახდომა ძალიან მინდა და მეხმარებიან. სულაც არა მაქვს საგანგაშო წონა“.

19

■ მინიატიურები 5
„მიგატეხთ ხელებს“ და „დიგიწერთ ნეკროლოგებს“ ანუ ჩისამბა ლუნგუ და მწვანე შარვალი
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
■ პერსონა 9
„ქვეყანაში სააკაშვილის დიქტატურას არ შევეგუე, მაგრამ ოჯახში ინგა ბიწაძის დიქტატს ვეგუები...“
■ კრიმინალი 13
30-წლიანი პატიმრობა და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები
■ მადლი 15
21 წლის გოგონა ჩვენს დახმარებას ელის
■ საფრთხე 18
■ იუბილარი 19
„არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ქართველი კაცის ცხოვრება“...
■ აღიარება 22
■ დღესასწაული 24
კახური გოზინაყი და მიწისქვეშა გადასასვლელში აღნიშნული ახალი წელი
■ კარიერა 26
„ჩემს ილბლიანობას შრომისმოყვარეობა ახლავს“
■ ტანდემი 28
როგორ „ეყოლა“ თაკო აბაშიძეს ტყუპი და როგორ მოხვდა მისი პარტნიორი კარადიდან „კაპეზეში“?
■ ობიექტივი 30
ფოტოფირზე აღბეჭდილი ათწლეული განძთსაცავში შეინახება
■ ვარსკვლავები 31
■ ექიმის საიდუმლო 33
■ მინირომანი 35
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 37
„გმადლობთ, რომ არსებობ“



## ცხოვრება

### „სადაც არის ბედი შენი“...



„ რასაც მე ვშრომობ და დავრბივარ, ზოგჯერ ისე ღამდება, პირში ლუკმის ჩადებას ვერ ვასწრებ. არც საფიქრალ-სან-ერვიულო მაკლია და ნამდვილად ბოლმით ვსივდები, ამდენი უმადურობის გადამკიდე!..“

33

### სიურპრიზი, რომელიც ცხოვრებამ მომიწყო



„ სანდრომ ახლობლის ოჯახში ელენე გაიცნო და ძალიან მოეწონა. ერთმანეთს კარგად გაუგეს. ბიჭმა ოჯახი გააფრთხილა, ცოლი უნდა მოვიყვანოო. იყიდეს მუხის 2-ადგილიანი საწოლი. სანდრო ტანით ძალიან დიდია და პირველივე ღამეს ჩაუტყდათ ლოგინი“...

85

■ სიტუაცია 38

■ ნამდვილი ამბავი 40

„სადაც არის ბედი შენი“...

■ შემოქმედი 41

ქვაში გადატანილი გრძნობები...

■ დიზაინერი 43

■ ავტო 45

■ ეს სამყაროა 46

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ტაძარი 50

ღვთისმშობლის ხატის წინაშე ლოცვით გამრთელებული მარჯვენა

■ ანტიდეპრესანტი 52

■ ადამიანი-ლეგენდა 52

სარა უოკერი — პირველი შავკანიანი მილიონერი

■ ჯანმრთელობა 54

■ გვიმრავლოს! 57

ხუთშვილიანი ოჯახის რთული, მაგრამ სიყვარულით „გაფერადებული“ ცხოვრება

■ ემიგრანტი 59

„მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი იქ არის“...

■ თინეიჯერული პონტები 62

ჟურნალისტობაზე მეოცნებე „გზის“ ფანები და „შერცხვენილი“ თოვლის ბაბუა

■ წვეთი პოეზია 65

■ ავტოპორტრეტი 66

მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (დასაწყისი)

■ ქართული დეტექტივი 70

გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ რომანი 74

სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)

■ გულახდილი დღიური 78

მე — ფსიქოლოგი (დასასრული)

■ დოკუმენტური პროზა 80

შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)

■ რეალური 82

■ გზავნილები 85

■ ყველა ერთისათვის 90

■ მობილი-ზაცია 92

■ მოზაიკა 97

■ ერუდიტი 100

„მე პოეზიის გიჟი ვარ“

■ გასართობი 102

■ ასტროპორტრეტი 104

■ სკანვორდი 105

■ საფირმო კროსვორდი 106



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



### მწვავე და ქრონიკული ფრონტიტი — გრიპის გართულება

ფრონტიტის მკურნალობაში ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატი — სინუპრეტი. ის ამცირებს ანთებას და ლორწოვანი გარსის შეშუპებას, ახდენს ლორწოვანი გარსის დაცვითი ფუნქციის ნორმალიზებას, ამცირებს შედედებას და აუმჯობესებს ლორწოს გამოდენას ღრუებიდან.

41

## ადამიანი



### „მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი იქ არის“...

„საქართველოში დაბრუნება ჩემი ოცნებაა, მაგრამ დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩემი აქ დაბრუნება სტაბილური იქნება. უახლოესი 3 წლის განმავლობაში აქ დაბრუნება არასტაბილურად მიმაჩნია. სხვათა შორის, ერთ-ერთმა გავლენიანმა ქართველმა ადამიანმა სახელმწიფო სტრუქტურაში გარკვეული თანამდებობა შემომთავაზა“.

57

## ბიბლუსი





### ავტოპორტრეტი

სიის პირველივე ამოკითხვამ ჩემი ბედი წინდაწინ განსაზღვრა.

— მოროშკინა ლალი. სადაური ხარ, გენაცვალე?

— ქართველი, — ვპასუხობდი მე და ვერ ვხვდებოდი, რატომ გამომარჩია მასწავლებელმა 45 ბავშვში და ასეთი უცნაური შეკითხვა დამისვა.

65

## ტაიმ-აუტი



### „მე პოეზიის გიჟი ვარ“

„ძალიან მომწონს ტარიელ ჭანტურიას ხელწერა; ვაჟა-ფშაველა ხომ მწვერვალია, არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მწერლობისა“.

97



# „მიგატეხთ ხელებს" და „დიგიწერთ ნეკროლოგებს"
## ანუ ჩისამბა ლუნგუ და მწვანე შარვალი

**შესავლის ნაცვლად** ხშირად ანეკდოტით ვამთავრებ პროვოკაციას, ახლა კი ანეკდოტით უნდა დავიწყო, თანაც ძველი, „წვერიანი" ანეკდოტით, რადგან ასეა საჭირო.

მოკლედ, „უხსოვარ" და „უხსენებელ" დროს, „შევარდნაძის მეორედ მოსვლისას" ანუ 90-იანების დასაწყისში ერთი პროვინციელი, მორიდებული, ყველასთვის უცნობი ბიჭი დანიშნა „მამამ და მარჩენალმა" ფინანსთა მინისტრად. თან უცნობი და თან ფიზიკოსი, იმდენად უცნობი და „იმდენად ფიზიკოსი", რომ ასეთი დიალოგი გავრცელდა ანეკდოტად:

— გაიგე? ფინანსთა მინისტრად იელოველი დაუნიშნავთ!

— იელოველი კი არა, ნოღაიდელი...

ეს ისე გამახსენდა, სასხვათაშორისოდ, თორემ ახლა იმ „მორიდებული" ბიჭისგან აღარაფერი დარჩა. მორიდებული კი არა, ისე იმუქრება დღეგამოშვებით, რომ შიშის ჟრუანტელი მივლის ხოლმე და განგებას ვმადლობ, რომ პრეზიდენტის „გუნდში" არა ვარ, თორემ როგორი მოსასმენია: „გაგანადგურებთ!" „მიგატეხთ ხელებს!" „დიგიწერთ სააკაშვილის და მერაბიშვილის ნეკროლოგებს!" თანაც, რომ მიუშვა, „ისპალნიტელია"... ისე, „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო!" — მე დავნიშნე პრემიერ-მინისტრად?! ხუთი არხის პირდაპირ ეთერში ტელეფონით რომ ეძახდა, სულელი ხომ არა ხარ, დუშეთში ტრაქტორი გამოგზავნეო! ჰოდა, ითმინოს ახლა... რომ ითმენს, ფაქტია: სხვას აქამდე ათჯერ დაიჭერდნენ. ეს კი გუშინ კიევში გაფრინდა და ვისაც უნდა, დავენაძლევები, რომ



არც იუშჩენკოს შეხვდება და არც ტიმოშენკოს, თუმცა აეროპორტში ამ „პაეზდკის" მიზანი ასე განმარტა: „სააკაშვილისთვის ნერვების მოშლა"! შე დალოცვილო, მაგისთვის კიევსა და მოსკოვში რას დარბიხარ?! მაგას შენი აქ ყოფნითაც მშვენივრად ახერხებ, მე ვიყო შენი პარტიის წევრი!..

არადა, ახლა შინააშლილობის დროა?! ხომ ყველამ ნახეთ, პრეზიდენტმა ბაკურიანში ჩატარებულ მთავრობის სხდომაზე რა პერსპექტივები დასახა? ანაკლია აჯობებს ანტალიას, ნიცას და სენ-ტროპეს, ერთად აღებულსო! მესტიაში წელიწადში 5 მილიონი ტურისტი ჩამოვაო! ოლიმპიური ტრასაო! ესაო, ისაო... თან, როგორი მწვანე შარვალი ეცვა! ეს კიდევ, — დიგიწერთ ნეკროლოგებსო... კარგი, რა!..

ჰო, მართლა, ამის კიევში ვიზიტზე გამახსენდა: უკრაინის არჩევნებს რომ არ შევეხოთ ორი სიტყვით, არ გამოვა: იულიას ამბავი, მგონი, „გაგვემაზა"... იმ მეორე ტურს ისეთი პირი უჩანს, ჯობს, ეს ნოღაიდელი შემოირიგოს ჩვენმა მიშიკომ, ეგებ, იანუკოვიჩი „გაურიგოს" „ჩერეზ პუტინა".

სხვათა შორის, ამ შემთხვევაში, სულაც არ ვშაყირობ: უგულავას ინტერვიუ „ნიუსუიკთან", სადაც რუსებს ჯარების გაყვანას „უცვლის" ნატოში არშესვლაზე (მერე ჩვენ გასაგონად უარყოფა არ ითვლება, იმავე ჟურნალში უნდა უარეყო), რუსულ კულტურაზე გაუთავებელი ლაქლაქი, ობამასა და მის ადმინისტრაციაზე ირიბი შაყირი, ვაშაძის მიერ ირანის პრეზიდენტისთვის ბოდიშის მოხდა, საქართველოში დაკავებული დამნაშავე ირანელის ამერიკისთვის გადაცემის გამო და ირანის ბირთვული პროგრამის მოწონება... მომკალით და, ჩემი ავადმყოფურ-პროვოკატორული ფანტაზიით, ეს ყველაფერი ძალიანაც პირდაპირ კავშირში მგონია ნოღაიდელის აღმა-დაღმა დაუსჯელად სიარულთან და მის „სიაბანდ" მუქარასთან... ვნახოთ, ძალიან არ მინდა, სულ მოკლე ხანში გაირკვეს, რომ კვლავ მართალი ვარ...

თუმცა გასულ კვირას კარგი ამბის გარეშე მაინც არ



ჩაუვლია: ქართულ ფეხბურთს ეშველა! ახალგაზრდული ნაკრების რიგებში გაქართველებული ზამბიელი, ვინმე ჩისამბა ლუნგუ ჩაირიცხა! ცოტა მამამისს კი უსაყვედურია, — შვილო ჩისამბა, ტყუილად გასწავლიდი წინაპრების სადღეგრძელოებს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობას როგორ დათანხმდიო?! — მაგრამ ჩისამბას (თუ ლუნგუს... არ ვიცი, სახელი რომელია) აუხსნია, რომ საქართველოში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და რომ ეს ყველაზე პერსპექტიული ქვეყანაა მსოფლიოში და რომ აქ ოღონდ უცხოელი იყავი და ზამბიელიც რომ იყო, ზედ გადაგყვებიან და რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტსაც ისეთივე მწვანე შარვალი აცვია, როგორიც ბაბუაჩემს ეცვა ხოლმე, როდესაც სარიტუალო ცეკვას ასრულებდა, წელიწადში ერთხელ მოსული წვიმის პატივსაცემადო...

მოკლედ, ერთი ჩისამბა თუ არა, ლუნგუ მაინც მთავრობაშიც გვჭირდება...

**P.S.** ...ახალ წელს მეც გურიაში ვიყავი და კი გამიკვირდა, — სად ნახეს ამდენი კუპატი და შაშხი ოზურგეთში-მეთქი?! ის სახლიც მთლად „მოქმედ სახლს" არ ჰგავდა, მაგრამ იქაც თუ „მწვანე შარვლით" იყო პრეზიდენტი და ეს ყველაფერი „კალანდობა-შოუ" იყო, ჩემი ფანტაზია ამდენს ნამდვილად, ვერ გასწვდა...

სამაგიეროდ, ის მაინც დადასტურდა, რომ გურიაში თეატრი ისევ მუშაობს და მსახიობებიც არსებობენ.

*პროვოკატორი*

# 2 წლის ბავშვი პისტოლეტში გაცვალეს



„არიზონაში მცხოვრებმა ქალბატონმა საკუთარი ქალიშვილი პისტოლეტში გაცვალა“, — იტყობინება Associated Press. ჩვილის დედა, 33 წლის ტანია ტარო „გარიგების“ დადებიდან მალევე დააპატიმრეს. 2 წლის ბავშვის პისტოლეტში გაცვლის შესახებ ინფორმაცია პოლიციას ნაროების ოჯახის (არიზონელი ქალბატონი სწორედ ამ ოჯახისთვის აპირებდა შვილის მიცემას) მეგობრებმა შეატყობინეს. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, დაკითხვის დროს ტანია ტარო გამოტყდა: საკუთარ შვილს ვყიდდი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი, ნაროები მის აღზრდას ჩემზე უკეთ შეძლებდნენო.

# ესპანელმა ქალბატონმა ლიფტში 8 დღე გაატარა

ესპანეთში მცხოვრებმა 35 წლის ქალბატონმა, ელექტროენერგიის გათიშვის გამო, 8 დღე ლიფტში გაატარა. ის მრავალსართულიან სახლში მარტო ცხოვრობდა და ლიფტში მისი გაჭედვის ამბავიც კარგა ხანს, ვერავინ შეიტყო. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ქალის დასახმარებლად მხოლოდ მას შემდეგ მივიდნენ, რაც ნათესავებმა მასთან ტელეფონით დაკავშირება ვერ შეძლეს და დახმარებისთვის მთავრობას მიმართეს.

# ქონდრისკაცმა გიგანტი შოკში ჩააგდო

გინესის რეკორდების წიგნის შესაბამისად, მსოფლიოს ყველაზე დიდი და პატარა ადამიანები ერთმანეთს პირველად შეხვდნენ. ქონდრისკაცი — ხე პინპინი თურქეთში გოლიათის — სულთან კოსენის გასაცნობად მის სამშობლოში ჩავიდა. კოსენი, რომლის სიმაღლეც 2 მეტრი და 47 სმ-ია, უკვე მიეჩვია იმ ფაქტს, რომ ყველა ადამიანი პატარად ეჩვენება, მაგრამ როდესაც 74 სმ სიმაღლის პინპინი დაინახა, შოკში ჩავარდა. „პინპინთან შეხვედრა ძალიან მინდოდა, მაგრამ სიმაღლეში საოცრად დიდი სხვაობის გამო, მასთან კონტაქტი საკმაოდ რთული აღმოჩნდა“, — განაცხადა კოსენმა ჟურნალისტებთან საუბრისას.






# მამაკაცმა ტანსაცმლის ჩაცმას სამუდამო პატიმრობა არჩია

50 წლის შოტლანდიელმა სტივენ გაუმ, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში შიშვლად სიარულის გამო, ცხოვრების ბოლო შვიდი წელი ციხეში გაატარა. აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე დანაშაულის გამო, მას პატიმრობის ვადა 12-ჯერ აქვს მოხდილი. 13 იანვარს სასამართლომ ის კიდევ ერთხელ ცნო დამნაშავედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და გააფრთხილა, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ქუჩაში ტანისამოსის გარეშე გამოვა, ციხეში მოხვდება. მიუხედავად ყველაფრისა, გაუ სასამართლო პროცესზეც სრულიად შიშველი გამოცხადდა. მას ქალაქის შერიფმა — ლინდსი ფულისმა შესთავაზა: იმ შემთხვევაში, თუ რაიმეს მაინც ჩაიცვამ, თავდებით გაგათავისუფლებო, მაგრამ ყოფილმა საზღვაო ქვეითმა და სატვირთოს მძღოლმა ამაზე უარი განაცხადა და ამიტომაც, ის კვლავ დააპატიმრეს.

# 7 წლის ბიჭუნა — განსაკუთრებით საშიში ადამიანების სიაში

ნიუჯერსელი მაიკლ ჰიკსი განსაკუთრებით საშიში ადამიანების სიაში ჯერ კიდევ მაშინ მოხვდა, როდესაც ის 2 წლის იყო. მისი მშობლები ყოველ ჯერზე, როდესაც მათ თვითმფრინავით მგზავრობა უხდებათ, იძულებულნი არიან, აეროპორტში შეყოვნდნენ და სავალდებულო ჩხრეკა გაიარონ. როგორც გაირკვა, აშშ-ის ანტიტერორისტული სამსახურებისთვის გადაცემულ სიაში ძალიან საშიშ, 13 ათასი ადამიანის სახელთან ერთად მაიკლის სეხნიაცაა დასახელებული. ბავშვის მშობლები აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ მათ შვილს, სხვების მსგავსად, ნორმალურად მგზავრობა აღარ შეუძლია და შიდა უსაფრთხოების სამინისტროს მიმართავენ თხოვნით — მათი ვაჟის სახელი და გვარი ტერორისტების სიიდან ამოიღონ, მაგრამ ჰიკსის ოჯახის ამ მცდელობას ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია.




რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

# ქვეყანა

# გახანგრძლივებული საარჩევნო ბატალიები უკრაინაში

## და ქართული „დესანტის“ რეალური ამოცანები

### „ხელისუფლებაში ყოფნა ლიდერისგან ბევრად მეტ პრაგმატულობას მოითხოვს...“

**ქართველ ექსპერტებს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების პროგნოზირება უჭირთ, მაგრამ ზუსტად იციან, რომ იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩს შორის საკმაოდ მწვავე და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდება. პოლიტოლოგთა აზრით, უკრაინის პრეზიდენტის სავარძელს სწორედ ის კანდიდატი დაიკავებს, რომელიც პირველ ტურში დამარცხებული კანდიდატების მხარდამჭერთა ხმებისთვის უკეთესად „ივაჭრებს“.**

***ხათუნა ბახტურიძე***

*როგორც უკვე ცნობილია, პირველ ტურში 36,38%-ით, „რეგიონების პარტიის“ პრორუსული ორიენტაციის ლიდერი, პირველ ადგილზე ვიქტორ იანუკოვიჩი გავიდა, მის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნიკური რუსებით დასახლებულმა რეგიონებმა, განსაკუთრებით — დონეცკმა, სადაც ქართველ „დაუპატიჟებელ დამკვირვებლებსა“ და ჟურნალისტებს კომუნისტური მეთოდებით გაუსწორდნენ. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, — 24,42%-ით, იანუკოვიჩს, იულია ტიმოშენკო მოსდევს, მესამე ადგილზე, 13,22%-ით, პარტიის — „ძლიერი უკრაინა“ ლიდერი სერგეი ტიგიპკო გავიდა; მოქმედ პრეზიდენტს, ვიქტორ იუშჩენკოს მხოლოდ ამომრჩეველთა 4,97%-მა მისცა ხმა.*

*საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 7 თებერვლისთვისაა დანიშნული. რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩს შორის გაჩაღებული ბრძოლა, რამდენად შეცვლის ახალი პრეზიდენტი უკრაინის პოლიტიკურ კურსს და შეინარჩუნებს თუ არა საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობას, — ამ საკითხებზე ექსპერტ* ***რამაზ საყვარელიძეს*** *ვესაუბრეთ.*

**— ბატონო რამაზ, მაინც რით იყო ის ფაქტი განპირობებული, რომ დასავლური ორიენტაციის უკრაინაში პრორუსმა იანუკოვიჩმა ამხელა მხარდაჭერა მოიპოვა?**

— ჩემი აზრით, საზოგადოების განწყობილებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს იანუკოვიჩი ტიმოშენკოს უმძიმეს ბრალდებებს უყენებდა — კრიმინალურ ქმედებებში ადანაშაულებდა. დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი დასავლური ორიენტაციის მქონე ამომრჩევლის საკმაოდ დიდ ნაწილს ტიმოშენკოს მხარდაჭერას გადააფიქრებინებდა.



**— იანუკოვიჩის ბრალდებები რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ?**

— შეიძლება, ზოგიერთი მისი ბრალდება მოგონილი ან გაზვიადებული იყოს, მაგრამ გარკვეულ ნაწილში სიმართლის მარცვალიც იქნებოდა. როგორც მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

**— ეი. იანუკოვიჩს გამარჯვების მეტი შანსი აქვს?**

— არც მასეა საქმე. პირველი ტურის შედეგების მიუხედავად, იულია ტიმოშენკო „თაროზე შემოსადები“ პოლიტიკოსი არ არის. მეორე ტურისთვის ნამდვილად შეუძლია იმ ხმების მობილიზება, რომლებიც დანარჩენ კანდიდატებს აქვთ.

**— უკვე ცნობილია, რომ იანუკოვიჩი მესამე ადგილზე გასულ სერგეი ტიგიპკოს ხმებზე აკეთებს აქცენტს და მასთან კულუარულ მოლაპარაკებებსაც წარმართავს. ამ ფონზე, ტიმოშენკომ რომელი ან რამდენი პრეზიდენტობის კანდიდატის ხმების მობილიზება უნდა მოახერხოს, რომ იანუკოვიჩსა და ტიგიპკოზე მეტი ხმა მოაგროვოს?**

— იანუკოვიჩსა და ტიგიპკოს შორის მოლაპარაკება კი მიმდინარეობს, მაგრამ კაცმა არ იცის, რა შედეგით დასრულდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტიგიპკოს ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს პროდასავლურად განწყობილი ახალგაზრდობა წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დასავლეთზე ორიენტირებული ამომრჩევლების ერთადერთი იმედი ტიმოშენკოა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი პრორუსული ორიენტაციის ლიდერის გამარჯვების შიშით, ისევ მას დაუჭერენ მხარს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბრძოლას უფრო დიდი რესურსებით გააგრძელებს.

**— რამდენად შესაძლებელია, ახალმა პრეზიდენტმა უკრაინის პოლიტიკური კურსი შეცვალოს?**

— ტიმოშენკო გახდება პრეზიდენტი თუ იანუკოვიჩი, უკრაინის პოლიტიკური კურსი მეტ-ნაკლებად მაინც შეიცვლება.

**— რაში შეიძლება გამოიხატოს ეს ცვლილება და რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოზე?**

— ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება უკრაინაში პროცესები და ვინ ვის როგორ დაელაპარაკება. ერთ-ერთი ცვლილება შეიძლება, ისიც იყოს, რომ უკრაინამ უარი თქვას, ნატოში გაწევრებაზე. ამ ქვეყნის პოლიტიკაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. გარდა იმ მორალური ფაქტორისა, რომ უკრაინა საქართველოსთვის რთულ სიტუაციებში ყველაზე საიმედო დასაყრდენი იყო, არსებობს წმინდა პრაგმატული მოტივებიც: მაგალითად, თუ უკრაინა შეწყვეტს სწრაფვას ნატოსკენ, ამ პროცესში მარტო დარჩენილი საქართველოს ნატოში გაწევრების შანსები კიდევ უფრო შემცირდება.

**— თუ საპრეზიდენტო არჩევნებს ტიმოშენკო მოიგებს, საქართველო უკრაინას, როგორც დასაყრდენს, მაინც დაკარგავს?**

— უკრაინის პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატზე არ უნდა დავამყაროთ გადაჭარბებული იმედი. ჩვენთვის ამ ეტაპზე იანუკოვიჩზე მეტად, ტიმოშენკოა მისაღები, რადგან მასთან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს. უკრაინაში ქართველი დამკვირვებლების ჩასვლაც სწორედ ტიმოშენკოს მხარდაჭერას ითვალისწინებდა. მაგრამ ეს ქალბატონი საკმაოდ პრაგმატული პოლიტიკოსია და თუ მისთვის ეს, ყბადაღებული მეგობრობის საკითხი ხელსაყრელი არ იქნება, შეძლებს, თავი შორს დაიჭიროს...

**— როგორ ფიქრობთ — იანუკოვიჩის მხარდამჭერები ქართველი დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების მიმართ იმთავითვე აგრესიულად რატომ მოქმედებდნენ?**

— თუ სიმართლეა, რასაც ამბობენ, ანუ ერთი პატარა საქართველოდან უკრაინაში 2 ათასი კაცი გაგზავნეს და მათ დიდ ნაწილს სპეცსამსახურების თანამშრომლები წარმოადგენდნენ, თანაც მათ შორის იყვნენ — ირაკლი კოდუა, დათა ახალაია, ზაზა გოროზია და სხვა ასეთი ფიგურები, მაშინ უკრაინელების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი ლოგიკურიცაა. ასეთი მრავალრიცხოვანი დელეგაციის წარგზავნა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, დიდი შეცდომა იყო. მე კი ეს უფრო დანაშაულად მიმაჩნია.

**— ამ ადამიანებს რეალურად, მართლაც შეეძლოთ არჩევნების გაყალბება?**

— სიმართლე რომ გითხრათ, მეც ვერ ვხვდები, როგორ უნდა გაეყალბებინათ ამ ადამიანებს არჩევნები, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ კარგი საქმე არ გაუკეთებიათ. ამ ფაქტს იანუკოვიჩი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, აუცილებლად გვაზღვევინებს.

**— ე.ი. შესაძლებელია, ჩვენი მოკავშირე ქვეყანა ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ გადაიქცეს?**

— არც ასეა საქმე. იანუკოვიჩის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უკრაინის დამოკიდებულება საქართველოსადმი, რა თქმა უნდა, უფრო ხისტი და უხეში იქნება, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ჩვენ მიმართ ზომიერება შეინარჩუნოს. ხელისუფლებაში ყოფნა ლიდერისგან ბევრად მეტ პრაგმატულობას მოითხოვს. ასე რომ, თუ იანუკოვიჩი მიიჩნევს, რომ მისი ქვეყნისთვის საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება ხელსაყრელი იქნება, ის ამას გააკეთებს. სხვათა შორის, არც ის არის გამორიცხული, რომ მას რუსეთთან მკვეთრად დაეძაბოს ურთიერთობა.

**— ეს როგორ, ბატონო რამაზ? ის ხომ რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია!**

— კი, მაგრამ ეს პრაგმატიზმით იქნება ნაკარნახევი. თავის დროზე ლუკაშენკოც რუსული ორიენტაციის იყო... დასავლეთმა დაინახა, რომ ქებითა და ურთიერთობის დათბობით, ლუკაშენკოს პოზიცია იოლად შეაცვლევინა. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, საწყის ეტაპზე ვინ ვისი მხარდაჭერით სარგებლობს, — მთავარია, რა მოხდება მერე. კუჩმას ფაქტორს შეგახსენებთ: ისიც „რუსეთის კაცი" იყო თავიდან, მაგრამ მერე სწორედ მოსკოვისთვის გახდა ძნელად მოსანელებელი ლუკმა... ასე რომ, თუ ამ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, დასავლეთმა იანუკოვიჩი გადაიბიროს და ამ გზით სცადოს უკრაინაში მისთვის სასურველი პოლიტიკური კურსის განხორციელება.

**— ხომ თქვით, რომ შესაძლებელია, მან ნატოში შესვლაზე უარი განაცხადოს?..**

— ეს ერთადერთი საკითხია, სადაც იანუკოვიჩი რუსეთის ნებას დაჰყვება და ვფიქრობ, რომ ამ ნაბიჯსაც ძალიან ძვირად დაუფასებს კრემლს.





# „ქვეყანაში სააკაშვილის დიქტატურას არ შევეგუე,

## მაგრამ ოჯახში ინგა ბიწაძის დიქტატს ვეგუები...“

„მთელი გზა შავი სათვალე მეკეთა, არ მინდოდა, ხალხს დაენახა, როგორ ვტიროდი...“ — ასე იხსენებს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, მაგრამ ტრაგიკულ ეპიზოდს „ხალხის პარტიის“ ლიდერი, **კობა დავითაშვილი**. ის მაშინ აფხაზეთის ომიდან ბრუნდებოდა. როგორც თავად ამბობს, ქართველების მიერ ჩადენილი, უამრავი გმირობისა და თავგანწირვის მომსწრეა... ირწმუნება, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ, ბევრი წიგნის კითხვამ, მშობლებთან ერთად, პაპა-ბებიის განსაკუთრებულმა სიყვარულმა და მზრუნველობამ მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. წიგნების გარდა, ძალიან აინტერესებს კომპიუტერული და მობილური პროგრამები. ამ კუთხით მეგობრებს „ექსპერტულ“ დახმარებასაც კი უწევს. ძალიან უყვარს მეგობრებთან ერთად კარგი ღვინის დალევა. ხუმრობით იმასაც ამბობს, რომ ტრადიციების მიმდევარი, ლიპიანი ქართველია. ამაყობს, რომ ჰყავს 5 ვაჟიშვილი და უერთგულესი მეუღლე.

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ბატონო კობა, ყველაზე ხშირად რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ?**

— თითქმის ყველა ჟანრის ლიტერატურას ვკითხულობ. წიგნები ბავშვობიდანვე მიყვარდა. ზაფხულის არდადეგებზეც კი ამ საქმით ვიყავი გართული. სოფლის ბიბლიოთეკაში თუ რაიმე წიგნი იყო, ყველაფერი მაქვს წაკითხული.

— **ხომ არ გახსოვთ, პირველად რომელი წიგნი წაიკითხეთ?**

— არა, ნამდვილად არ მახსოვს, სავარაუდოდ, „რწყილსა და ჭიანჭველას“ წავიკითხავდი.

— **იურიდიული განათლების მიღება მშობლების რჩევით გადაწყვიტეთ?**

— (*იცინის*) არა. ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ „დოხტური“ გამოვსულიყავი. პროფესიის არჩევა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, ამ ამბავში მშობლების რჩევა კი უნდა გაითვალისწინო, მაგრამ მაინც იქით უნდა წახვიდე, საითაც გული გაგიწევს.

— **იურისტობისკენ რატომ გაგიწიათ გულმა?**

— იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე სამართლიანი ვიყავი. მართალია, დეტექტიური ლიტერატურის ხშირი კითხვის გამო გამომძიებლობა მინდოდა (განსაკუთრებით, შერლოკ ჰოლმსი მიყვარდა), მაგრამ მერე თავად ვთქვი ამაზე უარი და ადვოკატობა ვარჩიე.

— **გამომძიებლობა რატომ გადაიფიქრეთ?**

— იმიტომ, რომ ქართველებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავტოტრიტარულ რეჟიმში გვიწევს ცხოვრება და გამომძიებლის პროფესია სიმართლის დადგენასა და მართალი კაცის დაცვას კი არა, დევნას უფრო უკავშირდება.

— **პოლიტიკური მოღვაწეობაც ხალხის დასაცავად დაიწყეთ?**

— სხვათა შორის, პოლიტიკური მოღვაწეობა იმიტომ დავიწყე, რომ ადვოკატის სტატუსით, მართალ ხალხს ვეღარ ვიცავდი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი კლიენტი მყავდა, კარგი ადვოკატი ვიყავი და ამას მოსამართლეებიც (მათ შორის, მინდია უგრეხელიძეც) ადასტურებდნენ, პროცესებს ძირითადად, ვაგებდი. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მოსამართლეებს ჩემი არგუმენტები არ აინტერესებდათ, რადგან ან ფული ჰქონდათ აღებული, ან „ზემოდან“ ჰქონდათ დავალება მიღებული. როდესაც ეს ყველაფერი ბოლომდე გავაცნობიერე, გადავწყვიტე, პოლიტიკაში ჩავბმულიყავი და ქვეყანაში სამართლიანობისთვის მებრძოლა. დღემდე კარგად მახსოვს ჩემი ბოლო კლიენტი. მის საქმეს გავეცანი თუ არა, მაშინვე ვუთხარი, — მართალი ხარ, მაგრამ საქმეს წააგებ-მეთქი. — რატომო? მკითხა გაკვირვებულმა. ვუპასუხე, — მეორე მხარემაც ხომ იცის, რომ მართალი ხარ, ამიტომ წავა და საქმეს ჩააწყობს-მეთქი. კი მთხოვა, — პატიოსანი კაცი ჩანხარ და მაინც იყავი ჩემი ადვოკატიო, — მაგრამ უარი ვუთხარი. ფულის კეთება ხომ არ არის კაცობა! მართალი კაცის გამართლებას რომ ვერ ვახერხებდი, ამით ჩემი პროფესიული და ადამიანური თავმოყვარეობა ილახებოდა... მაშინ საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადვოკატობისთვის თავი დამენებებინა.

— **როგორც ვიცი, დედისერთა ხართ...**

— კი, დედისერთა ვარ და ამ ამბავს მტკივნეულად განვიცდი. ეს ერთ-ერთი



მთავარი მიზეზი გახლავთ იმისა, რომ 5 შვილის მამა ვარ. მინდა, რომ ის სითბო, სიყვარული და თანადგომა, რომელიც მაკლდა, ჩემს შვილებს უხვად ჰქონდეთ. ისე, დედისერთა რომ ვარ, ჩემი მშობლების ბრალი არ არის, — ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ... მე მათი ქორწინებიდან 7 წლისთავზე გავჩნდი. ასე რომ, ნაგვიანები და ნანატრი შვილი ვარ.

**— ამბობენ, დედისერთები ეგოისტები არიანო...**

— (*იცინის*) არ გამოვრიცხავ — შეიძლება, ჩემს ხასიათშიც იყოს ეგოისტური თვისებები. როგორც ყველა ადამიანს, მეც მიჭირს ჩემს ნაკლოვანებებზე საუბარი...

**— ასეთი ნანატრი შვილი ომში როგორ გაგიშვეს?**

— აფხაზეთის ომი ახალი დაწყებული იყო, როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრე და ჯარში გაწვევის უწყება მომივიდა. მეც წავედი... დიდუბის რაიონიდან 300 კაცი გაიწვიეს, მაგრამ ადგილზე მხოლოდ ორნი გამოვცხადდით.



კობას ძალიან მოსწონს და ამბობს, – ენაცვალოთ მამა, მე მგვანანო!..

**— მეორე ვინ იყო?**

— ერთი ახალგაზრდა კაცი, მისი სახელი და გვარი — არა, მაგრამ ის მახსოვს, რომ მამით ობოლი იყო, დედა კი ინვალიდი ჰყავდა და ჩემსავით დედისერთა იყო. სხვათა შორის, ეს კაცი სავალდებულო სამსახურიდან მე გავათავისუფლე და ომში მარტო წავედი.

**— ეს როგორ მოახერხეთ?**

— კანონით მაშინაც იყო გათვალისწინებული, რომ შრომისუუნარო მშობლების ერთადერთი შვილი ომში არ უნდა გაეშვათ, მაგრამ კომისარს ეს საერთოდ არ ანაღვლებდა და ინვალიდი ქალის ერთადერთ შვილს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, გზავნიდა ფრონტზე. ეს ფაქტი ადგილზევე გავაპროტესტე და პროკურორისგან კანონის პატივისცემა და მორალის დაცვა მოვითხოვე. იმ პერიოდში ასეთი უსამართლობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ჯარში ფულიანი, „პატრონიანების“ ნაცვლად, უპატრონოები მიდიოდნენ.

**— თქვენც არ გყავდათ „პატრონი“?**

— (*ამ სიტყვებმა ბატონი კობა გვარიანად გაახალისა*) „პატრონი“ ნამდვილად მყავდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში ვმუშაობდი, მრჩევლის რანგიც მქონდა და სრულიად უპრობლემოდ შემეძლო თავის დახსნა, მაგრამ არ მინდოდა, თბილისში დავრჩენილიყავი და მშვიდი ცხოვრება გამეგრძელებინა მაშინ, როდესაც აფხაზეთში ჩემი თანამოძმეები თავგანწირვით იბრძოდნენ. თანაც მიმაჩნდა, რომ წლების შემდეგ, როდესაც შვილები მკითხავდნენ, — ქვეყანაში ომი რომ იყო, შენ სად იყავიო? — უნდა მეპასუხა, რომ იარაღით ხელში ვიბრძოდი ჩემი ქვეყნის დასაცავად... აფხაზეთში ძალიან ბევრი საგმირო ამბავი მოხდა, მაგრამ ამაზე რატომღაც, არავინ ლაპარაკობს. დღეს ცოცხალი რომ ვარ, სხვისი თავგანწირვის შედეგია: ოჩამჩირის იმ დაჯგუფებაში ვიყავი, რომელმაც კოდორი ვერ გადალახა და ალყაში მოყვა; იცით, ბიჭებმა რა თავგანწირვით იბრძოლეს ჩვენს დასახმარებლად?! დანაღმული ველიდან გამოგვიყვანეს! ძალიან დიდ რისკზე წავიდნენ... ეჰ, ახალგაზრდების საუკეთესო თაობა სწორედ მაშინ დაიღუპა, ქვეყანა კი ულმერთო ადამიანების ხელში დარჩა.

**— მორწმუნე ხართ?**

— ღმერთი კი მწამს, მაგრამ ჩემი პროფესიის გამო, ყველა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას ვერ ვიცავ. შეუძლებელია, ერთდროულად მორწმუნეც იყო და პოლიტიკოსიც — იმიტომ, რომ რწმენა დიდ გულწრფელობას მოითხოვს, მორწმუნე პოლიტიკოსი კი ძალიან ახლოს დგას ფარისევლობასთან. სადაც უნდა წავიდე, ყველგან საზოგადოების ყურადღების ცენტრში ვექცევი, ყველა მაკვირდება — როგორ ვიქცევი, რას ვამბობ... ასეთ დროს ჩემი თავი ხშირად გამომიჭერია, რომ იმას ვაკეთებ, რასაც საჭიროდ მივიჩნევ და არა იმას, რისი გაკეთებაც მინდა. ზოგჯერ ფარისევლობისთვის თავის არიდების მიზნით, მეორე უკიდურესობაში ვვარდები... რა რთულ თემებზე მალაპარაკებთ! ეს ისეთი საკითხებია, რომლებზე ფიქრისას ადამიანი საკუთარ თავს უნდა ჩაუღრმავდეს...

**— ეს საშუალებას გვაძლევს, თქვენი პიროვნული თვისებები საზოგადოებას დავანახვოთ...**

— კი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იქნება ჩემთვის ეს ყველაფერი, თუნდაც იმის აღიარება, რომ ეკლესიური წესების ზუსტი მიმდევარი არ ვარ.

**— სამაგიეროდ, ეს ყველაფერი თქვენს გულწრფელობაზე მეტყველებს. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას იტყვით — პოლიტიკაში გულწრფელ ადამიანს წარმატების მიღწევა შეუძლია?**

— ძნელი სათქმელია. ისე, ჩემი გულწრფელობის გამო ძალიან ხშირად აღმოვჩენილვარ დამარცხებულის მდგომარეობაში. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც პოლიტიკურ ბატალიებში ჩავები... მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ „პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მოკავშირეები, არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერესები“. ცხოვრებამ ისიც მასწავლა, რომ მეგობრობა და მოკავშირეობა ერთი და იმავეს არ ნიშნავს, უფრო მეტიც — ზოგჯერ გამორიცხავს კიდეც... პოლიტიკოსის პროფესია გულისხმობს ინტერესების განხორციელებისკენ სწრაფვას, მეგობრობა კი — უანგარობას. როგორც ეკლესიურობა და პოლიტიკოსობაა ერთმანეთთან ძნელი შესათავსებელი, ისეა პოლიტიკოსობა და მეგობრობაც.

**— როგორც მახსოვს, ზვიად ძიძიგური თქვენი განუყრელი მეგობარი იყო. მის გამოც ხომ არ ხართ იმედგაცრუებული?**

— კი, რაღაც-რაღაცების გამო გული მეტკინა. ალბათ იმასაც დასწყდა გული ჩემ გამო, მაგრამ ორივემ მოვახერხეთ წყენის დავიწყება და დღეს კარგი მოკავშირეები ვართ. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, მე მეგობრობა უფრო მეძვირფასება...

**— ძიძიგურზე გული იმის გამო დაგწყდათ, რომ მხარში არ ამოგიდგათ, როდესაც „ნაციონალებმა“ თქვენი მაკომპრომეტირებელი ვიდეომასალა გაავრცელეს?**

— არა, ეგ არაფერ შუაშია. მაშინ ზვიადმა განაცხადა, რომ ეს ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილება იყო და მე კანონი არ დამირღვევია.

**— კი, მაგრამ ძალიან მალე სხვა პარტია ჩამოაყალიბეთ.**

— ჩვენ მანამდე გვქონდა უთანხმოება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და მე პარტიიდან წამოსვლის გადაწყვეტილებაც მიღებული მქონდა. მეტსაც გეტყვით — ეს ჩანაწერი რომ არ გამოექვეყნებინათ, პოლიტიკიდან საერთოდ წავიდოდი: ამ ამბავმა ძალიან გამაბრაზა, უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და პოლიტიკური ბრძოლა გავაგრძელე.

**— ისე, თქვენვე ამბობდით, — საქართველოში ყველა ტელეფონი ისმინება და ყველა პოლიტიკოსს მერაბიშვილის აგენტები უთვალთვალებენ. ამ დროს ფულის აღება, თანაც რესტორანში როგორ გარისკეთ?**

— რამდენიმე ფაქტის გამო: ჯერ ერთი — კანონი არ დამირღვევია. მე რომ კანონი დამერღვია, ახლა ციხეში ვიქნებოდი. მშვენივრად ხვდებით, რომ სააკაშვილმა ადამიანის დაზოგვა არ იცის. უკვე სამჯერ მომიწყვეს ტერაქტი: ერთხელ, მანქანის მუხრუჭები გადამიჭრეს, მეორედ, სახლთან მკვლელი მომიგზავნეს და მესამედ, „ელიავას“ ბაზრობიდან გამიტაცეს და სასტიკად მცემეს... მეორე — შემომწირველისგან ფულის აღება და შემდეგ მისი სიაში

გაგრძელება იხ. გვ. 12

# „ალფაში“ დაზღვეულებს — „ავერსის“ სააფთიაქო ქსელში 100 ლარის მედიკამენტები უფასოდ, ექიმის დანიშნული მედიკამენტები კი 50%-იანი ფასდაკლებით

**დღეს სადაზღვევო ბაზარი საკმაოდ კონკურენტუნარიანია, მაგრამ ამ პირობებშიც კი სადაზღვევო კომპანია „ალფასა“ და ფარმაცევტულ ქსელ „ავერსის“ წინადადება საინტერესოდ და უალტერნატივოდ ჟღერს. დიაგნოზის დასმის შემდეგ საჭირო მკურნალობის ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას აქამდე არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ სთავაზობდა პაციენტს. დიაგნოზი კი მკურნალობის გარეშე ვერაფერი ნუგეშია. საბედნიეროდ, სადაზღვევო ბაზარზე გამოჩნდა ახალი კომპანია — „ალფა“, რომელმაც ფარმაცევტულ კომპანია „ავერსთან“ ერთად, გამოსავალი შესთავაზა საქართველოს მოქალაქეებს.**

**პაატა კურტანიძე,** *ფარმაცევტულ კომპანია „ავერსის“ დამფუძნებელი:*

— 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით, ჯანმრთელობის ვაუჩერები გადაეცემა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას, იძულებით გადაადგილებულ პირებს კომპაქტურ დასახლებებში, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, სახალხო არტისტებს, სახალხო მხატვრებს და რუსთაველის პრემიის ლაურეატებს. ეს ძალიან კარგი ნაბიჯია მთავრობის მხრიდან. მთავრობას უკვე რამდენიმე წელია, დაზღვეული ჰყავს მილიონზე მეტი ადამიანი, როგორც უმწეოები, ასევე პედაგოგებიც... ამჟამად დაზღვეულთა სიას ემატება 173 ათასი ადამიანი. სადაზღვევო პაკეტებში არ არის გათვალისწინებული მედიკამენტებზე თანაგადახდა. სამედიცინო მომსახურებას მოსახლეობა იღებს უფასოდ, მაგრამ აქამდე მედიკამენტები თავისი ხარჯით უნდა შეეძინა. ეს კი სოლიდურ ხარჯებს მოითხოვს. მე, როგორც საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელს, ძალიან კარგად მესმის მოსახლეობის და მთავრობის ინტერესი მედიკამენტების ფასების მიმართ, მაგრამ იმის მოთხოვნა, რომ მედიკამენტები გაიაფდეს, არარეალურია. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეს სასურველი იქნებოდა, მაგრამ ვერავინ მიაღწია მედიკამენტების გაიაფებას, რადგან მედიკამენტიც და სამედიცინო მომსახურებაც თავისთავად, ძვირად ღირებული პროდუქტებია. ერთადერთი გამოსავალია დაზღვევის სისტემა, ამიტომ საქართველოში რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა იყოს დაზღვეული.

ყველა ამ პრობლემის გათვალისწინებით, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, შევთავაზოთ მთელი რიგი შეღავათი „ალფაში“ დაზღვეულებს. იმ სამედიცინო მომსახურებას, რასაც ითხოვს სახელმწიფო, დაემატება სადაზღვევო კომპანია „ალფას“ მხრიდან 100 ლარის მედიკამენტები უფასოდ, ხოლო ექიმის მიერ გამოწერილ დანიშნულ მედიკამენტებზე — 50%-იანი ფასდაკლება. „ალფას“ პოლისის მიღება ძალიან მარტივია. „ავერსს“ აქვს 180-ზე მეტი აფთიაქი. ყველა მსურველს შეუძლია, ნებისმიერ აფთიაქში მივიდეს, ჩააბაროს სადაზღვევო ვაუჩერი და მიიღოს „ალფას“ პოლისი.

„ალფა“ არის პირველი, ვინც მედიკამენტებში თანაგადახდის პრინციპს ამკვიდრებს, და თუ სხვებიც მიჰბაძავენ, ნამდვილად, კარგი იქნება.

**ედუარდ ცხოვრებაძე,** *სადაზღვევო კომპანია „ალფას“ გენერალური დირექტორი:*

— სადაზღვევო კომპანია „ალფას“ უკვე სახელმწიფო პროგრამებით დაზღვეული ჰყავს 8500-ზე მეტი პაციენტი. ჩვენ გვეძლევა შანსი, 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით, მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფო დაზღვევაში, შევთავაზოთ ჩვენი პირობები უმწეო მოსახლეობას, კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის მედიკამენტების ხარჯის დაფარვა, არადა, ჩვენი გამოცდილებიდან, ეს უმნიშვნელოვანესი გახლავთ. ჩვენ გავითვალისწინეთ საზოგადოების მოთხოვნა. ყველასთვის ცხადია, მარტო დიაგნოზის დასმა არაფერს შველის, თუ მკურნალობა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ნებისმიერი დაზღვეული, ოჯახის ექიმის, სოფლად კი უბნის ექიმის გამოწერილი რეცეპტით, „ავერსის“ სააფთიაქო ქსელში წამლებს ნახევარ ფასად მიიღებს. ეს საკმაოდ კარგი შეღავათია.

სადაზღვევო სისტემაში ასეა მიღებული: პაციენტი მიდის ოჯახის ექიმთან. ის გზავნის მაგალითად, ენდოკრინოლოგთან ან ქირურგთან... ექიმის დანიშნულებით ის უკან ბრუნდება ოჯახის ექიმთან, რომელიც რეცეპტს უწერს.

„ალფა“ ახალშექმნილი კომპანიაა. უახლოეს ხანში ჩვენ კიდევ სხვა პაკეტებსაც შევთავაზებთ მომხმარებელს. ამჟამად ჩვენთან დაზღვეულია 12 ათასამდე ადამიანი, მათ შორის, 8,5 ათასი — სახელმწიფო პროგრამით. გვყავს 3,5 ათასზე მეტი კორპორატიულად დაზღვეული. გვყვანან დაზღვეულები თბილისში, რეგიონებში, გვაქვს ხელშეკრულება თითქმის ყველა ავტორიტეტულ კლინიკასთან. ზოგ მათგანთან ხელშეკრულება ამჟამადაც ფორმდება. მომავალში ჩვენი პროვაიდერები საქართველოს ყველა რეგიონში იქნებიან. გვაქვს სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის დაფარვის ძალიან მაღალი წილი... გვაქვს 4 კატეგორიის პაკეტი კორპორატიული დაზღვევისათვის. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მიმზიდველი იყოს ჩვენი სადაზღვევო კომპანია.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ბონუსი ჩავრთოთ ჩვენს სადაზღვევო პაკეტში.

სადაზღვევო კომპანია „ალფამ“ და „ავერსმა“ საზოგადოებას ამ ეტაპზე მართლაც სერიოზული სადაზღვევო პაკეტი და საუკეთესო პირობები შესთავაზეს და იმედია, ასე გაგრძელდება მომავალშიც.



დასაწყისი იხ. გვ. 9

ჩასმა პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამას საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია აკეთებს. სხვათა შორის, სხვა ქვეყნებშიც ასე ხდება. ამერიკაში ასეთ შემომწირველებს არათუ საარჩევნო სიაში წერენ, არამედ ელჩებადაც კი ნიშნავენ. ისე, ძალიან მაინტერესებს, დღეს სხვა პოლიტიკური პარტიები როგორ ახერხებენ ფულის მოზიდვას?..

**— თქვენ როგორ ახერხებთ?**

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, სახელმწიფომ თვეში 6 ათასი ლარი დაგვინიშნა.

**— ეს თანხა გყოფნით?**

— როგორც მუშნი ზარანდია ამბობს — „კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს"... ერთი სიტყვით, მაშინ ფულის აღებით, კანონი არ დამირღვევია და სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, რომ ქართულ სუფრასთან ასე მიღალატებდნენ, სააკაშვილისგანაც კი ვერ წარმოვიდგენდი ასეთი რამის „გაჩალიჩებას". ალბათ მართლაც, გულუბრყვი-




ლო იდეალისტი ვარ.

**— თავის დროზე, სააკაშვილისაც გულუბრყვილოდ გჯეროდათ?**

— მჯეროდა, რომ შევარდნაძე უნდა შეცვლილიყო. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ადამიანი შევარდნაძის გადადგომის სურვილმა უფრო გააერთიანა, ვიდრე სააკაშვილის ფიგურამ.

**— კაცს, რომელიც თქვენთვის უბრალოდ, შევარდნაძის შემცვლელი იყო, შვილი მოანათვლინეთ?..**

— როდესაც ადამიანები ერთი საქმისთვის იბრძვიან, მათ შორის მეგობრული ურთიერთობები ყალიბდება. ჩემთვის ის ნამდვილად, უფრო მეტი იყო, ვიდრე შევარდნაძის შემცვლელი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მისთვის მე არაფერი ვიყავი; როგორც ბევრ სხვას, მეც მიყენებდა...

**— თქვენზე როგორ იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ ერთ დროს ახლო მეგობრები, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდით?**

— სააკაშვილის გარდა, ვინ აღმოჩნდა ბარიკადების მეორე მხარეს?

**— თქვენი მეორე შვილის ნათლია — ირაკლი ოქრუაშვილი.**

— ოქრუაშვილი ახლა ხომ ბარიკადის აქეთა მხარესაა!

**— ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავად გახდა ხელისუფლებისგან დევნილი...**

— მოდი, ობიექტურები ვიყოთ. ირაკლი ხელისუფლებისგან დევნილი იმიტომ გახდა, რომ ხელისუფლება ამხილა. ეს რომ არ გაეკეთებინა, მშვიდად იცხოვრებდა თავისთვის.

**— გავრცელებული შეხედულების თანახმად, ოქრუაშვილმა ხელისუფლება თავდაცვის მიზნით ამხილა...**

— მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. თუ გახსოვთ, მას რამდენიმე თანამდებობა შესთავაზეს, ცოტა ხანს ეკონომიკის მინისტრიც იყო. სხვა თუ არაფერი, უცხოეთში წასვლა და მშვიდად ცხოვრება ხომ მაინც შეეძლო?!

**— მასთან მეგობრობის აღდგენა ხომ არ გიცდიათ?**

— (*ფიქრობს*) ამის არც მომხრე ვარ და არც წინააღმდეგი, მაგრამ როგორც ჩანს, თავად ირაკლის არა აქვს მეგობრობის აღდგენის სურვილი. ისე, მისიც მესმის: ძნელია იმ ადამიანთან მისვლა, ვინც გეტყვის, — ახლა ხომ მაინც მიხვდი, რომ მართალი ვიყავიო?!.

**— ბატონო კობა, მეგობრების მსგავსად, ოჯახის წევრებსაც თუ გაუცრუებიათ თქვენთვის იმედი?**

— არა, მაგ მხრივ ძალიან გამიმართლა. ჩემი მშობლები ყველგან და ყოველთვის ჩემ გვერდით იდგნენ; ასევეა ჩემი მეუღლეც — ინგა ჩემი უერთგულესი მეგობარი და მესაიდუმლეა.

**— ინგა როგორ გაიცანით?**

— ინგა იურისტია, ერთმანეთი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გავიცანით. შემდეგ, დიდი ხნის მეგობრობა გრძნობაში გადაიზარდა, გრძნობა კი — ოჯახის შექმნის სურვილში. ჩემი და ინგას სიყვარულს ძალიან შეეფერება შექსპირის ცნობილი ფრაზა „ოტელოდან": „ჭირთა ჩემთა სიმრავლის გამო მან შემიყვარა, მე შევიყვარე ჭირთა ჩემთა თანაგრძნობისთვის".

**ინგა:**

— ყოველთვის მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი ვიყავი. ჩემი სახით, კობას შინ უერთგულესი ადამიანი ჰყავს.

**— ყველაფერში შეგიძლიათ გაუგოთ?**

— კი, მართლა ყველაფერს გავუგებ, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს.

**— ბატონო კობა, რამდენად რომანტიკული შეყვარებული იყავით?**

— ვერაფერს გეტყვით, ეს ინგას ჰკითხეთ.

**ინგა:**

— კობა ძალიან რომანტიკული შეყვარებული და თბილი ადამიანი იყო.

**— ახლა როგორია?**

— როცა კარგ ხასიათზეა, ახლაც თბილი და მოსიყვარულეა. ისე, ჩვენი ურთიერთობა ძალიან არის დამოკიდებული გარემო პირობებზე: თუ მის გარშემო რაიმე ცუდი ხდება, მე საერთოდ აღარ ვახსოვარ, მაგრამ ამის გამო არც ვნერვიულობ და არც ვბუზღუნებ.

**— თქვენი საქმიანობის გამო ხშირად გიწევთ ცოლ-შვილის „დავიწყება"?**

— კი და ამას ძალიან განვიცდი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — ძალიან რთული პროფესიის წარმომადგენელი ვარ. ძვლით ახალი წლისთვის ძლივს მოვახერხე ბავშვებთან ერთად ზოოპარკში წასვლა.

**— ინგა, 6 მამაკაცის მოვლა არ გიჭირთ?**

— არა.

**— ბიჭები ერთმანეთს თუ ჰგვანან?**

**კობა:**

— ერთმანეთს საერთოდ არ ჰგვანან, ყველა თავისთვის „უბერავს".

**ინგა:**

— ერთი საერთო მახასიათებელი მაინც აქვთ — ხუთივე ძალიან პრინციპულია. მოუქრთამავი და გაუტეხელი შვილები მყავნან, მათთან არც დამუქრება ჭრის, არც მოფერება. ეს კობას ძალიან მოსწონს და ამბობს, — ენაცვალოთ მამა, მე მგვანანო!..

**— ქალიშვილზე არ გიფიქრიათ?**

— არა, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ქალიშვილი მყავდეს. ბიჭების დედობას შევეჩვიე.

**კობა:**

— ამ საქმეს მარტო ჩვენი ფიქრი არ უშველის — ღმერთი თუ ინებებს, ქალიშვილსაც გვაჩუქებს. სიმართლე რომ გითხრათ, ბოლო დროს მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა. 5 შვილის მიხედვაც გვიჭირს უკვე...

**— 5 შვილის „დამსახურებაა" ის ფაქტი, რომ საკუთარ ჩაცმულობაზე არ ზრუნავთ?**

— არა, ბავშვები არაფერ შუაში არიან — ადრეც ასეთი ვიყავი: ერთ შარვალს, პიჯაკს და ფეხსაცმელს თუ კარგად მოვირგებდი, ახალს მანამდე არ ვიყიდდი, სანამ მათ არ გავცვეთდი.

**— თქვენს ჩაცმულობაში მეუღლე არ ცდილობს კორექტივების შეტანას?**

— ჩემს მეუღლეს ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს, მაგრამ ამ მხრივ ნამდვილი დიქტატორია: თავისით ყიდულობს ჩემთვის რაღაცებს და მერე ძალით მაცმევს. ქვეყანაში სააკაშვილის დიქტატურას არ შევეგუე, მაგრამ ოჯახში ინგა ბიწაძის დიქტატს ვეგუები... ■



იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
ახალი!
8.99

# 30-წლიანი პატიმრობა და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

## დაზარალებული გულიაშვილი დოკვაძის დანაშაულს არ ადასტურებს

**16 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ეკა არეშიძე) ყოფილ პოლიტპატიმარ ირაკლი დოკვაძეს საკმაოდ მკაცრი სასჯელი — 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ირაკლი დოკვაძეს 2009 წლის 25 აპრილს, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე ახალგაზრდა ცოლ-ქმრის, მეგობარ გოჩა კვირჭიშვილისა და მისი 6 თვის ფეხმძიმე მეუღლის, ელზა გულიაშვილის მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად. ისინი საკუთარ სახლში, სხვადასხვა ოთახში ჩაქუჩით თავგატეხილები და დასისხლიანებულები იპოვეს.**



*თეა ხურცილავა*

*სასამართლო პროცესი ისე დასრულდა, რომ განსასჯელს ჩვენება არ მიუცია. პროცესის მსვლელობისას დოკვაძე კატეგორიულად ითხოვდა დაზარალებულ ელზა გულიაშვილის ექსპერტიზას. აცხადებდა: ჩემი ბედი სწორედ გულიაშვილის ჩვენებაზეა დამოკიდებულიო. ელზა გულიაშვილის ჩვენების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც მისმა დებმა სასამართლოზე სკანდალური ჩვენება მისცეს. განაცხადეს: დოკვაძეს ხელი როგორ დავადოთ, როცა ჩვენი და ამბობს, რომ მისთვის თავში არ ჩაურტყამსო. იქვე იმასაც დასძენდნენ, რომ გულიაშვილს თავისი პოზიციის დაფიქსირება შეეძლო. არადა, ოფიციალურად, დაზარალებული ელზა გულიაშვილი ქმედუუნაროდაა ცნობილი. მართალია, ბრალდებულმა და მისმა ადვოკატებმა მისი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. პროკურორი და დაზარალებულის ადვოკატები, დები გოჩელაშვილები კი აცხადებდნენ, რომ გულიაშვილები მათ ელზას ნახვის საშუალებას არ აძლევდნენ, ამიტომაც, ექსპერტიზაზე შუამდგომლობას ვერ დააყენებდნენ. თავად დები გულიაშვილები გოჩელაშვილებს უნდობლობას უცხადებდნენ. საქმე დასასრულისკენ მიდიოდა, როცა გულიაშვილების ინტერესების დამცველად საქმეში ადვოკატი — დავით დადიანი ჩაერთო. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ის პროკურორის პოზიციას კატეგორიულად არ დაეთანხმა. მისთვის დანაშაულის ჩადენის მოტივი აბსოლუტურად გაუგებარი დარჩა. პროკურორი სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგაც იმავე პოზიციაზე იყო და აცხადებდა, მეგობარზე განაწყენებულმა დოკვაძემ ცოლ-ქმრის მკვლელობა ჩაიდინაო. სასამართლო განხილვა ისე დასრულდა, რომ განსასჯელმა, პროტესტის ნიშნად, ჩვენება არც ერთხელ არ მისცა. განაჩენის გამოტანამდე მოსამართლემ მას ბოლო სიტყვისთვის დრო მისცა. სწორედ მაშინ დააფიქსირა ბრალდებულმა თავისი პოზიცია. დოკვაძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.*

**დავით დადიანი,** *დაზარალებული ელზა გულიაშვილის ადვოკატი:*

— საქმეში მოგვიანებით ჩავერთე, მაგრამ ისე დასრულდა სასამართლო და ირაკლი დოკვაძეს ისე გამოუტანეს განაჩენი, რომ მთავარ კითხვებზე პასუხი არ მიმიღია. როგორც დებმა, ასევე დაზარალებულმა ელზამ, ჩემთან პირადი საუბრისას დააფიქსირა, რომ დოკვაძეს მისთვის არ ჩაურტყამს. მართალია, გულიაშვილი ქმედუუნაროდ ცნეს, გამართულად მეტყველება უჭირს, მაგრამ მერწმუნეთ, ის ადეკვატურია, საუბარს მაინც ახერხებს. აქედან გამომდინარე, ბრალდებას მხარს ვერ დავუჭერდი. მით უმეტეს, ჩემთვის სრულიად გაუგებარია ის მოტივი, რომელიც გამოძიებამ მკვლელობის მიზეზად დაასახელა. ასევე ეჭვს იწვევს ექსპერტიზის დასკვნა. მასალა არ დარჩენილა იმისთვის, რომ ექსპერტს საფუძვლიანი დასკვნა გაეცა. რაც ასევე მთავარია, ელზას დები აცხადებენ, რომ დაშავებული სხვა კაბით მიიყვანეს საავადმყოფოში და ამ დროს საქმეში მტკიცებულებად სულ სხვა ტანსაცმელი, სისხლიანი პერანგი იდო. როგორ მოხდა ეს, არ ვიცი. გოჩა კვირჭიშვილი დოკვაძეს ამხელს. მე მის დაკითხვას სასამართლოზე არ დავსწრებივარ, მაგრამ საქმიდან ჩანს, რომ მას ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები აქვს მიცემული. პირველ ჩვენებაში არ ამბობდა, რომ დოკვაძემ ჩაარტყა, მერე ამხილა. საბრალდებო დასკვნით: კვირჭიშვილმა მას მანქანა უყიდა, შემდეგ უკან დაიბრუნა და ამის ნიადაგზე მოხდა ეს მკვლელობა. მერე ტელევიზიით კვირჭიშვილმა უფრო სკანდალური განცხადება გააკეთა და თქვა: მკვლელობა ჩემი რძლის შეკვეთილიაო. სასამართლოზე მოტივი ხომ უნდა გარკვეულიყო, ასეთი ამაზრზენი დანაშაული რატომ ჩაიდინეს? მართალია, მას 30 წელი მიესაჯა, მაგრამ მოტივი გაურკვეველია. მე, როგორც ერთ-ერთი დაზარალებულის ადვოკატს, ბრალდებისთვის, ბუნებრივია, მხარი არ დამიჭერია. კი, ბატონო, ელზა გულიაშვილი დაზარალებულია და უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ ადამიანი ციხეში გაგზავნო ისე, რომ არ გჯეროდეს მისი დანაშაულის და 30-წლიან პატიმრობას მხარი დაუჭირო, — ეს უბრალოდ, არ იქნებოდა ნორმალური ქმედება არც იურისტის მხრიდან და არც ადამიანური თვალსაზრისით. ღმერთმა ქნას, ელზა ბოლომდე გამოჯანმრთელდეს და თქვას ყველაფერი, რაც რეალურად იყო.

**— ბატონო დავით, ელზა გულიაშვილი დოკვაძეს უდანაშაულოდ აცხადებს?**

— მთავარ კითხვას, — დოკვაძემ ჩაიდინა თუ არა ეს დანაშაული? — მან ასე უპასუხა: დოკვაძეს ჩემთვის არ ჩაურტყამს, კომპიუტერი გააკეთა და წავიდაო. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს გავეცანით. ვნახოთ, მოსამართლე რას დაეყრდნობა და განაჩენში მტკიცებულებად რას მოიყვანს. ვფიქრობ, ძირითადი მტკიცებულება — კვირჭიშვილის ჩვენება იქნება, რომელმაც მოტივიც ორჯერ შეცვალა, და ალბათ, ექსპერტიზა, საიდანაც ჩანს, რომ არ იყო საკმარისი მასალა ექსპერტიზისთვის. ექსპერტმა თქვა, — სულ სხვა რაოდენობის სისხლია საჭირო სრულყოფილი გამოკვლევისთვისო, ამას იზიარებენ და გეუბნებიან, — გინდა თუ არა, ეს დაიჯერეო. ფაქტია, მხარეს არ მიეცა საშუალება, დამატებითი ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაეტარებინა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამით შეჯიბრობითობის პრინციპი დაირღვა. სასამართლო პროცესზე გამოკვლეულმა მტკიცებულებებმა კითხვები წარმოშვა, როცა გავეცანით თუნდაც დოკვაძის გადაადგილების მარშრუტს. საქმეში, როგორც მტკიცებულება, ვიდეოფირები დევს, მაგრამ ამ ჩანაწერებში დოკვაძის მანქანა საერთოდ არ ჩანს და ჩემთვის გაუგებარია, რატომ ჩადეს ის საქმეში, როგორც მტკიცებულება. განაჩენის მიუხედავად, ძალიან ბევრი კითხვა დამრჩა და კითხვები ყოველთვის მექნება. ელზასთან ვრცელი და დეტალური საუბარი ჯერჯერობით რთულია. შეიძლება, ერთი თვე გავიდეს და მან ყველაფერი თქვას. ის იმასაც ამბობს, თითქოს იქ ვიღაც ულვაშიანი პიროვნებაც იყო, მაგრამ სანამ ელზა ქმედუუნაროდ არის მიჩნეული, სანამ ეს დასკვნა დევს საქმეში, ძალიან რთულია, ვინმე დაარწმუნო, რომ ის სიმართლეს ამბობს. ის სასამართლოზე უნდა მოიყვანო ან

ვინმემ ხომ უნდა დაჰკითხოს. გულიაშვილი შერაცხადია, მართალია, რთულად, მაგრამ კონტაქტში შემოდის; რა ვქნა — არ გავითვალისწინო მისი აზრი?.. მაშინ, რატომ არ ამბობს, რომ იქ იყო დოკვაძე და მან ჩაარტყა?

**— თქვენი აზრით, შეიძლება, ერთ დღეს ეს საქმე „დაიშალოს“?**

— ვერ გეტყვით. ვნახოთ, რა მტკიცებულებები იქნება მითითებული მოსამართლის განაჩენში. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი. თუ ეს განაჩენი ემყარება ექსპერტიზას (და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მტკიცებულება იქნება), მაშინ მიმაჩნია, რომ ეს საქმე „დასაშლელია“. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს ვიცავ, არ შემიძლია, მხარი დავუჭირო იმას, რომ კაცი იჯდეს ციხეში, როცა მის დანაშაულში დარწმუნებული არ ვარ. ეს ასე მარტივი გადასაწყვეტი ხომ არ არის. ბევრი რამ გაუგებარია ჩემთვის, თუნდაც, კვირჭიშვილის დამოკიდებულება ცოლის მიმართ. არც ის მესმის, როგორ ვერ დაადგინა მოტივი გამოძიებამ, როცა დაზარალებული ცოცხალია, რატომ არ არის ის ერთ პოზიციაზე და რატომ არ ამბობს, რა მიზეზით ჩაარტყეს თავში. პროკურორმა საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ დოკვაძემ მანქანის გამო იძია შური და ორი წლის შემდეგ ამის გამო ასეთი სასტიკი დანაშაული ჩაიდინა. მაშინ, გიჟი უნდა იყოს დოკვაძე... ვერ დავრწმუნდი პროცესზე, რომ დოკვაძეა დამნაშავე.

*დაზარალებული ელზა გულიაშვილის ადვოკატი სკანდალურ პოზიციას აფიქსირებს და როგორც გულიაშვილის დები, ისიც დოკვაძის დამცველად გვევლინება. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა, მაგრამ ფაქტია — ისინი არ არიან დოკვაძის ბრალეულობაში დარწმუნებულები. უფრო მეტიც — ელზა პირადი საუბრებისას თურმე ადასტურებს, რომ სახლში სხვა პირი იყო.*

*თავად დოკვაძის ადვოკატები — ლუნა ჯიჯელავა და ვლადიმერ ტაბაღუა განაჩენს ასაჩივრებენ. ისინი აცხადებენ, რომ მოსამართლემ უკანონო განაჩენი გამოიტანა.*

— სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, ასეთ განაჩენს არ გამოიტანდნენ. რეალურად, ორი უკიდურესობის წინაშე იყო მოსამართლე: მას ან საერთოდ, უნდა გაემართლებინა დოკვაძე, ან ასეთი სასჯელი უნდა გამოეტანა. მჯეროდა, რომ სიმართლე გაირკვეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე სიმართლე ვერ გაირკვა. ალბათ შემდგომ მაინც გაირკვევა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, — *გვითხრა ქალბატონმა* **ლუნა ჯიჯელავამ**.

*ვნახოთ, შევა თუ არა კანონიერ ძალაში დოკვაძის 30-წლიანი პატიმრობის განაჩენი. არ არის გამორიცხული, დაზარალებული ელზა გულიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდეს და მისმა ჩვენებამ ყველაფერი შეცვალოს. ჯერჯერობით გაურკვეველია, რატომ აქვთ განსხვავებული პოზიციები დაზარალებულებს.*

■

# გადავარჩინოთ სიცოცხლე!

## 21 წლის გოგონა ჩვენს დახმარებას ელის

**„გადავარჩინოთ 21 წლის გოგონას სიცოცხლე!“ „ლალის სიცოცხლის გადასარჩენად ყოველი დღე გადამწყვეტია!“, „დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით და ვებრძოლოთ მძიმე სენს!“ — ეს ის სიტყვებია, რომლითაც საზოგადოებას ლალი ცერცვაძის მეგობრები მიმართავენ. გოგონას ექიმებმა უმძიმესი დიაგნოზი — მწვავე მიელობლასტური ლეიკემია დაუდგინეს. ცხადია, მას მკურნალობა ესაჭიროება, მკურნალობა კი დიდ თანხებს მოითხოვს, რისი საშუალებაც ოჯახს არა აქვს და როგორც ლალის დედა ამბობს, — „ჩემი გოგონას სიცოცხლე ბეწვზე კიდია, საშველი კი არსაიდან ჩანს“.**

ლიკა ქაჯაია

*პირველად ლალის ფოტო ინტერნეტში ვნახე, წარწერით — „გადავარჩინოთ 21 წლის ლალი!“ — შემდეგ, მეტროში დამონტაჟებულ მონიტორზე წავაწყდი იმავე სახეს; მერე ვიღაცამ დამირეკა, მისი ტელეფონის ნომერი მიკარნახა და მთხოვა: იქნებ, მასზე რაიმე დაწერო, ვინ ისიც, შესაძლოა, „გზის“ მკითხველებმა მცირედით, მაგრამ მაინც შეძლონ ლალის დახმარებაო. სასწრაფოდ ავკრიბე ლალის დედის, ქალბატონი ლია ქარჩხაძე-ცერცვაძის ტელეფონის ნომერი და ვთხოვე, ნება მოეცა, მათთან სტუმრად მივსულიყავი.*

*ცერცვაძეებს სტუმრის მისვლა გაუხარდათ, მაგრამ ლალი, ცოტა არ იყოს, უგუნებოდ დამხვდა და ინტერვიუზე უარი მითხრა: ახლა ვერაფერს გეტყვით, არ შემიძლიაო; სამაგიეროდ, როგორც კი მე და ქალბატონი ლია მის ავადმყოფობაზე საუბარს მოვრჩით, გამიღიმა, მადლობა გადამიხადა და მეგობრის ტელეფონის ნომერიც მიკარნახა: — ჩემ შესახებ ის უფრო მეტს გეტყვის, მე კი ამწუთას ღირებულს ვერაფერს გეტყვიო...*

**ქალბატონი ლია,** *ლალის დედა:*

— პირველად შარშან მაისში დაეწყო შემცივნება და სიცხემაც აუწია. ჩვეულებრივი გრიპის ვირუსი გვეგონა და სიცხის დამწევ პრეპარატებს ვასმევდით. ბოლოს, როცა მისი ავადმყოფობა ძალიან გაიწელა, გადავწყვიტეთ, საავადმყოფოში წაგვეყვანა, მაგრამ თავად ლალი არ გამოგვყვა — უბრალო ვირუსის გამო საავადმყოფოში რატომ უნდა წავიდეო?! ბოლოს სიცხემ ძალიან აუწია და შევშინდით. „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა გამოვიძახეთ. ექიმებმა იფიქრეს, ალბათ, კუჭი გაუსკდაო, რადგანაც კუჭის არეში ძლიერი შეტევა დაეწყო და საავადმყოფოში გააქანეს. მუცლის ღრუ გაუშუქეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. მერე სისხლის ანალიზის აღება გახდა საჭირო და სწორედ მაშინ დადგინდა, რომ ლალი ლეიკემიით იყო დაავადებული. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ჩემი შვილი საავადმყოფოში სამკურნალოდ ვერ დავაწვინეთ.

**— როგორც ვიცი, იაშვილის სახელობის კლინიკაში ლეიკემიით დაავადებულებს სრულიად უფასოდ მკურნალობენ.**

— დიახ, მაგრამ იქ ასაკი შეზღუდულია — მხოლოდ 17 წლამდე ბავშვებს მკურნალობენ, ლალი კი 21 წლისაა და მისთვის გამონაკლისს ვერ დაუშვებდნენ... თანხის ძიებაში მთელი თვე გავიდა, მერე კი ლალი სისხლის გადასხმის ინსტიტუტში დავაწვინეთ... ექიმებს ზუსტი დიაგნოზის დასმა გაუჭირდათ და ამიტომაც, ანალიზების გერმანიაში გაგზავნა რამდენჯერმე მოგვიხდა. საბოლოოდ, მას მწვავე მიელობლასტური ლეიკემია დაუდგინეს. მერე, კეთილი ხალხის დახმარებით, ქიმიოთერაპიის კურსის ჩატარებისთვის საჭირო



სახსრებიც გამოჩნდა, მაგრამ ამას მისთვის დიდი შედეგი არ მოუტანია. დეკემბერში მკურნალობის კიდევ ერთი კურსი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ უსახსრობის გამო, ეს ვერ მოვახერხეთ.

— **დახმარებისთვის ჯანდაცვის სამინისტროსთვის არ მიგიმართავთ?**

— როგორ არა?! განცხადება ჯანდაცვის სამინისტროშიც შევიტანეთ და მერიაშიც, მაგრამ იქიდან პასუხს დღემდე ველოდებით.

— **ლალის საზღვარგარეთ წაყვანასა და იქ მკურნალობაზე ექიმები არაფერს გეუბნებიან?**

— როგორ არა, გვეუბნებიან: თუ საზღვარგარეთ წაიყვანთ, იქ მკურნალობა შედეგს აუცილებლად გამოიღებსო, მაგრამ საზღვარგარეთ კი არა, იმდენი თანხაც არა გვაქვს, საქართველოში რომ ვუმკურნალოთ. საკუთარი ჭერიც არ გაგვაჩნია, თორემ აუცილებლად გავყიდდით მხოლოდ იმისთვის, რომ მკურნალობის კიდევ ერთი კურსი მაინც ჩავუტაროთ...

— **ლალის სურათები ქუჩაშია გამოფენილი...**

— თავიდან, თვითონ ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მეგობრები შეუჩნდნენ და დაითანხმეს, რომ მის სახელზე საიტი გაეკეთებინათ. მართლაც, ლალის მეგობრებისა და დათო დურგლიშვილის (ერთ-ერთი საიტის ადმინისტრატორის) დახმარებით, ხალხმა ჩვენი გასაჭირი შეიტყო, ისინი შეძლებისდაგვარად დაგვეხმარნენ. მართალია, დიდი თანხა არ შეგროვებულა, რადგან დღეს ყველას უჭირს და ზოგს 3 ლარი ჰქონდა შემოწირული, ზოგს კი — 5, მაგრამ ამისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ. ზოგს პურის ფულიც არა აქვს, მაგრამ მაინც მზადაა, მასზე გაჭირვებულის დასახმარებლად ბოლო თეთრებიც კი გაიღოს და მადლობა ჩემს ერს ამისთვის!.. სამწუხაროდ, ლალის მკურნალობისთვის საკმარისი თანხა არ შეგროვდა (*ქალბატონ ლიას თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ ის უჩუმრად, მანამ შეიმშრალა, ვიდრე ლოყაზე გადმოუგორდებოდა, — ლალი ცრემლებს ვერ იტანსო! — ავტ.*).

— **მაისამდე მას ლეიკემიის ნიშნები არ ჰქონდა?**

— იცით, ამ დაავადების ჩამოყალიბებას აგვისტოს ომის პერიოდში თბილისში, კერძოდ კი ისანში ერთ-ერთი ობიექტის აფეთქებისას მიღებულ მძიმე სტრესს ვაბრალებთ. მაშინ ისანში, აფეთქების წერტილიდან რამდენიმე მეტრში ვცხოვრობდით. ღამის 4 საათზე ლალი საშინელმა აფეთქების ხმამ გააღვიძა და ისე შეშინდა, ისტერიკაში ჩავარდა, ყვიროდა, — აქედან სასწრაფოდ წამიყვანეთო!.. მაისამდე, ჯანმრთელობის მხრივ, მას თითქმის არანაირი პრობლემა არ ჰქონია.

— **ექიმები თქვენი ვარაუდის შესახებ რას ამბობენ?**

— ლეიკემიის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მართლაც, შიში ყოფილა...

— **ვიდრე ამ ვერაგ დაავადებას აღმოუჩენდნენ, ლალი რას საქმიანობდა?**

— პროფესიით ფარმაცევტია და იმ პერიოდში სტაჟირებას გადიოდა. მუშაობის დაწყებაც სურდა, მაგრამ ამ დაავადებამ მიზნების მიღწევაში ხელი შეუშალა.

— **საერთოდ, მშიშარა ბავშვი იყო?**

— მხოლოდ სტიქიური უბედურებების, აფეთქებისა და ომის ეშინოდა, ისე კი ყოველთვის ძალიან ხალისიანი, სიცოცხლით სავსე იყო და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძალაგამოლეულია, ლოგინში ახლაც ვერ ვაჩერებ — როცა თავს შედარებით ენერგიულად იგრძნობს, მაშინვე წამოხტომას, გარეთ გასვლასა და გართობას ლამობს. მოკლედ, საოცრად აქტიურია. ახლაც თავად გვაიმედებს, — ნურაფრის გეშინიათო... სამწუხაროდ, მალე იღლება, მაგრამ ავადმყოფობას არ ეპუება და ცდილობს, ძალა მოიკრიბოს...

— **ექიმები რის იმედს გაძლევენ?**

— გვეუბნებიან, რომ შანსი გვაქვს, მაგრამ გარანტიას არავინ გვაძლევს...

**მერიკო,** *ლალის მეგობარი:*

— ლალის ბავშვობიდანვე ვიცნობ. ის ყოველთვის წყნარი, ძალიან მეგობრული იყო. როდესაც პრობლემა მქონდა, ყოველთვის მხარში მედგა და მამხნევებდა... სიცოცხლით სავსე გახლდათ და ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი სერიოზული დაავადება თუ დაემართებოდა და მისი გამხნევება თავადვე დამჭირდებოდა. ძალიან იშვიათად იყო ცუდ ხასიათზე და პრინციპში, დღემდე ასეა. ლალის განსაკუთრებით, ბავშვები უყვარს.

— **ამბობენ, ლეიკემიით მისი დაავადება შიშმა გამოიწვია...**

— ასეთ ვარაუდს მისი მშობლები გამოთქვამენ. აგვისტოს ომის დროს ლალიმ მართლაც, ძალიან ინერვიულა. სხვათა შორის, მაშინ მისი ძმაც მოხალისედ წავიდა საბრძოლველად და ამასაც საოცრად განიცდიდა... როცა რუსებმა ჩვენს უბანში რაღაც ააფეთქეს, ლალის ოჯახი სოფელში გადაბარგდა. მეგობარი იქიდანაც მირეკავდა და მთხოვდა, ოჯახის წევრებთან ერთად, მასთან ჩავსულიყავი. მეუბნებოდა: აქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებითო...

— **თქვენ კლასელები იყავით?**

— არა, ის ჩემზე ბევრად უმცროსია. ისინი თბილისში ქუთაისიდან გადმოვიდნენ და ჩემს მეზობლად, ქირით ცხოვრობდნენ. როცა ლალი გავიცანი, ის მეორე კლასში სწავლობდა და მას შემდეგ ვმეგობრობთ.

— **მას შემდეგ, რაც ლეიკემია აღმოაჩნდა, ხასიათი შეეცვალა?**

— თავიდან მაქსიმალურად ცდილობდა, არაფერი შეემჩნია, ახლა კი ვატყობთ, რომ ზოგჯერ ნერვებს ვერ თოკავს. მაგრამ ეს იშვიათად ხდება. მას არ უნდა, საკუთარი პრობლემებით სხვები შეაწუხოს და ცდილობს, არაფერი შეიმჩნიოს. მეგობრებს მისი ასეთი საქციელი გვაკვირვებს და ერთმანეთს ვეკითხებით კიდეც: როგორ შეუძლია, მაინც ასე მხნედ და მშვიდად იყოს-თქო?!. ლალი ერთხელ გამომიტყდა: სულ ჩემს დაავადებაზე რომ ვიფიქრო, გავგიჟდებიო!

— **ლალის მეგობრები ცდილობთ, მის ოჯახს შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ...**

— რამდენიმე მისი მეგობარი შევიკრიბეთ და ვფიქრობდით, თუ როგორ დავხმარებოდით ლალის ოჯახს. მერე ერთ-ერთმა თქვა: ერთი საიტის ადმინისტრატორს ვიცნობ და მას ვთხოვ, ლალის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით გაავრცელოს და იქნებ, ვინმემ შეძლოს ჩვენი დახმარებაო... ლალის ხალხი მცირედით, მაგრამ მაინც დაეხმარა. თქვენს მკითხველებსაც ვთხოვ: ხალხნო, რითიც შეგიძლიათ, დაეხმარეთ ჩემი მეგობრის ოჯახს. მათ არანაირი საშუალება არა აქვთ იმისათვის, რომ შვილს უმკურნალონ...

— **საინტერესოა, ლალი რაზე ოცნებობს?**

— მას ბევრი ოცნება აქვს, მაგრამ როგორც ყველა ქალი, პირველ რიგში, კარგი ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. ამბობს, ჩემი შვილები ძალიან მეყვარებიანო... იმედია, ღვთის წყალობით, ფეხზე წამოდგება და ამ ოცნების ასრულებასაც შეძლებს.

გთხოვთ დარეკოთ
Geocell-დან და Beeline-დან
ზარის ღირებულებაა 1 ლარი
**700 644 -ზე**
**ანგარიშის ნომერი**
საქართველოს ბანკის ანგარიშის № 137768800
მიმღების დასახელება: ლალი ცერცვაძე
eMoney - 360386848


პალიტრა მედია
მედია–დანაზოგი
ანტიკრიზისული პროექტი
მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები
თქვენ? 18-25 იანვარი
CONVERSE®
მსოფლიოში პირველად, პირველი კედები მარკუს კონვერსს 1908 წელს ეცვა.
ფასი: 199 80
ფასი: 190 80
„სიტყვა და საქმის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია კუპონი,
შეაგროვეთ 2 ცალი, მიიტანეთ „კონვერსის“ მაღაზიაში
ჭავჭავაძის 30 ტელ: 30 57 72
ანონსი
მომავალი ორშაბათიდან
25 იანვარი-1 თებერვალი
იხილეთ „მედია-დანაზოგის“ ახალი შემოთავაზება
PUMA®
„პუმას“ სახელგანთქმული პროდუქცია
აქციაში მონაწილეობის მსურველი კომპანიები დაგვიკავშირდით: danazogi@palitra.ge

# სკინჰედები და მათი მაღალჩინოსანი მფარველები

## „ამ ორგანიზაციას რუსეთის დუმა მფარველობს და აფინანსებს კიდეც“

**უჩვეულო რესპონდენტი მყავს — მის სახელს ვერ გაგიმხელთ, რადგან შესაძლოა, ამან საფრთხე შეუქმნას... ის ჩვეულებრივი ქართველი ახალგაზრდა კაცია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს.... იქნებ ოდესმე მის ცხოვრებაზეც, ნოსტალგიაზეც გიამბოთ, მაგრამ ამჯერად, საუბრის თემად, რუსული რეალობისთვის ძალზე სამარცხვინო — სკინჰედური მოძრაობა ავირჩიეთ.**

*დეა ცუცქირიძე*



ეს ახალგაზრდული მოძრაობა მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების იარაღად იქცა

**— მაინც ვინ არიან სკინჰედები?**

— სანამ რუსულ მოვლენაზე ვისაუბრებთ, მინდა გითხრათ, რომ კლასიკური „სკინკულტურა“ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ლონდონში ჩამოყალიბდა და არაფერი აქვს საერთო იმ მოვლენასთან, რომელსაც ახლა რუსეთში ვაწყდებით. მაშინ, ამ კულტურის განვითარებაში, თავისი მუსიკით, დიდი როლი იამაიკელმა იმიგრანტებმა ითამაშეს, მათ მუსიკას „სკა“ ერქვა. სწორედ „სკამუსიკისა“ და იმ პერიოდისთვის ლონდონში პოპულარული „მოდკულტურის“ სინთეზით შეიქმნა „სკინკულტურა“... ახლა წარმოიდგინეთ, როგორი დეფორმაცია განიცადა მან, ვიდრე რუსულ ფაშიზმად მონათლულ „სკინჰედიზმად“ ჩამოყალიბდებოდა. თუმცა ამ კულტურის ჩანასახშივე იყო მცირე ფორმებით აგრესია, რაც ვლინდებოდა ვთქვათ, სტადიონებზე საგულშემატკივროდ მისული ფანების ხელჩართულ ბრძოლებსა და აყალმაყალში... სკინებმა, იმ მოტივით, რომ ამ ბრძოლებში მათთვის არაფერს შეეშალა ხელი, თმაც კი გადაიპარსეს და ჩაცმულობის თავისუფალი სტილიც შემოიღეს — სამხედრო ჩექმა და ჯინსი. მაგრამ ეს მაინც არ იყო ყოვლისმომცველი აგრესია, ეს უფრო, „გაბრაზებულობანას“ თამაშს ჰგავდა. მსგავსი რამ საერთოდ, ახალგაზრდებს ახასიათებს — ენერგიული პროტესტი სამართლიანობის აღსადგენად.

**— ანუ თანამედროვე რუსი სკინჰედი არსებითად გასხვავდება, მაგრამ გარეგნულად ჰგავს თავის წინამორბედს.**

— გადაპარსული თავით — კი ჰგავს, მაგრამ 60-იანი წლების ლონდონში მოვლენილი ამ კულტურის მიმდევრებს გამოწკეპილ ბიჭებად იცნობდნენ და არა ლოთ, ნარკომან მკვლელებად, როგორც ეს რუსეთშია. ისინიც შავ ტანსაცმელს ატარებენ, ფეხზე „გრინდერები“ აცვიათ, მაგრამ სახე არასდროს უჩანთ — თავიც დაფარული აქვთ და სახეც. კლავენ, ძარცვავენ, არბევენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს — ყველა რჯულის, ჯიშის, გენის ადამიანს და არანაირი მორალი არ გააჩნიათ. ეს ფაშისტური ორგანიზაციაა, რომელიც ყველა სხვა ერის ზიზღზეა დაფუძნებული და არა საკმაოდ „მარიაჟული“ „სკინმოძრაობა“.

**— მაგრამ 70-იანი წლებიდან „სკინმოძრაობა“ უკვე რასისტულ მოძრაობად ჩამოყალიბდა.**

— ისე მოხდა, რომ სკინჰედთა მოძრაობის, როგორც სოციალური თანასწორობისათვის მებრძოლი ჯგუფის იმიჯი, პოლიტიკამ შეიწირა. ეს ახალგაზრდული მოძრაობა მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების იარაღად იქცა, პოლიტიკოსებს ის ახალგაზრდობის მოსაზიდად სჭირდებოდათ. ამიტომაც, ნამდვილი სკინჰედები დღემდე ცდილობენ, აღიდგინონ საკუთარი შელახული იმიჯი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსული სკინჰედიზმი, როგორც ფაშიზმი, რასიზმი, ისე შეგვიძლია განვიხილოთ.

**— დიახ, ჩვენ რუსეთზე ვსაუბრობთ... რა ასაკის ადამიანები არიან გაერთიანებული ამ მოძრაობაში?**

— პირველ რიგში, გეტყვით — ეს სამხედრო ფორმირებაა: მათ ფიზიკურად წვრთნიან, ასწავლიან იარაღის ხმარებას და ეწევიან აგიტაციას ანუ უმძაფრებენ სხვა ერების მიმართ სიძულვილს. ისინი ერთადერთ ლიტერატურას — ფაშისტურს ცნობენ და კითხულობენ. ან არც კითხულობენ, რადგან მათ განათლება არ მოეთხოვებათ. მათ გასამრჯელოს მხოლოდ და მხოლოდ, არარუსული ეროვნებების ადამიანთა ზიზღსა და ამ ზიზღის გამოვლენაში უხდიან... ასაკზე მკითხეთ და გიპასუხებთ: 14-დან 40 წლამდე ადამიანები, უფრო სწორად — რუსები ერთიანდებიან. თუმცა ვიცი, რომ მოსკოვში მათ რიგებში სომხებიც გვხვდებიან. 14 წლის ადამიანს უკვე აქვს უფლება, გაერთიანდეს ამ ფორმირებაში და ფიციც დადოს. ამ საქმის მესვეურები ძალიან კარგად იყენებენ რუსეთში შექმნილ უაღრესად მძიმე სოციალურ ფონს. ეს მოზარდები ძირითადად, ბავშვთა სახლების აღსაზრდელები, უპატრონო, მიტოვებული ბავშვები, უკვე ნარკომანები და ლოთები არიან. მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს შორის, ბევრი სასჯელმოხდილი, ციხიდან გამოსული ადამიანია. მათ სასჯელს უნახევრებენ იმ პირობით, რომ სკინჰედურ ფორმირებაში განევრდებიან. იგივე შემიძლია ვთქვა რუსულ ჯარზეც — იქაც ბევრი, ციხიდან გამოშვებული მსახურობს კონტრაქტით, სასჯელის განახევრების, შემსუბუქების სანაცვლოდ. მათ ძალიან ეშინიათ ციხის, რადგან ვერ რიგდებიან ე.წ. შავ სამყაროსთან. ერთადერთი, ვისიც ეშინიათ, ქურდები არიან. ამ ხალხს ყველა და ყველაფერი სძულს, სასმლის, ნარკოტიკისა და საკუთარი თავის გარდა.

**— 14 წლის ბავშვებს მკვლელობასა და ძარცვას ასწავლიან?!**

— დიახ, ბავშვები არბევენ, ძარცვავენ, კლავენ და მოითხოვენ — „რუსეთი მხოლოდ რუსებისათვის!“ ამ ბავშვების გამოყენება მომგებიანია მათი ხელმძღვანელებისთვის, რადგან 14 წლის მოზარდს, თუ ის სასამართლოს წინაშე წარდგება, არასრულწლოვნის მუხლით გაასამართლებენ: ახალგაზრდები არიან, ადვილად სამართავები, ძალა ერჩით, სისხლი უდუღთ და თან, მათ მიმართ კანონი ლმობიერია... რუსეთში ძალიან გახმაურდა ორი მოზარდის სასამართლო პროცესი, რომელზეც ჟურნალისტები დარბაზიდან პროცესის დაწყებისთანავე დაითხოვეს — განსასჯელთა წარმოუდგენელი განცხადებების გამო, მაგალითად: კითხვაზე — აღიარებ თუ არა, რომ 24 ადამიანი მოკალი? — უტიფრად უპასუხებდნენ, — არა, არ ვაღიარებ, იმიტომ, რომ 24 კი არა, 37 იყო...

**— ამ შეიარაღებულ ფორმირებას, ბუნებრივია, ბაზებიც აქვს და დაფინანსებაც ანუ მათ სერიოზული მფარველი ჰყავთ მთავრობაში. ვინ არის ეს ადამიანი — პუტინი?**

— ასე ჩანს, სინამდვილეში კი უშუალო შემსრულებელი — ჟირინოვსკის ვაჟია. ამ ორგანიზაციას რუსეთის დუმა მფარველობს და აფინანსებს კიდეც. სკინჰედები ხელფასს რუსეთის დუმიდან იღებენ. საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსეთში დამოუკიდებელი, სამართლიანი სასამართლო არ არსებობს. შესაბამისად, არც ერთი სკინჰედური დანაშაული რასისტულ ჭრილში არ განიხილება და მას მხოლოდ ბანდიტიზმის, მკვლელობის ან, კიდევ უარესი — წვრილ-

გაგრძელება იხ. გვ. 98



# სახე

## „არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი“ ქართველი კაცის ცხოვრება“ და „ბოხი ხმის პატრონის ნარნარი „იავნანა“

**ამბობენ, სიკეთე გადამდებიაო, და ბოლო დროს რამდენიმე ახალი საქველმოქმედო ფონდი შეიქმნა, თუმცა „იავნანამ“ მაინც გამორჩეულად მოხიბლა საზოგადოება და ამიტომაცაა, მის აქცია-კონცერტებს მოუთმენლად რომ ელოდებიან. ფონდის დამფუძნებლის, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ბანის, პაატა ბურჭულაძის მოწვევით მსოფლიოს ბევრი საოპერო ვარსკვლავი სტუმრებია საქართველოს და აღიარებულ ქართველ შემსრულებლებთან ერთად „იავნანას“ საქველმოქმედო აქციებში ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, ქართველი ხალხისთვის სრულიად უანგაროდ უმღერია.**

**21 იანვარს თბილისის საკონცერტო დარბაზში ფონდი „იავნანა“ მაყურებელს კიდევ ერთ ულამაზეს საქველმოქმედო დღესასწაულს — მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავების გალა-კონცერტს მოუწყობს.**



ლუჩანო პავაროტი, კატია რიჩარელი და პაატა ბურჭულაძე

*ირმა ხარშილაძე*

**თეონა ჯორბენაძე,** *ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი:*

— იტალიური რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად მიჩნეული უდიდესი მომღერალი, ამერიკელი სოპრანო მიშელ კრაიდერი უკვე მეოთხედ ჩამობრძანდა ჩვენთან, მასთან ერთად საქველმოქმედო აქცია-კონცერტში იმღერებენ აღიარებული იტალიელი ბარიტონი და როგორც ხშირად უწოდებენ — გოლიათი ხმითა და აღნაგობით ამბროჯიო მაესტრი, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტენორი — მარჩელო ალვარესი და... თავად პაატა ბურჭულაძე. ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრსა და გუნდს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. შემოსული თანხა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მოხმარდება.

*21 იანვრის კონცერტი პაატა ბურჭულაძის 55 წლის იუბილეს ეძღვნება. მართალია, ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელს 55 წელი 12 თებერვალს უსრულდება და ამ თარიღს თელ-ავივის საოპერო თეატრში სპექტაკლით აღნიშნავენ, მაგრამ ქართველი ბანის სურვილით, მისი პირველი საიუბილეო გალა-კონცერტი შინ, საქართველოში ტარდება. პაატა ბურჭულაძის იუბილეს მიეძღვნა პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე შესრულებული 88-გვერდიანი ბუკლეტი და მასში დაბეჭდილ რამდენიმე ამონარიდს ჩვენს დღევანდელ სტატიაში შიგადაშიგ ექსკლუზიურად შემოგთავაზებთ.*

**თეონა ჯორბენაძე:**

— თელ-ავივის საოპერო თეატრმა სპექტაკლი საგანგებოდ 11 თებერვალს დანიშნა, პაატა ბურჭულაძეს 55 წელიწადი სწორედ სცენაზე რომ შესრულებოდა. საქართველოდან „იავნანასა“ და პაატას მეგობრებიც გაემგზავრებიან ისრაელში, საიუბილეოდ სხვა კონცერტებიც იგეგმება, მაგრამ პაატამ საიუბილეო წლის სხვა ქვეყანაში კონცერტებით დაწყება არ ისურვა და ამიტომაც საზღვარგარეთ დაგეგმილ წარმოდგენებს შორის გამონახა დრო კონცერტის თბილისში ჩასატარებლად. საკონცერტო დარბაზში მისულ მაყურებელს ბევრი სიამოვნება და სიურპრიზი ელის, წინასწარ კი მხოლოდ ერთს გაგიმჟღავნებთ: 21 იანვარს ცოცხლად მოვისმენთ მსოფლიო ბანის, პაატა ბურჭულაძის ლეგენდარულ დონ ბაზილიოს როსინის „სევილიელი დალაქიდან“...

*პაატა ბურჭულაძე ძალიან ახალგაზრდა, 30 წლის იყო, როცა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. იგი მღერის მსოფლიოს წამყვან თეატრებში: ლონდონის „კოვენტ გარდენში“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“, მილანის „ლა სკალაში“ და ა.შ. თანამშრომლობს მსოფლიოს უდიდეს დირიჟორებთან — რიკარდო მუტისთან, ჯეიმს ლივაინთან, ლორინ მააზელთან, ზუბინ მეტასთან... მან 2004 წელს დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, 2006 წლიდან გაეროს კეთილი ნების ელჩია, 2008 წლის 15 ივლისს კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ პირველი ვარსკვლავი გაიხსნა და მას პაატა ბურჭულაძის სახელი დაეწერა.*

**პაატა ბურჭულაძე:**

— მომღერლის კარიერაში ხმასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღბალს ვანიჭებ, შემდეგ — უკვე პიროვნულ თვისებებს. პიროვნება თუ არ ხარ, ხმასაც და სიმღერასაც ფასი მალევე ეკარგება... ეს სამივე ფაქტორი აუცილებელია. საოპერო ხელოვნების განუმეორებელი მოვლენა, ლეგენდარული ლუჩანო პავაროტიც, პირველ რიგ-

ში, დიდი ადამიანი იყო. როცა მას უსმენდი, სულ სხვა სამყარო იხსნებოდა... არ მახსოვს, მას რომელიმე მომღერალი გაეკრიტიკებინოს, კარგის თქმას კი ვერავინ დაასწრებდა. იღბალი ვახსენე და მართლაც, რომ არა იღბალი, არ შედგებოდა ჩემი პირველი გამოსვლა „კოვენტ გარდენის“ სცენაზე. ერთმა ბანმა ამ სპექტაკლში მონაწილეობაზე უარი თქვა და მის მაგივრად მოვხვდი პარტნიორად პირდაპირ ლუჩანო პავაროტისა და კატია რიჩარელის გვერდით. „აიდას“ პრემიერა იყო, დირიჟორობდა ზუბინ მეტა... თანაც, ლუჩანო პირველად მღეროდა რადამესს და მთელი მუსიკალური სამყაროს ყურადღება ამ სპექტაკლისკენ იყო მიპყრობილი. ასეთ ვარსკვლავურ შემადგენლობაში შედგა ჩემი საერთაშორისო დებიუტი, რასაც, პირველ რიგში, იღბალს ვუმადლი.

*„ვარსკვლავი დაიბადა!“ — 1984 წელს ასე შეაფასა მუსიკალურმა კრიტიკამ პაატა ბურჭულაძის დებიუტი ლონდონის სამეფო თეატრის, „კოვენტ გარდენის“ სცენაზე. „სახეზეა ძლიერი, შესანიშნავი ჟღერადობის „მუქი ფერის“ ბანი“, — წერს ჰელენა მათეოპულოსი 1986 წელს მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავების შესახებ გამოცემულ წიგნში „ბრავო“; „ეკონომისტი“ „ნახშირივით შავს“ უწოდებს მის ხმას, რომელსაც „ძალუძს აალევოს ყველაზე მრავლისმნახველი კრიტიკოსი თუ ოპერის მოყვარული“.*



ამ მილიარდებით მოფენილ ცთომილზე უპირველესი ბანის სახელის დამკვიდრებასაც გენიალობაზე ნაკლები ნიჭი ვერ შეძლებს (ჭაბუა ამირეჯიბთან)

**პაატა ბურჭულაძე:**

— ჩემს კარიერაში გადამწყვეტი როლი ორმა გამოჩენილმა პიროვნებამ ითამაშა. ერთი მათგანია ჰერბერტ ფონ კარაიანი, რომელიც ავადმყოფობის გამო ოცი წელი არ დასწრებია არც ერთ კონცერტს, მაგრამ ზალცბურგში ჩემს სოლო პროგრამაზე მოვიდა. მან მთლიანად შეცვალა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. თუ დღეს მე კარგი მომღერალი ვარ, ამას კარაიანს უნდა ვუმადლოდე, რადგან მასთან ინტენსიურად ვიმუშავე და იგი მართლაც ჩემი კარგი მეგობარი იყო. მასთან მოვამზადე „დონ ჟუანი“ (კომანდორი), ვერდის „რეკვიემი“ და ჩავწერეთ მოცარტის „რეკვიემი“. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი მაესტრო გარდაიცვალა... არასდროს დამავიწყდება ჩემი მონაწილეობა ზალცბურგში, ვერდის „რეკვიემში“ კარაიანის დირიჟორობით. ეს გახლდათ მისი ბოლო კონცერტი... ამ ნაწარმოებს ხშირად ვმღერი და ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ ეს შესრულება მართლაც გამაოგნებელი იყო... მეორე დიდი პიროვნება და ჩემი დიდი მეგობარი ლუჩანო პავაროტი გახლდათ, გამოჩენილი მომღერალი და შესანიშნავი ადამიანი. ასეთი არტისტი, ვგონებ, არ ყოფილა და არც იქნება. შესაძლოა, ქვეყნად ბევრს ჰქონდეს მშვენიერი ხმა, მაგრამ უკეთესი მომღერალი, დარწმუნებული ვარ, ვერავინ იქნება. იგი არაჩვეულებრივ ადამიანურ სითბოს ასხივებდა. ახალგაზრდა მომღერალს ყოველთვის სჭირდება დახმარება და ლუჩანო მე კარიერის დასაწყისში ძალიან დამეხმარა. ვენის საოპერო თეატრში „ხოვანშჩინაში“ ნიკოლაი გიაუროვი თავად ხოვანსკის პარტიას ასრულებდა, მე — დოსიფეის. ამის შემდეგ ძალიან დავუმეგობრდი მას და მის მეუღლე — მირელა ფრენის. ნიკოლაი გიაუროვი იყო XX საუკუნის უდიდესი ბანი და საოპერო ხელოვნების ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. რამდენიმე წლის წინ ჩილეში მქონდა სოლო კონცერტი, რომელიც მის ხსოვნას მივუძღვენი.



თუ დღეს მე კარგი მომღერალი ვარ, ამას კარაიანს უნდა ვუმადლოდე

**პაატა ბურჭულაძე:**

— საოპერო სპექტაკლი სრულყოფილი გამოდის მაშინ, როცა ყველა პარტიას კარგი მომღერალი ასრულებს. რაც უფრო მაღალი კლასის პარტნიორი გყავს, მით უფრო ადვილია სიმღერა. დიდი მომღერალი არასოდეს ცდილობს, იმღეროს უფრო ხმამაღლა, ვიდრე საჭიროა; არ ცდილობს, სხვის ხარჯზე თავის გამოჩენას. ამავე დროს, ყველაზე საუკეთესო სპექტაკლები, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია, დირიჟორისა და რეჟისორის კონცეფციის სრული თანხვედრით ყოფილა განპირობებული. ხშირად კამათობენ, თანამედროვე თეატრში მთავარი დირიჟორია, რეჟისორი თუ მომღერალი. ეს ფუჭ რიტორიკად მესახება. ვფიქრობ, რომ ცოცხლობს და იმარჯვებს მხოლოდ ის სპექტაკლი, სადაც ლიდერი მუსიკაა, სადაც მსახიობი არ ფიქრობს დიდსა და მცირე როლებზე...

**ელისო და ზურაბ სოტკილავები:** „მთელი მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენები დაიპყარი, ყველაზე რთული ბანის საოპერო პარტიები უკვე ნამღერი გაქვს. რა თქმა უნდა, შენმა ძლიერმა და ულამაზესმა ბანმა არავინ დატოვა გულგრილი. დარწმუნებული ვარ, დღესაც არ წყვეტ სრულყოფას, რადგან როგორც პროფესიონალი ვოკალისტები ვამბობთ ხოლმე, ყოველთვის შეიძლება, რაღაცის სწავლა. გვიხარია, რომ ჩვენ შორის შენ ერთადერთმა შეძელი ფონდ „იავნანას“ დაარსება, რომელმაც ამდენი სიხარული და ბედნიერება მოუტანა გაჭირვებულ ოჯახებს. გულწრფელად გისურვებთ შემდგომ წარმატებებს“.

**პაატა ბურჭულაძე:**

— შეიძლება, კარგი ხმა გქონდეს, გარეგნობაც ხელს გიწყობდეს, შრომისმოყვარეც იყო, მაგრამ დიდი წარმატების მისაღწევად ყველაფერთან ერთად იღბალმაც უნდა გაგიღიმოს — უნდა მოხვდე მაღალი საშემსრულებლო დონის სპექტაკლში. ყველას ჰგონია, რომ მსოფლიოში სულ 4-5 მომღერალია, რადგან ტელევიზიით სულ მათ გამოსვლებს გადასცემენ, სულ ისინი ჩანან, სულ ისინი მღერიან, მაგრამ შეიძლება, რომელიღაც ნაკლებად ცნობილ თეატრში კიდევ უფრო უკეთესი მომღერალი იყოს და ვერ ხვდებოდეს იმ წრეში, რომელიც სახელის მოხვეჭაში დაეხმარება. ამიტომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა, ნიჭიერი მომღერლების აღმოჩენა და საწყის ეტაპზე მათთვის დახმარების გაწევა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ხშირად მიწევდა უდიდეს მუსიკოსებთან ურთიერთობა. ეს ზრდის და აყალიბებს მომღერალს.

**მიშელ კრაიდერი:** „მსიამოვნებს თქვენთან ერთად სიმღერა და ბედნიერი ვარ იმით, რომ მყავს ძვირფასი კოლეგა და მზრუნველი ადამიანი, რომელიც მეც შთამაგონებს და სხვასაც. გავიცანი თქვენი ოჯახი, მეგობრები და ვიცი, რომ ღმერთისგან ხართ კურთხეული! თქვენი მუხტი და უნარი გასაოცარია, ხოლო თქვენი ხელგაშლილობა — შეუდარებელი.

თქვენ იკისრეთ პასუხისმგებლობა მსოფლიოს ბავშვების წინაშე და სიყ-



„სევილიელი დალაქი“

ვარულს უნაწილებთ მათ. გმადლობთ, რომ ნება მომეცით, ამის თანაზიარი გავმხდარიყავი. ღმერთმა გამოგგზავნათ, რათა ყველასათვის გაგეზიარებინათ მუსიკის, როგორც მშვიდობის სიმბოლოს მნიშვნელობა.

დაე, დაუსრულებელი იყოს თქვენი სვლა სიკეთის გზაზე! ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!“

**მაყვალა ქასრაშვილი:** „...პაატა მსოფლიოს ყველა ქვეყნის საოპერო თეატრების სასურველი სტუმარია. ამჟამად იგი შემოქმედებით ზენიტში იმყოფება და დატვირთული საგასტროლო გრაფიკი აქვს. მიუხედავად ამისა, მას


მიშელ კრაიდერთან ერთად

შესწევს უნარი, გადალახოს ათასობით კილომეტრი და ერთი დღე, ზოგჯერ რამდენიმე საათი, იცხოვროს „არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი“ ქართველი კაცის ცხოვრებით — შეხვდეს ნათესავმეგობრებს (მეგობრების წრე კი მას ფართო აქვს, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ). პაატა გულღია, ნათელი პიროვნებაა, ყოველთვის მზადაა სხვისი ჭირისა თუ ლხინის გასაზიარებლად. ჩემს წარმატებულ კოლეგებს შორის ის გამორჩეულია. მას შეუძლია, არათუ არ მოსწყდეს მშობლიურ ფესვებს, არამედ წინაპრების პატივსაცემად სოფლის ეკლესია ააგოს. გულითადობამ და კეთილმოსურნეობამ შთააგონა მას, დაეარსებინა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, რომელიც გასაჭირში მყოფ მომავალ თაობას ეხმარება. ამ ფონდის ეგიდით ჩატარებული გრანდიოზული პროექტების მხატვრულ ხარისხსაც თუ გავითვალისწინებთ, თვალნათლივ დავინახავთ პაატა ბურჭულაძის ბუნების მასშტაბურობას...“

**ბადრი მაისურაძე:** „პაატას შესახებ კიდევ დარჩა რაიმე სათქმელი? საქართველოს საოპერო ხელოვნების სახელი არასდროს და არავის გაუტანია მსოფლიოში ისეთი დიდებით, როგორც ეს პაატამ შეძლო. ჩვენი „ნათლიის“ წყალობითა და მზრუნველობით, ჩვენც გვეთქმის მოკრძალებული სიტყვა ამ სფეროში. ჩემი „დიდი ძმის“ მარჯვენა დღემდე მიკაფავს გზას ჩვენს რთულ და ეკლიან ცხოვრებაში. ჩემო საყვარელო პაატა, ვერ დააჟანგებს, ყველაზე ცოტა, კიდევ 30 წელი შენი „ტანკი-001-ის“ ვერც ერთ ჭანჭიკს ვერავითარი ძალა იმიტომ, რომ შენ, პირველ რიგში, დიდი ადამიანი ხარ!“

**ჭაბუა ამირეჯიბი:** „ეს მსოფლიო ბანი პაატა, ნახეთ რამდენი ტალანტით არის დაჯილდოებული, ნახეთ, რაებს სჩადის: კაცობრიობის მიერ აღიარებულ ხელოვანთა თბილისში მუქთად ამღერებაზე დაყოლიებას. ამით საკუთრივ მათთვის და მსმენელისთვის ბედნიერებამდე ამაღლებული სიამოვნების მინიჭებას რომ გენიალობა სჭირდება, ამაში ვინმე შემედავება? ბოხი ხმის პატრონს ნარნარი „იავნანა“ იმდენად ეხერხებოდეს, რომ მზრუნველობას მოკლებული ქართველი ბავშვებისთვის არამცთუ თავად იმღეროს, არამედ უცხო ტომის მომღერლებიც ფულადი დახმარების ხასიათზე მოიყვანოს, ამასაც რომ გენიალობა სჭირდება, არა მგონია, ვინმე შემედავოს. ამ მილიარდებით მოფენილ ცთომილზე უპირველესი ბანის სახელის დამკვიდრებასაც გენიალობაზე ნაკლები ნიჭი ვერ შეძლებს და ვერც აქ შემედავება ვინმე. და ბოლოს, შენი გამოგზავნილი შენივე მშვენიერი პორტრეტით გალამაზებული ორი ბოთლი „წინანდალი“, მიუხედავად ოთხმოცდაათს მიტანებული ასაკისა, შენს სადღეგრძელოებად უნდა დავცალო და ვერც ამას ამიკრძალავს ვინმე. დიდხანს იცოცხლე და გვასახელე, დიდო ხელოვანო და ღვთივ ნიჭფენილო ადამიანო“.

**თეონა ჯორბენაძე:**

— ცოტა ხნის წინ მსოფლიო დივამ მონსერატ კაბალიემ და პაატა ბურჭულაძემ ევროპაში დააარსეს „იავნანას“ შვილობილი კომპანია „იავნანა-არტი“. მისი წევრი იქნება თითოეული დიდი არტისტი, ვინც ჩვენს საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობდა. ცნობილია, რომ ლეგენდარულ მონსერატ კაბალიესა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ძალიან დიდი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებთ და როდესაც მონსერატ კაბალიეს ჩავუტანე უწმინდესის წერილი, სადაც პატრიარქი ახალ წელსა და „იავნანა-არტის“ დაარსებას ულოცავდა, მან თვალცრემლიანმა, დაკოცნა წერილი და საპასუხოდ პატრიარქს შობის ბრწყინვალე დღესასწაული და დაბადების დღე მიულოცა. თან დაჰპირდა: როცა კი დაგჭირდებით თქვენ და თქვენს ქვეყანას, ყოველთვის გქონდეთ ჩემი იმედი, მუდამ თქვენ გვერდით ვიქნებიო. უკვე დაიგეგმა „იავნანა-არტისა“ და მისი პარტნიორი ესპანური ფონდის — „FUNDACION — SOS“ პირველი საქველმოქმედო აქცია. FUNDACION — SOS — მთელ მსოფლიოში ახორციელებს სოციალურ პროექტებს და მართავს ტელემარათონებს. ფონდის პრეზიდენტი ქალბატონი ქრისტინა მუნოცი და ვიცე-პრეზიდენტი, იუნესკოს წარმომადგენელი ბატონი ფერნანდო ბოში ჩვენს გალა-კონცერტზე დასასწრებად ესპანეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ. ასე რომ, მათთან ერთად 2010 წლის ბოლოს მოვაწყობთ პირველ ქართულ-ესპანურ ტელემარათონს, რომელსაც ერთდროულად ესპანური და ქართული ტელეარხები გადასცემენ და რომელშიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას ესპანეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლები მიიღებენ.


პაატა ბურჭულაძე და მონსერატ კაბალიე საქართველოს პატრიარქთან სტუმრობისას

— **რომელი ქართული ტელევიზია ჩაერთვება ამ აქციაში?**

— ჯერჯერობით არც ერთი არხისთვის არ შეგვითავაზებია, რადგან პირველ რიგში, ძალიან სერიოზულად, 3 მარტის აქციისთვის ვემზადებით. ყველას კარგად ემახსოვრება, რომ გასული წლის 3 მარტს „რუსთავი 2“-ის პირდაპირი ეთერით მაყურებელს დავპირდით, რომ ყოველი წლის 3 მარტს „იავნანა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გრანდიოზულ საქველმოქმედო ტელემარათონს გამართავდა და ვიმედოვნებთ, ამ დანაპირებს შევასრულებთ.

**P.S.** *„ვერასდროს გადაგიხდი საკმარის მადლობას იმ სიხარულისათვის, რაც საქართველოში ყოფნისას მომანიჭე. დამეუფლა გრძნობა და ემოცია, რომელიც მსოფლიოში ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობისას თითქმის არასდროს განმიცდია. ეს შთაბეჭდილება მუდამ თან გამყვება. არასდროს ვყოფილვარ ასე ახლოს ღმერთთან. მადლობა, მადლობა, მადლობა!“ — მონსერატ კაბალიე.*

*P.P.S. მოყვარული ადამიანები გამორჩეული და მნიშვნელოვანი დღეების აღნიშვნას ყოველთვის ოჯახში ამჯობინებენ, დიდი სიხარულის თანაზიარადაც თავიანთ უსაყვარლეს და უახლოეს ადამიანებს ირჩევენ ხოლმე! ვფიქრობ, ჩვენთვის დიდი ბედნიერება და პატივიცაა, ამ საოცარი ადამიანის სადღესასწაულო განწყობილებას შევუერთდეთ და შევძლოთ ვუთხრათ: ბატონო პაატა, ჩვენც ძალიან გვიყვარხართ და გისურვებთ, ღმერთმა ხანგრძლივად მოგცეთ თქვენი სიმღერითა და კეთილი საქმეებით ადამიანების გაბედნიერების ძალა.*

■

# „ᲣᲜᲐᲠᲘ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲕᲐᲝᲪᲔᲑ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲔᲑᲝᲫᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲐᲓ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ“...



**„ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“ — ასე ჰქვია ჯო ფურმანის წიგნს, რომელიც „ბიბლუსის“ ქსელის მაღაზიებში იყიდება. ის მსოფლიოს არაერთ ენაზეა ნათარგმნი. ინგლისელების მიერ შედგენილი წიგნი-კატალოგი გამომცემლობა „პალიტრა L“-ის აქტიური მონაწილეობით ქართულადაც გამოიცა. ზურა ვადაჭკორია ის ერთადერთი ქართველი ილუზიონისტია, ვინც მსოფლიო ილუზიონისტების საპატიო სიაში მოხვდა. ბრიტანელების მიერ გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ, რომ ილუზიონისტმა ვადაჭკორიამ საქართველოში პირველმა დაამკვიდრა საილუზიო კულტურა... ამასთან, ის 4 წიგნის ავტორიცაა, რომელშიც ასობით ფოკუსია ახსნილი და, კვლავაც მუშაობს მორიგ წიგნზე, რომელიც მხოლოდ კარტის ფოკუსებს ახდის ფარდას...**

*ლალი ფაცია*

**— ჩვენ წინ დევს ჯო ფურმანის „ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“, რომელშიც მსოფლიოს ცნობილ ილუზიონისტებზე საინტერესო ინფორმაციებია განთავსებული, მათ შორის შენზეც. ამასთან, ახსნილია უამრავი ფოკუსი. დაინტერესებულ მკითხველს წიგნის ავტორები ასწავლიან, თუ როგორ უნდა დაოსტატდე ფოკუსების მომზადება-გაკეთებაში, რომ მომავალში თავადაც შეძლო სხვების გაოცება. ზურა, როგორ მოხვდი ამ წიგნში?**

— ნამდვილად არ ვიცი, მისმა გამომცემლებმა ამ წიგნში როგორ შემიყვანეს. ეს ამბავი მე „კვირის პალიტრის“ მედიასახლის მესვეურებისგან შევიტყვე; მათ ეს წიგნი (ინგლისურად გამოცემული) გერმანიაში, წიგნის გამოფენაზე ბრიტანელებმა აჩვენეს და იქვე აცნობეს, რომ ამ კატალოგში თქვენი ქართველი ილუზიონისტიც მოხვდაო. „კვირის პალიტრის“ წარმომადგენლებს ერთი ეგზემპლარი საქართველოში წამოუღიათ და მეც მანახვეს. როდესაც მას თვალი შევავლე, სიხარულის ცრემლები წამომცვივდა... ამის შემდეგ ბრიტანელებმა წიგნი მეც გამომიგზავნეს... მოგვიანებით ეს წიგნი მსოფლიოს რამდენიმე ენაზე გამოიცა, მათ შორის, ქართულადაც. ამ საქმეში გამომცემლობა „პალიტრა L“-მაც მიიღო მონაწილეობა, რამაც ძალიან გამახარა. მადლობას ვუხდი ყველას, ვისაც ამ საქმეში მცირედი წვლილი მიუძღვის. სხვათა შორის, აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ, ჩვენმა დიდმა მეგობარმა, წიგნი რომ ნახა, აღნიშნა, ყველაზე მეტად ის გამიხარდა, მასში არც ერთი რუსი ილუზიონისტი რომ არ არის შესული და საერთოდ, კავკასიიდანაც, ზურა, მხოლოდ შენ ხარო...

**— მეც გილოცავ ასეთ აღიარებას...**

— დიდი მადლობა... იცით, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში, შაბათ-კვირას, დილის გასართობ გადაცემაში 10-წუთიანი რუბრიკა — „ფოკუს-მოკუსი“ მიმყავს, სადაც „ბასტი-ბუბუს“ პატარებს საილუზიო ხელოვნების ილეთებს ვასწავლი. იმ დღეს, ერთ-ერთ გოგონას ეს წიგნი მოეტანა. ხან მე მიყურებდა და ხან ჩემს სურათს ჩასცქეროდა, ძალიან უხაროდა და მეუბნებოდა — აი, ამ წიგნში თქვენ ხართო... ეს წიგნი იმ სტუდიაშიც დევს, სადაც გადაცემები მიმყავს... საერთოდ კი, მიხარია, რომ ჩემი საქმე მსოფლიო მასშტაბით ასე დაფასდა... მართლაც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ; უნარი, რითიც ადამიანებს ვაოცებ, ღმერთისგან მებოძა და ვალდებული ვარ, რომ ჩემს საქმეს პატიოსნად ვემსახურო. მადლიერი ვარ უფლის, რომ ჩემ ირგვლივ, ყველა კარგი პიროვნებაა შეკრებილი...

**— შენს საქმიანობას მოვუბრუნდეთ დილის გადაცემაში, ისევ სადაც პატარებს ფოკუსებს ასწავლი. მითხარი, ბავშვები იოლად ითვისებენ ფოკუსებს?**

— ათვისება არ უჭირთ, მაგრამ თუ ცოტა რთულ ფოკუსს ვაკეთებ, ვურჩევ, რომ ის მშობლებთან ერთად გააკეთონ. მაგალითად, ამას წინათ, ვასწავლე თუ როგორ არ სკდება ბუშტი, როდესაც მას საქსოვ ჩხირს გაუყრი...

**— როგორ?**

— ბუშტს გაბერავ და გვერდებზე — იმ ადგილებზე, სადაც ჩხირი უნდა გაუყარო, რეზინის წებოს წაუსვამ და „სკოჩს“ დააკრავ. შემდეგ კი  გაუყრი ჩხირს და არ გასკდება... აქვე მინდა მადლობა გადავუხადო გადაცემაზე მომუშავე მთელ შემოქმედებით ჯგუფს და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობას. სხვათა შორის, გადაცემას  საკმაო მაყურებელი ჰყავს. ქუჩაში მხვდებიან და მეუბნებიან, ბატონო ზურა, სახლში თქვენ მიერ ნასწავლი ფოკუსი გავაკეთეთ და გამოგვივიდაო. მშობლებსაც უხარიათ, რომ ბავშვები ფოკუსებით ასე ინტერესდებიან. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ „ბასტი-ბუბუს“ თანამშრომლებიც მეხმარებიან. საერთოდ კი მადლობა იმ ხალხს, ვისაც უყვარს ჩემი ხელოვნება, ვინც აფასებს საილუზიო ჟანრს; უყვარს გაოცება, იუმორი... განა, შეიძლება, ისეთ ტიპებთან ურთიერთობა, ვისაც იუმორი, გართობა არ სიამოვნებთ და არაფერი აოცებთ? ასეთებთან ვერ ვურთიერთობ. მე ის მაოცებს, ქვეყანაზე ასეთი ადამიანები როგორ არსებობენ...

**— როგორც ამ წიგნში წავიკითხე, ესკაპოლოგია — თავის გათავისუფლებას ნიშნავს ანუ ესკაპოლოგი ხელში მალავს ჯაჭვს ან თოკს და დროის გარკვეულ მონაკვეთში (ილუზიის შესრულებისას) თავი უნდა გაითავისუფლოს. აქ ფოტოზეც ზუსტად ის ეპიზოდია აღბეჭდილი, როცა ერთ-ერთ ფოკუსს ასრულებ და წყლით სავსე ჭურჭელში ხარ ჩასული... მგონი, ეს ის ფოკუსია, „მტკვრის ფოკუსით“ რომ შევიდა ისტორიაში...**

— გახსოვს, რა დღეში ჩამაგდეს ამ ფოკუსის გაკეთებისას?

**— ჰო, ზუსტად ეს მინდოდა**



**ბავშვობაში კონსტრუქტორობა მინდოდა**

**მეკითხა — რატომ გახდა ეს ფოკუსი ასეთი სკანდალური? რატომ ატყდა ჩვენში მასზე საოცარი მითქმა-მოთქმა?**

— ხომ ხედავ, მაგ წიგნში კიდევ რა წერია? — ზურა ვადაჭკორია — პირველი ქართველი ილუზიონისტია, რომელმაც საქართველოში საილუზიო ხელოვნება დაამკვიდრაო... დიახ, ასეთი მასშტაბური ფოკუსები საქართველოში ჩემამდე არავის გაუკეთებია, მაგრამ იმ დროს ზოგიერთი მაყურებელი იქ მხოლოდ იმისთვის იყო მოსული, რომ ჩემი დახრჩობის სცენა ენახა. მას ისე ესმოდა, რომ იქ მაინცდამაინც უნდა დავმხრჩვალიყავი. არადა, მე საილუზიო ნომერი მქონდა; ჰოდა, რომ არ დავიხრჩვე, ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი, — მოგვატყუა, წყალში არ ჩასულაო... ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ისეთი დიდი მასშტაბის ფოკუსის ჩატარების პრეცედენტი მანამდე არ არსებობდა და დაიბნნენ... მათი პრეტენზია დაახლოებით იმას ჰგავს — ქალს რომ გადაჭრიან ილუზიონისტები და ვიღაცებმა თქვან, არ გადაუჭრიათ, აგერ კულისებში ცოცხალი ვნახეთო. მაგრამ ზოგიერთ ტელეარხს, მაშინ უნდოდა, რომ პოპულარული გამხდარიყო; და მათ სწორედ ის ეპიზოდი გადაიღეს და ეთერში გაუშვეს, თუ როგორ მეჩხუბებოდა ვიღაც ქალი, როგორ მომატყუეო. არადა, საილუზიო ხელოვნება არა მოტყუებაზე, არამედ ისეთ ტრიუკებზეა აგებული, რომელიც ადამიანებს აოცებს. მაგრამ ეტყობა, ზოგიერთის ბუნება მაინც ისეა მოწყობილი, რომ მოწადინებულია არა სანახაობის, არამედ მხოლოდ სეირის საყურებლად. შუა საუკუნეებშიც ეტყობა, ინკვიზიციის სცენებს ხალხი იმიტომ ესწრებოდა, რომ ენახა, როგორ კვდებოდა ადამიანი, მას კოცონზე როგორ წვავდნენ. მტკვართანაც ზოგიერთები, წლების წინ ასეთი სეირის სანახავად მივიდნენ — აინტერესებდათ, ენახათ, როგორ დაიხრჩობოდა ზურა ვადაჭკორია. მაგრამ რომ გამოვძვერი და საილუზიო ტრიუკი გავაკეთე, გაბრაზდნენ... ისე, კოცონზე მხოლოდ ქართველებმა „დამწვეს“, უცხოურმა არხებმა (BBC, CNN) იმ ფოკუსთან დაკავშირებით დადებითი ინფორმაცია გაუშვეს... მაგრამ იმის შემდეგ აქ ნელ-ნელა აზრზე მოვიდნენ და მსგავსი რამ აღარ მომხდარა, რადგანაც შემდეგ გავაკეთე ფოკუსი — „ელექტროკაპსულა“, „აკვარიუმი“... ამ ნომრებს ტაში დაუკრეს...

**— ვთქვათ, აკეთებ ამა თუ იმ ფოკუსს, ვიღაც რაღაცას მიგიხვდა და წამოიყვირა — ყველაფერი დავინახეო. რას იზამ?**

— თუ ასე მოხდა, იცით, რას გეტყვით? ამით მე კი არა, იქ დამსწრე საზოგადოებას აყენებს შეურაცხყოფას — რომ თითქოს ის მათზე ჭკვიანია. თორემ მე ილუზიონისტი ვარ... თუ დაინახე, ადექი და იგივე გააკეთე. პრეტენზია არა მაქვს, ოღონდ ნუ იყვირებ. დროა, ჩვენში იმის ტრადიციაც დამკვიდრდეს, რომ ადამიანებმა ფოკუსებს შეხედონ როგორც გართობას და დაძაბულობა მოიხსნან.

**— ამ წიგნში არაერთი ფოკუსია ახსნილი. ილუზიონისტები რატომ შიფრავთ თქვენს „საიდუმლოებებს“?**

— ფოკუსების გაშიფვრის აზრი ის არის, რომ ამ ყველაფერს შეხედო, როგორც ხელოვნებას, რომ არავინ არაფერს გატყუებს, რომ მასში არაფერია ეშმაკეული. რაც ძველი ფოკუსია, უნდა გაიშიფროს, ჩვენი ჟანრი ერთ ადგილას რომ არ გაიყინოს. ამიტომ, წიგნს რომ გადაშლი და ამავე დროს პროფესიონალი ხარ, შეგრცხვება და იმ ფოკუსს აღარ გააკეთებ, რომელიც უკვე 9-ჯერ არის ახსნილი. ასე რომ, ყველაფერი ამ ჟანრის განვითარებისა და პროგრესისთვის არის საჭირო, რომ ყველა და ყველაფერი არ გაიყინოს.


ზურა ვადაჭკორია ერთ-ერთი საილუზიო ტრიუკის შესრულების დროს

**— როგორც ვიცი, ბევრი მოსწავლე გყავს, რომელსაც შენს გამოცდილებას გადასცემ...**

— დიახ და მათ ყოველთვის ჩემს უმცროს კოლეგებს ვუწოდებ. იმ დღეს სწორედ მათ შემომჩივლეს, ბატონო ზურა, ერთ-ერთ კონკურსზე ვიყავით და ჟიურის წევრებმა არასწორად შეგვაფასესო. რატომ დადიხართ კონკურსებზე? თქვენ ხომ უკვე მუშაობთ და პურის ფულს გამოიმუშავებთ-მეთქი (ბავშვთა გასართობ ცენტრებში მუშაობენ)?!. — ვკითხე. თუ მუშაობ და ფულს აკეთებ, კონკურსში რაღა გინდა? კონკურსი იმას სჭირდება, ვისაც აწი უნდა ფულის შოვნა, რომ სახელი გაითქვას და მუშაობა დაიწყოს. შემდეგ დავინტერესდი და ვკითხე, ჟიურის წევრები ვინ იყვნენ-მეთქი? ზოგი მუსიკოსი იყო, ზოგიც — მსახიობიო. ჰოდა, თუ ჟიური კომპეტენტური არ არის, მისგან შეფასება რატომ გწყინთ-მეთქი? — ვუთხარი. ასე რომ, თუ პროფესია ფულს არ გაკეთებინებს, ის უკვე ჰობია...

**— ზურა, მაინც რამ განსაზღვრა შენი არჩევანი — ილუზიონისტი გამოსულიყავი?**

— ბავშვობაში კონსტრუქტორობა მინდოდა, ვითომ ავიამშენებელი უნდა გამოვსულიყავი და ამ მიმართულებით განვაგრძე სკოლის შემდეგ სწავლა, მაგრამ იმ პერიოდში ჩემი მომავალი პროფესიის წყალობით ჟურნალის — „იუნი ტეხნიკის“ გაცნობა მიწევდა, რომლის ბოლო გვერდზე ფოკუსები იყო ახსნილი. იმ ფოკუსებმა ისე შემიყოლია, რომ თვითმფრინავები სულ გადამავიწყა. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ახალგაზრდობაშივე იპოვის და ეზიარება თავის პროფესიას, ხოლო უბედურია კაცი, რომელიც 50 წლის ასაკში საკუთარი პროფესიისგან დაიღლება და 60 წლის მიხვდება: რა მინდოდა ბუღალტერიაში, მხატვარი ვყოფილვარო... თუ ადამიანი თავისი საქმით იღლება, ის მისი საქმე არ არის. ადამიანს მხოლოდ უსაქმურობა უნდა ღლიდეს და საყვარელი საქმე ბედნიერებას ანიჭებდეს. სცენაზე რომ ვდგავარ და ვმუშაობ, მაშინ ვისვენებ. როდესაც არაფერს ვაკეთებ და პაუზა მაქვს, მაშინ ცუდად ვხდები. სცენაზე შეყვარებული ადამიანი ნარკომანს ჰგავს. სცენა დოპინგია, რომლის მიღებაც მსახიობს აუცილებლად სჭირდება. მაყურებლის წინაშე გამოსვლა გაწყნარებს. რა შეედრება მათი გაფართოებული თვალების ხილვას? ახალი ენერგიით გავსებს.

**— ასე რომ, კონსტრუქტორობა არ გამოგივიდა, არა?**

— კი, იქ სწავლას თავი დავანებე. იქიდან რომ წამოვედი, სამხედრო სავალდებულო სამსახური მიწევდა. ჯარში რომ არ წავსულიყავი, 20-წუთიანი საილუზიო ნომერი მოვამზადე და ფილარმონიაში „პრასმოტრზე“ გავედი. ერთადერთი ახალგაზრდა ილუზიონისტი ვიყავი და ფილარმონიაში სამუშაოდ მიმიღეს. კერძოდ კი, სამსახურში ცხონებულმა ზურა იაშვილმა ამიყვანა, ესტრადის განყოფილების გამგე იყო და მითხრა, ზურა, დიპლომი გჭირდებაო. საესტრადო სასწავლებელში მესამე კურსზე დამსვეს. მესამე კურსზე კი ვიყავი, მაგრამ ჩემზე უფროსებს ლექციებს ფოკუსების ჟანრში ვუკითხავდი და თან ფოკუსებსაც ვასწავლიდი... მიუხედავად ყველაფრისა, ჯარში მაინც წამიყვანეს და მოსკოვში მოვხვდი. ისე, იქაც ფოკუსებს ვაკეთებდი. სამხედრო ბილეთში სამოქალაქო პროფესია — მსახიობი-ილუზიონისტი, — ასე მეწერა. ნაწილში კლუბის გამგედაც დამნიშნეს. ფოკუსებს მოსკოვში სხვა სამხედრო ნაწილებშიც ვატარებდი. ფულს არ მიხდიდნენ, მაგრამ პატივს მცემდნენ. თბილისში შვებულებით 6-ჯერ გამომიშვეს. მოკლედ, ჯარში როგორც გასტროლებზე, ისე ვიყავი... მას შემდეგ წამოვედი და წამოვედი... 38 ქვეყანა მოვიარე. ჩამოვედი თუ არა, პირველი ქართველი ილუზიონისტი ვიყავი, კაპიტალისტურ ქვეყანაში (ინდოეთი-ნეპალი) რომ გამიშვეს...

**— კვლავაც წარმატებები მინდა გისურვო.**

— გმადლობ...

# კახური გოზინაყი და მიწისქვეშა გადასასვლელში აღნიშნული ახალი წელი

**მართალია, შობა-ახალი წლის დღესასწაული უკვე ვიზეიმეთ და შესაბამისად, ყველანაირი რიტუალი ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით უკან ჩამოვიტოვეთ, მაგრამ ამ სტატიაში ყველასთვის საყვარელი დღესასწაულების გახსენება კიდევ ერთხელ მაინც მოგვიწევს. ამჯერად სიტყვა ჩვენს პოლიტიკოსებს ეძლევათ.**

*თამთა დადეშელი*

**რუსუდან კერვალიშვილი,** *ვიცე-სპიკერი:*

— საერთოდ, შობა-ახალი წლის დღესასწაული განსაკუთრებულად მიყვარს... გამორჩეულად მახსოვს ერთ-ერთი შობა-ახალი წლის მოახლოება, როდესაც ჩემი დის შვილიშვილის დაბადებას ველოდებოდით. ის ზუსტად შობას დაიბადა. მის გაჩენას ჩვენი ოჯახი დიდი სიხარულით შევხვდით. თუმცა ჩვენ იმ დროს ისრაელში ვიყავით, ის კი ამერიკაში გაჩნდა... ვფიქრობ, უმჯობესია, ადამიანი ახალ წელს სახლში შეხვდეს; მეც ასე ვიქცევი ხოლმე; შობას კი — ეკლესიაში ვეგებები... განსაკუთრებულად მახსოვს ერთ-ერთი შობის დღესასწაული, როცა მას სვეტიცხოველში შევხვდი. საოცარი ღამე იდგა — ვარსკვლავებით მოჭედილი იყო ზეცა და მლოცველი ხალხი, ალილოს ერთად ეგებებოდა...



**გია ხუროშვილი,** *მთავრობის საპარლამენტო მდივანი:*

— საერთოდ, ახალი წელი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისთვის, ჩემთვისაც, პირველ რიგში, ოჯახური დღესასწაულია და ვცდილობ, მას ოჯახურ გარემოში შევხვდე. თუმცა, ხანდახან ვღალატობ ამ ჩვეულებას, მაგრამ არასოდეს ვღალატობ მეკვლეობის ტრადიციას: ჩემს სახლში მეკვლე ყოველთვის მე უნდა ვიყო. კარგი წელი იქნება თუ ცუდი, წარმატება გექნება თუ წარუმატებლობა, ამაზე პასუხი შენვე უნდა აგო. არ მჩვევია, ვინმეს რაიმე გადავაბრალო.

ახალი წელი ადამიანს იმიტომ გიხარია, რომ მისგან უკეთესობას ელი. ამ დღესასწაულს ხშირად მოსკოვში, ევროპაში ვხვდებოდი, რადგანაც იქაც ბევრი მეგობარი მყავს. წელს კი უცხოეთში გადახვეწილ ჩემს მეგობრებს ვენაში, ერთ-ერთი მეგობრის სახლში მოვუყარე თავი, რომელიც თავისი ოჯახით იქ ცხოვრობს...

რაც შეეხება შობას, ერთი სახალისო ამბავი მინდა მოგიყვეთ: როდესაც ჩემი შვილი 3 წლის იყო, 25 დეკემბერს ოჯახით პარიზში შევხვდით და ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა ევროპელების შობა?!. ხოლო როდესაც „დისნეი ლენდშიც“ აღმოვჩნდი, ეს ნამდვილი ზღაპრული სამყარო იყო... პარიზიდან 6 იანვარს თბილისში დავბრუნდით და აბაშის რაიონში, დედაჩემის სოფელ პირველ მაისში წავედით. ბავშვმა ჩვენებური შობა იქ გაატარა, ნახა, თუ რა იყო ალილო... მაშინ უკვე „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში დადიოდა და არდადეგებიდან რომ დაბრუნდა, სტუდიაში მისულმა მასწავლებლებს და ბავშვებს მოუყვა, თუ როგორ გაატარა შობის დღესასწაული პირველ მაისში. მან ასე უცბად გადაუსვა



ხაზი მთელ ევროპას და მაინც ქართული ახალი წელი ამჯობინა...



**გურამ ჩახვაძე,** *დეპუტატი:*

— როგორც ყველა ქართველი, ახალ წელს ტრადიციულად ჩვენც ოჯახში ვხვდებით. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ შობის დღესასწაულს, განსაკუთრებით კი — ჩემი შვილები. მიუხედავად მათი ასაკისა, დღესასწაულს ყოველთვის მოუთმენლად ელოდებიან; იციან, რომ დილით საჩუქრები დახვდებათ. ამიტომ ოჯახის წევრები სერიოზულად ვფიქრობთ, რა ვაჩუქოთ ხოლმე ერთმანეთს. ღამით აუცილებლად ტაძარში მივდივართ, მერე ალილოა და თუ მოძღვარი გვეტყვის, ჩვენც ვუერთდებით მსვლელობას. ოჯახში მეკვლე ყოველთვის ჩემი უმცროსი ქალიშვილია და ამ ტრადიციას არ ვღალატობთ... გურული ვარ და ბავშვობაში კარგად მახსოვს, საშობაოდ სპეციალურ ღვეზელს რომ აცხობდნენ ხოლმე; უგემრიელესი იყო. ის ხაჭაპურის მსგავსია, ყველითა და კვერცხით კეთდება და თავისებური ფორმა აქვს. მას ბებიაჩემი გემრიელად აკეთებდა...

**გიორგი ახვლედიანი,** *ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე:*

— ძალიან ტრადიციული ადამიანი ვარ. არ მიყვარს „რაღაც ისეთი“ ორიგინალურობები და საახალწლოდ განსაკუთრებულ სიახლეებსაც არ ვგეგმავ ხოლმე; ამ დღესასწაულს ოჯახთან ერთად, სახლში ვხვდები და ამის შემდეგ იწყება მეგობრების, ნათესავების მონახულება და მათთან ერთად ამ დღესასწაულის აღნიშვნა.



## სინათლე ჩაქრა და ახალ წლის შეხვედრამ ვაგონში, რიკოთზე მოგვიწია

რაც შეეხება შობას, 7 იანვარი ჩემი დაბადების დღეცაა. ასე რომ, ამ დღეს ორმაგად აღვნიშნავ. თუ ბედნიერება მხვდა წილად და, მარხვა მაქვს შენახული, ტაძარში ვეზიარები. თუ არა და, ლიტურგიას ვესწრები. მეორე დღეს კი მთელი საახლობლო ჩემთან იკრიბება და შობას აღვნიშნავთ... 2001 წელს, როდესაც ახალი საუკუნე დადგა, აჟიოტაჟი იყო ატეხილი, — თავისუფლების მოედანზე კონცერტი გაიმართება და ფეიერვერკი იქნებაო... მეც ჩემი შვილი (მაშინ ერთი წლის იქნებოდა) დიდი ამბით წავიყვანე იქ. სანამ ახალი წელი დადგებოდა, რამდენიმე წუთით ადრე „სროლები“ რომ დაიწყეს, სანდროს შეეშინდა, ტირილი დაიწყო და ლამის ჩაგვიბჟირდა. ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, იქაურობას გავცლოდი, თავი სადმე შემეფარებინა და მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავირბინე. მოკლედ, XXI საუკუნეს მიწისქვეშა გადასასვლელში შევხვდი.

**— თქვენი ოჯახის მეკვლე ტრადიციულად ვინ არის ხოლმე?**

— პატარაობისას მეკვლე მე ვიყავი; წელს კი ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი — ჩემი 6 თვის ანდრია გახლდათ, რომელმაც ძალიან ბევრი მონდომა იმისათვის, რომ ლამის პირველ საათზე, სხვისი დახმარებით 1-2 ნაბიჯი გადაედგა და მეკვლის ფუნქციები შეესრულებინა.

**— 14 იანვარს სად აღნიშნავთ ხოლმე?**

— 14 იანვრის შეხვედრა სადმე სოფელში მიყვარს, რადგანაც ძველით ახალი წელი უფრო ტრადიციული დღესასწაულია, რასაც „ღორის ქელეხი“ ძალიან უხდება და მეც ვცდილობ, მას რომელიმე ქართულ სოფელში შევხვდე, სადაც ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად იგრძნობა. წელსაც, ამ დღეს თელავში შევხვდი. მიმაჩნია, რომ ნამდვილი ახალი წელი 14 იანვარს დგება, რადგანაც შეუძლებელია, ჯერ ახალი წელი იყოს და შემდეგ შობა... ჯერ ხომ მაცხოვარი იშვა და მისი წინადაცვეთის შემდეგ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის ათვლა.

**კობა ხაბაზი,** *დეპუტატი:*

— ახალ წელს ძირითადად, ქობულეთში, სახლში ვხვდებით. წელს პირველი ახალი წელია, როდესაც მამის გარეშე შევხვდით და ამიტომ ყველანი ოჯახში შევიკრიბეთ.

ერთხელ მატარებელშიც კი მომიწია ახალი წლის შეხვედრამ. არეული წლები იყო, 30 დეკემბერს თბილისში მოვდიოდი და რიკოთზე გავჩერდით, თურმე სადენები იყო მოპარული, სინათლე ჩაქრა და ახალ წლის შეხვედრამ ვაგონში, რიკოთზე მოგვიწია.

## ძველით ახალი წელი უფრო ტრადიციული დღესასწაულია, რასაც ,,ღორის ქელეხი'' ძალიან უხდება

**ჯონდი ბაღათურია,** *დეპუტატი:*

— ახალ წელს, ტრადიციულად ოჯახში შევხვდით, სრული შემადგენლობით, ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე. შობას კი როგორც წესი — ეკლესიაში. 14 იანვარიც ოჯახში აღვნიშნეთ.

გამორჩეულ ახალ წელს გავიხსენებდი, როცა ამ დღესასწაულს პეტერბურგში შევხვდი; მაშინ 20 წლის ვიყავი და ეს ის ასაკია, როცა უმიზეზოდაც ყველაფერი გიხარია, დროც



კარგი იყო... მოგეხსენებათ, პეტერბურგი არა მარტო სილამაზით, ელიტარული საზოგადოებითაც გამოირჩევა და თუკი რამე იციან რუსებმა, სხვა სიკეთესთან ერთად, დროს ტარებაც კარგი შეუძლიათ და მეც, შესაბამისად, კარგი დრო გავატარე. ერთი



ტრადიცია მაქვს — გოზინაყს ოჯახში ყოველთვის მე ვაკეთებ. საერთოდ, ძალიან მიყვარს გოზინაყი, ჩურჩხელა... ჩემი სტუდენტობის დროს „დეზერტირების“ ბაზარში ერთი კახელი ბებო გავიცანი და ყოველთვის მასთან ვყიდულობდი. თაფლსაც ყიდდა და გოზინაყის გაკეთებაც მასწავლა. ნაღდი, კახელი ბებოს გაკეთებული გოზინაყი, მთელი ტექნოლოგიაა (*იცინის*) და მართლა გემრიელი გამოდის.

*ტრადიციული საშობაო წვეულება პარლამენტში წელსაც გაიმართა, ამჯერად სამდღიანი — 6, 7 და 8 იანვარს. მასზე პარლამენტარების, მინისტრების შვილებთან ერთად დევნილ ბავშვებსაც მასპინძლობენ ხოლმე.*

■

# „ჩემს იღბლიანობას შრომისმოყვარეობა ახლავს...“

## მეზობლები გადარეულები იყვნენ — დააწყნარეთ ეს ბავშვიო



**განსხვავებული ხმის ტემბრითა და ლაღი ბუნებით, საზოგადოების ყურადღება ტელეეკრანზე გამოჩენისთანავე მიიპყრო. მუსიკალურ პროექტში — „ნუცას სკოლა“ 16 წლის ბათუმელმა გოგონამ ვერ გაიმარჯვა და პროექტი დაატოვებინეს, მაგრამ ჟიურის ფავორიტი მაინც გახდა. მაშინ წარმატებას ყველა გულწრფელად ულოცავდა, მთავარი წარმატება კი წინ იყო, რადგან წლების შემდეგ საქართველო ისევ ამაყად გულშემატკივრობდა იურმალის საერთაშორისო კონკურსის — „ახალი ტალღის“ ქართველ მონაწილეს... „თბილისოს“ შესრულებისთანავე ყველა მოუთმენლად ელოდა, კიდევ როდის გამოაცხადებდნენ ქართველ კონკურსანტს — „სოფიკო — გრუზია...“**

**მომღერალი სოფო ხალვაში გულახდილად მოგიყვებათ საკუთარი წარმატებების შესახებ, რომლებიც იმთავითვე ახლდა მის პროფესიონალურ გზას.**

*დავით ოქრუაშვილი*

— სიმღერა სამი წლის ასაკიდან დავიწყე და მას შემდეგ სულ ვმღერი. თუმცა თავიდან ჩემთვის თითქოს წარმოუდგენელი იყო, სცენაზე მარტო გამოვსულიყავი და მემღერა. დავდიოდი მუსიკალური ათწლედის მსგავს ექსპერიმენტულ სკოლაში. ვუკრავდი როგორც ფორტეპიანოზე, ასევე ჩასაბერ ინსტრუმენტზე. შემდეგ მეგობრებმა ბათუმში ჯგუფი შევქმენით. სიმღერებს ჩემი მეგობარი — ანა ქასრაშვილი გვიწერდა, რომელიც ჩემი სიმღერების დიდი ნაწილის ტექსტების ავტორიცაა.

**— შემდეგ იყო „ნუცას სკოლა“. ამ პროექტმა 16 წლის სოფოს ცხოვრება სრულიად შეცვალა, არა?**

— ერთხელაც, ტელეკომპანია „იმედმა“ კონკურსი გამოაცხადა და იმ დროს ჩემმა მეგობარმა — ანამ იაქტიურა. ჩემგან დამოუკიდებლად, „იმედში“ ჩემი საბუთები და სიმღერის ჩანაწერი მიიტანა. როდესაც თბილისიდან დამირეკეს, გაოგნებული დავრჩი... „ნუცას სკოლის“ შემდეგ ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო (მანამდე მხოლოდ კლასიკურ მუსიკით ვიყავი დაკავებული).

**— „ნუცას სკოლის“ შემდეგ იყო იურმალის კონკურსი, რომელმაც პირველი, დიდი აღიარება მოგიტანათ...**

— ამ კონკურსზე ჩემი მონაცემები პირველად რომ გავგზავნე, არ მიმიღეს. მეორე წელს ჩემი ჩანაწერები ისევ გავგზავნეთ, კასტინგამდე მივედი და საბოლოოდ ამირჩიეს, რამაც ძალიან გამახარა... საერთოდ, მორცხვი ვიყავი, და სცენაზე მხოლოდ დახუჭული თვალებით ვმღეროდი. ამ კომპლექსის დაძლევაში ალექსანდრ რევზინი დამეხმარა. ჩემ უკან იდგა, ხელებს ჩემ მაგივრად ამოძრავებდა... პროფესიული თვალსაზრისით, იურმალის კონკურსის შემდეგ ძალიან შევიცვალე, პიროვნულად კი ისევ ის სოფო დავრჩი (*იცინის*).

**— რას ვიფიქრებდით, მერილინ მონროს იმიჯით წარდგენილი მორცხვი გოგონა დაიანა როსის სიმღერას თუ იმღერებდა... თუმცა, ასევე წარმატებული აღმოჩნდა თქვენი ნამღერი „თბილისოც“...**

— „თბილისოს“ შესრულება ჩემთვის ძალიან რთული იყო, რადგან არ ვიცოდით, ამ სიმღერის გადაკეთებულ ვერსიას ქართველი მსმენელი როგორ მიიღებდა. დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც ასეთ სათუთ სიმღერას ეხები. თან ის პირველ დღეს უნდა შემესრულებინა, ფაქტობრივად, მაყურებელზე პირველი შთაბეჭდილება „თბილისოს“ უნდა მოეხდინა. ვნერვიულობდი იმაზეც, რომ ფონოგრამას რუსები აკეთებდნენ, რაც კიდევ ერთ სირთულეს წარმოადგენდა. არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა. ასე რომ, „თბილისოს“ ის ფონოგრამა კონკურსამდე ერთი კვირით ადრე მოვისმინე.

**— მოგვიანებით იყო „ევროვიზიის“ კონკურსი, სადაც თქვენმა მიღწეულმა შედეგმა დიდად ვერ გაგვახარა...**

— ეს ორი კონკურსი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება. „ევროვიზიას“ უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს. „იურმალაზე“ როგორც მღერი, ისე გაფასებენ. იქვეა ჟიური. „ევროვიზიაზე“ კი ჰაერში ხარ გამოკიდებული. გამარჯვებას SMS წყვეტს, სადაც სავარაუდოდ, პროფესიონალი მსმენელის წილი ყველაზე ნაკლებია.

**— ხომ არ ინანეთ, ამ კონკურსზე რომ გახვედით?**

— რადგანაც ამ კონკურსზე ვერ გავიმარჯვე, არ მიმაჩნია, რომ მასში მონაწილეობა არ უნდა მიმეღო. იმ წელს საქართველო იმ კონკურსში პირვე-





ლად მონაწილეობდა. მე კი ჩვენი ქვეყნიდან პირველი ვიყავი, ვინც „ევროვიზიაზე“ გავიდა...

— **სოფო ხალვაში იღბლიანი ადამიანია?**

— მიმაჩნია, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ. ჩემს იღბლიანობას შრომისმოყვარეობა ახლავს, რადგანაც მარტო იღბალი არაფერია. „ევროვიზიის“ კონკურსის წინ სერიოზულად ვიმუშავეთ. სანამ ნახევარფინალი გაიმართებოდა, დილას და საღამოს იგივე შოუ იდგმებოდა, დარბაზიც ივსებოდა. ეთერში ნახევარფინალის დროს თუ რამე დარღვევა მოხდებოდა, რეპეტიციის კადრებს ჩასვამდნენ. შუალედებში პრესკონფერენციები იმართებოდა. წარმოიდგინეთ, 42 ქვეყნიდან რამდენი ჟურნალისტი იყო იქ ჩამოსული და პასუხი ყველასთვის უნდა გაგეცა...

— **ისეთ დროს ერთი წამითაც არ გიფიქრიათ, ეს ბათუმელი გოგონა იქ როგორ მოხვდით?**

— სანამ კონკურსზე გავიდოდი, ამისთვის ფსიქოლოგიურად რამდენიმე თვე ვემზადებოდი. ვიცოდი, სადაც მივდიოდი და რა უნდა გამეკეთებინა...

— **ახლა ცოტა ადრეულ წლებში გადავინაცვლოთ. როდესაც პირველად გკითხეს — ვინ გინდა, გამოხვიდეო, რა უპასუხეთ?**

— ...ალბათ მომღერალი, რადგან სულ ვმღეროდი, ვერ მაჩერებდნენ. დილაობით, გაღვიძებისთანავე სიმღერას ვიწყებდი, მეზობლები გადარეულები იყვნენ, — ეს ბავშვი დააწყნარეთო. წარმოიდგინეთ, რა დღეში იყვნენ, ღამის სამ საათზე რომ გამეღვიძა, მაშინაც კი ვმღეროდი.

— **ახლა როგორ ხვდება ბათუმი წარმატებულ, პოპულარულ სოფო ხალვაშს?**

— ჩვეულებრივად — როგორც ადრე. არაფერი შეცვლილა და რაღაც რომ შეიცვალოს, ვერ გადავიტან.

— **თბილისმა რამდენად თბილად მიგიღო? შოუბიზნესში ადგილის დამკვიდრება არც ისე ადვილია...**

— მე თბილად მიმიღეს. შურსა და ინტრიგებს არ შევუწუხებივარ. ბუნებრივია, რაღაც წინააღმდეგობები იყო, მაგრამ ასეთი ნებისმიერი ადამიანის კარიერის დასაწყისში ხდება ხოლმე.

— **გათხოვებით თქვენი კარიერა ხომ არ დაზარალდა?**

— გათხოვება ჩემთვის მოულოდნელი იყო (*იცინის*). მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უეცრად ხდება ხოლმე. საერთოდ, დაუგეგმავი ცხოვრებით ვცხოვრობ, რადგანაც არ მიყვარს დაგეგმილი ცხოვრება. ოდესმე თუკი რაიმე დამიგეგმავს, ის საქმე არასოდეს გამომსვლია. სიყვარულშიც ასე დამემართა, გაფიქრებაც ვერაფრის მოვასწარი. ჩემი მეუღლე — მიშა ძოძუაშვილი იურმალაში გავიცანი და ჯვარი ზუსტად ერთ თვეში დავიწერეთ. ოჯახს კარიერაში ხელი არ შეუშლია, პირიქით — დამეხმარა კიდეც: ყველაფერს უფრო მშვიდად და წყნარად ვაკეთებ.







— **სიმღერაში ხელს არც შვილი გიშლით?**

— საქმის კეთება, რა თქმა უნდა, რთულია, როდესაც პატარა ბავშვი გყავს. ამაზე ბევრი მიფიქრია. ქეთევანი ჯერ ძალიან პატარა — 2 წლისაა. ოჯახი, კარიერა, ყველაფერი ერთად არ გამოდის; ძალიან ბევრი შრომა და ფიქრია საჭირო, დრო როგორ გაანაწილო...

— **როგორია შეყვარებული სოფო?**

— შეყვარებული ადამიანი უკეთესად მღერის და თავის საქმეს უფრო კარგად აკეთებს...

— **საქართველოში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა. რას ეტყოდით მათ, როგორ უნდა მიაღწიონ წარმატებას და გახდნენ ცნობილი მომღერლები?**

— ჩვენს ქვეყანაში უამრავი ადამიანი მღერის, მაგრამ ბევრი წარმატებას ვერ აღწევს. წარმატებისთვის მარტო ნიჭი არ არის საკმარისი, ბევრი შრომაა საჭირო. ასევე საჭირო დროს, საჭირო ადგილზე უნდა აღმოჩნდე. ახლა უამრავი ტელეპროექტია, რაც საშუალებას იძლევა, დამწყებმა მომღერალმა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინოს. კარიერა მეც ასეთი პროექტიდან დავიწყე და ჩვენ გვერდით ბევრი ისეთი ადამიანია, ვინც წარმატებას სწორედ ასეთი კონკურსების მეშვეობით მიაღწია...

— **პირველად ქუჩაში რომ გიცნეს, რა განცდა დაგეუფლათ? უკვე წარმატებულ მომღერლებს ხშირად გადამეტებული ყურადღება აღიზიანებთ...**

— სასაცილო იქნება, რომ ვთქვა, პოპულარობა ცუდი შეგრძნებაა-მეთქი. ძალიან კარგია, რადგანაც შრომას გიფასებენ და უბრალოდ მადლობას გიხდიან. ამაზე დადებითი რეაქცია გაქვს და გსიამოვნებს. როდესაც ქუჩაში პირველად მიცნეს, მეც ძალიან მიხაროდა.

— **პატარა ქეთევანს თუ მოსწონს დედის სიმღერები?**

— ჩემი სიმღერები ძალიან მოსწონს. მართალია, ჯერ ვერ ლაპარაკობს, მაგრამ დადებითი მღერის. მუსიკისა და დრამის თეატრში სპექტაკლი დაიდგა, რომელშიც ვმღერი. ქეთევანს ეს ძალიან მოსწონს და მთელი დღე ამ ჩანაწერს უყურებს.

— **რა გეგმები აქვს სოფო ხალვაშს?**

— ბევრს ვფიქრობ, რადგან არ მინდა, ჩემი რეპერტუარი ერთფეროვანი იყოს. 6-7 თვის წინ საქსოფონზე დაკვრა დავიწყე. მართალია, ისევ სწავლის პროცესში ვარ, მაგრამ რაღაცები უკვე გამომდის. როგორც გითხარით, მყავს არაჩვეულებრივი მეგობარი, კომპოზიტორი — ანა ქასრაშვილი და მასთან ერთად ვაკეთებ სტუდიას, სადაც ძალიან ბევრს ვიმუშავებ და რაღაც ახალს აუცილებლად შევთავაზებ მსმენელს.

— **საზღვარგარეთ კარიერის გაგრძელებაზე არ გიფიქრიათ?**

— კარგი აზრის ვარ მათზე, ვინც საზღვარგარეთ იკეთებს კარიერას. როდესაც მასშტაბები დიდია, შესაძლებლობაც მეტი გაქვს. თუმცა მიმაჩნია, რომ სადაც უნდა იყო, თუ შენ საქმეს კარგად აკეთებ, ის აუცილებლად დაგიფასდება.

— **საქართველოშიც, სადაც შოუბიზნესი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია?..**

— რა თქმა უნდა. თუ კარგი ნამუშევარია, სიმღერის საზღვარგარეთ გატანას აქედანაც შეძლებ...

■

*ტანდემი*

# როგორ „ეყოლა“ თაკო აბაშიძეს ტყუპი და როგორ მოხვდა მისი პარტნიორი კარადიდან „კაპეზეში“?



**ტელესერიალ „ჩვენი ოფისის“ ორი ფუმფულა მსახიობი, ერთმანეთს არა მარტო აღნაგობით ჰგავს, არამედ ცხოველების სიყვარულიც აერთიანებს, და თურმე ცოტა გულმავიწყობაც სჩვევია... თაკო აბაშიძე და მიშა არჯევანიძე უკვე ნახევარი წელია, რაც შეხმატკბილებულად თამაშობენ სერიალში. ინტერვიუზე დაგვიანებით მოსულმა მიშამ მოგვიბოდიშა: გზაში ფიქრებმა გამიტაცა, ტრანსპორტიდან ჩამოსვლა დამავიწყდა და ამიტომ დამაგვიანდაო... ხოლო როდესაც თაკოს სახლში რამდენიმე კატა, იადონი და ძაღლი დაინახა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ცხოველები თაკოსავით მასაც ძალიან ჰყვარებია.**

*ელენე ბასილიძე*

**მიშა:**

— ჩემი ოცნებაა, ძაღლი მყავდეს, მაგრამ ჩემი მეუღლე მიიჩნევს, რომ სახლში ძაღლის ყოლა სადიზმია, — ძაღლისათვის დიდი, ეზოიანი სახლია საჭიროო... ადრე კატა მყავდა, სახელად კრუზო, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა და ლოგინში ვიწვენდით ხოლმე, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემს მეუღლეს კატაზე ალერგია აღმოაჩნდა...

**თაკო:**

— ცხოველების სიყვარული დედაჩემისაგან გენეტიკურად გადმომეცა, ყველამ იცის, რომ ჩვენი სახლი პატარა ზოოპარკია...

**— ერთმანეთს სერიალის გადაღებამდე იცნობდით?**

**თაკო:**

— არა, ერთმანეთი გადასაღებ მოედანზე გავიცანით. მიშას არა, მაგრამ მის მეუღლეს თეატრალური უნივერსიტეტიდან ვიცნობდი...

**მიშა:**

— მე თაკოს ტელევიზორიდან ვიცნობდი (*იღიმება*). იგი სერიალში ჩემი პირველი პარტნიორი იყო; დიახ, სერიალში პირველი სცენა მასთან გადავიღე...

**— ვიცი, რომ ძალიან მეგობრული და ხალისიანი ატმოსფეროა თქვენს გადასაღებ მოედანზე...**

**თაკო:**

— უკვე დიდი ხანია, რაც სერიალში ვარ, ჩემთვის იმაზე მნიშვნელოვანია ეს სერიალი, ვიდრე — ზოგადად სამსახური. მისი მეშვეობით პოპულარული გავხდი და საერთოდ, სერიალმა დადებითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ერთი ოჯახივით ვართ და კოლეგებთან ერთად თავს კომფორტულად ვგრძნობ. მსახიობებს შორის კონფლიქტური სიტუაცია ხშირად არის. ჩვენს ჯგუფში კი მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა!

**მიშა:**

— დაახლოებით 6 თვეა, რაც სერიალში ვთამაშობ. მორიდებული ვარ, ადამიანებთან კონტაქტს იოლად ვერ ვამყარებ, მაგრამ ჩვენს გუნდში, ყველას ადვილად დავუმეგობრდი. ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ, ხშირად სტუმრადაც დავდივართ. რაც შეეხება თაკოს, მასთან მუშაობა ძალიან მიადვილდება, კარგი პარტნიორია!

**თაკო:**

— მეც ძალიან მიყვარს მიშასთან მუშაობა, ძალიან საყვარელია. ხშირად ვეფერები და რამდენჯერმე, გადაღებისას წამომცდა კიდეც: შენ გენაცვალე-მეთქი (*იცინიან*)... მას კარგი აურა აქვს და მაყურებელში დადებით ემოციებს აღძრავს.

**— ახლახან, კინოთეატრებში თქვენი ახალი ფილმი — „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“ გამოვიდა. შედეგით კმაყოფილი ხართ?**

**თაკო:**

— ძნელია, ის ფილმი აქო, რომელშიც თავად თამაშობ; ეს ფილმი მხოლოდ იმიტომ უნდა მომწონდეს, რომ მის გადასაღებად ტიტანური შრომა გავწიეთ და რაც მთავარია, იმდენად მოკლე დროში გადავიღეთ, რომ მგონი, ფილმის გადაღების ყველანაირი რეკორდი მოვხსენით (*იცინიან*). 2 კვირაში სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია...

**მიშა:**

— ორი კვირის განმავლობაში, გადამღები ჯგუფის არც ერთ წევრს ნორმალურად არ სძინებია და ბოლოს, ყველა ავად გახდა! გადაღებები რომ დავასრულეთ, მეც ცუდად გავხდი და ფილტვების ანთებას ბეწვზე გადავურჩი! პავილიონში მუშაობისას „სასწრაფო“ რამდენჯერმე გამოვიძახეთ.

**თაკო:**

— ჩემ გარდა ყველა ავად იყო! ერთ ღამეს, როდესაც გადაღება გვქონდა, საშინლად ყინავდა; გია ცინაძეს კი სიცხე 40 გრადუსზე ზემოთ აეწია, ნათია წიწილაშვილი კინაღამ ხელში ჩამაკვდა, მიშაც გაყინული იყო... ჩემ გარდა ყველას აკანკალებდა! რა მეცვა, არ გაინტერესებთ?! პენუარი და ხალათი, რომელზეც ზემოდან „შუბა“ მქონდა მოსხმული. შიშველი ფეხები ფარღალალა ქოშებში მქონდა წაყოფილი და მაინც არ მციოდა! ბოლოს, ვასიკო ოდიშვილმა მითხრა, — ახლა თუ არ შეგცივდება, თავში რაღაცას ჩაგარტყამო (*იცინიან*)! იმ დღის შემდეგ — ყველა გაცივდა, მაგრამ ჩემმა იმუნიტეტმა „ივაჟკაცა“ და სიცხეებს გადავურჩი! გამძლეობის გამო, მთელი გადამღები ჯგუფი მაშაყირებდა, ნამდვილი ნადირი ხარო (*იცინიან*)!

**— ამას წინათ, ხმები გავრ-**

**ცელდა, თაკო აბაშიძე ორსულადააო...**

— სწორედ მაგ ჭორის შემდეგ დავასკვენი, რომ ადამიანმა, რომელსაც წაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანა არ შეუძლია, საერთოდ არაფერი უნდა წაიკითხოს (*იცინიან*)! რამდენიმე დღის წინ, მეგობარმა მითხრა, ერთ გაუთხოვარ, ასაკოვან ქალს უთქვამს, — თუ თაკო აბაშიძე შვილს აჩენს, მე რომ გავაჩინო, ვითომ რა მოხდებაო?! ერთ-ერთ ჟურნალში, ახალ ფილმზე ვსაუბრობდი, სადაც ორსულის როლს ვასრულებ და მკითხველმა რატომღაც დაიჯერა, რომ მართლა ორსულად ვარ (*იცინის*)...

— **თაკო, ფილმში შენს გმირს ბავშვი შეეძინება. მიშა, შენი გმირი არ ქორწინდება?**

**თაკო:**

— ბავშვებს ვაჩენ, ბავშვებს! ტყუპი მეყოლა (*იღიმება*)!

**მიშა:**

— მე ნუნუკას ოჯახში ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მივდივარ, მაგრამ სულ ტყუილად! ნუნუკასთან მისულს, კარადაში მეძინება, ჩაძინებული უცხო ადამიანის კარადაში აღმოჩენისთანავე, ნუნუკას ოჯახი პატრულს იძახებს და „კაპეზეში“ ვხვდები... ფილმს, რა თქმა უნდა, ბედნიერი დასასრული აქვს...

— **ფილმის გადაღებისას ბევრი იმხიარულეთ?**

**მიშა:**

— ყველაზე სახალისო ის იყო, რომ გადაღებებისათვის ძალიან პატარა პერანგი მომიტანეს, ძლივს მეკვრებოდა, ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი, ძლივს ვმოძრაობდი. ისე გავწამდი, ბიჭებს შევეხვეწე: — პერანგი ზურგზე გამირღვიეთ, თორემ გავიგუდები-მეთქი (*იცინის*). მერე, ზუსტად იმავე ზომის მეორე პერანგი მომიტანეს, — ეს მოგერგებაო! საწყალი, ჩვენი კოსტიუმების მხატვარი ისეთი გადაღლილი იყო, არ იცი...

**თაკო:**

— შარშან, როდესაც ფილმის პირველ ნაწილს ვიღებდით, იმდენად ვიღლებოდით, რომ სავარძელში ჩაჯდომისთანავე გვეძინებოდა...

— **ყველაზე მეტად რომელი ეპიზოდის გადაღება გაგიჭირდათ?**

**მიშა:**

— „კარადის სცენის“ — ანუ სადაც უნდა დავმალულიყავი. იქ ჯერ ძლივს შევეტიე, გარკვეული დროის განმავლობაში შიგ უნდა ვმჯდარიყავი, დავიღალე, გავწამდი, რამდენიმე დუბლი გადავიღეთ და ისეთ დღეში ჩავვარდი, იქაურობას წუწუნით ავიკელი!

**თაკო:**

— ასევე რამდენიმე დუბლი გადავიღეთ იმ სცენის, რომელშიც მეუღლის ნაჩუქარ მანქანას პირველად ვნახულობ. „ბენტლი“ ჩემი საოცნებო მანქანაა და გადაღებაზე მაინცდამაინც ის ავტომობილი მოიყვანეს! მანქანის დანახვისას, გადამეტებული რეაქცია მქონდა! ჯერ ჩავჯექი და ველარ გადმომიყვანეს, მერე, გადავწყვიტე, დამექოქა და მთელი გადამღები ჯგუფი წინ გადამელობა, — არ დაგიგორდესო (*იცინის*)! სწორედ ამ ეპიზოდის გადაღებისას არ მციოდა, ისეთ ეიფორიაში ვიყავი, სიცივეს ველარ ვგრძნობდი.

**მიშა:**

— გადაღებაზე საახალწლო სუფრისათვის აჩმა მოიტანეს. ერთი სული მქონდა, გადაღება როდის დამთავრდებოდა — აჩმა რომ მეჭამა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზემოდან ლაქი ესვა, უფრო მაგრად რომ ეპრიალა (*იცინიან*). არადა, ისეთი „გაჭირვებული“ მშივრებიც არ ვყოფილვართ, რომ ლაქიანი აჩმა შეგვეჭამა...

— **საკმაოდ „წონიანი“ მსახიობები ხართ. ოდესმე დიეტა თუ დაგიცავთ?**

**თაკო:**

— ეკრანზე უფრო მსუქანი ვჩანვარ და ინტერნეტის მეშვეობით ხალხი სხვადასხვა დიეტას მიგზავნის — რატომღაც ჰგონიათ, რომ გახდომა ძალიან მინდა და მეხმარებიან (*იცინიან*). სულაც არა მაქვს საგანგაშო წონა. დიეტაზე ყოფნა რომც მოვისურვო, სიმართლე გითხრათ, ამის საშუალებას ოჯახიც არ მაძლევს.

**მიშა:**

— გოჭის დიეტა არ გაქვს (*იცინიან*)? მეც ბევრი დიეტა ვიცი, ბევრჯერ დამიცავს, მაგრამ მერე, ისევ ძველი წონა დამიბრუნებია და დიეტების აღარ მჯერა!

— **ახალი წელი როგორ გაატარეთ?**

**თაკო:**

— ახალ წელს არა მარტო გავერთე — ვიმუშავე კიდეც. ერთ-ერთ რესტორანში საახალწლო საღამო მიმყავდა და მერე მეგობრებთან გასართობად წავედი.

**მიშა:**

— 31 დეკემბერს არსად მივდივარ, ახალ წელს ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდები. ძალიან მიყვარს ნაძვის ხე, თავადვე ვრთავ და საჩუქრებსაც ხის ძირში ვაწყობ. ეს ჩემი ერთგვარი რიტუალია...

**თაკო:**

— იცით, ამ ახალ წელს რა დამემართა? საჩუქრების დიდი პარკი ტაქსიში დამრჩა. ველოდებოდი, რომ ტაქსისტი დამიბრუნებდა, მაგრამ არ მომიტანა... მერე წარმოვიდგინე, თუ როგორ გაუხარდებოდათ იმ კაცის ოჯახის წევრებს, ამდენ საჩუქარს რომ მიიღებდნენ და აღარც მიდარდია...

— **მიშა, თაკო ძალიან გულმავიწყია, სახელებისა და გვარების დამახსოვრება უჭირს. ეს „სენი“ შენც ხომ არ გჭირს?**

— ხანდახან — კი. ყველას სახელისა და გვარის დამახსოვრება მეც მიჭირს.



**თაკო:**

— ამ ცოტა ხნის წინ ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა. სიხარულისაგან გადავირიე. სუფრა გვაქვს გაშლილი, ვქეიფობთ... ჩემი რძლის მამას ალიოშა ჰქვია, რომელიც ძალიან მიყვარს. გადავედი ალავერდი მასთან და ვეუბნები: — რუსლანი ბიძია, თქვენ გაგიმარჯოთ-მეთქი (*ხარხარებს*)! ხალხი სიცილისაგან იგუდებოდა, მე კი გაკვირვებული მივჩერებოდი, რა სჭირთ-მეთქი?! შემისწორეს, ალიოშა ჰქვიაო! — დედა, ჩემი სიკვდილი-მეთქი! — შევიცხადე და მეორე წუთს ისევ „რუსლანი ბიძიას“ ვეძახდი (*იცინის*). ადამიანებს სახელებით ვერა, მაგრამ ხელებით ვცნობ. ჩემი ნაცნობი ადამიანის ხელები რომ დამანახვოთ, უშეცდომოდ გეტყვით — რომლისაა.

— **მომავალშიც თუ გაქვთ თანამშრომლობის სურვილი?**

— (*ერთხმად*) კი, აბა რა!

■

# ფოტოფირზე აღბეჭდილი ათწლეული განძთსაცავში შეინახება

**ცოტა ხნის წინ, ახალი ამბების სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ რეპორტიორების მიერ, 10 წლის განმავლობაში გადაღებული ფოტოების გამოფენა მოეწყო, რომელზეც საქართველოს ეროვნული არქივისა და „ინტერპრესნიუსის“ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. გამოფენისათვის შედარებით მსუბუქი ხასიათის სურათები იყო შერჩეული, რომლებიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ მოვლენებს ასახავდა. რამდენიმე პოლიტიკოსი ფოტოებზე საკუთარი თავის ხილვამ გაამხიარულა კიდეც...**

*ეთო ყორღანაშვილი*

**კობა დავითაშვილი:**

— გამოფენისთვის სახალისო სურათებია შერჩეული. ფოტოებზე ასახული სიტუაციები პოლიტიკურ ცხოვრებას თან ახლავს. რამდენიმე სურათზე საკუთარი თავიც აღმოვაჩინე: 3 დღის ნაშიმშილარი ვარ და მოწყენილი ვზივარ, ნაბდით (*იცინის*)... ისეთ მძიმე დროში ვცხოვრობთ, რომ ხანდახან ასეთი ფოტოების ხილვა გაგვახალისებს კიდეც.



**— ყველაზე მეტად, რომელმა ფოტომ გაგამხიარულათ?**

— ირინა სარიშვილს „შარავანდედი“ ადგას თავზე! გადავირიე (*იცინის*)...

**— თქვენ თუ გიყვართ ფოტოკამერების წინ პოზირება?**

— ეს პროფესიული აუცილებლობაა: სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ჩემთვის სურათების გადასაღებად, ჩემი ნებართვა არ სჭირდებათ, რადგან საჯარო პირი ვარ. ასე რომ, ფოტოს ხშირად მიღებენ.

**— ფოტოკამერა გაღიზიანებთ?**

— კი... ჩემი ყველა სურათი მაღიზიანებს, რადგან დიდი ღიპი მიჩანს ხოლმე, მაგრამ ეს რეპორტიორებს როგორ დავაბრალო? კადრები რეალობას ასახავს (*იცინის*)!

**ეკა ბესელია:**

— ზოგ ფოტოზე ხელისუფლების წარმომადგენლები არიან გამოსახულები, რომლებიც ჩემში დადებით ემოციებს არასოდეს იწვევენ. მათი სურათების გარდა, თითქმის ყველა ნამუშევარი მომეწონა, განსაკუთრებით — 26 მაისს გადაღებული ჩემი ფოტო: ის ემოცია გაცოცხლდა, რაც 26 მაისის პოლიტიკურ მოვლენას თან ახლდა... დღევანდელი გამოფენა საქართველოს ისტორიას ასახავს. ამიტომ მიმაჩნია, რომ სურათები თაობებს უნდა გადაეცეს.

**სოზარ სუბარი:**

— სხვა მედიასაშუალებებთან ერთად „ინტერპრესნიუსი“ და მთელი საგამომცემლო სახლი — „კვირის პალიტრა“ საქართველოს ისტორიას ქმნის. სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ შექმნილი ფოტოარქივი შეუფასებელია! ქართულ მედიასაშუალებებს ვუსურვებ, რომ ამ სააგენტოს მსგავსად, ობიექტურები, დამოუკიდებლები, ოპერატიულები იყვნენ!

**ნოდარ ცხვირაშვილი,** *„ინტერპრესნიუსის“ ფოტორეპორტიორი:*

— დაახლოებით, 4 წელია, რაც „ინტერპრესნიუსთან“ ვთანამშრომლობ. ამ ხნის განმავლობაში, უამრავი, ერთმანეთისგან განსხვავებული ფოტო გადამიღია. რისკიანი და საინტერესო პროფესია მაქვს. 7 ნოემბერს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მუშაობა ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში, საინტერესო ფოტორეპორტაჟები გამომივიდა. გამოფენაზე ჩემი 4-5 ნამუშევარია წარმოდგენილი. კარგია, როცა ფოტოკამერით სასიამოვნო მოვლენებს ასახავ, მაგრამ სამწუხაროდ, ცუდი რაღაცებიც ხდება...

**— გამოფენაზე პოლიტიკოსების ბევრი ფოტოა წარმოდგენილი. რა რეაქცია აქვთ პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანებს, როცა მათ სურათებს უღებთ?**

— მიჩვეულები არიან. ობიექტივის წინ თავს ძალზე კომფორტულად გრძნობენ. კამერის წინ დგომის გამოცდილება ნამდვილად აქვთ. ფოტოების გადაღება თითქმის ყველას მოსწონს. მათთვის ეს „პიარია“, საკუთარი თავის „გაპიარება“ კი ყველას უყვარს.

**ზაია ცანავა,** *„ინტერპრესნიუსის“ მთავარი რედაქტორი:*

— დღევანდელი ფოტოგამოფენა „ინტერპრესნიუსსა“ და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის თანამშრომლობის დაწყებას ნიშნავს. ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომლის თანახმადაც ეროვნულ არქივში ჩვენი სააგენტოს ათწლიანი მუშაობის განმავლობაში გადაღებული ფოტოები შეინახება. ეს „ინტერპრესნიუსის“ პირველი ფოტოგამოფენაა. მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი კომპანია „ჯეოსელსა“ და ასევე, პროექტის პარტნიორებს — „შუმსა“ და „ბაგრატიონს“.

**— გამოფენისთვის ფოტოები რა პრინციპით შეარჩიეთ?**

— ეს ძალიან რთული იყო, რადგან ჩვენს არქივში ბევრი სურათია თავმოყრილი. ჯერ კიდევ საახალწლო განწყობილება გვაქვს, ამიტომ არ გვსურდა, რომ გამოფენაზე „მძიმე“ ფოტოები წარმოგვედგინა (თუმცა ამას გვერდი ბოლომდე ვერ ავუარეთ). საბოლოო ჯამში 70, შედარებით მსუბუქი ხასიათის ნამუშევარი შევარჩიეთ. „ინტერპრესნიუსი“ მუშაობას განაგრძობს. შესაბამისად, მომავალში ეროვნული არქივის განახლებაზეც ვიზრუნებთ.

**თეონა იაშვილი,** *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი:*

— უპირველეს ყოვლისა, „ინტერპრესნიუსს“ მადლობას ვუხდით, რადგან ეს სააგენტო პირველი გამოეხმაურა ჩვენს ინიციატივას — ეროვნულ არქივში დაცული ყოფილიყო ფოტორეპორტიორების მიერ 10 წლის განმავლობაში გადაღებული მასალები. სააგენტომ უნიკალური კადრები მოგვაწოდა, რომლებზეც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული მოვლენებია აღბეჭდილი. ვფიქრობ, ჩვენი ვალია, რომ ეს ნამუშევრები მომავალ თაობებს შევუნახოთ, რათა მათ საქართველოს ისტორია იცოდნენ. იმედია, „ინტერპრესნიუსს“ სხვა მედიასაშუალებებიც მიჰბაძავენ და ფოტოებთან ერთად, ვიდეომასალებსაც მოგვაწვდიან. ■

# იგლესიასმა ანა კურნიკოვას სუნამოს მოხმარება აუკრძალა



მწველმა ესპანელმა, ქალების კერპმა ენრიკე იგლესიასმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ მძაფრი სურნელი სასტიკად აღიზიანებს. კეთილხმოვან მომღერალს განსაკუთრებით ის გოგონები არ მოსწონს, რომლებსაც მეტისმეტად ბევრი სუნამოს პკურება უყვართ. სწორედ ამიტომ, ენრიკემ თავის შეყვარებულ ანა კურნიკოვას სუნამოს მოხმარება აუკრძალა... იგლესიასს ფრანგული პარფიუმერიის ყველანაირ სურნელს რუსი სატრფოს ჯანმრთელი სხეულის ბუნებრივი სურნელი ურჩევნია. მას განსაკუთრებით ის სურნელი აღაგზნებს, რომელიც გაოფლიანებულ ჩოგბურთელს კორტზე სირბილის შემდგომ ასდის. რუსი სატრფოსა და მისი სუნისადმი ყოვლისმომცველი სიყვარულის მიუხედავად, ესპანელი მომღერალი დაქორწინებას სულაც არ ჩქარობს. წყვილის ერთად ცხოვრების შვიდი წლის განმავლობაში პრესამ ისინი არაერთხელ „დააქორწინა“. ბოლო ჭორი ანა კურნიკოვას ორსულობის შესახებ შემოდგომაზე გავრცელდა. პრესა ირწმუნებოდა, რომ ანა კურნიკოვა ორსულად იყო და მალე ხულიო იგლესიასს შვილიშვილს აჩუქებდა, მაგრამ ენრიკემ ეს „ახალი ამბავი“ უარყო:

— ჯერჯერობით ყველაფერი მშვენივრადაა. არავითარი ბავშვები, არავითარი ქორწილი არ იქნება. ამის დრო უახლოეს 10-15 წელიწადში დადგება. ანა ჩემგან ბავშვით უკვე ხუთჯერ თუ ექვსჯერ „დააჯილდოეს“, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. ჩვენ უკვე დიდები ვართ და შესანიშნავად ვიცით, თავი როგორ დავიცვათ... ხოლო როდესაც შვილის გაჩენას გადავწყვეტთ, ამ ამბავს პრესას თავად ვაცნობებთ. ■

# მეგან ფოქსმა Emporio Armani–ს ქვედა საცვალს რეკლამა გაუკეთა



ჰოლივუდის მსახიობ მეგან ფოქსს კიდევ ერთი პროფესიის ათვისება სურს. ფილმის „ტრანსფორმერები“ ვარსკვლავმა მსახიობობასთან ერთად, ცნობილი ბრენდის Emporio Armani-ს ქვედა საცვლების რეკლამირება გადაწყვიტა. ამერიკული კინოს მომხიბვლელმა მსახიობმა და ჟურნალ Alive-ს ვერსიით ყველაზე სექსუალურმა ქალმა ჯორჯო არმანის სავაჭრო მარკის მეტად კოლორიტულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. 23 წლის შავთმიანი ლამაზმანის ფოტოსურათები სულ მალე მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქის სარეკლამო დაფებს დაამშვენებს.

„მეგან ფოქსი ენერგიით აღსავსე, ახალგაზრდა და სექსუალური ქალია. Emporio Armani-ის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ქალის ქვედა საცვლების რეკლამისთვის მეგანის კანდიდატურა იდეალური ვარიანტია“, — განაცხადა სავაჭრო მარკის წარმომადგენელმა ახალი მოდელის შესახებ. ■

# კრავიცი მაიკლ ჯექსონის ახალ სიმღერას ემიჯნება

ახალი წლის წინა დღეებში ქსელში მაიკლ ჯექსონის ახალი, დღემდე უცნობი კომპოზიციის — Another Day ფრაგმენტები გაჩნდა. ცნობილმა როკერმა ლენი კრავიცმაც დაადასტურა, რომ ტრეკი პირველწყაროა, რომელზეც ის პოპის მეფის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ამ სიმღერაზე ჯექსონთან ერთად მუშაობდა.

სიმღერის Another Day ავტორი ლენი კრავიცი ამბობს, რომ ტრეკისთვის ინსტრუმენტული პარტიების შექმნა უზრუნველყო და ტრეკის პროდიუსერიც იყო. ამასთან, მუსიკოსი კატეგორიულად უარყოფს ინსინუაციებს იმის შესახებ, რომ სიმღერა ინტერნეტის ქსელში სწორედ მისი წყალობით მოხვდა. „ქსელში რომელიღაც სხვა ვერსია გამოჩნდა, იმიტომ, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილი ვერსია ჩემთან ინახება და საიმედოდ მაქვს ჩაკეტილი. ამ ტრეკში ჩემთვის უცნობი დიჯეის სკიტი ჟღერს. წარმოდგენაც კი არა მაქვს, ვინ არის იგი და როდის ჩაიწერა ეს ვერსია“, — ამბობს მომღერალი და იმედს გამოთქვამს, რომ ნამდვილი Another Day მაიკლ ჯექსონის ფანებამდე უახლოეს ხანში მიაღწევს.



ახლა კი კიდევ რამდენიმე ახალი ამბავი პოპმუსიკის მეფის შესახებ. 2009 წლის მიწურულს Nielsen Soundscan-ის ამერიკულმა ოფისმა წლის ყველაზე წარმატებულ შემსრულებელთა რეიტინგი გამოაქვეყნა და ამ სიაში პირველი ადგილი სწორედ მაიკლ ჯექსონმა დაიკავა. გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მომღერლის 8 მილიონზე მეტი დისკი გაიყიდა. ამასთან, ჯექსონის სიცოცხლეში გაყიდული დისკების რაოდენობა გარდაცვალების შემდგომ გაყიდვათა რიცხვს ვერც კი შეედრება. მომღერლის გარდაცვალების მომენტისთვის ამერიკელებს მხოლოდ 10000 დისკი ჰქონდათ შეძენილი... ■

# ჯონ კიუსაკი: გადაღებები – ორგანიზმისთვის უზარმაზარი სტრესია...



**„ამ ფილმში თამაშს ნებისმიერი მსახიობი ინატრებდა," — აღნიშნავს პროექტის — „2012" მთავარი როლის შემსრულებელი ჯონ კიუსაკი და განაგრძობს:**

— პროექტ „2012"-მდე ასეთი სერიოზული შემოთავაზება არ მქონია. დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილზე ყოფნას და ასეთ მასშტაბურ ფილმში თამაშს ნებისმიერი მსახიობი ინატრებდა! ამგვარი წარმატების შანსი ნებისმიერს აქვს, ვისაც დაძაბული მუშაობა შეუძლია და წარმატების სწამს. მსახიობი თავდაუზოგავად იმიტომ კი არ მუშაობს, რომ ფილმს უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ ძალუძს! ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ასეთი ვარ...

## „ამ სურათში თამაში ძალზე იოლი იყო"

— ჩემს ფილმებში მუდამ სულსა და გულს ვდებდი. ეს სურათები ზოგს მოსწონდა, ზოგს — არა. უდიდესმა რეჟისორმა როლანდ ემერიხმა რამდენიმე ნამუშევარი ნახა და ჩემით დაინტერესდა. ვეჭვობ, სურათში „2012" მივეწვიე, მცირებიუჯეტიან ფილმებში ნათამაშებ როლებს გულგრილად რომ მოვკიდებოდი. ამ სურათში თამაში ძალზე იოლი იყო. სპეციალურად რაიმეს სწავლაც კი არ დამჭირდა, იქნებ იმიტომაც, რომ რეჟისორის მიერ ყველაფერი საუკეთესოდ იყო ორგანიზებული. ის გადაღების პროცესს ძალზე კარგად იცნობს და ზუსტად იცის — ვინ, სად, რატომ და ვისთან ერთად უნდა იყოს! ამასთან ფილმში სცენათა უმეტესობა მწვანე ეკრანის ფონზეა გადაღებული და მხოლოდ შემდეგაა კომპიუტერზე დამუშავებული.

## „რეჟისორი შენგან მაქსიმუმის გაღებას მოითხოვს"

— ფილმის „2012" გადაღებები 100 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ყველაფერი ძალზე დინამიკურად მიმდინარეობდა, რადგან სურათში დიდძალი ფულია ჩადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ გაჩერების უფლება არა გაქვს! რეჟისორი და გუნდი შენგან მაქსიმუმის გაღებას მოითხოვენ. ეს კი ძალზე მძიმე ტვირთია. მსახიობს შეუძლია, რომელიმე ეპიზოდი ზედიზედ თხუთმეტჯერ მაინც გადაიღოს, მაგრამ რაღაც მომენტში ორგანიზმი უარს აცხადებს, ამბობს „კმარა!" და კუნთები თავის ტვინის ბრძანებებს აღარ ემორჩილება, რადგან ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის!

## „იქნებ, ქვეყნის აღსასრული მართლაც მოახლოვდა?"

— ადამიანები ფილმ-კატასტროფების საყურებლად კინოთეატრებში მუდამ ივლიან, რადგან ამ ჟანრის სურათები მაყურებელს აღაგზნებს. ყველას აინტერესებს, თუ როგორ დასრულდება ესა თუ ის ამბავი. თითოეული მაყურებელი მთავარი გმირის ადგილზე საკუთარ თავს წარმოიდგენს და კითხვას სვამს: — იქნებ ქვეყნიერების აღსასრული მართლაც მოახლოვდა? სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მე როგორ მოვიქცევი? — ეს ხომ კინოსათვის ძალზე მიმზიდველი და უბერებელი თემაა!

## „ეს საშინელება იყო"!

— ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი და დაუვიწყარი კატასტროფები — ლუიზიანის ქარიშხალი და ლოს-ანჯელესის მიწისძვრა იყო. მათზე უფრო მასშტაბური არაფერი მინახავს, მაგრამ ესეც სრულიად საკმარისია. ეს საშინელება იყო!

## „როგორ მოვიქცეოდი, ქვეყნიერების აღსასრული რომ დამდგარიყო?"

— სამი წლის შემდეგ ქვეყნიერების აღსასრული რომ დამდგარიყო, ალბათ მოვდუნდებოდი, მედიტაციასა და თვითანალიზს შევუდგებოდი. კარიბის კუნძულებზე დავსახლდებოდი, წარმავალი სამყაროს მშვენიერებით დავტკბებოდი და საკუთარი სიამოვნებისათვის ვიცხოვრებდი. კინოს თავს დავანებებდი და ჩემთვის უსიამოვნო ადამიანებს აღარ შევხვდებოდი. ვფიქრობ, ასეთ სიტუაციაში უსინდისობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ რაიმე მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმის გაკეთებას შევეცდებოდი...




## მსახიობის ამოცანა

— ძალიან მინდა, ფსიქოლოგია ღრმად შევისწავლო. მსახიობს ფსიქოლოგიის ცოდნა ნამდვილად სჭირდება, რადგან იმის გაგება, თუ რატომ იქცევა გმირი ასე და არა სხვაგვარად, მსახიობის ამოცანის ნაწილია.

## „ეს ჩემს ძალებს აღემატება"

— მწერალი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ფანტაზიის უნარი მაქვს და ხანდახან წერაც მიყვარს. ფილმის სცენის დაწერაც შემიძლია და ზოგჯერ მთელი სურათის სცენარზეც კი ვახდენ გავლენას... სცენარების გარდა, სისტემატურად ვწერ სტატიებს, მაგრამ ისეთი წიგნის დაწერა რომ შემეძლოს, რომელსაც ასეულობით წლების შემდეგაც წაიკითხავდნენ... არა, ეს ჩემს ძალებს აღემატება.

## „ექსპერიმენტს ხუმრობით დავთანხმდი"...

— საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჩემი დამახასიათებელი თვისება არ არის! ნუმეროლოგიის არ მწამდა, ვიდრე თავად არ გამოვცადე. ერთხელ, ჩემს დაბადების დღეზე, საკუთარ თავზე ყველაფრის მოყოლა შემომთავაზეს. სიმართლე რომ გითხრათ, ამ ექსპერიმენტს ხუმრობით დავთანხმდი, მაგრამ როდესაც შედეგები გამაცნეს, გაოცებული დავრჩი — ჩემი ხასიათი საკმაოდ ზუსტად იყო აღწერილი! ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძე

# ტყუილი გადარჩენისთვის

**ვერ დავიბრალებ, რომ რესპონდენტი, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მე „შევაბი“, ყველა ჟურნალისტური ხერხი გამოვიყენე და გულახდილობის გუნებაზე დავაყენე-მეთქი... ამ ინტერვიუს საფუძველი „გზავნილების“ თემამ ჩაუყარა. „გასული წლის ცხოვრებისეული სიურპრიზი“ ისეთი თემა აღმოჩნდა, რომ ბატონმა დათომ ცდუნებას ვერ გაუძლო და დამიმესიჯა... ბუნებრივია, 5-6 მესიჯში შეუძლებელი იქნებოდა ამ ამბის („მშვენიერი“ დავარქვა თუ „უჩვეულო“, ვერ გავარკვიე) დაწვრილებით მოყოლა. ამიტომ, გადავწყვიტე, მესიჯის ავტორს შევხმიანებოდი და შეხვედრაზე დამეყოლიებინა.**



*მარი ჯაფარიძე*

— ერთ კერძო კლინიკაში ვმუშაობ. პროფესიით გინეკოლოგი ვარ. ახლა უშვილობის პრობლემებზე ვმუშაობ და თან სამეცნიერო ხარისხის დაცვაზეც ვფიქრობ.

**— ვინაიდან ჩვენ თქვენს კარიერაზე სალაპარაკოდ არ შევხვედრივართ, ძირითად თემაზე ვისაუბროთ. თქვენი მესიჯიდან მოვიყვან ციტატას და თქვენ გააგრძელეთ: „მოკლედ, ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც 4 წლის გათხოვილი იყო და შვილი არ ჰყავდა“... რა მოხდა შემდეგ?**

— ეს ქალბატონი ინგა გახლდათ. რა თქმა უნდა, ერთხელ მოსვლით ვერც დიაგნოზს დავუსვამდით და მით უმეტეს, ვერც მკურნალობას დავუნიშნავდით. ჰოდა, ბოლო თვეების განმავლობაში ინგა ისე დადიოდა კლინიკაში, როგორც სამსახურში — თითქმის ყოველდღე. უამრავი ანალიზი ჩააბარა, გამოკვლევა ჩაიტარა, სხვადასხვა სპეციალისტის კონსულტაცია გაიარა, მაგრამ ჯერჯერობით დამამშვიდებელს ვერაფერს ვეუბნებოდით. ვურჩიეთ, გამოკვლევაზე ქმარიც მოეყვანა, მაგრამ მას არ უნდოდა კლინიკაში მოსვლა, რადგან ის პროცედურა, რომელიც კვლევის დროს უნდა გაევლო, დამამცირებლად მიაჩნდა. თუმცა, დათქმულ დღეს მაინც გამოჰყვა ცოლს კლინიკაში. ანალიზის პასუხზე ინგა რამდენიმე დღის შემდეგ დავიბარეთ. ჩემთან, კაბინეტში ისეთ დროს შემოვიდა, როცა მისი ქმრის ანალიზის პასუხებს დავყურებდი და ვფიქრობდი, როგორ მეთქვა იმ განაჩენის შესახებ, რომელიც ცხოვრებამ გამოუტანა. როგორც ჩანს, ჩემი გამომეტყველებით ქალი მიხვდა, რომ საქმე არც ისე კარგადაა. — ქალბატონო ინგა, ჩვენ ყველა ანალიზის პასუხი მივიღეთ და აი, ეს დასკვნა ყველა იმ ექიმმა გააკეთა, რომელთანაც კონსულტაცია გაიარეთ. თქვენ ჯანმრთელი ხართ, თქვენი ქმარი კი... უნაყოფოა და განკურნებას არ ექვემდებარება. ეს იყო სულ, რაც უნდა მეთქვა და ქალს ანალიზის პასუხები გავუწოდე. უაზროდ დაჰყურებდა ფურცლებს... უნაყოფობა სასტიკი დიაგნოზია და უფრო ხშირად მამაკაცის მიერ გადატანილი ინფექციური დაავადება ან ეკოლოგიური გარემოა „დამნაშავე“. სტატისტიკურად ასეა, რომ უშვილობის 70% მამაკაცებზე მოდის. — ნუთუ განკურნება არ შეიძლებაო? — მკითხა ინგამ. მეცნიერები მუშაობენ ამ პრობლემაზე და შესაძლოა, 10-15 წლის შემდეგ საშველიც გაჩნდეს-მეთქი. ვატყობდი, რომ ქალი ცუდად იყო და სკამიდან ვერ დგებოდა... გამოდის, რომ საშველი არ ყოფილა, მე 31 წლის ვარ და რომელ 10-15 წელზეა ლაპარაკიო? შემდეგ რჩევა მკითხა...

**— და თქვენ რა ურჩიეთ?**

— ვუთხარი, რომ რამდენიმე გამოსავალი არსებობდა. მაგალითად, ქმარს უნდა გაშორებოდა და სხვა მამაკაცზე გათხოვილიყო, ბავშვი აეყვანა ან ხელოვნური განაყოფიერება მოეხდინა. ქმარი ძალიან მიყვარს და ვერ გავეყრები, მის გარეშე ვერ ვიცოცხლებო, თქვა. ხელოვნური განაყოფიერებისთვის თანხა არ ჰქონდა, ბავშვის აყვანა კი რთულია, რადგან ბევრი დრო დასჭირდება საბუთების მოგროვებასა და ბავშვის მოძებნას, თანაც, ძალიან მინდა, ჩემი შვილი ჩემს ორგანიზმში განვითარდეს, მის ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფდეს, ფეხმძიმობის პერიოდი გავიარო, მერე გავაჩინო და ის სამშობიარო ტკივილებიც ვიგრძნო, რომელსაც ყველა დედა გრძნობსო. ქალი განადგურებული იყო... რადგან სხვა საშველს ვერ ხედავთ, მაშინ შეგიძლიათ, ქმარს დაუმალოთ, რომ უშვილოა, სხვა მამაკაცს „გააკეთებინოთ“ ბავშვი და მერე ქმართან ერთად გაზარდოთ-მეთქი. ეს ისე ვუთხარი, ყოველგვარი ფარული განზრახვის გარეშე. ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. ერთ

## ექიმის საიდუმლო

დილით ინგა ისევ მოვიდა ჩემთან. შევატყე, რაღაც მნიშვნელოვნის თქმა უნდოდა. სათქმელს თავს ვერ უყრიდა, წითლდებოდა, ნიკაპი უკანკალებდა... დათო ექიმო, გადავწყვიტე, თქვენი ბოლო რჩევა გავითვალისწინო და სხვა მამაკაცისგან დავფეხმძიმდეო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ერთი ეგ ვუთხარი, კარგი გიქნიათ, რომ გადაწყვეტილება მიგიღიათ-მეთქი. მე გადავწყვიტე, შვილი თქვენგან გავაჩინოო. ამან შოკში ჩამაგდო.

**— თქვენ ოჯახი გყავთ?**

— არა, უცოლო ვარ. კი მყავდა მეუღლე, მაგრამ რუსი გახლდათ, მოსკოველი და აქაურობას ვერ შეეგუა. ადგა და წავიდა. მეც არ შემიშლია ხელი. მასთან შვილიც არ მყავდა.

**— და თქვენც დათანხმდით მის წინადადებას...**

— მაშინვე არ დავთანხმდი. აღელვებულ ქალს დავუყვავე, ვუთხარი, რომ შინ წასულიყო, კარგად დაფიქრებულიყო და გადაწყვეტილება ისე მიეღო. ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი. ინგას უკვე რამდენიმე თვე, ვიცნობდი და როგორც ქალი, მომწონდა კიდეც, მაგრამ დაუფიქრებელ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი. ის კი თავიდანვე ვიცოდი, რომ თუ ინგა კიდევ შემეხმიანებოდა და კვლავ იმ აზრზე იქნებოდა, აუცილებლად დავთანხმდებოდი. ცდუნება დიდი იყო და თავის მორევა მიჭირდა. ინგა 1 კვირის შემდეგ გამოჩნდა. გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ზაფხული მოდიოდა. გადავწყვიტე, მისთვის ზღვის ჰავა, მზის აბაზანები და ზღვისპირეთის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობის 3-კვირიანი კურსი გამომეწერა. ასეც მოვიქეცი. ინგამ ქმარს წარუდგინა ჩემი „რეცეპტი“, ისიც დათანხმდა, რომ ცოლი 3 კვირით სამკურნალოდ გაეგზავნა. მეც შვებულება ავიღე. თბილისიდან ცალ-ცალკე გავემგზავრეთ და იმავე საღამოს ერთმანეთს ბათუმში შევხვდით. ერთ სასტუმროში დავბინავდით, ოღონდ, ცალ-ცალკე ნომრებში. მოკლედ, მთელი 3 კვირა გავატარეთ ერთად. იქიდან კვლავ ცალ-ცალკე წამოვედით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს შევეჩვიეთ კიდეც და თავიდან დადებული პირობა, რომ დღის განმავლობაში ორივე ჩვენთვის ვიქნებოდით და ერთმანეთს მხოლოდ ღამით შევხვდებოდით, მალე დავარღვიეთ. მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. თანაც, თავიდან ისიც დავთქვით, რომ როდესაც ტესტით ორსულობას დავადგენდით, იმის შემდეგ ერთმანეთს აღარ გავეკარებოდით, მაგრამ წამოსვლის წინა დღემდე ტესტი არც ერთს არ გვიხსენებია. იმ დღეს დადგინდა, რომ ინგა ორსულად იყო... იმის შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით, ძალიან გამიჭირდა მის გარეშე ცხოვრება. თუმცა, შეთანხმებისამებრ, კონსულტაციებზე ჩემთან უნდა მოსულიყო და მისი ფეხმძიმობის პერიოდს ჩემ თვალწინ უნდა გაევლო და ამის იმედი მქონდა... ის არ გამოჩენილა... ამასობაში დრო გადიოდა... არც მე მომიძებნია ინგა, რადგან არ მინდოდა, უსიამოვნება მიმეყენებინა. რადგან თვითონ არ სურდა ჩემთან შეხვედრა, მეც არავითარი უფლება არ მქონდა, მისი გზა-კვალი მეძებნა. ამასობაში მაისიც მოვიდა. ინგას სწორედ ამ თვის დასაწყისში უნდა ემშობიარა. მე მოსვენება დავკარგე და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მის სანახავად შინ არ მივსულიყავი. ზაფხულში დასასვენებლად ვიყავი წასული. თბილისში სექტემბერში ჩამოვედი და მტკიცედ გადავწყვიტე, ინგა მენახა და გამეგო, გოგონა შეეძინა თუ ბიჭი. მისი ანკეტიდან მისამართი ამოვიწერე და წავედი. კერძო სახლი აღმოჩნდა. გარედან ეზო მშვენივრად ჩანდა. ღობის ღრიჭეში შევიხედე და დავინახე, რომ ეზოში 2 საბავშვო ეტლი იდგა. გავოცდი... ცოტა ხნის შემდეგ ბავშვის ტირილის ხმაც მომესმა და ამ ხმაზე სახლიდან ინგაც გამოვიდა. მას ხელში 2 საწოვრიანი ბოთლი ეჭირა და ბავშვებისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაემართა. ეტლებს შუა დაჯდა და ორივე ბავშვს „სოსკა“ ჩასჩარა პირში. ჟრუანტელმა დამიარა. გამახსენდა, რომ მე მაქვს ტყუპის გენი... როგორც ჩანს, ინგას ტყუპი შეეძინა. ამის შემდეგ უფრო დავკარგე მოსვენება... 2 დღე ვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი. მერე დავრეკე. ინგას თითქოს არ ესიამოვნა ჩემი ხმის გაგონება, მაგრამ თავაზიანად მიპასუხა. მითხრა, ტყუპი გოგონა შემეძინაო. ვთხოვე, ბავშვები ეჩვენებინა, რაზეც უარი მივიღე. არც ისე იოლი ყოფილა ეს ყველაფერი, როგორც მეგონა. გამუდმებით ბავშვებზე ვფიქრობდი და მათი ნახვა ძალიან მინდოდა. ერთ დღეს კი კაბინეტის კარი გაიღო და ინგა შემოვიდა. ხელში ორივე ბავშვი ეჭირა... ბევრი ვეფერე პატარებს... მოვესიყვარულე და შემდეგ გულდაწყვეტილი გამოვემშვიდობე... ეს ოქტომბერში მოხდა და ამის შემდეგ აღარ მინახავს... იმედი მაქვს, რომ თავს მოვერევი და მიცემულ პირობას შევასრულებ. ინგას ბედნიერი ოჯახი აქვს, ჰყავს ქმარი, რომელიც უყვარს და შვილები... ნურავინ იტყვის, რომ მისი ოჯახი ტყუილზეა აგებული... მან ეს ტყუილი ოჯახის გადასარჩენად გამოიყენა... თუმცა, ყველას თავისი აზრი აქვს და ამ საკითხზე კამათიც შეიძლება დაუსრულებლად... ეს იყო ის სიურპრიზი, რომელიც გასულმა წელმა მომიწყო და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

■

## მინირომანი

მარი ჯაფარიძე

სახლი უცნაურად გამოიყურებოდა... არანაირად არ ჯდებოდა მრავალსართულიანი სახლების გარემოში, რომლებიც მის თავზე გოლიათებივით, მრისხანედ წამომდგარიყვნენ. ისინი მას მრავალრიცხოვანი ფანჯრებით „დაჰყურებდნენ“, საღამოობით ერთმანეთს თვალებს უპაჭუნებდნენ, თითქოს მოლაპარაკებას აპირებდნენ, რომ ადგილიდან დაძრულიყვნენ და...

მე სწორედ ერთ-ერთი ამ მონსტრის სადარბაზოდან გადმოვვარდი. დიახ, გადმოვვარდი, რადგან სადარბაზოს ზღურბლს ფეხი წამოვკარი და 6 საფეხური 2 ნახტომით გადავლახე. წონასწორობის შენარჩუნება კი მაინც შევძელი.

მთვრალი ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ სული უნდა წავიწყმიდო, რომ ვთქვა, მთლად ფხიზელი გახლდით-მეთქი. სულის წაწყმედა კი ისედაც არ მაკლია და უკვე კრიტიკულ ზღვარსაც მივაღწიე. ამიტომ, კიდევ რომ არ დავიმძიმო სული, გეტყვით, რომ ნასვამი ვიყავი.

ჩემი „სამყოფი დოზის“ მესამედი მქონდა მიღებული. სამყოფი დოზა კი ისაა, როცა ტვინი ითიშება, თავი ცალკე გარბის, ფეხები და სხეულის სხვა ნაწილები კი რამდენიმე საათის მერე „ეწევიან“.

მარტივი თვითკონტროლის შედეგად, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ თავი ამ კორპუსის მაცხოვრებლად გამესაღებინა, რომელიც ძილის წინ სასეირნოდ გამოვიდა. დიახ, უკვე ძილის დრო ახლოვდებოდა, სადარბაზოსთან მდგარ მანქანაში რადიომ 23 საათი გამოაცხადა.

სულაც არ მქონდა განზრახული, რომ ჩემი ნასვამი მდგომარეობა დამემალა, მაგრამ არც მის აფიშირებას ვაპირებდი.

აგვისტოს ცხელ საღამოს, გამვლელთა სახეებით, მსუბუქი „პახმელიის“ შედეგად გაჩენილი არეული აზრებით და ბოლოს და ბოლოს, განვლილ ცხოვრებაზე ფიქრით ვტკბებოდი... მალე აგრილდება კიდეც... ამაღლებული განწყობილება და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მალე რაღაც უნდა მომხდარიყო.

გაინტერესებთ, საიდან მოვდიოდი? ახლა უკვე ჩემთვისაც სულ ერთი იყო. გაინტერესებთ, სად მივდიოდი? მე თვითონაც არ ვიცოდი...

ასე დიდ ქალაქებში ხდება ხოლმე: კერძო სახლებს შორის სოკოებივით „აღმოცენდებიან“ მაღალსართულიანი შენობები. სახლი, რომელსაც 15-ოდე წუთის წინ მერვე სართულის ფანჯრიდან ვათვალიერებდი, ან ახალი აშენებული იყო, ან პატრონის მარჯვე ხელებს კარგად შეენილბა მისი ნამდვილი ასაკი. სახლი ორსართულიანი გახლდათ. პირველი სართული აგურით იყო ნაშენები, მეორე — ხით და აკურატულად იყო შეღებილი. შესაძლოა, ოდესღაც

# იდუმალი სახლი

სახლს ღობეც ჰქონდა. ახლა კი მის წინ 2 დიდი ალვის ხე იდგა.

პირველ სართულზე ორი ფანჯარა ოდნავ იყო განათებული. ასეთი შუქი იმ სახლიდან გამოდის ხოლმე, სადაც ვილაცას ელიან.

ზარის მელოდიურმა წკრიალმა აზრი გამიფანტა. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ თურმე მე ვრეკავ ზარს, შესასვლელ კარზე, სწორედ ამ სახლში. რატომ? რისთვის?

აბა, მკითხეთ, რამდენი ატომია წყალბადის ბირთვში ან ვინაა ამერიკის XV პრეზიდენტი... ბოლოს და ბოლოს, მკითხეთ, დავიბრუნებთ თუ არა დაკარგულ ტერიტორიებს — გიპასუხებთ! მაგრამ აქ რამ მომიყვანა, ამაზე პასუხს ვერ გაგცემდით.

კარს მიღმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა.

„გავიქცე“ — გამიელვა თავში, მაგრამ ამასობაში კარი გაიღო და არამიწიერი სილამაზის გოგონა დავინახე, რომელიც ინტერესით მიყურებდა.

რა თქმა უნდა, ჩემი ვიზიტის მიზეზი უნდა ამეხსნა.

— უკაცრავად, წყალს ვერ დამალევინებთ?

წყალი! ერთი ჭიქა წყალი! მხოლოდ იდიოტი თუ მოიფიქრებდა ასეთ რამეს... თანაც, რომელი საათია? ის ვთქვი, რაც სასმლით დამძიმებულ ტვინში პირველად მომივიდა აზრად.

უფრო სწორად, კი არ ვთქვი, ამოვიხრიალე, რადგან პირი გამშრალი მქონდა... ამაში დამნაშავე მასპინძლის სილამაზე იყო.

„ახლა პატრულს გამოიძახებს“, — გავიფიქრე მაშინვე.

მოულოდნელად გოგონა აკისკისდა.

— მინერალური წყალი გნებავთ? — ჩემს პასუხს არც დალოდებია, ისე მითხრა. — მობრძანდით, დაბრძანდით და ახლავე მოგართმევთ.

ის გავიდა... მე კი ჯერ კიდევ ვერ გამეგო, რა ხდებოდა და იდიოტივით ვიდექი ზღურბლზე. რამდენიმე წუთის შემდეგ გოგონა ისევ გამოჩნდა.

— აქ რატომ დგახართ? შემოდით, ნუ გერიდებათ, აი, წყალი...

ის ჩემგან 2 მეტრში გაჩერდა და თითქოს მიკარნახა, რომ ადგილიდან უნდა დავძრულიყავი.

— მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მომწყურდა... თქვენი ფანჯრებიდან კი სინათლე გამოდიოდა... ფეხსაცმელი ტალახიანი მაქვს, აქ ვიდგები, გმადლობ.

რალაცას ვბუტბუტებდი... დიასახლისი რამდენიმე წამის განმავლობაში ჩუმად მისმენდა, შემდეგ ისევ გაიცინა. ამ სიცილმა წონასწორობიდან გამომიყვანა.

— რატომ იცინით? — ვკითხე და შემეტყო, რომ ცოტა მეწყინა.

— ძალიან სასაცილო ხართ, — ძალიან უბრალოდ მიპასუხა, — თუ პრინციპის საკითხია, მაშინ ფეხზე გაიხადეთ, აი, ის წითელი ფლოსტები ჩაიცვით და შემოდით, სტუმრებთან ღია კარში ლაპარაკს დაჩვეული არ ვარ.

„სტუმრებთან“! თითქოს დაპატიჟებული ვიყავი.

ჩავიცვი „აი, ის წითელი ფლოსტები“ და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი... რატომღაც დივნის მიმართულებით წავედი. გოგონამ დამასწრო:

— დიახ, მანდ დაბრძანდით.

მორჩილად დავჯექი ძველ, მაგრამ კარგად შემონახულ დივანზე.

— მიირთვით წყალი, — ჭიქა მომაწოდა.



აღარ მწყუროდა. ახლა თითქოს სიცივემ ამიტანა. ასეთი რამ ხშირად მემართება — ახალგაზრდა, ლამაზი ქალების გვერდით თავიდან ვიბნევი ხოლმე. ეს გოგონა კი მხოლოდ ლამაზი კი არ იყო, ქალღმერთს ჰგავდა.

წყლის დალევამ კი მაინც მომიწია. ძლივს გადავყლაპე რამდენიმე ყლუპი და უკვე შეჩვეულმა, რომ ამ საღამოს ყველაფერი უცნაურად ვითარდებოდა, ღიმილით ვთქვი:

— თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ, — ცოტა შევყოვნდი და პათოსით (მაგრამ გულწრფელად) დავამატე, — თქვენ კი ცხოვრებასავით მშვენიერი ხართ.

უეცრად ძალიან შევშინდი, რადგან ჩემი მასპინძელი გაფითრდა, სახიდან ღიმილი ჩამოერეცხა და მზერა გაეყინა...

ეს მზერა გამახსენდა! სწორედ ამ მზერამ შემაძრწუნა, როდესაც გოგონა პირველად დავინახე: არაამქვეყნიური, მკვდარი მზერა!

ის ზურგით ჩემკენ, ფანჯარასთან იდგა. მეგონა, ტიროდა, მაგრამ მისი მხრები არც კი ირხეოდა. მეგონა, რომ სუნთქვა შეწყვიტა. ვერ გავიგე, ჩემმა კომპლიმენტმა ასეთი რეაქცია რატომ გამოიწვია, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი წასვლის დრო იყო.

— მაპატიეთ, თქვენი წყენინება არ მინდოდა. ნამდვილად სულელი ვარ. არ ვიცი, რატომ დავაკაკუნე თქვენთან. ყველაფრისთვის მადლობა, კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას... მე წავალ...

კართან თითის წვერებზე მივედი და ის იყო, ფეხსაცმლის ჩაცმა დავიწყე, რომ მისი ხმა მომესმა და ხერხემალში დენივით დამიარა.

— არ წახვიდე, დარჩი, გთხოვ...

ყურადღება არც მიმიქცევია იმისთვის, რომ მან „შენობით“ მომმართა. მე მხოლოდ ვედრება გავიგონე.

ახლაც კი ჩამესმის ეს ხმა.

10 წუთის შემდეგ ჩვენ უკვე გულიანად ვიცინოდით, ანეკდოტებს ვყვებოდით. ღამის 2 საათისთვის კი მივხვდი, რომ დიდი ხანია, ასე კარგად თავი არ მიგრძნია. მიხაროდა, რომ მასპინძელიც იმავეს ამბობდა:

— იცი, სანდრო, მე შენში არ შევცდი. ასე მგონია, მთელი ცხოვრება გიცნობ. სამწუხაროა, რომ ბედმა მხოლოდ დღეს შეგვახვედრა...

— ეგ არაფერი, ნატა, მთავარია, რომ ერთმანეთი გავიცანით. მთელი ცხოვრება წინ გვაქვს!

გულში კი ვფიქრობდი, ეს სწორედ ის იყო, ვისთან ერთადაც ყველაფერი გამომივიდოდა, ვისთან ერთადაც ცხოვრების ყველა სირთულეს გავუმკლავდებოდი და ვისთვისაც სიცოცხლესაც კი გავიღებდი.

...მაგრამ მისი განწყობილება ისევ შეიცვალა. ღიმილი მოსხიპა და წყნარად თქვა:

— არა, სანდრო. ჩვენს ბედნიერებას მხოლოდ 1 დღე-ღამის სიცოცხლე აქვს.

გული უადგილო ეჭვმა მომიწურა.

— რა თქმა უნდა, ისევ ჩემი სისულელის გამო ვიფიქრე, რომ სილამაზის ქალღმერთს რჩეული და გულის სწორი არ ეყოლებოდა.

— არა, ასე არაა, ცდები, — ხელი ხელზე მომიჭირა, თითქოს ცდილობდა, შევეჩერებინე და ისევ კარისკენ არ დავძრულიყავი. ხელი ისეთი ცხელი ჰქონდა, თითქოს სისხლძარღვებში სისხლი კი არა, გამდნარი ლავა მიედინებოდა, — გულის სწორი არ მყავს. რა თქმა უნდა, არსებობდნენ მამაკაცები, რომლებსაც ვუყვარდი და რომლებიც მეც მომწონდა, მაგრამ ყველანი უეცრად ქრებოდნენ, როგორც კი გაიგებდნენ, რომ... გაიგებდნენ, რომ...

— რას გაიგებდნენ?!

გოგონას ჯერ პასუხი არ ჰქონდა გაცემული, მაგრამ უეცრად, ყველაფერი ნათელი გახდა. წინათგრძნობამ, რომელმაც აქ მომიყვანა, მიკარნახა, რომ...

— იქნებ ეს არ უნდა გითხრა, მაგრამ შენი მოტყუება არ შემიძლია. მე მალე მოვკვდები... ძალიან მალე...

აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიტირე. მსხვილი, მლაშე ცრემლი ჩემს ლოყებზე მოგორავდა, როდესაც მის ნაამბობს ვისმენდი.

ეს ნამდვილი წყევლა იყო. სხვას ვერაფერს დაარქმევდი.

მისი ბებია 35 წლის ასაკში გარდაცვლილა, დედა — 30, და — 25 წლის ასაკში. დედის მხრიდან, ყველა ნათესავი ქალი ადრე კვდებოდა. ექიმები დიაგნოზს ვერ სვამდნენ. იდუმალებით მოცული სისუსტე გარეგნულად და შინაგანად არ მჟღავნდებოდა. ისინი უბრალოდ, სიზმარში კვდებოდნენ, ყოველგვარი ტკივილისა და ტანჯვის გარეშე. თავის დაბადების დღეს იძინებდნენ და აღარ იღვიძებდნენ და ყოველი მომდევნო — წინამორბედზე 5 წლით ახალგაზრდა ასაკში ტოვებდა წუთისოფელს.

ხვალ, უფრო სწორად, უკვე დღეს, გოგონას 20 წელი უსრულდებოდა.

— სხვა ნათესავები არ გყავს? — ძლივს ვიცანი ჩემი ხმა.

— დედის მხრიდან უკვე დიდი ხანია, ბიჭი არავის შესძენია. ჩემმა დამ გათხოვებაზე უარი თქვა, რათა შვილები არ გაეჩინა. დედაჩემის მამა — ჩემი ბაბუა ყაჩაღებმა მოკლეს, მამაჩემი კი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

განადგურებული ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მეღონა. გოგონას დაწყევლილი სახლიდან გავქცეულიყავი თუ გამბედაობა მომეკრიბა და მასთან ერთად მთელი ღამე და მომდევნო დღე გამეტარებინა... ან იქნებ, 2, 3, 4 დღეც, რადგან იქნებ წყევლას ამ მშვენიერ არსებაზე არ ემოქმედა?

როგორც ჩანს, გოგონამ ჩემი აზრები წაიკითხა და მშვიდი ხმით მითხრა:

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო, ჩემი სიკვდილი უკანასკნელი იქნება, რადგან უკვე აღარავინ დარჩა, ვისზეც წყევლა იმოქმედებს. ეს წყევლა შენ არ შეგეხება, მაგრამ თუ გეშინია, შეგიძლია, წახვიდე. მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ეს დრო ჩემთან ერთად გაატარე. ახლა მე უკვე აღარ მეშინია...

ის იღიმებოდა და მისი მზერა არაამქვეყნიურად აღარ მეჩვენებოდა... მისი მზერა სიყვარულსა და სითბოს აფრქვევდა.

მივხვდი, რომ მასთან მხოლოდ ამ ღამისა და მომდევნო დღის გატარებაზე კი არა, მასთან ერთად სიკვდილზეც კი თანახმა ვიყავი.

ჩვენ ერთმანეთის ალერსით მანამდე ვტკბებოდით, ვიდრე ფანჯრებში მზემ არ შემოიხედა. ვუყურებდი, როგორ მშვიდად სუნთქავდა მძინარე გოგონა... ვისუნთქავდი მისი ლამაზი სხეულის სურნელს, მჯეროდა ჩვენი სიყვარულის სიძლიერისა და უკვდავებისა და ვფიქრობდი, რომ რაც ღამით მოვისმინე, ის უბრალოდ, საშინელი ზღაპარი იყო და მეტი არაფერი. ახალი დღე კი ყველა შიშს დაძლევდა და მთელ ცხოვრებას ლამაზ ზღაპრად აქცევდა.

ნატამ სადღესასწაულო ტორტზე ყველა სანთელი სულის ერთი შებერვით ჩააქრო.

— აი, შენ უკვე დიდი გოგო ხარ და შეგიძლია, შამპანურიც კი დალიო.

— მართლა? — გაიცინა ნატამ. — მამაკაცის კოცნაც შემიძლია?

— შე ეშმაკუნავ, — ეჭვიანი ქმრის როლი მოვირგე, — არავითარი მამაკაცი!

— შენ რა, მამაკაცი არ ხარ? — გაიცინა ნატამ.

— მე გამონაკლისი ვარ! — ამაყად წამოვიძახე, მჯიღი მკერდზე დავირტყი და ჩავახველე, რადგან შამპანური გადამცდა.

— აუჰ, ნამდვილი ტარზანი ხარ!

ნატა მუხლზე ჩამომიჯდა. ტკბილი ტუჩები ჰქონდა... თავი ვერ შევიკავე და გულში ჩავიკარი... კარგა ხანს ვდუმდით.

გარეთ ბინდდებოდა.

— იცი, ნატა, ჩვენ შენმა სახლმა გაგვაცნო ერთმანეთი. ამ მაღალსართულიან, ლიფტებიან და ნაგავსაყრელიან კორპუსებს შორის ეს ერთადერთი სახლი ცოცხალივით გამოიყურება. მისი ფანჯრებიდან გამოსული სინათლე მაგნიტივით მიზიდავდა... ახლა უკვე ვხვდები, რატომაც...

— მართალი ხარ, სიხარულო, ეს სახლი ძალიან მიყვარს. შენამდე ჩემი ერთადერთი მეგობარი ის იყო, — გოგონამ გაიცინა, მაგრამ სერიოზული ხმით განაგრძო: — მამამ ის ჩემი დის გარდაცვალების შემდეგ იყიდა. 1 წლის შემდეგ კი თვითონაც გარდაიცვალა. მაშინ 16 წლის ვიყავი. მინდა, რომ ეს შენი სახლიც გახდეს, — მისმა ჩურჩულმა ყურზე ცეცხლი წამიკიდა.

— ის ჩვენი სახლი იქნება, ჩემი და შენი, — ჯიუტად ვიმეორებდი ერთსა და იმავეს.

— ჰო, სანდრო, ის ჩვენი იქნება, ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით...

ბოლო სიტყვები უკვე ძილში ჩამესმა... სიცივემ გამაღვიძა... ხელი მოვაფათურე... ნატას გაყინულ მარჯვენას შევეხე და გველნაკბენივით წამოვხტი...

ხშირად ვკითხულობ წერილს, რომელიც ნატამ დამიტოვა:

„სანდრო, ჩემო სიხარულო და ერთადერთო სიყვარულო!

ჩვენ ახლა არ შეგვიძლია ერთმანეთის დანახვა, მაგრამ მჯერა, რომ ერთმანეთზე ფიქრი შეგვიძლია და მჯერა, რომ ჩვენი გულები ერთმანეთს შეხვდებიან თუნდაც ათასი წლის შემდეგ, თუნდაც სხვა სამყაროში, მაგრამ აუცილებლად შეხვდებიან!

სიხარულო, მიწიერი ცხოვრება ხალისით გაატარე... მინდა, რომ საყვარელი ცოლი და შვილები გყავდეს... მე ხომ ასე ვნატრობდი, შვილი მყოლოდა... მოვითხოვ, რომ დაქორწინდე და შვილები გააჩინო! ახლა ეს სახლი შენია... ვიდრე შენ ჩემი დაბადების დღისთვის საჩუქრებსა და ტორტზე ზრუნავდი, მე ნოტარიუსთან ვიყავი და ყველა საბუთი ოფიციალურად გავაფორმე. გახსოვდეს, რომ ეს სახლი ცოცხალია და შეიძლება დაავადდეს, თუ მასზე არ იზრუნებ. მჯერა, რომ მას არასოდეს დაივიწყებ.

შენი ნატა.

P.S. იცოდე, რომ მე ზემოდან ყველაფერს ვხედავ“.

გუშინ ჩემი ნატას დაბადების დღე იყო. მას 23 წელი „შეუსრულდა“... რამდენიმე ჭიქა შამპანურმა უცებ დამათრო. ახლა თითქმის აღარ ვსვამ და მცირე რაოდენობით ალკოჰოლიც კი მთენთავს. სავარძელში ვიჯექი და ვთვლემდი, როდესაც ზარის წკრიალმა გამომაფხიზლა.

ზარმა შემაკრთო... სწორედ ასეთი შეგრძნება მქონდა 3 წლის წინ, როდესაც ამ სახლის კართან ვიდექი და ზარის ღილაკისკენ ხელი გავიწვდინე.

— უკაცრავად, წყალს ვერ დამალევინებთ? — კართან ულამაზესი გოგონა იდგა.

— მინერალური წყალი გნებავთ? — ვკითხე და სამზარეულოში გავბრუნდი, — აქ რატომ დგახართ? შემოდით, ნუ გერიდებათ, აი, წყალი...

როდესაც გაოგნებული გოგონას თვალებს გადავაწყდი, მივხვდი, რომ ძველ სცენარს ვფურცლავდი... არ მინდოდა! არ შემეძლო ახალი სცენარის დაწერა, რადგან რეჟისორი მე არ ვიყავი... რეჟისორი სახლი იყო...

— რა გაცინებთ? — სტუმრის ხმაში წყენა ისმოდა.

— თქვენ ისეთი სასაცილო ხართ, — თბილად ვუთხარი, — თუ თქვენთვის ეს პრინციპის საკითხია, ფეხსაცმელი გაიხადეთ და აი, ის წითელი ფლოსტები ჩაიცვით, მე სტუმრებთან ზღურბლზე ლაპარაკს დაჩვეული არ ვარ...

■

# „გმადლობთ, რომ არსებობ“

**20 წლის ბიჭს მამის გარდაცვალების შემდეგ ხელში ჩაუვარდა მისი ჩანაწერები. კაცი შვილს სთხოვდა, მოეძებნა მარიამი, მისი დიდი და დაუვიწყარი სიყვარული და გადაეცა წერილი, რომელსაც წლების განმავლობაში ინახავდა და ვერ გაებედა ქალისთვის გაეგზავნა („გთხოვ, მოძებნე მარიამი“, „კვირის პალიტრა“, 18 სექტემბერი, 2006 წ).**

*მარინა ბაბუნაშვილი*

## ამბავი პირველი

### წარსულის გადაფასება

მარიამი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში. 24 წელი გასულიყო უნივერსიტეტის დამთავრებიდან და გულით უხაროდა, რომ თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა.

იმ დღესაც ჩვეულებრივად მივიდა სკოლაში. ჩაატარა გაკვეთილები, მერე კი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში შემორჩა. უნდოდა, მოსწავლეთა თემები შეესწორებინა. კარზე კაკუნი გაისმა. გაუკვირდა. კარი დაკეტილი არ იყო და ასეთ დროს ბავშვები ან მასწავლებლები ჩვეულებრივად შემოაღებდნენ ხოლმე კარს... ღიააო, — დაუძახა, მაგრამ არავინ შემოსულა, კაკუნი კი კვლავ განმეორდა. მარიამი ადგა და კარი გამოაღო. ზღურბლთან სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი იდგა.

დათო ვარ, გიორგის ვაჟი. მამა ორი კვირის წინ გარდაიცვალა. თქვენთვის ეს წერილი დაუტოვებია, მე მთხოვა, რომ მომეძებნეთ და გადმომეცა ბარათიო, — უთხრა მამაკაცმა.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისე გაშეშდა ქალი, თავაზიანი ღიმილიც პირზე შეეყინა...

გიორგი მისი დიდი სიყვარული იყო. ის და მარიამი ერთად სწავლობდნენ უნივერსიტეტში. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სჯეროდათ, რომ ბედნიერები იქნებოდნენ... სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ბიჭსაც და გოგოსაც მშობლებისგან გაუგებარი წინააღმდეგობა შეხვდათ, ბოლოს ერთიც და მეორეც დანებდა იმ მოთხოვნებს, რომელიც უფროსებმა წამოუყენეს და ერთმანეთს დაშორდნენ. ბიჭმა სხვა შეირთო ცოლად, გოგოც გათხოვდა.

შორიდან თითქოს ორივე ბედნიერი ჩანდა.

...ძნელი იყო მარიამისთვის გიორგის წერილის წაკითხვა, მაგრამ მის ბოლო სურვილზე უარის თქმა არ შეეძლო... დათომ ჯერ ის წერილი წააკითხა ქალს, რომელიც მას ეკუთვნოდა.

„...ჩემო შვილო, ჩემი დიდი სურვილი ისაა, რომ აუცილებლად სიყვარულით შეირთო ცოლი. რაც უნდა კარგი ცოლი შეგხვდეს, თუ სიყვარული არ იქნა, შინაგანი ხმა მაინც არ მოგასვენებს — ეს ის არაა, ვისაც ვეძებდიო. არც ადრეულ ასაკში ვარგა დაოჯახება. არც დაკარგული სიყვარულის მერე „ვიღაცის“ გამუდმებული ძებნაა გამართლებული. მთავარია, იმას გაუფრთხილდე, რაც ხელისგულზე გაქვს. ამას გამოცდილება მალაპარაკებს...

მამა ვარ და მინდა, ჩემმა შვილმა იმ ქალთან იცხოვროს და იმან გაუჩინოს შვილები, ვინც უსაზღვროდ უყვარს... არ იფიქრო ჩემზე, დაბერდა და ჭკუა გამოეცალაო. იცი რა? ჩემს ასაკში კაცი წარსულის გადაფასებას იწყებს... იმდენი შეცდომა აღმოვაჩინე, ლამის გული გამიჩერდა. სიბერისა არ მეშინია, არც სიკვდილის... რისაც მეშინოდა, ის უკვე მოხდა. ახლა მთავარია, შენ და თაკო ბედნიერები მყავდეთ. და კიდევ, დათო, ძალიან გთხოვ, თუ რამე მომივიდა, ამ წერილთან ერთად კიდევ ვტოვებ ერთ წერილს, ის მარიამს ეკუთვნის და არ დაიზარო, მოძებნე იგი და გადაეცი მისთვის განკუთვნილი ბარათი“.

## ამბავი მეორე

### „მარიამს!“

მარიამი გაფითრებული კითხულობდა გიორგის წერილს. ცდილობდა, ცრემლები როგორმე შეეკავებინა ამ უცხო ბიჭის წინაშე, მაგრამ ვერ ახერხებდა. დათო მიხვდა, სჯობდა, ქალი მარტო დაეტოვებინა. ხელზე ეამბორა, — მე კიდევ გინახულებთო, — უთხრა და გამოემშვიდობა.

ქალს ის გაუხსნელი კონვერტი ეჭირა, რომელზედაც ლამაზი ასოებით ეწერა „მარიამს!“. გრძნობდა, რომ ამ კონვერტში მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წერილი იდო, წარსულის ტკივილიანი გახსენებითა და სინანულით. მარიამს არ შეეძლო, საკლასო ოთახში წაეკითხა წერილი, ამიტომ ცოტათი დამშვიდდა თუ არა, შინისკენ გასწია. როგორც იქნა, გვიან ღამით თავის ოთახში განმარტოვდა. აქ ხშირად უყვარდა ყოფნა — ხან რვეულებს ასწორებდა, ხან კითხულობდა...

გიორგის წერილმა იგი ერთიანად შეძრა და წარსულში დააბრუნა...

„მარიამ, ეს წერილი შენ გეკუთვნის. ამდენი წელი დარდსა და ფიქრში გავატარე. ვიცი, ეს ქაღალდიც ვერ დაიტევს ბევრს, მაგრამ მაინც მინდა, აქედან გაგესაუბრო. რაც ვერ გითხარი, ის ახლა მაინც გაგიმჟღავნო... უპირველესად, მინდა გითხრა, რომ ძალიან ვნანობ, შენთვის ბოლომდე რომ არ ვიბრძოლე. არ უნდა დამეხია უკან... მარიამ, ამდენი წელი გავიდა და ვერა და ვერ ამოგიგდე ვერც გონებიდან, ვერც გულიდან. ხომ მიყვარდი, მერე უფრო მივხვდი, როგორი ძვირფასიც იყავი ჩემთვის. გახსოვს, გეუბნებოდი, პირველი ბიჭი შეგვეძინება და დავითს დავარქმევთ-მეთქი... ბიჭი შემეძინა, დავითიც დავარქვი, მაგრამ შენ არ იყავი მისი დედა... მახსოვს, როცა ბიჭებმა გიამბეს ჩემი „გმირობის“ ამბავი, გამებუტე... ძლივს შეგირიგე. მაშინ ზღვაზე ვიყავით ბიჭები. შენ 10 აგვისტოს შემდეგ უნდა ჩამოსულიყავი. მე, დათომ და მამუკამ ნაძლევი დავდეთ, ვინ გასცურავდა ყველაზე შორს. შენი თავი ხმამაღლა დავიფიცე, ვერც გამისწრებთ და ჩემზე დიდხანს ვერც ერთი გაძლებთ წყალში-მეთქი... ნახევარი საათის შემდეგ ბიჭებმა ყვირილი დამიწყეს, — ვიცით, რომ მაგარი მოცურავე ხარ, დაბრუნდიო. მე კი თითქოს არც მესმოდა, წინ მივცურავდი. რომ დავიღალე, შემოვტრიალდი და ზღვის მეტი ვერაფერი დავინახე. ნაპირი საერთოდ აღარ ჩანდა. ისევ შენ გახსენე და უკან ზურგზე დაწოლილმა გამოვცურე. ბიჭებიც და ხალხიც საკმაოდ შეშფოთებულები დამხვდნენ ნაპირზე. ერთხელ, მაშინ უკვე ორივე შვილი მყავდა, ავარიაში მოვყევი. მე და თაზო ქუთაისიდან მოვდიოდით. თაზო იოლად გადარჩა, მე გავითიშე და ერთი კვირა რეანიმაციაში ვიყავი. სულ შენ მელანდებოდი, მარიამ, შენ გელაპარაკებოდი, გიმტკიცებდი, რომ მე არ მიმიტოვებიხარ, არ შემშინებია ბედის, შენთან მინდოდა; გპირდებოდი, რომ ამიერიდან სიკვდილამდე ერთად ვიქნებოდით. ხელჩაკიდებულები დავდიოდით მზით გაჩახჩახებულ მინდორში... ახლაც ცხადად მახსოვს ის სიზმარი თუ გამოცხადება... მერე უცებ კლდის ნაპრალთან აღმოვჩნდით. მე ფეხი დამიცურდა და უფსკრულში უნდა გადავჩეხილიყავი, ხელი წამავლე და ამომათრიე. გონს რომ მოვედი, ექიმები გადარჩენას მილოცავდნენ... როცა გამოვკეთდი, საშინლად მომინდა შენი ნახვა. გავიგე შენი ახალი მისამართი და სახლთან პატარა ბიჭივით ჩაგისაფრდი. შენ და შენი ქმარი ერთად გამოხვედით სადარბაზოდან. ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდი, გული ჩამწყდა. ასე ხომ მხოლოდ მე მიმზერდი ხოლმე. მივხვდი, შენთან მოსვლას და ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა — შენ ბედნიერი იყავი და უფლება არ მქონდა, შენი ბედნიერება, სიმყუდროვე დამერღვია და ამეფორიაქებინე. დავიფიცე, აღარასოდეს მენახე, აღარც მეფიქრა შენზე. პირველი ავასრულე, მეორე — ვერა. ვნანობ კი არა, უსაზღვროდ მწყდება გული, შენზე ფიქრი მრავალი წლის მანძილზე ჩვეულებად მექცა. ლხინია თუ ჭირი, ზეიმი, ჩვეულებრივი თუ გამორჩეული დღე — ზარივით რეკდა ეს გაფიქრება: „ნეტავ, ახლა სად არის მარიამი? რას აკეთებს ან ვისთან არის?“ მიყვარხარ, მარიამ, დღემდე უსაზღვროდ და მიუხედავად იმისა, რომ შენ ჩემ გვერდით არ იყავი, ამ სიყვარულით მაინც ბედნიერი ვარ, ისიც სიხარულს მანიჭებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამ წერილს წაიკითხავ და ჩემი გრძნობის თანაზიარი გახდები. ვიცი, გაგიჭირდება ამ სტრიქონების უემოციოდ წაკითხვა. ბედნიერებას გისურვებ, გაიხარე და დიდხანს იცოცხლე. მადლობელი ვარ, რომ ამქვეყნად არსებობ, რომ ამხელა სიყვარული მაჩუქე. გიორგი“.

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# სად მუშმალა, სად — პლანი?

მარი ჯაფარიძე

ჩემი და პატრულის ურთიერთობაზე ბევრი გსმენიათ და გაგიგონიათ უკვე, მაგრამ მინდა, ერთი შემთხვევა გავიხსენო, რომელიც ჩემი და პოლიციის ურთიერთობას ეხება. ამბავი საკმაოდ კურიოზულია და თუ რომელიმე „მთავარი გმირი" წაიკითხავს, ნამდვილად გაიხსენებს...

საქმე ის გახლავთ, რომ წლების წინ (ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ სხვა პრეზიდენტი გვყავდა და მე „მარშრუტკით" დავდიოდი) ახლობელმა ახალი დიეტა მასწავლა. მისი მთავარი შემადგენელი კომპონენტი მუშმალას ფოთლები გახლდათ, რომლის 50 ცალისგან სპეციალური ნაყენი მზადდებოდა. მოგეხსენებათ, მუშმალა ტროპიკული მცენარეა და განსაკუთრებით კარგად ხარობს ზღვისპირა რეგიონებში. ვინაიდან აქ, თბილისში, ჩემს ნაცნობებში (ვისაც კერძო სახლი აქვს) მუშმალას ფოთლები ვერ ვიშოვე, ბათუმელ ახლობელს დავუკავშირდი და ვთხოვე, 100 ცალი ფოთოლი გამოეგზავნა. შემპირდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე კვირა და აღარ შემეხმიანა. ისევ შევახსენე... ისევ შემპირდა და ასე გამეორდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

ერთ მშვენიერ დღეს კი „მარშრუტკაში" ვიჯექი და სამსახურში მივემგზავრებოდი, როდესაც იმ ბათუმელმა ახლობელმა დამირეკა.

ტელეფონის ეკრანზე მისი ნომერი რომ დავინახე, ძალიან გამიხარდა. ვიფიქრე, როგორც იქნა, დაადგა საშველი და ახლა მაინც გამომიგზავნის სასურველ და სანატრელ ფოთლებს-მეთქი.

— მარი, როგორ ხარ? — ისე ომახიანად მომიკითხა, მივხვდი, ჩემი საქმე კარგად იყო.

— კარგად.

— როგორც იქნა, დავაყენე საშველი და დღეს გიგზავნი მუშმალას ფოთლებს.

— ვაა, როგორც იქნა! არის, ასრულდა ოცნება?!

— ჰო, ბათუმის „მარშრუტკას" გამოვატანე...

— რამდენი ფოთოლია? — ხომ არ დაავიწყდა, 100 რომ უნდა გამოეგზავნა-მეთქი, გავიფიქრე და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, დავაზუსტე.

— 100.

— ბათუმის „მარშრუტკა" აქ ალბათ 4 საათისთვის იქნება, არა? (მაშინ ავტობანი ჯერ არ იყო, არც ასფალტი იყო დაგებული და დილით გამოსული ტრანსპორტი საღამოს თუ ჩამოაღწევდა თბილისამდე).

— ჰო, დაახლოებით მაგ დროისთვის, შესაძლოა, უფრო გვიან.

— დიდუბეში შემოვა?

— კი.

— დიდი მადლობა, გენაცვალე, 4-ზე დავხვდები, გაიხარე!

ასე დავასრულე ჩემი საუბარი და ტელეფონი გავთიშე. თქვენ კი ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბეთ, რომ ყველაფერი სწორედ ამ საუბრიდან დაიწყო.

4 საათისთვის დიდუბის სადგურში ვიყავი და ვინაიდან გაგანია ზაფხული იდგა და ძალიან ცხელოდა, ერთ-ერთი ჯიხურის ჩრდილს შევაფარე თავი.

ჩემ გარშემო 2 ახოვანი მამაკაცი ტრიალებდა. ორივეს მზის სათვალე ეკეთა და თეთრ პერანგში გამოწყობილები, შუაგულ სიცხეში, ბოლთას სცემდნენ. თან ჩემკენ ხშირ-ხშირად იყურებოდნენ...

ვიფიქრე, არიქა, მგონი, ბედი გამეხსნა, მოვეწონე რომელიმეს-მეთქი და ცოტა გავეპრანჭე კიდეც... თმა გავისწორე, გავუღიმე, მაგრამ ჩემს ღიმილს არ უპასუხეს... მაშინ კი გავიფიქრე, ესენი მგონი, „ცოტა ვერ არიან", ეტყობა, მზე „ჩაუვარდათ" თავში, ასე მოწამლული ტარაკნებივით რომ დაბორიალებენ ამ შუა მზის გულზე-მეთქი, მაგრამ ვინაიდან ჩემი საქმე არ იყო, ყურადღება აღარ მივაქციე...

ამასობაში, როგორც იქნა, ის „მარშრუტკაც" გამოჩნდა, რომელსაც ჩემთვის „ამანათი" მოჰქონდა.

მძღოლმა დიდი ამბით გადმომცა შავ ცელოფანში გამოკრული ჩემი მუშმალას ფოთლები, მადლობა გადავუხადე და ის იყო, გამოვბრუნდი, რომ აქეთ-იქიდან ის 2 ყაზილარი ამომიდგა, ცოტა ხნის წინ მოწამლულ ტარაკნებს რომ შევადარე.

— ჩუ, ხმა არ ამოიღო, უხმაუროდ გამოგვყევი, — მითხრეს და მკლავებში დამეჭიდნენ.

— ვინ ხართ? — წინააღმდეგობის გაწევა ვცადე, მაგრამ იმათ რკინისებურ მარჯვენას სად გავექცეოდი?

— იქ გაიგებ ყველაფერს, — მხოლოდ ეს მითხრეს და იქვე მდგარი მანქანისკენ წამიყვანეს. თან ბათუმიდან ჩამოსულ, იღლიაში ამოჩრილ პაკეტს ხშირ-ხშირად მისწორებდნენ, რომ სადმე არ დამვარდნოდა.

— არ ჩავჯდები მანქანაში, — ფეხები გავაფიჩინე ღია კართან.

— დაჯექი, — მიბრძანა ერთმა.

— არა! — კატეგორიულად ვიუარე, მაგრამ არც ამან გაჭრა.

— დაჯექი, შენთვისაა უკეთესი, — შემიღრინა მეორემ.

ეს მეორე უფრო აგრესიული ჩანდა. მივხვდი, თუ არ დავემორჩილებოდი, აუცილებლად, სრულიად უცერემონიოდ შემტენიდა მანქანაში და მშველელიც არავინ გამოჩნდებოდა.

ჩათრევას ისევ ჩაყოლა ვამჯობინე და მანქანაში ჩავჯექი. ორიოდე წუთში პოლიციის განყოფილებასთან მივედით.

— გადმოდი, — კარი ნამდვილი ჯენტლმენებივით გამიღეს.

— არ გადმოვალ, — ახლა გადმოსვლაზე განვაცხადე მტკიცე უარი.

— გადმოდი, რომ გეუბნები, — კოპები შეყარა ისევ ერთმა.

— არ გადმოვალ! მე პოლიციაში არაფერი მესაქმება და არ გადმოვალ! ახლა ჩემს ადვოკატს დავურეკავ! — ეს ფილმებში გაგონილი ფრაზა ვთქვი, თორემ ადვოკატი კი არა, საკუთარი სახელისა და გვარის მეტი არაფერი მებადა.

— გადმოდი, თორემ უფროსს დავუძახებ, — ისე მითხრა, პატარას „ბუატი" რომ შეაშინებს.

— უფროსს შენ კი არა, მე დავუძახებ, — მშვენიერმა აზრმა გამიელვა თავში და მანქანიდან ელდანაკრავივით გადმოვხტი და ხვეწნა აღარც დასჭირვებიათ, ისე გავიქეცი პოლიციის განყოფილების შესასვლელისკენ.

ე, ბიჭო, გაიქცაო, დაიძახა ერთმა და ორივე გამომეკიდა. როგორც კი შენობაში შევედი, გრძელ დერეფანში მიმოვიხედე და იმ კარს მივადექი, რომელსაც „კანცელარია" ეწერა. ოთახში 2 ქალბატონი დამხვდა. შევედი თუ არა, ის 2 ყაზილარიც შემომყვა.

— უფროსთან მინდა შესვლა, სადაა მისი კაბინეტი? — ვკითხე ქალებს.

— აქ დაბრძანდით, ქალბატონო, — მიმითითა ერთ-ერთმა „მდევარმა", — ჩვენ თვითონ მიგიყვანთ უფროსთან.

დავჯექი, მაგრამ გონებაში რა არ გავიფიქრე. ვერაფრით მივხვდი, რატომ მოვხვდი ამ გაუგებრობაში. ჩემს ახლო წარსულს გადავავლე თვალი, მაგრამ ისეთი ვერაფერი გავიხსენე, რაც დანაშაულად ჩამეთვლებოდა.

ნუ, წინა დღეს მეზობელთან წყალი კი ჩავუშვი, მაგრამ არა მგონია, იმას ეჩივლა... აბა, რა უნდა მომხდარიყო?

მეორე „ტარაკანი“ თავზე მადგა და იქვე, მაგიდაზე დადებულ ჩემს ცელოფანს თვალს არ აშორებდა.

— რა ხდება, იქნებ გამარკვიოთ? — მშვიდი ტონით ვცადე სიტუაციაში გარკვევა.

— მაგას იქ გაიგებთ, — ეს კი მითხრა, მაგრამ ეს „იქ“ სად იყო, ამას ცოცხალი თავით არ მეუბნებოდა.

— ახლა მე დავურეკავ ტელევიზიებს და ჩვენებას მხოლოდ მათი და ჩემი ადვოკატის თანდასწრებით მოგცემთ, — კოლეგები გამახსენდა.

— არ გინდა, გენაცვალე, ნუ დაიწყებ ბლატაობას, ისევ შენს სასიკეთოდ გეუბნები.

— რას ჰქვია, არ მინდა? ახლავე შემახვედრეთ უფროსს, თორემ გაჩვენებთ მე თქვენ, როგორ უნდა ჩემი პოლიციაში მოყვანა!

ის იყო, წამოვდექი და სიტყვით გამოსვლისთვის მოვემზადე იმის შესახებ, რომ ჩვენი პოლიცია ყველაზე უსამართლო პოლიციაა დედამიწის ზურგზე და რომ კორუმპირებულები და ნარკომანები არიან და ტყუილაუბრალოდ იჭერენ ხალხს, მაგრამ არ დამცალდა.

— აბა, წამობრძანდით, უფროსთან შევიდეთ, — პირველი დაბრუნდა და თავაზიანად მიხმო, — თან ისიც წამოიღეთ, — მიმანიშნა ჩემს ცელოფანზე.

უფროსის კაბინეტში, მაგიდის გარშემო, რამდენიმე მამაკაცი იჯდა.

ეტიკეტი თანახმად, ყველას ხელი ჩამოვართვი, მათ მიპატიჟებას არ დაველოდე, სკამი გამოვწიე და დავჯექი.

— მე აღშფოთებული ვარ, — დავიწყე „რეჩი“.

— რითი ხართ აღშფოთებული, ქალბატონო?

— თქვენი თანამშრომლების საქციელით.

— რას უჩივით?

— რას ვუჩივი და უფულობას. კიდევ, მარჯვენა თირკმელს ვუჩივი, ცოტას, — ირონია ავიწებე სახეზე.

— მერე, ეგ იცი, რამ იცის?

— რამ? — მართლა დავინტერესდი.

— აი, ამან, — მითხრა და ერთმანეთზე შეტყუპული, საჩვენებელი და შუა თითი პირთან მიიტანა და ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომელიც მოწევის ასოციაციას იწვევს.

— როგორ გეკადრებათ, — გავწიწმატდი, — მე არ ვეწევი და ამიტომ ეგ, — მეც იგივე მოძრაობა გავაკეთე, — არაფერ შუაშია.

— აბა, გასაყიდად გინდათ? — თვალები გაუფართოვდა უფროსს და რაღაცნაირად ჩაიცინა. დანარჩენებიც აჰყვნენ.

— რა მინდა გასაყიდად?

— რა და რაც მაგ ცელოფანში გაქვს.

— არა, რას ამბობთ, ეს ჩემთვის მინდა, — იმის შიშით, რომ ეს სიმწრით გამოგზავნილი მუშმალას ფოთლები არ წაერთმიათ, ლამის გულში ჩავიხუტე.

— თქვენთვის, არა?

— დიახ.

— რამდენი ფოთოლია? — ძალიან მკაცრი გამომეტყველებით მკითხა უფროსმა.

— რა თქვენი საქმეა? — არაფრის დიდებით არ მინდოდა „საიდუმლოს“ გათქმა.

— გვითხარი ახლა, ვისთვის გინდა ეგ ფოთლები. გასაყიდად თუ შენთვის? ვინ გამოგიგზავნა? საიდან გამოგზავნეს?



— ეს ფოთლები ჩემთვის მინდა, ჩემმა მეგობარმა, ლელამ გამომიგზავნა, ბათუმიდან, — უცებ მივეცი „ჩვენება“ და გონება გამინათდა.

გამახსენდა ჩემი სატელეფონო საუბარი „მარშრუტკაში“ და მივხვდი, რომ როგორც ჩანს, იქ პოლიციელი იმყოფებოდა, რომელმაც „ინფორმაცია“ მიიღო და იფიქრა, რომ პლანის ფოთლები გამომიგზავნეს, კოლეგებს შეატყობინა ამის შესახებ და ასე ამომაყოფინეს თავი პოლიციის განყოფილებაში. ჰოდა, ავდექი და თამაში წამოვიწყე.

— ეს პირველი შემთხვევა იყო? — ჯვარედინ დაკითხვას მიჰყვეს ხელი.

— არა, თვეში ერთხელ 100 ფოთოლს მიგზავნის ხოლმე, — მოვხსენი გუდას თავი.

— და გინდა გვითხრა, რომ შენთვის გინდა და არ ჰყიდი?

— რას ამბობ, ამას სხვისთვის როგორ გავიმეტებ?

— რა გქვია?

სახელი და გვარი სრულად ვუთხარი.

— სად მუშაობ?

ესეც ვუთხარი.

— ჟურნალისტი ხარ? — სახეზე გაოცება გამოეხატა.

— დიახ.

— ჩვენზე გიყვართ წერა და თქვენ თვითონ რამდენს აშავებთ, ნწუ.... ნწუ... ნწუ... — თავი სინანულით გადააქნია.

— რა ხდება, ამიხსნით თუ არა, ბოლოს და ბოლოს? — მოთმინების ძაფი გამიწყდა.

— აბა, ახლა გადმოყარე, მაგ ცელოფანში რაც გაქვს და ოქმიც გავაფორმოოოოთ...

— უკაცრავად, რა უნდა გააფორმოთ?

— ოქ-მიიიი...

— და რატომ აფორმებთ ოქმს?

— გენაცვალე, პლანის მოწევა, გაგზავნა-გამოგზავნა და ა.შ. კანონით ისჯება.

— ეგ ვიცი, კანონებში კარგად ვერკვევი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

უფროსმა ერთ-ერთს თვალით ანიშნა, ჩემი ცელოფანი გაეხსნა.

ისიც დასწვდა, ცელოფანს ორივე ხელით დაეჭიდა და გახია. იქიდან კი... როგორც იცით, მუშმალას ფოთლები გადმოცვივდა.

— ეს რა არის? — მაგიდაზე დაყრილ ფოთლებს ყველა ინტერესით დააჩერდა.

— ეს მუშმალას ფოთლებია, — თვალების ფახულით ვუპასუხე.

— ეგ რაღაა? — ერთმა მკითხა, მაგრამ დანარჩენები ისე ახარხარდნენ, რომ იქაურობა გააყრუეს.

უფროსმა ერთ-ერთ იქ მყოფს ისეთი თვალებით გახედა, მაშინვე მივხვდი, ინფორმატორი ის იქნებოდა.

— ეს რად გინდა? — მოტეხილი ხმით მკითხა უფროსმა.

— დიეტისთვის, — ისევ მიამიტი სახით ვუთხარი და მის წამოზრდილ ღიპს „დავარჭე“ მზერა...

— რა დიეტაა ასეთი? — „წამოიკნავლა“ აქამდე ჩუმად მჯდარმა, 200-კილოიანმა პოლიციელმა.

მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში, ზურგზე ხელებდაწყობილი ოთახში ბოლთას ვცემდი და მაგიდის გარშემო მჯდარ პოლიციელებს მუშმალას დიეტას ვკარნახობდი...

— ავიღოთ 50 ცალი მუშმალას მწვანე ფოთოლი...

ჰოდა, ტყუილი კი არ უთქვამს უფროსს, ჟურნალისტებს ჩვენზე წერა გიყვართო... აბა, მოდი და ამისთანა ამბავს ნუ დაწერ.

■

# „სადაც არის ბედი შენი"...



ინგა ჯაყელი

ქეთო მდიდარი ქალია. მამამაც საკმაო ქონება დაუტოვა მემკვიდრეობით, მაგრამ ის მაინც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც თავად იშოვა და შეძლო: ვაჭრობაც სცადა, მაკლერობაც... სული წაიწყმიდა და არც მევახშეობაზე უთქვამს უარი. ყველგან გაუმართლა. იმდენი ფული დაუგროვდა, სუპერმარკეტიც გახსნა და ისეთი სილამაზის სალონიც, ქალაქის მთელი ელიტა რიგში რომ იდგა მის სტილისტებთან მოსახვედრად...

ლარიანი ლატარია რომ ეყიდა, სულ მცირე, ას ლარს მოიგებდა, მაგრამ რად გინდა?! — 40 წელს მიაღწია და პირად ბედნიერებას ვერ ეღირსა. მამამისსაც თავისი დარდი გააყოლა საფლავში...

სიგრძე-სიგანეს და წონას ბავშვობაშიც არ უჩიოდა, მაგრამ რაც ასაკში შევიდა, მთლად გაფუვდა — 140 კგ-ს ვეღარ ჩამოაცილა წონა.

გულზე სკდებოდა:

— რასაც მე ვშრომობ და დავრბივარ, ზოგჯერ ისე ღამდება, პირში ლუკმის ჩადებას ვერ ვასწრებ. არც საფიქრალ-სანერვიულო მაკლია და ნამდვილად ბოლმით ვსივდები, ამდენი უმადურობის გადამკიდე!..

თქვენ გგონიათ, გაუთხოვარი დაბერდა?! სულაც არა. პირველად 20 წლის ასაკში გათხოვდა, მაგრამ ორ წელიწადში გააგდო მუქთახორა რეზო სახლიდან, რომელიც ყველა უბედურებასთან ერთად, ნარკოტიკსაც მიეძალა და ცოლის დაფეხმძიმებაც ვერ შეძლო. სამაგიეროდ, „ენას „ამუშავებდა" მარდად: — სადაა მამაშენის დაპირებული მანქანა და ჯიბის ფული, შენ გგონია, მარტო შენი სიყვარულით დავთანხმდი ამ ქორწინებას?! — აყვედრიდა თავს — იცი, რა გოგოები გავწიე გვერდზე მამაშენის ქონებისთვის?!.

ყველა უბედურებასთან ერთად, რეზომ საყვარელიც გაიჩინა, თან უცხო კი არა, ქეთოს ყოფილი კლასელი, უნამუსო მანანა. ჰოდა, წაადგათ ერთხელ თავს. შინ მობრუნებულ ქმარს გარეთ გამოდგმული დაახვედრა მზითევად მოყოლილი, ძველი, გაქუცული ჩემოდანი. ჯერ ეხვეწა რეზო, მერე დაემუქრა და ეგრე არ უნდაო, რომ გაიგდო ფეხქვეშ ქეთომ, ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან. მას შემდეგ იმ ქუჩაზე გავლაც აღარ გაუბედავს რეზოს...

არც მეორე ქმარი გამოადგა. გია ნაცოლები იყო, არადა — ორი წლის თანაცხოვრების შემდეგ აღმოაჩინა ქეთომ, რომ აფერისტობის მსხვერპლი შეიქნა: ცოლს თავად მიუგზავნია უხეირო ქმარი მასთან და ამ ორი წლის განმავლობაში მისი სახლიდან გაზიდული ქონებით მოუწყვია ცხოვრება. ეგ კი არა, დაორსულებულა კიდევაც ის ტუტუცი და საცაა, მესამე შვილი გაუჩნდებოდათ, მაშინ, როცა ქეთო, ისევ უნაყოფოდ ჭკნებოდა...

ამის შემდეგ გათხოვებას ვერავინ უხსენებდა და 35 წლისამ საყვარელი გაიჩინა, რომელსაც გარეგნობის მეტი არაფერი უვარგოდა, მაგრამ ქეთოს მეტი არც არაფერი აინტერესებდა. მთავარია, დამაორსულოს და წავიდეს, ბურთივით მოვისვრი სახლიდანო!.. კარგს აჭმევდა, ასმევდა. პირდაპირ პარიზიდან ჩამოტანილი ტანსაცმლით მოსავდა და... იმ დილით, „სასწრაფოს" გამოძახება რომ დასჭირდა, ვიღაცა ლაწირაკი გომბიო მიადგა კარს:

— ლევანჩოსგან (ქეთოს საყვარელს ლევანი ერქვა) ფეხმძიმედ ვარ, მას კი თქვენი შიშით... უფრო სწორად, თქვენი ქონების დაკარგვის შიშის გამო არ სურს ამ ბავშვის დაბადება...

მერე აღარ მოუსმინა ქეთომ იმ გოგოს. სტაცა ქეჩოში ხელი ზურგს უკან მდგომ უნამუსო კაცს და ძაღლის ლეკვივით გაისროლა გარეთ:

— ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს, თუ გინდა, სული არ გაგაფრთხობინო!..

...მერე კი ცუდად გახდა, გულის შეტევა მოუვიდა და ისე შეშინდა მისი მოსამსახურე მარო, „სასწრაფო" გამოიძახა. ექიმმა დამამშვიდებლები გაუკეთა და მანამ ეჭირა მისი მარჯვენა ხელში, სანამ ქეთოს არ ჩაეძინა.

მადლიერმა მარომ ექიმი სამზარეულოში გაიყვანა და მარტო ყავას არ დააჯერა, სადილი გაუშალა. არც ის დაუმალავს, რა გახდა ქეთოს გულის შეტევის მიზეზი...

ექიმმა ყურადღებით მოუსმინა. ქეჩო მოიქექა და გვერდით მჯდომ ექთანს გადახედა:

— შენ წადი, მანქანაც წაიყვანე. მე დავრჩები, სანამ ავადმყოფის მდგომარეობა არ დასტაბილურდება!..

შაკო ისე გახდა 45-ის, დაოჯახება ვერ მოახერხა. ექიმი კი გახლდათ, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი შეჰმატა თავის ქონებას. დღემდე მამის დანატოვარ ერთოთახიან „ხრუშჩოვკაში" ცხოვრობდა და ძლივს გაჰქონდა თავი მწირი ხელფასით: სად მიეყვანა ცოლი, ან როგორ ერჩინა?!

არც ჰყვარებია ვინმე. იტყოდა ხოლმე: — რომ გიყვარდეს, სიყვარულის გარდა სხვა საფიქრალი და სადარდელი არ უნდა გქონდესო!..

ქეთო მისი ერთადერთი ხსნა და იმედი იყო აშკარად...

ნაფიქრალი მაროს გაანდო:

— ოღონდ მიშუამავლე ქალთან და დედასავით შეგიყვარებ!..

...მერე არც შაკო... უკაცრავად, ბატონი შალვა ამხელს წვრილმანებს, არც ქეთო და არც მარო, მაგრამ ფაქტია, რომ მდიდარი ქეთო და ღარიბი ექიმი უკვე სამი წელია, ერთად ცხოვრობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, 40 წლის ქეთომ ბიჭიც გააჩინა და დედობის სიხარულით გაბედნიერებულმა, მანამდე წარუმატებელ ექიმს საჩუქრად, კერძო კლინიკაც გაუხსნა...

წინა ქმრებისგან თუ საყვარლებისგან დაშინებულმა, ერთხანს მეთვალყურეც მიუჩინა ქმარს, რათა ღალატი დროზე შეეტყო, მაგრამ შალვას აზრადაც არ მოსვლია სხვა ქალისკენ გახედვა. 45 წლამდე ნაწვნევ გაჭირვებას რომელი ქალი დაავიწყებდა ან რა უნდა მიეღო მისგან „ქეთოი თბილი კერის" სანაცვლოდ?!. ცხოვრობს მშვიდად, ბედნიერად, ირგებს თავსდატეხილ ბედნიერებას და ხშირ-ხშირად ღიღინებს: „სადაც ა-არ-ი-ის ბედი შე-ე-ნი"...



# სამყარო

## ქვაში გადატანილი გრძნობები და მოქანდაკის „დამსხვრეული ოცნება“



მოქანდაკე უფრო ვარ თუ პოეტი, დაე, ეს ხალხმა განსაჯოს

**„მერაბ მეტრეველი ის შემოქმედია, რომელიც თავად იწვის, რომ სხვა გაათბოს. მისი შემოქმედება ფიქრი და ტკივილია სამშობლოზე, ადამიანზე. მისი შემოქმედების მხატვრული ფორმის გამოხატვის საშუალება მრავალფეროვანია — ქანდაკება, პოეზია, მუსიკა. რამდენადაც ყოველ მათგანს თავისი სპეციფიკური ენა აქვს, მერაბი ირჩევს იმას, რომელიც მის გრძნობებსა და განცდებს შეესატყვისება. ნიჭიერება, ყველგან ნიჭიერებაა!“ — შესანიშნავი ქართველი მოქანდაკე, მერაბ ბერძენიშვილი ასე ახასიათებს ჩემს რესპონდენტს, რომელმაც ქალიშვილ თათიასთან ერთად არტ სალონ „ლაინში“ გვიმასპინძლა, სადაც ბატონი მერაბის მშობლების, მხატვარ მარგარიტა და შოთა მეტრეველების შესანიშნავი ნამუშევრებია გამოფენილი.**

## „მეუღლის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის სიხარულს გამოვეთხოვე“

*თამუნა კვირკველია*

— თავს მომღერლად ნამდვილად არ მივიჩნევ, დიდ სცენაზე არასოდეს მიმღერია. რაც შეეხება იმას, მოქანდაკე უფრო ვარ თუ პოეტი, დაე, ეს ხალხმა განსაჯოს.



ჩემთვის სიყვარული სიცოცხლის გვირგვინია

**— ბატონო მერაბ, რა არის თქვენთვის ქანდაკება?**

— ქანდაკება, პოეზიასა და სიმღერასთან ერთად, ჩემი სულიერი განწყობილების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ — პლასტიკის ენით ამეტყველებული.

**— რა არის საჭირო ხელოვნისთვის, მოდელის სული რომ გამოძერწოს? ბოლოს და ბოლოს, ქანდაკება ხომ ქვაში გაცოცხლებული სულია!**

— ხელოვანს უპირველესად, თავად უნდა ჰქონდეს სული და ის პროფესიული ოსტატობა, რომლითაც საკუთარი მოზღვავებული ტემპერამენტის, სიხარულისა თუ მწუხარების ქვაში ან თიხაში გადატანა-ამეტყველება შეძლოს. და კიდევ, ფუჭი შრომა და წყლის ნაყვა იქნება ყველაფერი, თუკი თითოეული ნამუშევარი შემოქმედის შინაგანი კეთილგანწყობილებით არაა გასხივოსნებული.

**— საინტერესოა ხელოვანი ადამიანის აზრი სიყვარულზე...**

— არა მგონია, ხელოვნისა და რიგითი ადამიანის სიყვარული დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. უბრალოდ, ხელოვანი ამ გრძნობას საინტერესოდ გამოხატავს (კალმით იქნება ეს, ფუნჯით თუ სხვა). რაც შეეხება თავად სიყვარულს, ეს არის ადამიანის სულიერი და ფიზიკური ლტოლვა საპირისპირო სქესისადმი. ბედნიერებაა, როდესაც გიყვარს და ათმაგად ბედნიერებაა, როცა მასაც უყვარხარ. დაბოლოს, სიყვარული მხოლოდ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა როდია. ჩემი აზრით, იგი ადამიანის უფაქიზესი დამოკიდებულებაა სამყაროსადმი, სულიერისა და უსულოსადმი. ჩემთვის სიყვარული სიცოცხლის გვირგვინია.

**— გაიხსენეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან.**

— მეტ-ნაკლებად საინტერესო და დასამახსოვრებელი ეპიზოდი ბევრი მქონია, ამჯერად კი ერთ პაწაწინა, მაგრამ ჩემთვის თბილად მოსაგონარ ამბავს გავიხსენებ. ათიოდე წლის ბიჭუნა ვიყავი, როდესაც ბატონმა ლევან გოთუამ და მისმა ძმამ, სანდრომ მცხეთაში, სანადიროდ წამიყვანეს. ეს იყო ჩემი პირველი „ნადირობა“. მე გაგონილიც მქონდა და


„კვაზიმოდო და ესმერალდა“

შინაგანადაც ვგრძნობდი ბატონი ლევანის სიდიადეს და თვალებანთებული შევცქეროდი მის ყოველ ქმედებას. ბატონმა ლევანმა თითქმის ყოველ შემხვედრს (მონადირე იქნებოდა თუ გლეხი) ხანგრძლივი, გულღია საუბარი გაუბა, ჯიბიდან რამდენჯერმე ქაღალდი და ფანქარი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა. ახლა არ მახსოვს, რაზე ელაპარაკებოდა მათ, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ნადირობაზე მეტად, ადამიანებთან ურთიერთობა აინტერესებდა. სამაგიეროდ, კარგად დამამახსოვრდა, თუ როგორ შეაჩვენა ბატონმა ლევანმა ერთი მონადირე, მისი მეძებარი ძაღლის რუსული სახელის გამო... თითქმის მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ნადირობიდან ხელცარიელნი დავბრუნდით. მიუხედავად ამისა, ბატონი ლევანის სახეს თბილი ღიმილი არ მოშორებია.

**— მოდი, თქვენი მეუღლე, ქალბატონი მარინაც გავიხსენოთ...**

— მე და ჩემს მეუღლეს ოცდაათწლიანი, სიხარულითა და მწუხარებით გაჯერებული ცხოვრების გზა გვაკავშირებდა. იგი იყო ჩემი უპირველესი თანამდგომი და ყოველივეს გამზიარებელი, უსათნოესი ქმნილება, რომლის სრულად დანახვა მხოლოდ მაშინ შევძელი, როცა სიკვდილმა გაგვყო ერთმანეთისგან. აკი, ეს სტრიქონებიც მაშინ მიკარნახა უხილავმა ხმამ:

*„თითქოს ყურს ვუგდებ დემონის ხარხარს*
*და მეყინება სისხლი და ძვალი,*
*ბედნიერებავ, რა ახლოს მდგარხარ,*
*მხოლოდ წასვლისას მოგკარი თვალი“.*

მშობლების დაკარგვის შემდეგ ახალგაზრდობას, ხოლო მეუღლის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის სიხარულს გამოვეთხოვე.

**— თქვენი მშობლებიც მხატვრები იყვნენ...**


თითებმა როგორღაც, თავისით მოძებნა პლასტილინი

— დიახ, ჩემი მშობლები, მარგარიტა და შოთა მეტრეველები ფერმწერები იყვნენ. ჩემს ცნობიერებაში სამყაროსთან ერთად შემოვიდა ფუნჯი და მოლბერტი, ტილო და ფერები, ჩემი მშობლების სიყვარული და რუდუნება სამყაროსადმი, ადამიანებისადმი, ერთმანეთისადმი და მაინც, მხატვრობაზე ოცნებით არ გადამიღლია თავი, მაგრამ როდესაც უკვე სიჭაბუკეში გადამდგარმა ერთი იმედგაცრუება ვიწვნიე, თითებმა როგორღაც, თავისით მოძებნა პლასტილინი და იმ ნამუშევარს „დამსხვრეული ოცნება“ დავარქვი. ამასობაში სკოლაც დავამთავრე და სწავლა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე განვაგრძე. ქანდაკების ძერწვის პარალელურად, სიჭაბუკიდანვე ვწერდი ლექსებს. განგებამ ესეც არ „მაკმარა“ — ამავე პერიოდში ჩამომიყალიბდა, როგორც სპეციალისტები ამბობდნენ, ლამაზი ტემბრის ლირიკული ტენორი. მე ნებისყოფა არ მეყო და არც ამ გატაცებაზე ვთქვი უარი. ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად, თბილისის მესამე სამუსიკო სასწავლებლის ვოკალურ განყოფილებაზე, დიდებულ პედაგოგ ჯემალ ლორთქიფანიძესთან (შემდგომში ლადო ათანელის აღმზრდელთან) დავიწყე სწავლა. ქანდაკება, პოეზია, ვოკალი — ეს ჩემი ახირება კი არა, ბედისწერაა. მე სხვანაირად არ შემეძლო, არც ერთი არ მეთმობოდა. თბილისში დადგმული ორი მონუმენტური ქანდაკება (პარალელურად, მონაწილეობა მრავალ გამოფენაზე სამშობლოში თუ საზღვარგარეთ), ლირიკული ლექსების სამი კრებული (ლექსები ნათარგმნია რამდენიმე ენაზე) და ხანდახან, სხვადასხვა საზოგადოებაში წამღერება — ასე მოვედი დღემდე...

**— გენიალური შემოქმედის, მერაბ ბერძენიშვილის თქმით, თქვენი შემოქმედება „სამშობლოზე ფიქრი და ტკივილია...“**

— სამშობლო გულის ფსკერზე დავანებული ის უთბილესი განცდაა, რომლის სრულად გამოხატვა ძეხორციელის მჭევრმეტყველების უნარს აღემატება და მაინც, მოვიყვან ნაწყვეტს ჩემი ერთ-ერთი ლექსიდან:

*„...ვისთვის სიცოცხლეც უცხოა,*
*პატარა ქვეყნის შვილის,*
*თავისუფლების ტრფიალი,*
*მისი უკვდავი ჟინი.*
*სამშობლო სულთქმად ქცეული,*
*მასზე ლოცვა და შიში,*
*და იქაც ვერ მოსვენება*
*იმ მარადიულ ძილში“.*


ბედნიერებაა, როდესაც გიყვარს და ათმაგად ბედნიერებაა, როცა მასაც უყვარხარ


„რეკვიემი“

# გაფიჩხული მოდელები და ნახევრად შიშველი ფოტოსესია ვაკის პარკში

**რამდენიმე ხნის წინ ახალდაარსებული სამოდელო სააგენტოს — „ჯუსტ მოდელს მენეჯმენტ“-ის დებიუტი შედგა. მოდელებმა პოდიუმზე რამდენიმე დიზაინერის ტანისამოსი და ორიგინალური აქსესუარები წარმოადგინეს. ჩემი ყურადღება 18 წლის დიზაინერის, გიორგი გოგინაშვილის ქუდმა მიიქცია, რადგან ის ჩვეულებრივი გრამფირფიტისგან გახლდათ დამზადებული. სხვათა შორის, გიორგი სამოდელო სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავთ.**

## ანუ „გამოუსწორებელი მეტყველების მქონე“ უნიკალური დიზაინერი

ელენე ბასილიძე

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— მომავალი კინორეჟისორი ვარ. დიდი სურვილი მქონდა, მსახიობის პროფესიას დავუფლებოდი, მაგრამ თეატრალურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის მესამე ტური ველარ გადავლახე, მითხრეს, — გამოუსწორებელი მეტყველების პატრონი ხარო (*იღიმის*)...

— **პირველად საკუთარი ძალები ხელოვნების რომელ სფეროში მოსინჯე?**

— ბავშვობიდანვე მსახიობობა მინდოდა, სასკოლო სპექტაკლებში აქტიურად ვმონაწილეობდი, რეჟისორობასაც ვახერხებდი და სცენარსაც ვწერდი... დაახლოებით 2 წლის წინ კი აქსესუარების შექმნა დავიწყე. სიმართლე გითხრა, საქართველოში ჩემი აქსესუარი თითქმის არავის უკეთია, ნამუშევრებს ამერიკაში ვგზავნი, სადაც ახლობლები მათ რეალიზაციას ახდენენ. მალე მუშაობას საგაზაფხულო კოლექციაზე დავიწყებ და ჩვენების გამართვასაც ვგეგმავ. მინდა, საზოგადოებას 100-150 აქსესუარი წარვუდგინო.

— **აქსესუარებზე რა მასალით მუშაობ?**

— ძირითადად ბისერებს, თვლებსა და პატარ-პატარა მარგალიტებსაც ვიყენებ.

— **როგორ გაჩნდა იდეა, რომ ფირფიტისგან ქუდი შეგექმნა?**

— სააგენტოში გრამფირფიტებს ოთახის გასაფორმებლად ვიყენებთ. ერთ დღეს, როცა მათ ვუყურებდი, გამიჩნდა იდეა, ისინი ქუდად მექცია. ჰოდა, გრამფირფიტა გავაფორმე ქსოვილით, თვლებით, ბოლოს კი მასზე ნილაბიც დავამაგრე. როგორც ვიცი, ასეთი რამ თავში ჯერ არავის მოსვლია, პირველი ვარ, ვისაც ეს იდეა გაუჩნდა. ჩემი საქმიანობით, ყველაზე მეტად, დედა დაიჩაგრა — ყველაფერი გავუნადგურე! კერძოდ, ამა თუ იმ დეტალისათვის ხშირად მჭირდება ბეწვი და სხვა გზა რომ არ მაქვს, მის ქურქებს ვანადგურებ (*იცინის*).

— **ვიცი, რომ ტანსაცმლის დიზაინსაც ქმნი...**

— ძალიან მომწონს, როცა ქალი სექსუალურად გამოიყურება, მიყვარს სუსტი სქესის ქალურობის წარმოჩენა და მათი სხეულის პრობლემური ნაწილის დაფარვა. უნდა გამოგიტყდეთ, ხატვა არ ვიცი, ჩემი ნახატები ნამდვილი სასწაულია, ძაღლს თუ ვხატავ — უხორთუმო სპილო გამომდის, კატა — უფრთებო ჩიტს წააგავს და ასე შემდეგ (*იცინის*)... რადგანაც ესკიზის შექმნა ჩემს ძალებს აღემატება, ფანტაზიას საკერავ მანქანასთან ჯდომისას ვუხმობ.

— **როგორც ვიცი, რამდენიმე მეგობარს საბანკეტო კაბა შეუკერე...**

— კი, სკოლის ბანკეტზე კლასელებს ჩემი დიზაინით შექმნილი კაბები ეცვათ. მათი კერვისას ბევრი ვიწვალე და ლამის, თავად დავრჩი ტანსაცმლის გარეშე. სხვათა შორის, გოგონებს ბევრი ეკითხებოდა, — რომელი დიზაინერის კაბა გაცვიათო? ისინი კი მათ კითხვას უპასუხოდ ტოვებდნენ, რადგანაც თითოეული მკაცრად გავაფრთხილე: არსად თქვათ, კაბები ვისი შექმნილია-მეთქი (*იცინის*)!

— **რატომ?**

— არ ვიცი, მაშინ ასე რატომ მოვიქეცი, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ უკეთესი იყო, საზოგადოებას ჩემ შესახებ გაეგო.

— **საფირმო ნიშანი თუ გაქვს?**

— კი, ეს არის ფრანგული სიტყვა „valeuR“, რაც ფერთა გამას, ფერთა კომბინაციას ნიშნავს, მაგრამ რატომღაც, ქართველებს ჰგონიათ, რომ „ვალერი“ წერია (*იცინის*).

— **სამოდელო სააგენტოზე მომიყევი რამე...**

— დაახლოებით 5 თვეა, რაც მე და ჩემმა პარტნიორმა, ნინო დოლონაძემ სამოდელო სააგენტო „ჯუსტ მოდელს მენეჯმენტ“ დავაფუძნეთ. დღეს სააგენტოში 40 მოდელი გოგონა და რამდენიმე ბიჭი გვყავს, ვთანამშრომლობთ სხვადასხვა კომპანიასა და დიზაინერთანაც. სამოდელო სააგენტოს მართვა იოლი ნამდვილად არ არის, ბევრი ბარიერის გადალახვა გვიწევს, რაშიც ჩემი პიარ-მენეჯერი და პარტნიორები მეხმარებიან. დღეს ქართული მოდა ფეხს იდგამს და ვეცდები, მის განვითარებაში საკუთარი წვლილიც შევიტანო.

— **როდესაც შენს კოლექციას ვათვალიერებდი, მითხარი, რომ ფოტოსესიებსაც თავად აწყობ.**

— ფოტოგრაფია პროფესიონალურ დონეზე არ შემისწავლია, მაგრამ ეს საქმეც ასე თუ ისე, გამომდის — ბევრ ფოტოსურათს ვიღებ და შემდეგ, მათგან საუკეთესოებს ვარჩევ. 1 თვის წინ ვაკის პარკში გადაღება მოვაწყვე, თემა კი XVIII საუკუნე იყო. გადაღებისათვის კოსტიუმები კი



რადგანაც ესკიზის შექმნა ჩემს ძალებს აღემატება, ფანტაზიას საკერავ მანქანასთან ჯდომისას ვუხმობ



გადაღება საკმაოდ სექსუალური იყო, ხალხი პირდაღებული უყურებდა 6 ნახევრად შიშველ გოგონას

შევქმენი, მაგრამ სტილისტები ვერაფრით მივახვედრე, თუ როგორი ვარცხნილობა უნდა გაეკეთებინათ მოდელებისათვის. ბოლოს, ამაზეც თავად ვიზრუნე (*იცინის*). გადაღება საკმაოდ სექსუალური იყო, ხალხი პირდაღებული უყურებდა 6 ნახევრად შიშველ გოგონას (*იცინის*)...

უნიკალური ადამიანი ვარ, რა (*იცინის*)! ხუმრობის გარეშე, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, კარგად ვერკვევი სოფლის მეურნეობის საკითხშიც. კახეთში მაქვს სოფელი და როცა იქ ჩავდივარ, ვბარავ, ვთოხნი, ვიცი ვენახის მოვლაც. ყველაფერთან ერთად, გურმანი ვარ და კერძების მომზადებაც მიყვარს. სხვათა შორის, 3-სართულიან ტორტებსაც ვაცხობ...

**— შენ მხატვრული ფილმის გადაღებასაც აპირებ...**

— ფილმი იქნება ახალგაზრდა ცოლქმარზე, რომელსაც მეგობარი ქალი სიცოცხლეს უმწარებს. გადამღები ჯგუფი უკვე შეკრებილია და ამჯერად, დაფინანსებას ველით. შევეცდებით, ისეთი ფილმი გადავიღოთ, რომელიც ტიპურ ამერიკულ კომედიებს ტოლს არ დაუდებს. სამწუხაროდ, ბოლო დროს გადაღებული ვერც ერთი ქართული ფილმის შინაარსი ვერ გავიგე და ზუსტად ვიცი — როგორ არ უნდა გადავიღო ის!.. ალბათ, ჩემი შემოქმედებისთვის ბოლოს „ოსკარითაც“ დამაჯილდოებენ (*იცინის*)! ჯანსაღი ამბიციები მაქვს და მჯერა, თუ ადამიანი ძალიან მოინდომებს, შეძლებს, ყველა სურვილი აისრულოს.



გრამფირფიტა გავაფორმე ქსოვილით, თვლებით, ბოლოს კი მასზე ნიღაბიც დავამაგრე

**— უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვს?**

— ჩვენების მოწყობისა და კინოს გადაღების გარდა, ამერიკაში გამგზავრებასა და ლოს-ანჯელესის კინოაკადემიაში ჩაბარებას ვაპირებ.

**— წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ, ეგ ნამდვილად მჭირდება (*იცინის*)!





# „აუდი“ განვითარებისთვის 7,3 მილიარდს გამოყოფს

„აუდის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, 2009-2012 წლებში კომპანია განვითარებისთვის 7,3 მილიარდ ევროს დახარჯავს, აქედან 5,9 მილიარდი ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის შექმნას მოხმარდება. გერმანული ავტომწარმოებლის წარმომადგენელთა მოსაზრებით, 6 წლის შემდეგ „აუდის“ მოდელების რაოდენობა 4-დან 42-მდე გაიზრდება, ხოლო ამ გამაში სერიული ჰიბრიდები და ელექტროავტოებიც გამოჩნდება. „აუდის“ ფინანსებისა და ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, აქსელ შტროტბეკი აცხადებს, რომ პირველი მანქანები, რომლებითაც კომპანიის სამოდელო რიგი გაფართოვდება, კომპაქტური ჰეჩბეკი 1, ახალი თაობის დიდი ხუთკარიანი კუპე 8 და სუპერავტოს — R8-Spyder — ღია ვერსია იქნება. ეს ავტომობილები ბაზარზე წელს გამოჩნდება, ხოლო 2011 წელს დილერების სალონებში უკვე იდგება Audi-ს პირველი სრული ჰიბრიდი, კროსოვერი, 5 Hybrid. ეს მოდელები უკვე შემუშავებულია, ხოლო მათთვის გამოყოფილი სახსრები ტრადიციული სპორტული მოწყობილობების მოდერნიზებისთვის დაიხარჯება, რომლებიც ჰიბრიდული და ელექტრონული მანქანებისთვის შეიქმნება. გარდა ამისა, ინგოლშტადსა და ნეკარსულმში არსებული საწარმოების მოდერნიზებისთვის ჯამში 3,8 მილიარდი ევრო ჩაიდება. პირველ მათგანში მოდელის — 1, 2 და 3 — საშტამპო მოწყობილობები და სპეციალური ცენტრი შეიქმნება, რომელიც ტრანსმისიისა და $CO_2$-ის გამონაბოლქვის ოპტიმიზაციას მოხმარდება; ნეკარსულმში კი ინვესტიცია ინჟინრებს ახალი, 7 და 8 მანქანების გამოშვებისა და ძრავების ტესტირებისთვის საჭირო მოწყობილობის დამონტაჟების შესაძლებლობას მისცემს. ■

# „ჰიუნდაის“ უცნობი მოდელი

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა სამხრეთკორეულმა ვებგვერდმა „ჰიუნდაის“ უცნობი მოდელის არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა, რომელიც ტესტირებისას გადაიღეს. მანქანა, რომელსაც Hyundai I40C ერქმევა, კონვეიერში 2011 წლიდან გამოჩნდება. Tiburon კონცეპტ-ავტოს — Veloster — სტილისტიკით იქნება შესრულებული. სერიულ მანქანას მოდელის — Accent — წინაამძრავიანი პლატფორმა და 1,6-ლიტრიანი, 140 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავა აქვს. 2009 წლის დასაწყისში, კომპანია „ჰიუნდაის“ ამერიკული განყოფილების ხელმძღვანელმა, ჯონ კრაფჩიკმა განაცხადა, რომ ზომით სიახლე წინამორბედზე მნიშვნელოვნად მცირე და ეკონომიური იქნება, ხელმისაწვდომი ავტომობილის სახელით ისარგებლებს. ზოგიერთი მონაცემით, ასეთი მანქანა 100 კმ მანძილზე 5,8 ლ საწვავს დახარჯავს. სავარაუდოდ, აშშ-ში ახალი Tiburon 20 ათასი დოლარი ეღირება. ■



# ყველაზე მძლავრი Bentley ევროპაში გამოჩნდება

კომპანია Bentley ბაზარზე ყველაზე მძლავრი და სწრაფი ავტომობილის, Continental Supersports-ის ღია მოდიფიკაციის გაყვანას გეგმავს — ამაზე არაოფიციალური ფოტოები მეტყველებს, რომლებიც ორიოდე დღის წინ გამოცემამ — Autoblog გამოაქვეყნა. სიახლე იგივე 621 ცხ.ძ. სიმძლავრის, 6-ლიტრიანი, W12 ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომლითაც კუპეა დაკომპლექტებული. როგორც მოსალოდნელია, სუპერავტო Bentley Continental Supersport სხვა კომპონენტებშიც სტაციონარულსახურავიანი მანქანის მსგავსი იქნება. ავტომობილისთვის სრულამძრავიანი სისტემა, სიჩქარის გადაცემათა ახალი კოლოფი — Quickshift, განივი მდგრადობის








სტაბილიზატორები, განსხვავებული ამორტიზატორები და გადაწყობილი საჭის მართვაა გათვალისწინებული. შეგახსენებთ, კუპე Supersports 100 კგ-ით მსუბუქია მოდელ Continental GT-ზე, რომლის ბაზაზეცაა აწყობილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს Bentley Continental Supersports 3,9 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 29 კმ/სთ-ია. გასული წლის მარტში კუპე ჟენევის მოტორშოუზე წარადგინეს, ევროპულ ბაზარზე კი იგი შემოდგომაზე გამოჩნდა. ■

# თვითკრიტიკული ბრიტანელი მძღოლები



სადაზღვევო კომპანია Intune-მ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, ყოველი გამოკითხული 5 ბრიტანელი მძღოლიდან ოთხი მიიჩნევს, რომ მართვის მოწმობის აღებამდე, ადამიანმა აუცილებლად უნდა ჩააბაროს დამატებითი გამოცდა — ეტიკეტზე. გამოკითხულთა დაახლოებით 80%-ის თქმით, ისინი ყველაზე მეტად მაშინ ღიზიანდებიან, როდესაც საგზაო მოძრაობის სხვა წარმომადგენლები ავტოსადგომზე 2 ადგილს იკავებენ; 77% ნეგატიურადაა განწყობილი აგრესიულად მოძრავი მძღოლების მიმართ, ხოლო 75% აღშფოთებას ვერ მალავს, როდესაც მანქანები ხაზებს შორის მოძრაობენ. ყოველი გამოკითხული 3 ადამიანიდან ორმა განაცხადა, რომ საჭიროა, კანონში ცვლილების შეტანა, რომლის თანახმადაც, მძღოლებს მართვის უფლების მოსაპოვებლად პერიოდულად მოუწევთ გამოცდის ჩაბარება. 5-დან ოთხი ავტომობილისტი კი მიიჩნევს, რომ გამოცდის გადაბარების წესის დანერგვა 70 წელს გადაცილებულთათვის აუცილებელია. ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ავტომობილისტთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა არა ცუდი მომზადებით, არამედ გენების თანამიმდევრობის დეფექტის შედეგადაა გამოწვეული. დადგინდა, რომ ადამიანების 3/10-ს გენები განსაკუთრებული თანამიმდევრულობით აქვს განლაგებული, რაც უჯრედების ცილებით კვებაზე და შესაბამისად, მეხსიერებასა და კოორდინაციაზე უარყოფითად აისახება. ამ გარემოების შედეგად, მძღოლთა მესამედი დანარჩენებზე უარესად მართავს ავტომობილს. ■

# ცალკე პარკინგი ქალბატონი მძღოლებისთვის

ჩინურ ქალაქ შიციაჩუანში სავაჭრო ცენტრმა სპეციალურად ქალებისათვის, ავტომობილების სადგომი მოაწყო, სადაც მეტი მანქანის დასაყენებელი ადგილია, ვიდრე ტრადიციულ პარკინგებზე. შოპინგ-ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, ქალებისთვის განკუთვნილ პარკინგზე თითოეული მანქანის დასაყენებელი ადგილი ჩვეულებრივზე ერთი მეტრით განიერია. გარდა ამისა, იქ სპეციალური ნიშნებიც დაამონტაჟეს, რაც ქალბატონ მძღოლებს მანქანების გაჩერებას გაუადვილებს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2002 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ავტოსადგომზე მანქანის გაჩერებას ქალები მამაკაცებზე უკეთ ახერხებენ — სუსტი სქესის წარმომადგენელ მძღოლთა 96% ავტომობილის გაჩერებას ისე ახერხებს, რომ სპეციალურ თეთრ ხაზს არ კვეთს, ხოლო მამაკაც მძღოლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 85%-ია; ამასთან, ქალბატონთა მხოლოდ 2% ტოვებს მანქანას ავტოსადგომზე ისე, რომ სხვა მძღოლებს შეუქმნას პრობლემა. სამაგიეროდ, მამაკაცები სუსტი სქესის წარმომადგენელ მძღოლებზე გაცილებით ნაკლებ დროს ანდომებენ პარკინგზე მანქანის დაყენებას. ■



რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# ინდიელები და მათი ფილოსოფია

კინოფილმებიდან გემახსოვრებათ, რომ ინდიელები ვიგვამში (ხის ტოტე-ბის ან ლერწმისგან აგებული, გუმბა-თისებური ქოხი) ცხოვრობენ და ბუმ-ბულებით მორთული ტყავის ტანისა-მოსი აცვიათ. სინამდვილეში, თან-ამედროვე ინდიელებს მაისურები და ჯინსი აცვიათ (ეროვნული სამოსით კი იშვიათად, დღესასწაულისას იმ-ოსებიან). ზოგიერთ ინდიელს მანქანაც ჰყავს, მაგრამ — დაჟანგული და ხშირ-ად, მწყობრიდან გამოსული. ინდი-ელების უმეტესობამ წინაპრების ტრადიციები დაივიწყა და სმას მი-ჰყო ხელი, ხოლო აპაჩების, ხოპის, ნავახოსა და ზუნის ტომის ინდიელე-ბი ტრადიციებს არ ივიწყებენ. მათ საკვები — პომიდორი, სიმინდი, გოგრა თავად მოჰყავთ. თამბაქოს მხოლოდ ლოცვის დროს აბოლებენ. მათი აზრით, სულ სხვა სამყაროში ვიცხ-ოვრებდით, თეთრკანიანებს ყოველი მოწევის დროს რომ ელოცათ. ინდი-ელების ტერიტორიაზე ამერიკული კანონები არ მოქმედებს, ყოველ ტომს თავისი კანონები აქვს. ნებართვის გარეშე, მათ სურათსაც ვერ გადაუ-ღებთ. ყბედობა არ უყვართ, ლა-კონიურად ლაპარაკობენ. ყველაზე გავრცელებული ფრაზაა: „მზეს უყურე და ჩრდილებს ვერ დაინახ-ავ“. რჩევას უწინდებურად, უხუც-ესს ეკითხებიან. ნავახოს ტომში უხუცესი 82 წლის ჯონსია, რომელ-საც ნებისმიერ კითხვაზე ორი პა-სუხი აქვს: კი ან არა. მასთან მის-ვლის უფლება მხოლოდ მამაკა-ცებს აქვთ.



ქალები ობობა-ქალს სულს ეთაყ-ვანებიან, რომელმაც, ლეგენდის თანახმად, მათ ქსოვა და კერვა ასწავლა. ობობა და ობობას ქსე-ლი ინდიელებისთვის საფიცარია, მათ ქსელის ამულეტებიც კი აქვთ. მაგალითად, „სიზმრების ხაფანგი“, რომელსაც ფანჯრის რაფაზე კიდე-ბენ, სახლში ბოროტი ძალები რომ არ შეიჭრან და მძინარეს სიმშ-ვიდე არ დაურღვიონ.



ინდიელებს სწამთ, რომ „მიწა არავის ეკუთვნის, ადამიანები ეკუთ-ვნიან მას“. ამერიკის კონტინენტზე ჩასულ თეთრკანიანებს წითელკა-ნიანებმა ხელი გაუმართეს, დააპურეს, შეიკედლეს და უპატრონეს. ინდი-ელებისადმი პატივისცემის ნიშნად, ამერიკელები „მადლიერების დღეს“ ახლაც აღნიშნავენ, მაგრამ თეთრკა-ნიანებმა მათ ტერიტორიები შე-მოუღობეს და მიწის გამო, ლამის გაწყვიტეს კიდეც.

ნავახოს ტომის ტერიტორიაზე მართლმადიდებლური ეკლესიაც არ-სებობს. ტომის წევრების აზრით, იესო ინდიელი იყო. ლოცვაც კი აქვთ: „იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, უფროსო ძმაო, დაგვიფარე ჩვენ...“

სხვადასხვა ტომის წარმომადგენ-ლები ერთმანეთს ყოველწლიურ დღესასწაულზე — „პაუ ვაუზე“ ხვდე-ბიან და მძივებით, ბუმბულებით გალამაზებულ ტანისამოსში გამოწყ-ობილები ტრადიციულ ცეკვა-თამა-შობებს მართავენ.

ინდიელები ბავშვებს უცნაურ სახ-ელებს არქმევენ და ჩვილის დაბადე-ბის დღედ მიიჩნევა დღე, როცა ის პირველად გაიცინებს — ამ დღეს მამა ქუჩაში გადის, ბუნებას აკვირდ-ება და ჩვილს სახელს ურჩევს: მოცეკვავე კოიოტი, ორი დათვი, ცელქი სიო და ა.შ.

ინდიელებს საკუთარი ფილოსოფია აქვთ:

* როცა უკანასკნელ ხეს მოჭრი, უკანასკნელ ჩიტს მოკლავ და უკა-ნასკნელ მდინარეს მოწამლავ, მიხვდები, რომ ფულის ჭამით ვერ გაძღები;

* სიმართლის სათქმელად ბევრი სიტყვა საჭირო არაა;

* ქორწინების პირველ წელს წყვილი ხვდება, ერთად ცხოვრებას შეძლებს თუ სხვა მეუღლე უნდა მოძებნოს. წყვილს ერთად ცხოვრება რომ ვაი-ძულოთ, ისეთივე ბრიყვები ვიქნებით, როგორიც თეთრი ადამიანია.

„სიბრძნე თითოეულ ნივთშია თავ-მოყრილი. ოდესღაც სამყარო დიდი ბიბლიოთეკა იყო;

* ყველაზე მეტს ის ლაპარაკობს, ვისაც სიტყვის თქმის უფლებაც კი არა აქვს;

* უმჯობესია, მტერი ჩემზე ძლიერი და საშიში იყოს. მისი დამარცხების შემდეგ სირცხვილის გრძნობა არ შე-მაწუხებს;

* დაბადებისას ტიროდი, სამყარო კი იცინოდა, ისე იცხოვრე, რომ სიკვდილის წინ შენ იცინოდე, სამყა-რო კი ტიროდეს. ■

# პლანეტა — დედამიწა

* მეცნიერების ვარაუდით, დე-დამიწა 4,5 მლრდ წლისაა. მზე მასზე 10 მლნ წლით უფროსია;

* დედამიწის გარშემო 2500 ხე-ლოვნური თანამგზავრი მოძრაობს და ყველაზე მსუბუქიც კი რამდენიმე ათეულ კგ-ს იწონის. საშუალოდ, კვი-რაში ერთხელ, დედამიწაზე მათი ნატეხი ვარდება, მაგრამ უბედური შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა;

* დედამიწის შუაგულში ტემპერ-ატურა 3870 ცელსიუსია;

* დედამიწაზე ყველაზე ცხელი ადგილი კალიფორნიის „სიკვდილის მდელოა“. 1917 წელს, 43 დღის გან-მავლობაში, იქ 48,9 გრადუსი ტემ-პერატურა გახლდათ;

* ყველაზე ცივი ადგილი ანტარ-ქტიდაშია — საშუალო ტემპერატუ-რა მინუს 57,8 გრადუსი გახლავთ;

* ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვსუნ-თქავთ, 20 პროცენტით ჟანგბადის-გან და 80 პროცენტი აზოტისგან შედგება. ■

# ორთავიანი და მომლოცველი გველები

სამყაროში 3000 სახეობის გველი ბინადრობს, აქედან 400 შხამიანია და 50 მათგანის გესლი ადამიანის მომენტალურ სიკვდილს იწვევს. სიგრძით ყველაზე პატარა 10 სმ-მდე იზრდება, ყველაზე დიდი — ანაკონდა კი 10 მეტრამდე. მშიერ ანაკონდას ტახის და ადამიანის შეჭმაც შეუძლია. რეპტილიები 50 წლამდე ცოცხლობენ. ის ყველგან ბინადრობს (წყალში, ტყეში, უდაბნოში, პრერიებში) გარდა ანტარქტიდისა, ირლანდიისა, ისლანდიისა, გრენლანდიისა და ახალი ზელანდიისა. შხამიანობის მიხედვით, ყველაზე საშიშად სამეფო კობრა მიიჩნევა. ყურადღებას იპყრობს შხამიანი ეშვებით, ზურგზე დახატული სათვალითა და კაპიუშონით, რომელსაც საფრთხის მოახლოებისთანავე შლის. ერთი ნაკბენით მას სპილოს მოკვლა შეუძლია. სხვათა შორის, ერთი უცნაურობა ახასიათებს: შეუძლია მსხვერპლს გესლის გარეშე უკბინოს ან იგი მთლიანად არ გადმოანთხიოს; ძალიან საშიშია წყლის გველიც, რომელიც ხმელეთზე მხოლოდ გასამრავლებლად ამოდის და ადამიანსაც იშვიათად ესხმის თავს.



გველი თავადაც მშიშარაა და ცდილობს, ადამიანებს მოერიდოს, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც მათ თავსაც კი ესხმიან. ზოგიერთი გველის შხამი ადამიანის სისხლს სქელ ჟელედ აქცევს და მისი გადარჩენა შეუძლებელია.

გველი მედიცინის ერთ-ერთ სიმბოლოდაც იქცა. ბერძნული მითის თანახმად, ასკლეპიუსმა მრავალი ბალახის სამკურნალო თვისება გველებზე დაკვირვებით ისწავლა, რადგან თვალყურს ადევნებდა ქვეწარმავლებს, რომლებიც ერთმანეთს ბალახებით კურნავდნენ.

გახსოვდეთ, გველი რაც უფრო ფერადი შეფერილობისაა, მით უფრო შხამიანია. ამ ქვეწარმავლისადმი ინტერესსა და სიყვარულს ოპიოფილია, ხოლო შიშს — ოპიდიოფობია ჰქვია.



ცოტა ხნის წინ სენტ-ლუისის (აშშ) ტერარიუმში ორთავიანი გველების გამოფენა მოეწყო. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ორთავიანმა ალბინოსმა და ჩხრიალამ. მუტანტი გველების დიდი ნაწილი კოლექციონერების მფლობელობაშია.

დაბოლოს, ერთი საოცარი ამბავი ამ ქვეწარმავლების შესახებ: კეფალონიას საბერძნეთის საოცრებათა კუნძულს ეძახიან, რადგანაც ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, ეკლესია უამრავი შხამიანი გველით ივსება, მომლოცველებთან ერთად ღვთისმშობლის სადიდებლად რომ ილოცონ. ეს ერთადერთი დღეა წელიწადში, როცა გველი ადამიანის ზიანს არ აყენებს. ■

# მფრინავი ხალიჩიდან თვითმფრინავამდე



1898 წელს ეგვიპტეში, საკვარის აკლდამაში უჩვეულო ოქროს ნივთს მიაგნეს, რომელსაც აეროპლანის ფორმა ჰქონდა. არქეოლოგიური გათხრების დროს ასეთივე ნივთი ცენტრალურ ამერიკაში აღმოაჩინეს — ისიც ოქროსია და თანამედროვე კოსმოსურ ხომალდ „სპეის შატლს“ წააგავს.

მოგეხსენებათ, ადამიანს ოდითგანვე ჰქონდა ცაში აფრენის სურვილი. ძველინდურ ლიტერატურაში აღწერილია საფრენი აპარატი ვინამი, ალმოსავლურ ზღაპრებში კი — მფრინავი ხალიჩა. პირველი თვითმფრინავი, რომელმაც ჰორიზონტალურად გაფრენა შეძლო, „ფლაიერ 1“ იყო. იგი ამერიკელმა ძმებმა — ორვილ და ულბურ რაიტებმა დაამზადეს. 1903 წლის 17 დეკემბერს „ფლაიერმა“ 59 წამში 260 მეტრი დაფარა.

დღესდღეობით უამრავი სახეობის — სამხედრო, სამოქალაქო, სამედიცინო და ა.შ. თვითმფრინავი არსებობს. გაუმჯობესებული ტექნიკის მიუხედავად, უბედური შემთხვევაც ხშირია. ავიაკატასტროფის პირველი მსხვერპლი ოტო ლილიენტალი გახლდათ, რომელიც საკუთარი ხელით შექმნილი პლანერის გამოცდის დროს, 15 მეტრიდან ჩამოვარდა.

უკანასკნელი ავიაკატასტროფა 2009 წლის 1-ელ ივნისს, „ეარფრანსის“ თვითმფრინავმა განიცადა — რიო-დე-ჟანეიროდან პარიზში მიმავალი თვითმფრინავი ატლანტის ოკეანეში ჩავარდა და 228 ადამიანი დაიღუპა. ■

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა*

# რაზე მეტყველებს მამაკაცის ნაოჭები

**ნაოჭები მხოლოდ ასაკოვან მამაკაცებს როდი უჩნდებათ. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ისინი პატრონის ხასიათზე საკმაოდ ბევრს მეტყველებს.**



## ჰორიზონტალური ნაოჭები

მამაკაცის შუბლზე 1-3 სწორი ნაოჭი იმაზე მიუთითებს, რომ იგი ძლიერი, ენერგიული, გაწონასწორებული და ჰარმონიული პიროვნებაა. მას მდგომარეობიდან ვერაფრით გამოიყვან, მასთან ჩხუბი თითქმის წარმოუდგენელია. 3 ნაოჭზე მეტი კიდევ უფრო მტკიცე ხასიათის მიმანიშნებელია. ასეთი მამაკაცი გულღიაა და ექსპერიმენტების არ ეშინია, განსაკუთრებით — სიყვარულში.

მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ტალღისებური ან წყვეტილი ნაოჭი აქვს, შესაძლოა ძალზე ზედაპირული აღმოჩნდეს. მას ცხოვრებაში ყველაზე მეტად საკუთარი თავი აინტერესებს. თუ ამ ტიპის ნაოჭები მას შუბლის ზედა ნაწილში აქვს, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძალზე იოლია. ნაოჭების არქონა კი მის გულგრილობაზე მეტყველებს.

## ვერტიკალური ნაოჭები

მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ღრმა ვერტიკალური ნაოჭები აქვს, მხოლოდ იმას ამჩნევს, რაც თვითონ უნდა, ყველაფერ დანარჩენს გვერდს უვლის. თავის აზრს ჯიუტად იცავს. ორი-სამი ნაოჭი დამახასიათებელია იმ მამაკაცებისათვის, რომლებიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბევრს ფიქრობენ და ფეთქებადი ხასიათი აქვთ.

## ცხვირ-ტუჩის ნაკეცები

მგრძნობიარე მამაკაცებს ცხვირსა და ტუჩს შორის აქვთ ნაკეცები. ისინი ძალზე სერიოზულები და გარშემო მყოფთა მიმართ კეთილგანწყობილები არიან. თუმცა შესაძლოა, ასეთი ნაოჭის მქონე მამაკაცი ზედმეტად ნერვიულიც აღმოჩნდეს. ■

# როგორ მოვუაროთ თმას ცივ ამინდში

**სპეციალისტების აზრით, მზის დეფიციტი წარმოშობს „ზამთრის დეპრესიას“, რომელიც ჩვეულებრივ, სტრესთან ერთად კანის მომეტებულ მგრძნობელობას იწვევს. ამას ემატება „რეციდივისტები“ — მშრალი ჰაერი, ტემპერატურის სხვაობა, ხისტი წყალი...**

**როგორ მოვიქცეთ? თმის დამამშვიდებელ საშუალებებში შემავალი მსუბუქი და რბილი კომპონენტები დაჭიმულობის შეგრძნებას და ქავილს ხსნის. ამავდროულად, ბევრ ასეთ საშუალებას არომათერაპიული ეფექტიც აქვს — ვინაიდან ნატურალურ მცენარეულ ექსტრაქტებსა და ეთეროვან ზეთებს შეიცავს.**



*ლამაზი და მბზინავი თმის საიდუმლო არა მხოლოდ მათ სწორ მოვლაში, კარგ კვებაშიც მდგომარეობს. ნატურალურ ესენციებზე დამზადებული თმის მკვებავი საშუალებები სასურველ ეფექტს იძლევა.*

**ალოე** — თმას ატენიანებს და მის სტრუქტურას აუმჯობესებს. კონდიციონერის შემავალი ამ მცენარის ფოთლების გელი თმას არბილებს, აფუებს და დამყოლს ხდის.

**ავოკადო** თმას განსაკუთრებულ ბზინვარებას ანიჭებს. ავოკადოს ზეთი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და სავარცხლით მთელ სიგრძეზე გაინაწილეთ.

**გარგარის ზეთი** მასში შემავალი რკინის მეშვეობით თმას ჟანგბადის უკეთ ათვისებაში ეხმარება და გაყოფილი ბოლოების კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

**ჟენ-შენი** თავის კანის აქერცლილ ზედაპირს ასწორებს. მდიდარია გამწმენდი ნივთიერებებით და თხელი თმის მოსავლელად შეუდარებელია.

**კრაზანა** — თავის კანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, აშორებს ქერტლს და მისი გაჩენისგან იცავს. ■



# სიყვარული - სიბერის დაუძინებელი მტერი

**იაპონელები საშუალოდ 79 წელს ცოცხლობენ, ავსტრალიელები, ბერძნები, კანადელები და შვედები — 78 წლამდე; გერმანელები და ამერიკელები დაახლოებით 76 წელს. დანარჩენ ქვეყნებში კი სიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათანობით იკლებს. ექიმების, ფსიქოლოგებისა და დიეტოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და ცხოვრებას უფრო სასიამოვნო ელფერს სძენს.**

### ზომაზე მეტად ნუ დანაყრდებით

ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად, 1500 კალორიას დასჯერდით. ნუ იშიმშილებთ, მაგრამ იკვებეთ ზომიერად.

### მენიუ ასაკის შესაფერისი უნდა იყოს

30 წელს მიღწეულ ქალბატონებს პირველი ნაოჭები გაცილებით გვიან გაუჩნდებათ, თუ რეგულარულად მიირთმევენ ღვიძლსა და თხილს. 40 წელს გადაცილებულებს ბეტაკაროტინი ესაჭიროებათ; 50 წლის ზემოთ აუცილებელია კალციუმის დოზის გაზრდა (ძვლებისთვის) და მენიუში მაგნიუმის ჩართვა (გულისთვის).



### მოძებნეთ შესაფერისი სამსახური

როგორც ფრანგი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, სამსახური ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა. უმუშევარი ადამიანი ასაკთან შედარებით ხუთი წლით ხნიერად გამოიყურება.

### იპოვეთ მეორე ნახევარი

სიყვარული ხომ სიბერის დაუძინებელი მტერია. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისას, ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ენდორფინს — ე.წ. ბედნიერების ჰორმონს, რომელიც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

### ნუ მიჰყვებით ცხოვრების დინებას პასიურად

თამამად გამოთქვით საკუთარი მოსაზრება, ასეთნაირად გაცილებით იშვიათად ჩავარდებით დეპრესიაში.

### იმოძრავეთ

ყოველდღიურად, 10-წუთიანი ვარჯიშიც საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

### იძინეთ გრილ ოთახში

ვისაც უმეტესწილად, 17-18 გრადუს ტემპერატურაზე სძინავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა გარემო ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

### ბოღმას გულში ნუ ჩაიხვევთ

ვინც გამუდმებით დაბოღმილია, საკუთარ თავში იკეტება, გარშემო მყოფებთან კამათსაც ერიდება და აქტიურ ურთიერთობასაც, გაცილებით მეტად მიდრეკილია დაავადებებისკენ, მათ შორის — ონკოლოგიურისკენაც. საერთაშორისო ტესტირების თანახმად, სიმსივნით დაავადებულ რესპონდენტთა 64 პროცენტი ბრაზს ყოველთვის გულში იკლავდა.

### ავარჯიშეთ გონება

შეავსეთ კროსვორდები, ითამაშეთ კოლექტიური თამაშები — ისეთები, რომლებიც მახვილ გონებასა და სხარტ აზროვნებას მოითხოვს; შეისწავლეთ რომელიმე უცხო ენა; ითვალეთ გონებაშიც და არა მარტო კალკულატორის მეშვეობით. როდესაც ტვინს მუშაობას აიძულებთ, გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივი დეგრადაციის პროცესს აჩერებთ; ამავდროულად, გულის, სისხლძარღვების და ნივთიერებათა ცვლის პროცესის მუშაობას აქტიურებთ. ■

*რუბრიკა მოამზადა*
***ეკა გუნთაიშვილმა***

## სალათა ვაშლით
### (1 ულუფისთვის)



**მასალად საჭიროა:**
200 გ კარტოფილი;
75 გ მწვანე ლობიო;
1 შეკვრა მწვანილი;
1 პატარა ვაშლი;
1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
1/2 ხახვი;
1 კონა კამა;
1 ს/კ ვაშლის ძმარი;
1 ს/კ მცენარეული ზეთი;
25 გ შებოლილი ხორცი.

**მომზადების წესი:**
მოხარშეთ კარტოფილი კანიანად. შემდეგ ცივი წყალი გადაავლეთ და გაფცქვენით. გაყინული მწვანე ლობიო მოხარშეთ მარილიან წყალში. ვაშლი გარეცხეთ და 4 ნაწილად გაჭერით. ვაშლი და კარტოფილი თეფშზე ლამაზად დააწყვეთ. მოასხით ლიმონის წვენი და მოაყარეთ მწვანილი.

ხახვი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ ძმარჩასხმულ ჭიქურჭელში და მიიყვანეთ ადუღებამდე. მოასხით სალათას ძმარი და ზეთი. მოაწყვეთ შებოლილი, წვრილად დაჭრილი ხორცი და კამა. მოაყარეთ მარილი. აურიეთ ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში და გაალამაზეთ მწვანილით. ■

# ხატმებრძოლთა ერესი, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება

## და ღვთისმშობლის ხატის წინაშე ლოცვით გამრთელებული მარჯვენა

შორენა მერკვილაძე

**არქიმანდრიტი მაკარი** *(აბესაძე):*

— როგორც ვიცით, VII საუკუნის ბოლოს გაიმართა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც მხილებული და დამხობილ იქნა მონოთელიტური მწვალებლობა. ეს ერესი მეექვსე მსოფლიო კრების შემდეგ საბოლოოდ გაქრა. ისეთი გავრცელება, როგორიც მონოფიზიტობას ჰქონდა, მონოთელიტობას არ ჰქონია. ამდენად, მონოთელიტურ მწვალებლობას ეკლესიისთვის საფრთხე არ შეუქმნია. VII საუკუნე გამორჩეული იყო იმითაც, რომ გამოჩნდა ახალი რელიგია — მუსლიმანობა, რომელმაც ამავე საუკუნეში ფართო გავრცელება პოვა. მუსლიმანობამ საკმაოდ დიდი ტერიტორიები მოიცვა — ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ მხარეები, ეგვიპტე... VIII საუკუნეში, რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, არაბული იმპერია აქტიურ დაპყრობებს ეწეოდა. არაბები თავიანთი სარწმუნოების გავრცელებას საკუთარ მოვალეობადაც კი მიიჩნევდნენ... ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებსა და აფრიკულ ნაწილს მუსლიმანებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მოსახლეობის უმრავლესობა ფაქტობრივად, მუსლიმანი იყო, რამაც თავად ბიზანტიის იმპერიაში არეულ-დარეულობები და ხელისუფლების — იმპერატორების ხშირი ცვლა გამოიწვია. სწორედ ამ პერიოდში მოდის ხელისუფლებაში ხატმებრძოლი იმპერატორი ლეონ ისკარიელი, რომელმაც წამოიწყო ბრძოლა ხატების წინააღმდეგ.

ხატმებრძოლებმა ხატები კერპებად გამოაცხადეს და მართლმადიდებელ ქრისტიანებს კერპთაყვანისმცემლობაში სდებდნენ ბრალს. მათ ეჭვქვეშ დააყენეს წმინდა ხატების საჭიროება და ამტკიცებდნენ, რომ ხატების თაყვანისცემას არავითარი საღმრთო საფუძველი არ გააჩნია, რომ სამოციქულო სწავლება ამას არ მოითხოვდა. მათ არ ესმოდათ განსხვავება სურათსა და ხატს შორის, რომელსაც მხოლოდ ზეციური სამყაროს პორტრეტულ ასახვად მიიჩნევდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სულიერ სამყაროში მყოფთა გამოსახვა დაუშვებელი იყო... ხატმებრძოლები ეწინააღმდეგებოდნენ წმინდა ნაწილების თაყვანისცემასაც. ისინი წმინდა ხატებსა და წმინდა ნაწილებს შეურაცხყოფდნენ, ანადგურებდნენ. ამის ნიადაგზე ბიზანტიის იმპერიაში მასობრივი არეულობები დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ VIII საუკუნის მიწურულს — 787 წელს ხატმებრძოლთა ერესის წინააღმდეგ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელმაც ხატმებრძოლობა დაგმო და ხატთა თაყვანისცემა ჭეშმარიტი — მართლმადიდებლური სარწმუნოების ნაწილად აღიარა. ამ ერესის საბოლოო დამარცხება ვერ მოხერხდა — ხატმებრძოლობამ თითქმის, IX საუკუნის მეორე ნახევრამდე გასტანა.



**VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიაში ახალი ერესი — ხატმებრძოლობა წარმოიშვა, რაც მართლმორწმუნე ქრისტიანთა ახალი დევნის წამოწყების მიზეზად იქცა. იმ პერიოდში მოღვაწე ისტორიკოსთა ცნობით — დიოკლიტიანეს მიერ მოწყობილი ქრისტიანთა დევნაც კი არ იყო ისეთი სასტიკი, როგორიც ხატმებრძოლებმა მოაწყვეს. მიუხედავად იმისა, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევარში ხატმებრძოლთა ერესის წინააღმდეგ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა, ხატმებრძოლობა და ქრისტიანთა დევნა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ისევ გრძელდებოდა...**

**— ხატმებრძოლთა მხრიდან მართლმადიდებელ ქრისტიანთა დევნა სისასტიკით თუ გამოირჩეოდა?**

— როგორც ისტორიკოსები იმ პერიოდის ეკლესიის ისტორიის აღწერისას მოგვითხრობენ, ხატმებრძოლთა მიერ მოწყობილმა ქრისტიანთა დევნამ სისასტიკით დიოკლიტიანეს დროინდელ დევნასაც კი გადააჭარბა. იმ პერიოდში აუარებელი ახალმოწამე იქნა გამოჩინებული — მართლმადიდებელ ქრისტიანებს ათასგვარი მეთოდით აწამებდნენ, ხატებითა და ჯვრებით სცემდნენ, თავებს უჩეჩქვავდნენ. დაიწყო ბერმონაზონთა მასობრივი დევნაც, მონასტრებს ხურავდნენ; კანონიც შემოიღეს, რომლის თანახმადაც, ბერებს დაქორწინებას აიძულებდნენ, მაგრამ ბერმონაზონთა უმეტესობა ამას წინ აღუდგა, ისინი ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცავად თავს წირავდნენ.

ხატმებრძოლები ხატთა თაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლას შემდეგი მიზეზით ხსნიდნენ — „სახარებაში“ არსად არის მინიშნებული ამის შესახებ და არც წინა ექვს მსოფლიო კრებას დაუდგენია

ხატების თაყვანისცემაო. მათ საწინააღმდეგოდ წმინდა მამები ბრძანებდნენ: ყველა ტაძარი, სადაც მსოფლიო საეკლესიო კრებები ჩატარდა, ხატებით იყო სავსე. თუკი ეს ქრისტიანულ სწავლებას ეწინააღმდეგებოდა, მსოფლიო კრებებს ამის საწინააღმდეგო დადგენილებებიც უნდა მიეღოთ. ამას გარდა, იმ პერიოდში მოღვაწე წმინდა მამებს უამრავი მაგალითი აქვთ მოყვანილი წმინდა მამათა სწავლებებიდან და ეკლესიის ისტორიიდან, სადაც აღნიშნული და მინიშნებულია ხატების არსებობისა და ხატთა თაყვანისცემის აუცილებლობის შესახებ.

სწორედ ამ პერიოდში, ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაბრწყინდა წმინდა იოანე დამასკელი, რომელმაც ამ დრომდე არსებულ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო ნაშრომებს ფაქტობრივად, სრულად მოუყარა თავი, გადაამუშავა და მოგვცა უნიკალური ნაშრომი — „ზედმიწევნით გადმოცემა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“. თავად იოანე დამასკელი ერთ-ერთი მტკიცე დამცველი იყო ხატთაყვანისცემისა. იგი არა ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომი, არამედ დამასკოს მცხოვრები იყო და ამიტომაც იწოდება დამასკელად. იოანე დამასკოს პირველი ვეზირი, ხალიფას ერთ-ერთი პირველი მრჩეველთაგანი გახლდათ. სწორედ მის სახელს უკავშირდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „სამხელად“ წოდებული ხატის ისტორია: ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ ისავარიანმა ცილი დასწამა იოანეს, თითქოს მან იმპერატორს წერილობით შესთავაზა, რომ თუკი ლეონი დამასკოში ჯარით შევიდოდა, ის ხალიფას უღალატებდა და იმპერატორს დამასკოს დაპყრობაში შეუწყობდა ხელს. იმპერატორმა ლეონმა ცილისმწამებლური წერილი დამასკოს ხალიფას გაუგზავნა, რომელმაც ისე, რომ საქმის ვითარება არ გაურკვევია, ბრძანა, — იოანე დამასკელისთვის ის ხელი მოეკვეთათ, რომლითაც მოღალატური წერილი დაწერა და მისი მოჭრილი ხელის მტევანი მოედანზე ჩამოეკიდათ, რათა „მოღალატე“ ყველას თვალწინ შეერცხვინა. სასჯელის აღსრულების შემდეგ, წმინდა იოანემ, მეგობრის მეშვეობით, ხალიფას მოკვეთილი ხელის დაბრუნება სთხოვა. მთავარმა მოწამე შეიბრალა და თხოვნა შეუსრულა. წმინდა იოანემ მოკვეთილი ხელის მტევანი ღვთისმშობლის ხატის წინ დადო, თავადაც იქვე დაემხო და ლოცვით შესთხოვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ მართლმადიდებლობის დასაცავად და ხატმებრძოლობის დასამარცხებლად მისთვის ხელი გაემრთელებინა. ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ, გამთენიისას, იოანეს ჩაეძინა. ძილში ღვთისმშობელი იხილა, რომელმაც აუწყა, რომ მისი თხოვნა აღესრულა. როდესაც გაიღვიძა, ხელი მართლაც, გამრთელებული ჰქონდა და ვეღარც ტკივილს გრძნობდა, ხოლო იმ ადგილზე, სადაც ხელი ჰქონდა მოკვეთილი, წითელი ზოლი გასდევდა. მადლიერების ნიშნად, იოანე დამასკელმა ვერცხლისაგან ხელის მტევანი ჩამოასხმევინა და ღვთისმშობლის ხატზე მიამაგრა. სწორედ ამიტომ, ღვთისმშობლის ხატს, რომლის წინაშეც წმინდა იოანე ლოცულობდა, „სამხელა“ ეწოდა. ხალიფაც მიხვდა ჭეშმარიტებას, იოანე დამასკელს პატიება სთხოვა და შესთავაზა, თავის ადგილს დაჰბრუნებოდა, მაგრამ მან აღარ ისურვა საერო სამსახურში დარჩენა, მონასტერში წავიდა, ბერად აღიკვეცა და მთელი ცხოვრება ღვთის დიდებაში გაატარა.

იმ პერიოდში, როდესაც იოანე დამასკელი მოღვაწეობდა, ხატმებრძოლობის ერესის წინააღმდეგ უამრავი მოღვაწე მამა იბრძოდა,



იოანე დამასკელი

ხატთაყვანისცემის ყველაზე მტკიცე დამცველები კი ბერმონაზვნები იყვნენ.

— **რამ განაპირობა ხატმებრძოლობის ერესის ასეთი მძლავრი სახით ჩამოყალიბება?**

— ხატმებრძოლობა — წმინდა ხატების წინააღმდეგ ბრძოლა უშუალოდ საერო ხელისუფლებამ წამოიწყო და ამიტომაც, ხატმებრძოლობა მეშვიდე მსოფლიო კრების შემდეგაც, იმდენ ხანს გრძელდებოდა, ვიდრე თავად საერო ხელისუფლებამ არ დაამხო — იგი საბოლოოდ IX საუკუნეში, დედოფალ თეოდორას ღვაწლით იქნა დამხობილი. 824 წელს ბიზანტიაში მოწვეულ იქნა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებზე დაყრდნობით, ხატმებრძოლთა ერესი დაგმო. გამოცხადდა მართლმადიდებლობის გამარჯვება ხატმებრძოლობაზე და დაწესდა მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელიც დიდი მარხვის პირველ კვირას აღინიშნება. ამის შემდეგ ხატმებრძოლობის ერესი საბოლოოდ დაემხო, მას გასაქანი და გავრცელება აღარ ჰქონია.

— **საინტერესოა, როგორ მოხერხდა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარება ბიზანტიაში, როდესაც იმპერიაში ხატმებრძოლობის ერესი მძვინვარებდა?**

— მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება 787 წელს, ქალაქ ნიკეაში ჩატარდა. ამ დროს საერო ხელისუფლება მართლმადიდებელ ქრისტიანებს არ ებრძოდა. ხატმებრძოლთა ერესი მაშინ მძლავრდებოდა და ხდებოდა საშიში, როდესაც საერო ხელისუფლება მათ მხარეზე დგებოდა. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმინდა მამებმა „წმინდა წერილიდან“ შესაბამისი ადგილებისა და წმინდა ხატების ძალით აღსრულებული სასწაულების დამოწმებით, ასევე წმინდა მამათა ნაშრომებიდან შესაბამისი ადგილების მოშველიებით ხატთაყვანისცემის აუცილებლობა დაადასტურეს და საბოლოოდ დააკანონეს. წმინდა მამებმა ჩამოაყალიბეს ხატთაყვანისცემის წესი და განმარტეს, თუ რას ვცემთ თაყვანს ხატთაყვანისცემით...

მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებით დასრულდა საეკლესიო დოგმატების ჩამოყალიბება. შვიდმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ სრულყოფილად გადმოსცა საეკლესიო, ქრისტიანული სწავლება და თუკი რაიმე ახალი მწვალებლობა გამოჩნდებოდა, კრების მოწვევის საჭიროება აღარ იყო, რადგანაც ძველი მსოფლიო კრებების მიერ მიღებული დადგენილებები და დოგმატები ნებისმიერი სახის მწვალებლურ სწავლებას განდევნიდა.

■

### ანტიდეპრესანტი

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეორჩა დვალიშ

**უბის წიგნაკიდან:**

1. ყველაზე ძველ ხიდს პარიზში „ახალი ხიდი“ ჰქვია.

2. თიკა ფაცაცია „მის თბილისის“ ტიტულის მფლობელია.

3. საველე ჰოსპიტლები ალექსანდრე მაკედონელის შემოღებულია.

4. გაბარდინი მაღალხარისხიანი შალის საპალტოე და საკოსტიუმე ქსოვილია.

5. მიხეილ ცაგარელი ცხენის წელიწადში, კუროს ზოდიაქოს ნიშნითაა დაბადებული.

6. სიარული თავისუფალი ვარდნაა, რომელსაც ადამიანი ბოლო მომენტში აკონტროლებს.

7. შუა საუკუნეების ევროპაში ყალბი ფულის მჭრელებს პირში გამდნარ ტყვიას ასხამდნენ.



8. სამარხილე ძაღლებს ლეკვობიდანვე აჭრიან ბრჭყალებს, რათა სირბილში არ შეეშალოს ხელი.

9. მთელი მსოფლიოს მასშტაბით დამზადებული სათამაშოების ორი მესამედი ჩინეთში იწარმოება.

10. საყოველთაოდ ცნობილ თამაშში — „ქვა, მაკრატელი, ქაღალდი“ დღეს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება.

11. მსოფლიოში ყველაზე დიდი ძეხვი ბელგიის ქალაქ ლიეჟში, ადგილობრივმა ყასბებმა დაამზადეს. იგი სიგრძეში 600 მეტრი იყო.

12. კოღოს ნერწყვი ტკივილგამაყუჩებელ ანესთეტიკს შეიცავს და მის კბენას ამიტომაც ვიგებთ დაგვიანებით.

13. „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას, ხარისხიანი ჟღერადობა — მაყურებელთა უნდობლობას“, — ამბობენ ხმის რეჟისორები.

14. კოლოფისებური მედუზების მიგრაციული გზის შესასწავლად, მეცნიერები მათ ზურგზე რადიოგადამცემებს, ქირურგიული ბიოწებოთი უმაგრებენ, რომელიც რამდენიმე დღეში თავისით სძვრება.

15. ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებში კომუნისტები სასჯელს იხდიდნენ პოლიტიკური შეხედულებების გამო, ებრაელები — ეროვნების გამო, იეღოველები — სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო.

16. პოლკოვნიკმა კლოდ იზერლიმ თვითმფრინავს, რომლითაც ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო, დედამისის სახელი დაარქვა.

17. სალვადორ დალიმ მომავალი მეუღლე, გალა 25 წლის ასაკში გაიცნო. ახალგაზრდა მამაკაცების მოყვარული, გათხოვილი ქალი მაშინ 36 წლის იყო და ქალიშვილი ჰყავდა.

### ადამიანი-ლეგენდა

# სარა უოკერი
# პირველი შავკანიანი მილიონერი



სარა უოკერი

ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თმის მოვლისთვის საჭირო საშუალებები თუ მოწყობილობები ჩირადაც არ ღირს, სინამდვილეში კი ამ გზით, თურმე, მილიონების შოვნაც თავისუფლად შეიძლება და ეს საკმაოდ შთამბეჭდავად დაამტკიცა გინესის რეკორდების წიგნში შესულმა პირველმა შავკანიანმა მილიონერმა — სარა უოკერმა, რომელმაც ქონება თმის გასასწორებელი საშუალებების შექმნით დააგროვა. დღეს ამ ქალის სახე ამერიკულ საფოსტო მარკებზეა გამოსახული, მის ბიოგრაფიას კი სკოლებში ასწავლიან...

მომავალი მილიონერის მშობლები, ყოფილი მონები — უენ და მინერვ ბრიდლავები 1874 წელს, ყვითელი ციებით დაიღუპნენ. მაშინ სარა მხოლოდ 6 წლის იყო. მშობლების სიკვდილის შემდეგ, ის და მისი უფროსი და, ლუკმაპურს შაქრის ლერწმის ჩეხით შოულობდნენ. 14 წლის ასაკში მხოლოდ იმიტომ, რომ თავზე ჭერი ჰქონოდა, სარა ასაკით ბევრად უფროს, უზარმაზარ ზანგს გაჰყვა ცოლად. 19 წლისამ გოგონა გააჩინა, მომდევნო წელს კი მისი ქმარი ლინჩის წესით გასამართლების მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ სარა მთელი 18 წელი, მრეცხავად მუშაობდა, პარალელურად კი ცდილობდა, ამ საქმისთვის შვილის აღზრდა და საღამოს სკოლაში სწავლაც შეეთავსებინა. ყველა სირთულესა და გაჭირვებას ისიც დაემატა, რომ 36 წლის ასაკში ქალმა გამელოტება დაიწყო. სასოწარკვეთის ზღვარზე მისულმა ქალმა შინაური თუ ქარხნული წესით დამზადებული ათასნაირი მალამო მოსინჯა, მაგრამ გამელოტების პროცესი ოდნავადაც ვერ შეაჩერა. ის-ის იყო, ყველაფერზე ხელი უნდა აეღო, რომ სასწაული მოხდა და, როგორც შემდეგ თავადვე ჰყვებოდა, სიზმარში თმის ცვენის საწინააღმდეგო „სასწაულთმოქმედი“ რეცეპტი ნახა. როგორც ჩანს, საშუალება მართლაც, ეფექტიანი იყო, რადგანაც მისი დახმარებით, სარამ გამელოტებისგან მხოლოდ საკუთარი თავი კი არ იხსნა, საკმაოდ წარმატებული ბიზნესის წამოწყებაც შეძლო.

ამის შემდეგ დენვერში დასახლებულმა სარამ სიზმარში ნანახი პანაცეის გავრცელება დაიწყო. მისი მეორე ქმარი — ჩარლზ უოკერი, რომელსაც 1906 წელს გაჰყვა ცოლად, გაზეთში მუშაობდა და ცოლს მალამოების რეკლამირებაში ეხმარებოდა. მოგვიანებით სარამ ყველაზე მთავარი — ზანგი ქალების ხვეული თმის გასასწორებელი საშუალებაც გამოიგონა, რამაც უკვე მთელ ამერიკაში გაუთქვა სახელი. სარა უოკერის სისტემა — ერთ კომპლექტში გაერთიანებული თმის დამარბილებელი საშუალება და თმის გასასწორებელი სპეციალური ფოლადის სავარცხელი, შავკანიან ქალებს თეთრკანიანების მსგავსი ვარცხნილობების გაკეთების საშუალებას აძლევდა; თუკი თეთრკანიან ქალებს თმის დახვევა შეე-



სარამ ყველაზე მთავარი — ზანგი ქალების ხვეული თმის გასასწორებელი საშუალებაც გამოიგონა

ძლოთ, შავკანიანებს უკვე მის გასწორებაზე მიუწვდებოდათ ხელი.

თავდაპირველად, სარა უოკერი საკუთარ პროდუქციას თავადვე, შავი კვარტალების შემოვლით ავრცელებდა, მაგრამ როცა საშინაო წარმოებამ გაფართოება მოითხოვა, მან აგენტების, უფრო სწორად, აგენტი ქალების ქსელი შექმნა. ასეთი სამუშაო შავკანიანი ქალებისთვის მისწრება იყო, რადგანაც მანამდე მხოლოდ მრეცხავებად და შინამოსამსახურეებად თუ მუშაობდნენ, ახლა კი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენის შანსი ეძლეოდათ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარა უოკერის ბიზნესთან დაკავშირებული — ყველა ადამიანი — კომპანიის ხელმძღვანელიდან დაწყებული და რიგითი მომხმარებლით დამთავრებული, მუქკანიანი იყო. ეს ყველაფერი კომპანიას მხოლოდ პოპულარობას მატებდა და უოკერის ფირმაც სწრაფად იზრდებოდა. 1910 წელს სარამ დენვერის განყოფილება ინდიანაპოლისში გადაიტანა, სადაც ლაბორატორია და კოსმეტოლოგიის ახალი სკოლაც ააშენა. ბიზნესის აყვავების პერიოდში — 1911-დან 1919 წლის ჩათვლით, უოკერის კომპანია წელიწადში 100 ათას დოლარს გამოიმუშავებდა. ის თმის გაზრდისა და მოვლის, თავის, სახისა და ტანის კანის გასაჯანსაღებელი საშუალებების, პომადების, საფეთქლების გამელოტების საწინააღმდეგო ბალზამების მთელ ხაზსა და კოსმეტიკურ მოწყობილობებს უშვებდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოება გამუდმებით ფართოვდებოდა, უოკერის ფაბრიკაში მხოლოდ 15 მუშა თუ იყო დასაქმებული. სამაგიეროდ, ფირმის რამდენიმე ათასი აგენტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთაც მუხლჩაუხრელად იღვწოდა. ეს ადამიანები მხოლოდ კომივოიაჟერები კი არა, აქტიური სტილისტ-კონსულტანტებიც იყვნენ.

სარა უოკერის ფირმის ნამდვილი ტრიუმფი გასული საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისის პარიზს უკავშირდება, კონკრეტულად კი — იმ მომენტს, როცა იმხანად ყველაზე პოპულარულმა მომღერალმა ქალმა, ჟოზეფინ ბეიკერმა უოკერის სისტემით ისარგებლა; სწორედ ამ მომენტიდან ჩაეყარა საფუძველი სარა უოკერის ძლევამოსილებას, ის მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა, რასაც პირველ რიგში, მისმა მეუღლე ჩარლზმა ვერ გაუძლო და 1912 წელს ცოლ-ქმარი გაიყარა. ამის შემდეგ სარა საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და სანიმუშო მილიონერისთვის აუცილებელი ვილის მშენებლობაც მაშინვე დაიწყო. თავად სარას თქმით, ამ ვილით იმის ჩვენება სურდა, თუ რისი მიღწევა შეუძლია მისი რასისა და სქესის ადამიანს.

1916 წელს უოკერის აგენტები კოსმეტოლოგების ეროვნულ ასოციაციასა და მადამ უოკერის აგენტების ნებაყოფლობით ასოციაციაში გაერთიანდნენ, 1917 წელს კი ორივე ასოციაცია კოსმეტოლოგების კავშირად (Madam Ñ. J. Walker Hair Culturists Union) გადაკეთდა. კავშირის საწევრო შესატანი თვეში 25 ცენტს შეადგენდა, ბენეფიციანტის გარდაცვალების შემთხვევაში კი მის ოჯახს 50 დოლარს უხდიდნენ. ამასთან, კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები ბიზნესით, განმანათლებლობითა და ქველმოქმედებით თანაბრად იყვნენ დაკავებულნი.

სიცოცხლის ბოლო წლებში, დროის უმეტეს ნაწილს სარა უოკერიც განმანათლებლობასა და ქველმოქმედებას ახმარდა. სწორედ მან წამოიწყო 1915 წელს სასამართლო პროცესი ინდიანაპოლისის კინოთეატრებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ხოლო 1917 წელს დაბეჯითებით მოითხოვა, ლინჩის წესით გასამართლება დანაშაულად გამოეცხადებინათ. სარა იყო „ფერადი“ მოსახლეობის პროგრესის ეროვნული ასოციაციის სასარგებლოდ ყველაზე მსხვილი შეწირულობების გამღები; ის ფინანსურ დახმარებას უწევდა ბაგებსა და უდედმამოთა თავშესაფრებს, ეკლესიებსა და სასწავლო დაწესებულებებს ინდიანაპოლისში, სენტ-ლუისში, ფლორიდაში, ჩრდილოეთ კაროლინასა და ჯორჯიაში. მანვე დააარსა აკადემია სამხრეთაფრიკელი გოგონებისთვის, ყველა თავის ნათესავსა და ახლობელს კი მის მიერ შექმნილი ბიზნესისკენ გაუხსნა გზა...



ჟოზეფინ ბეიკერი

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



ანტიდეპრესანტი

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ელჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

18. მთელი ფაშისტური ოკუპაციის მანძილზე, საფრანგეთში ფრანკო-გერმანულ წყვილებს 200 ათასამდე ბავშვი გაუჩნდათ.

19. გურამ პატარაიას მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „კუჩხი ბედინერი“ 30 წლის წინ კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმშია გადაღებული.

20. „ეს რა დიდებული ადამიანი ყოფილაო“, — იძახდა ჟან გაბენი იპოლიტე ხვიჩიას შესახებ. ფრანგები მას ქართველ ბურვილს ეძახდნენ. მის პარტნიორობაზე ოცნებობდა იური ნიკულინიც.

21. „თუკი იმას მივაღწიეთ, რომ მოსკოვში ახალგაზრდა კაცი ჯინსში გამოწყობილი გამოვიდა წითელ მოედანზე, ვიფიქრებთ, რომ ცივ ომში გავიმარჯვეთ“, — ამბობდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი.

22. „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია მონური წესწყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს“, — ამბობდა თავის დროზე ფილიპე მახარაძე.

23. ექვთიმე თაყაიშვილი 1863 წლის 5 იანვარს, გურიაში, ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში, აზნაურ სვიმონ თაყაიშვილის ოჯახში დაიბადა. დაბადებიდან მეხუთე დღეს მამა დაეღუპა, მეხუთე წელს კი დედა გარდაეცვალა. სამი წლისამ მარჯვენა ფეხი მოიტეხა, შემდეგ კი ცუდად შეხორცებული ფეხი დაუმოკლდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. დედმამიშვილებსა და სანათესავოს ექვთიმეს კოჭლობისა ეუხერხულებოდათ და მისი სტუმრად გამოჩენა ერცხვინებოდათ.



24. „ჩვენი გზა“ — ასე ერქვა სოციალ-დემოკრატთა გაზეთს, რომელშიც ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვიდან ერთი თვისთავზე გამოაქვეყნა წერილი: „როგორც ჰხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია და, თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# მწვავე და ქრონიკული ფრონტიტი — გრიპის გართულება



**რედაქციაში შემოვიდა რამდენიმე შეკითხვა ფრონტიტთან დაკავშირებით, რაც უდავოდ, გრიპის სეზონს უკავშირდება — ფრონტიტი ხომ გრიპის არცთუ იშვიათი გართულებაა. მკითხველებს აინტერესებთ, როგორ უნდა მოხდეს დაავადებული ადამიანის მკურნალობა სახლის პირობებში.**

ფრონტიტი შუბლის წიაღის ლორწოვანი გარსის ინფექციური ანთებაა. იგი შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული. ხშირად მწვავე ფრონტიტი ვითარდება გრიპის, რინიტის, წითელას დროს. ავადმყოფი უჩივის მკვეთრ ტკივილს თვალებსა და შუბლის არეში, სინათლის შიშს, ცრემლდენას, ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას, უხვ გამონადენს (განსაკუთრებით იმ ნესტოდან, შუბლის წიაღის რომელ მხარესაცაა ანთებითი პროცესი), ზოგჯერ კი სხეულის ტემპერატურაც მომატებულია.

მწვავე პროცესის ქრონიკულში გადასვლას შუბლის წიაღის არასაკმარისი დრენირება უწყობს ხელს, რაც აღინიშნება მაგალითად, ცხვირის ძგიდის გამრუდებისას. ქრონიკული ფრონტიტის დროს აღინიშნება მტეხი, მოჭერითი ხასიათის თავის ტკივილი, რომელიც დაზიანებული წიაღის მიდამოში ლოკალიზდება. ამ დროს აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას გამონადენის თავისუფალი გამოსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წიაღში წნევის მომატების გამო ტკივილი გაძლიერდება.

რაც შეეხება მკურნალობას, მდგომარეობის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მედიკამენტები, მათ შორის: ანტიბიოტიკები, ცხვირის წვეთები, რომლებიც სისხლძარღვთა შევიწროებას იწვევს, სეკრეტოლიტები, იმუნიტეტის ასამაღლებელი საშუალებები, ვიტამინები, მინერალები, ფერმენტები, ასევე სამკურნალო ბალახები, ჰომეოპათიური პრეპარატები, არომათერაპია, ფიზიოპროცედურა; ბოლო ეტაპია ქირურგიული ჩარევა.

ყურადღება! ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევისა და ამის საფუძველზე სპეციალისტის დასკვნის გარეშე მოერიდეთ პრეპარატის, მით უმეტეს, ანტიბიოტიკების მიღებას, მაგრამ თუ დაავადება პირველად განვითარდა, კარგად მოქმედებს ამოქსაცილინი და ტრიმეტოპრიმი სულფამეტოქსაზოლი. ლორწოვანის შეშუპების შესამცირებლად და სურდოსთან საბრძოლველად არსებობს დიდი ჯგუფი პრეპარატებისა, რომელსაც სისხლძარღვთა შემავიწროებელი ეფექტი აქვს: გალაზოლინი, ნაფტიზინი, სანორინი, ნაზოლი, ტიზინი და სხვა. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ამ პრეპარატებიდან ზოგიერთი არტერიული წნევის მატებას (სანორინი, ნაფტიზინი, ტიზინი), ზოგიერთი კი უკურეაქციას, შეშუპებას იწვევს. თანაც, მათი მიღება 3-5 დღეზე მეტხანს არ შეიძლება, რადგან ისინი ცხვირის ლორწოვანის გამოშრობას იწვევს. გაითვალისწინეთ: ბავშვისთვის უნდა გამოიყენოთ ამ პრეპარატების სპეციალური პედიატრიული ფორმა.

ფრონტიტის მკურნალობაში ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატი — სინუპრეტი. ის ამცირებს ანთებას და ლორწოვანი გარსის შეშუპებას, ახდენს ლორწოვანი გარსის დაცვითი ფუნქციის ნორმალიზებას, ამცირებს შედედებას და აუმჯობესებს ლორწოს გამოდენას ღრუებიდან; ასევე ეფექტიანი საშუალებაა პრეპარატი სინუფორტე. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მას აქვს ანტიმიკრობული და ანტიანთებითი მოქმედება. სეკრეტის სიჭარბისას მისი ყოველდღიური შეყვანა ცხვირში (გამორეცხვის ნაცვლად), ღრუს სწრაფ გასუფთავებას უზრუნველყოფს; სეკრეტის გასათხელებლად და თავისუფლად გამოსასვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნას აეროზოლი სალინი, გელი რინარისი, ცხვირის წვეთი — ნო-სოლი, ცოტა ხნის წინ კი გამოჩნდა ახალი ნაზალური შესასხურებელი დიდებისთვის და ცხვირის წვეთები ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის — აკვა მარისი (ადრიატიკის ზღვის წყლის ფუძეზე დამზადებული). შეგახსენებთ, ამ მედიკამენტებით შეგიძლიათ ახლად და პირველადად გამოვლენილი ფრონტიტის შემთხვევაში ისარგებლოთ. მოკლე პერიოდში მცირე ეფექტის, მით უმეტეს, უეფექტობის დროს აუცილებლად მიმართეთ სპეციალისტს.

## მკურნალობა სახლის პირობებში

ორთქლით ინჰალაცია სქელი ლორწოს გამოყოფას და ინფექციის მოსპობას უზრუნველყოფს. ამისათვის კარგია გვირილის, პიტნის, ევკალიპტის, ლავანდის, ფიჭვის ზეთი; ეფექტიანია სხვადასხვა ზეთის კომბინირება და მათი მონაცვლეობა. მწვავე პროცესისას ინაჰლაცია უნდა გაკეთდეს დღეში 4-ჯერ, ხოლო როცა სიმპტომები შესუსტდება, ინჰალაციის რაოდენობა თანდათანობით უნდა შემცირდეს.

თუ დაავადებული ბავშვია, მისი შუბლის წიაღის გასაწმენდად უნდა გამოიყენოთ ახალგამოწურული ჭარხლის წვენი — 1-2 წვეთი ჩააწვეთეთ ცხვირში, დღეში 2-3-ჯერ, შემდეგ კი გამოურეცხეთ თბილი წყლით და კარგად გამოხოცეთ; მოზრდილთათვის — ცხვირის ნესტოებში ბლომად წაისვით თაფლი (შიგნიდან), ნესტოებში მოათავსეთ თაფლში დასველებული ბამბა ან მარლა, ცხვირის ფუძეზე, თვალების სიახლოვეს დაიფინეთ ტილო და დაიდეთ კარგად მოხარშული, ცხელი კვერცხი, თითოეულ მხარეს თითო, ზემოდან დაიფარეთ პირსახოცი და გაიჩერეთ მანამ, ვიდრე სითბოს გრძნობთ. თაფლი გადნება და ნელ-ნელა გადავა ცხვირხახაში, თქვენ კი შეეცადეთ, ფრთხილად გადმოაფურთხოთ (ეს პროცესი ძალიან ეფექტიანია გაცივების, ფრონტიტისა და ჰაიმორიტის დროს).

3 ს/კ წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით 50 მლ თბილი წყალი, დაამატეთ 0,5 ჩ/კ თაფლი ან შაქარი, დააყენეთ ნახევარი საათი და ცხვირში ჩაიწვეთეთ.

ღრუების გამოსარეცხად საუკეთესო საშუალებაა ყოჩივარდას ბოლქვი. მისი წვენი უნდა გაზავდეს დისტილირებულ წყალში (შეფარდებით 1/10). მაცივარში ინახება 10 დღე, შემდეგ კი ახალი ხსნარი უნდა მოამზადოთ. ჩაიწვეთეთ ყოველდღე, უზმოზე, ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში (ბალიშის გარეშე), თითო წვეთი თითო ნესტოში, 5 წუთის შემდეგ კი წამოდექით, დალიეთ ბალახების ნახარში (სალბის, არყის ხის ყვავილების, თაფლთან და ლიმონის წვენთან,), შემდეგ დაიხარეთ იატაკამდე — 1-2 წუთით, გამოირეცხეთ ცხვირი და მოიხოცეთ. ■

# რედაქციაში შემოსული შეკითხვები

**„მოგესალმებით. თუ შეგიძლიათ, მიპასუხეთ: ხელისგულები მიოფლიანდება და ეს რისი ბრალი შეიძლება იყოს ან რა საშუალებებით უნდა ვიმკურნალო? გმადლობთ“.**

— ხელისგულების ოფლიანობა ჭარბოფლიანობის (ჰიპერჰიდროზი) საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. ხელისგულების ოფლიანობის დროს ალმოცენდება შემდეგი სიმპტომი და ჩივილი: გლუვზედაპირიანი საგნების დაჭერის პრობლემა, ხელის ჩამორთმევის შიში, მტევნის ციანოზური (მოლურჯო) ელფერი; გარდა ამისა, დამახასიათებელია პროფესიული ხასიათის ჩივილები — ასეთ პაციენტებს უჭირთ კლავიატურასთან მუშაობა (კომპიუტერზე, მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ელექტრულ აპარატურაზე და სხვა).

ხელისგულების ჰიპერჰიდროზის ქირურგიული მკურნალობა (ენდოსკოპიური თორაკოსკოპიული სიმპატოექტომიით) თითქმის 100%-იანი განკურნების საშუალებას იძლევა. რასაკვირველია, პირდაპირ ქირურგიული მეთოდით მკურნალობის დაწყება არ შეიძლება. მას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა კონსერვატიული მკურნალობა უშედეგოა. ჯერ სცადეთ მკურნალობა სამედიცინო ანტიპერსპირანტებით, იონოფორეზით (ფიზიოთერაპიული პროცედურა) ან ბოტოქსის ინიექციით.

შესაძლოა, კარგი შედეგი მოგცეთ ხელებზე კონტრასტული აბაზანების გაკეთებამ (ცხელისა და ცივის მონაცვლეობა). გარდა ამისა, ხელისგულებზე ყოველდღე გაიკეთეთ მუხის ქერქის აბაზანები: 2 ს/კ დანაწევრებულ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ ცივი წყალი, დადგით მდუღარე წყლის აბაზანაზე და გააჩერეთ 20 წუთი, შემდეგ დაუმატეთ 1 ს/კ გულყვითელა და გააჩერეთ 10 წუთი, მერე კი გაფილტრეთ. ხელისგულებზე ამ ნაყენის აბაზანები გაიკეთეთ დილა-საღამოს და გამშრალების გარეშე შეიშრეთ. კარგია გვირილის ნაყენის აბაზანებიც.

**„რა ასაკამდე შეიძლება გაიზარდოს ადამიანი და როგორ შეიძლება ამ პროცესს შევუწყოთ ხელი?“**

— ზრდასრულად მიიჩნევა 19-20 წლის ვაჟი, გოგონები კი ზრდას ცოტა უფრო ადრე ასრულებენ. სიმაღლეში ზრდა შემდგომ ასაკშიც ხდება, ოღონდ — მინიმალური ზრდის სიჩქარით. ყველაფერს ზრდის ზონა განსაზღვრავს — როცა ეს ზონები იხურება, ხაზოვანი ზრდა აღარ ხდება, უბრალოდ, ძვლის გამსხვილების ხარჯზე ადამიანი სიმაღლეში მინიმალურად იმატებს. რაც შეეხება გოგონებს, თუ ისინი 29 წლამდე იმშობიარებენ, ორსულობის პერიოდში კიდევ მოხდება მათი გაზრდა. როცა ქალი მშობიარობისთვის ემზადება, ხდება ხრტილების გათხიერება და მგრძნობელობის მატება ზრდის ჰორმონისადმი (ეს ჰორმონი ზრდასრულებსაც აქვთ, მაგრამ მცირე რაოდენობით). ორსულობის დროს ქალი სიმაღლეში 1,5-2 სმ-ით იმატებს.

პირველ რიგში, გირჩევთ, იკვებოთ სწორად. კვების რაციონში შეიტანეთ რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, ვიტამინები, ცილები საჭირო რაოდენობით და კალციუმით მდიდარი პროდუქტები. დადგენილია, რომ ზრდის ჰორმონის გამოყოფას ასტიმულირებს ცილოვანი საკვები და თრგუნავს გლუკოზა, ამიტომ რაციონში შეიტანეთ ბუნებრივი ცილოვანი პროდუქტები — კაკალი, კვერცხი, ხაჭო და შეზღუდეთ გლუკოზა: შაქარი, კანფეტი, ტკბილი სასმელი — მათი შეცვლა შეიძლება თაფლით, ტკბილი ხილით. ზრდაზე განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს A და B ჯგუფის ვიტამინები. A ვიტამინის წყაროა ახალი მწვანილი, სტაფილო, პომიდორი, B ვიტამინის — კაკალი, კვერცხის გული, ნაღების კარაქი.



ზრდის ჰორმონის მაქსიმალური სეკრეცია ძილში ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ძილის რეჟიმის დაცვა — ძილის ნაკლებობა ზრდის ხელის შემშლელი ფაქტორია. ორგანიზმის ზრდას აფერხებს ალკოჰოლი, სიგარეტი, ნარკოტიკები და სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყება. გარდა ამისა, გირჩევთ, იაროთ ცურვაზე. არსებობს ასეთი ხალხური საშუალებაც: 25 ცალი ასკილი დაჩეჩქვეთ და დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყენეთ მთელი ღამე, მეორე დილას კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ჩ/ჭ გამოწურული სტაფილო, 1 ჩ/ჭ გაწურული ჭარხალი, 1 ჩ/ჭ ბროწეულის წვენი, 2 ს/კ თაფლი და 2 გაწურული ლიმონი. ამგვარად მომზადებული ხსნარის დალევა უნდა დაიწყოთ რვის ნახევარზე (დილით) და ყოველ საათში მიიღოთ ერთი ჭიქა. ეს კეთდება თვეში ერთხელ, სამი თვის განმავლობაში, შემდეგ სამი თვე ისვენებთ, მომდევნო სამი თვის განმავლობაში კი ნაყენი ისევ უნდა მიიღოთ, მერე ისევ დაისვენოთ და ა.შ.



**„მაქვს კოლიტი. შეიძლება თუ არა მისი მკურნალობა ხალხური მედიცინით?“**

— კოლიტი მსხვილი ნაწლავის ლორწოვანის ანთებაა. ქრონიკული კოლიტის განვითარებას შეიძლება ნაღვლის ბუშტში, პანკრეასში ან ნაწლავებთან ორგანულად დაკავშირებულ სხვა ორგანოებში ინფექციის არსებობამ, აგრეთვე ხანგრძლივმა ერთგვაროვანმა კვებამ, რაციონში ძნელად მოსანელებელი საკვების დიდი რაოდენობით ჩართვამ, ცხარე საკვების მიღებამ და ალკოჰოლმა შეუწყოს ხელი.

ქრონიკული კოლიტი სხვადასხვაგვარია სიმძიმის, გავრცელების და დაავადების სტადიის მიხედვით. გამწვავებისას ადამიანს აღენიშნება უმადობა, გულისრევა, საერთო სისუსტე, გაურკვეველი ლოკალიზაციის მოვლითი ტკივილი, ფაღარათისა და შეკრულობის მონაცვლეობა. კოლიტის გამწვავებას ნაწლავის გამაღიზიანებელი ან ალერგიის გამომწვევი საკვების (მარინადის, კონსერვის, ციტრუსის, კომბოსტოს და სხვა) მიღება, გადაღლა, ემოციური გადატვირთვა, ანტიბაქტერიული პრეპარატების მიღება უწყობს ხელს.

ხალხური მედიცინა კოლიტის სამკურნალოდ სპეციალურ დიეტას და სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ნაყენის მიღებას გვთავაზობს:

2 ს/კ პიტნა, 1 ს/კ კამა, 6 ს/კ გვირილა და 1 ს/კ ვალერიანის ძირები ერთმანეთში ავურიოთ. ამ ნარევის 2 ს/კ ჩაყარეთ თერმოსში და დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში, მეორე დღეს კი მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 2-3 თვეა.

აიღეთ თანაბარი რაოდენობის სალბი, პიტნა, გვირილა, კრაზანა და ძირა. ამ ნარევის 2 ს/კ ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ლ წყალი და გააჩერეთ ღამის განმავლობაში. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

თუ ქრონიკული შეკრულობა გაწუხებთ, შეგიძლიათ მიიღოთ ასეთი ნაყენი:

აიღეთ 1 ს/კ ხეჭრელი, 1 ს/კ ძირტკბილა და 1 ს/კ კამა. ამ ნარევის 2 ს/კ დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და დაბალ ცეცხლზე 2-3 წუთით ადუღეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

**P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**


ახალი ნომერი
ოჯახის
მკურნალი
ჩვენამ ექიმთან მისვლა...



# ადამიანი

## ხუთშვილიანი ოჯახის რთული, მაგრამ სიყვარულით „გაფერადებული“ ცხოვრება

**მრავალშვილიანი ოჯახის ერთი პატარა წევრი, ოქროს-ფერკულულებიანი ბიჭი, გაკვეთილების მომზადების შემდეგ, თავის მომავალს ფერადი ფანქრებით ხატავს. დედმამიშვილებში ყველაზე უფროსის, 9 წლის რატი ბუხრაშვილის ოცნება — დიდი სახლი და ლამაზი ეზოა, სადაც თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად იცხოვრებს... ლაპლანდიიდან თავის სკოლაში მისულ „თოვლის ბაბუასაც“ ეს სთხოვა, თუმცა პატარა რატიმ ჯერ არ იცის, ცხოვრება როგორი რთულია. ან კი საიდან უნდა იცოდეს?.. დედა არასდროს წუწუნებს; გაჭირვებაზე შვილებთან არც დილიდან საღამომდე სამუშაოზე „გავარდნილი“ მამა ლაპარაკობს... მერე რა, რომ სახლის სახურავი დაზიანებულია და ხშირად მათ ოთახნახევრიან ბინაშიც ისე წვიმს, როგორც გარეთ?! სამაგიეროდ, უფლის მფარველობასა და კეთილი ადამიანების თანადგომას გრძნობენ. ამიტომაც, არავის არაფერს საყვედურობენ და პრობლემებზე საუბარს ახლობლებთანაც კი ერიდებიან...**



### „ცოტა უკეთესი ცხოვრების პირობები რომ მქონდეს, კიდევ გავაჩენდი შვილებს...“

*ლალი პაპასკირი*

ეს მხიარული და მართლაც მადლიანი ოჯახი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს. იქიდან ისეთი გულსავსე წამოვედი, ყოველდღიური პრობლემები, რომლებსაც აქამდე ძალიან განვიცდიდი, უმნიშვნელოდ მომეჩვენა. შევეცდები, იქ მიღებული შთაბეჭდილება მკითხველსაც გავუზიარო...

მასპინძლის მიგნება არ გამჭირვებია — როგორც კი მეცხრე სართულის კიბეზე ავედი, ერთ-ერთი ბინიდან ბავშვების ჟრიამული შემომესმა. ოთახში შესულს, იქ მდგარი ნესტის უსიამოვნო სუნი, საოცრად ლამაზი, ზოგი — ქერა, ზოგი — შავგვრემანი პატარის ცნობისმოყვარე მზერამ რამდენიმე წამში დამავიწყა.

— მობრძანდით, — თავაზიანად მიმიპატიჟა სანდომიანმა ქალბატონმა, ნინო ბუხრაშვილმა და თბილად გამიღიმა... ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, — რატომღაც მეგონა, ნერვებმოშლილი, დათრგუნვილი და კისერზე ძარღვებდაბერილი ქალი დამხვდებოდა-მეთქი. პასუხად დიასახლისმა მხოლოდ გამიღიმა, — სტუმრების მიღება ძალიან მიყვარსო... თვალწინ დამიდგა უამრავი ჩემი ახლობელი ახალგაზრდა დედა, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს და დედამიწას არსებობას ამადლის... დიასახლისმა პატარებს ხმადაბლა სთხოვა, — ცოტა ხანს არ იხმაუროთო.

— საკმაოდ ცელქები არიან, მაგრამ სტუმარი უყვართ და იმედი მაქვს, ჭკვიანად იქნებიან... ოჯახი გვიან, 32 წლისამ შევქმენი. მე მხოლოდ ერთი და მყავს და ბევრ შვილზე ვოცნებობდი. უფალმა ჩემი ლოცვა შეისმინა და 5 შვილი მაჩუქა: რატი, ლუკა, ნუციკო და ტყუპი — სანდრო და სალომე. ტყუპი 3 წლისაა, ყველაზე უფროსი, რატი — 9 წლის. როგორც ყველა ბავშვი, ესენიც ძალიან ცელქები არიან, ბურთს თამაშობენ, კედლებზეც სულ ამათი „შემოქმედებაა“ დაჯღაბნილი. ჩვენ ქვევით მეზობელს სულ ბოდიშებს ვუხდი: ვიცი, რომ ბავშვები გაწუხებენ, მაგრამ რა ვქნა-მეთქი?! — მე არ მაწუხებენ, მაგრამ შენ როგორ უძლებო?. — მეკითხება პასუხად.

— **ამ კითხვას ალბათ ხშირად გისვამენ...**

— დიახ. სხვათა შორის, ერთი და ორი შვილის დედები მეკითხებიან, ამდენ შვილს როგორ უვლიო?! ღიმილით ვპასუხობ, — ცოტა უკეთესი პირობები რომ მქონდეს, მეტსაც ვიყოლიებდი-მეთქი. ზოგს გიჟი ვგონივარ, მაგრამ მე მართლა ასე ვფიქრობ. ღამეები თითქმის არ მძინავს, ამათ ძილს ვდარაჯობ, დღისით კი უამრავი საქმე მაქვს, მაგრამ წუწუნი არ მიყვარს. ზოგ რამეს დამოუკიდებლად ვაკეთებ, პატარებიც მეხმარებიან. ესმით, რომ დედას უჭირს და ცდილობენ, უფრო მობილიზებული და დამოუკიდებლები იყვნენ. რატი და ლუკა სკოლაში დადიან, დანარჩენები

შინ რჩებიან. ბაღში ვერ მივიყვანე — იქ დევნილები იყვნენ შესული, მერე სია შეუდგენიათ, მაგრამ დამაგვიანდა და ადგილები შეივსო... შეიძლებოდა, სხვა ბაღში მიმეყვანა, მაგრამ შორს იყო. როცა სკოლაში ბიჭების გამოსაყვანად მივდივარ, დანარჩენებიც თან მიმყავს, შინ მარტო ხომ ვერ დავტოვებ...

— **ბავშვების გაზრდაში არავინ გეხმარებათ?**

— ზოგჯერ დეიდა მაშველებს ხელს. ტყუპი მან გამაზრდევინა. როცა ისინი დაიბადნენ, ლუკა საოპერაციო გაგვიხდა და ძალიან შევშინდით... იმ მშობლებისაც მესმის, რომლებსაც ერთი შვილი ჰყავთ და წუხან, უამრავი პრობლემა გვაქვსო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ერთი პრობლემა გექნება თუ რამდენიმე?! პრობლემა — პრობლემაა. მეტსაც გეტყვით, როცა მეტი საქმეა, მეტი შვილი გყავს და უფრო დატვირთული ხარ, გაცილებით მობილიზებული ხდები. დღის გრაფიკიც განსაზღვრული მაქვს. ძალიან მიჭირს, ვიღლები, საკუთარი თავისთვის დრო თითქმის არ მრჩება, მაგრამ ამ ყველაფერს სიამოვნებით ვაკეთებ.

## ესმით, რომ დედას უჭირს და ცდილობენ, უფრო მობილიზებული და დამოუკიდებლები იყვნენ

— **მეუღლე მუშაობს?**

— კი, უფლის წყალობით, მუშაობს. საზღვარგარეთ წასვლის შანსიც ჰქონდა, მაგრამ მირჩევნია, ნაკლები შემოიტანოს და თავის ოჯახში იყოს. მასაც ასე ურჩევნია. მართალია, სტაბილური სამსახური არა აქვს, სამუშაო ხან აქვს და ხან — არა, მაგრამ მაინც ვახერხებთ რაღაცას. ერთხანს ავტოგასამართ სადგურზე მუშაობდა ღამის მორიგედ; ისეთი ნევროზი დაემართა, ვთხოვე, — მიატოვე მუშაობა და რაიმე სხვა გამოჩნდება-მეთქი... სანამ ახალ სამსახურს იშოვიდა, რაიონში ვცხოვრობდით; მერე როგორღაც იშოვა ახალი სამსახური. მეგობრები და ნათესავები ძალიან გვეხმარებიან. ყოფილა შემთხვევა, რაიმე ნივთი მინატრია, ნეტავ, ეს მომცა ბავშვებისთვის-მეთქი და რამდენიმე დღეში ოცნება ამხდენია — ის ნივთი უჩუქებიათ. მაგალითად, ლუკას დაბადების დღეს „დივიდი-პლეიერი“ აჩუქეს, მერე კი ქართული და უცხოური მულტფილმების დისკებიც მოუტანეს. ანუ ღმერთის მფარველობას ყოველთვის ვგრძნობ და სწორედ იმიტომ არ მინდა, ვიწუწუნო. უმადურობა არ მიყვარს... საჭმელ-სასმელი არ გვიჭირს, ბავშვებს ლუკმას ვერ მოვაკლებ, მაგრამ პატარებისთვის ახალ ტანსაცმელს ვერ ვყიდულობ. სულ ვიღაცის ნაჩუქარი და გამონაცვალი აცვიათ, მაგრამ უფალს ამისთვისაც მადლობას ვწირავ, მთავარია, ჯანმრთელები მყავდნენ.

— **როგორც ვატყობ, სახლის სახურავიც დაზიანებულია...**

— დიახ, წყალი ჩამოდის, ჩემმა მეუღლემ რაღაცები დააფარა, მაგრამ დროებითი აღმოჩნდა. კაპიტალური შეკეთება სჭირდება, ამას ჩვენ ვერ გავწვდებით. მერიის სამსახური გვპირდებოდა, დაგეხმარებითო, მაგრამ მერე ომი დაიწყო და... მეზობლებმა მოვილაპარაკეთ, რომ თითო ოჯახს გარკვეული თანხა დაგვედო.

— **ქალბატონო ნინო, საკმაოდ ვიწროდ ცხოვრობთ, უფროსებს მეცადინეობის დროს ხელი არ ეშლებათ?**

— როგორღაც ვუთავსებთ ერთმანეთს. ან ძალიან გვიან ვმეცადინეობთ, როცა პატარებს უკვე სძინავთ, ან — დილით ადრე, სკოლაში წასვლამდე... ჩემდა საბედნიეროდ, ბავშვებმა იციან, რომ გაკვეთილების მომზადება მათი მოვალეობაა და დამოუკიდებლადაც მეცადინეობენ. ძალიან გონიერი ბავშვები არიან. თვითონ შეუძლიათ, იმეცადინონ, ჭამონ, გაერთონ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, თუმცა ზოგჯერ ჭინკებიც შეუჩნდებათ და ალიაქოთს ატეხენ... რატი და ლუკა ძალიან კარგად ხატავენ. უფრო სწორად, როცა ამათი ნახატები ვნახე, ცოტა არ იყოს, შევშინდი: ძალიან მხიარული სახეები დაეხატათ. სკოლის ფსიქოლოგმა მითხრა, — ძალიან გახსნილი და მხიარული ბავშვები არიან და მათი ხასიათი მათსავე ნახატებშია გადმოცემულიო... ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობ, ის არის, რომ მინდა, ბავშვებს კარგი განათლება მივცე.

*ამასობაში პატარებიც გამიშინაურდნენ. რატიმ და ლუკამ საკუთარი ნახატები დამათვალიერებინეს. ფურცლებზე ყვავილები, მინდორში მიმოფანტული ბავშვები და დიდი, ლამაზი და ნათელფანჯრებიანი სახლები იყო დახატული. რატიმ ნავსი გატეხა (როგორც დედამისმა მითხრა, ის თავის გამოგონებებს არავის უჩვენებს) და პლასტილინისგან გამოძერწილი ულამაზესი ნივთები და პატარ-პატარა გამოგონებები გამომიტანა.*

**რატი:**

— ხშირად სათამაშოს ვერ ვყიდულობ, ამიტომაც სკოლიდან მომავალი, გირჩებს, პატარა ჯოხებსა და ისეთ რაღაცებს ვაგროვებ, რაც ძერწვის დროს გამომადგება. ბუნება ძალიან მიყვარს. დიდი რომ გავიზრდები, რაჭაში, მამიკოს სოფელში პატარა ფიცრული სახლი უნდა ავაშენო. მერე, ზაფხულობით, ჩემს და-ძმასთან ერთად ჩავალ და ბუნების სურათებს დავხატავ. სახლს მოვუვლი. აქაც ვიქნები და იქაც. არ მომწონს, სოფელი თითქმის ცარიელი რომ არის... მამაჩემის სახლში ჩემი გაზრდილი მამალიც მყავს.

— **ახლა ვერ ჩადიხარ შენს სოფელში?**

— სკოლის გამო ხშირად ვერ ჩავდივარ და როცა მომენატრება, მაშინ ვხატავ...

*ამ დროს სალომემ სათამაშო კუბურებით აწყობილი სახლი მომიტანა: აქ ჩემმა ოჯახმა და ლტოლვილმა ბავშვებმა უნდა იცხოვრონო, — მითხრა.*

— **ქალბატონო ნინო, ტყუპი გარეგნობით არ ჰგავს ერთმანეთს; ხასიათით?**

— კი, ერთი თუ გაბრაზდა, მეორეც იბუტება, ერთი თუ გუნებაზეა, ეს მეორეზეც გადადის. ერთმანეთს „ბიჭოს“ და „გოგოს“ ეძახიან. თუ ერთმა გაიღვიძა, მეორეც უმალ ახელს თვალს და ტყუპისცალს ეძებს... გამორჩეულად უყვართ ერთმანეთი.

— **რაიმე სახის სოციალური შეღავათით თუ სარგებლობთ?**

— როცა ტყუპი გამიჩნდა, სოციალური აგენტი გამოვიძახეთ და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფის სტატუსი მოგვანიჭეს. ყოველთვიურად 102-ლარიან დახმარებას ვიღებთ... წუწუნი არ მიყვარს. როცა ადამიანს მუშაობა შეუძლია, უნდა იშრომოს და ქვეყანას შვილები გაუზარდოს, მაგრამ ცოტა ხელშეწყობა სახელმწიფოსგანაც ხომ უნდა გვქონდეს. საჭმელზე არა მაქვს ლაპარაკი, მაგრამ შვილის გაზრდა მარტო საკვები ხომ არ არის, განათლებაც ხომ უნდა მივცე!.. ღმერთმა ყველას შვილი კარგად ამყოფოს, მაგრამ უბრალო ვირუსიც რომ შეხვდეს, ნებისმიერი წამალი ისეთი ძვირია, რომ 5 შვილის პატრონს მისი შეძენა ძალიან გამიჭირდება. შეღავათები კი გვაქვს, მაგრამ უმნიშვნელო. დახმარების პაკეტიც გვაქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, ნახევარზე მეტი მაინც ჩემი გადასახდელია. ვერ გეტყვით, როგორ ხდება, მაგრამ ასეა... ■



# „მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი იქ არის“...

**უკვე რამდენიმე წელია, ამერიკაში, კერძოდ კი, ნიუ-იორკში ქართული სკოლა დაარსდა, რომლის ხელმძღვანელიც ქეთი ბერიანიძე გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ქეთი უკვე დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობს, წელს სამშობლოში ჩამოვიდა და ცოლად ქართველ კაცს გაჰყვა. როდის და რატომ წავიდა ამერიკაში, როგორ შეიქმნა ქართული სკოლა და რატომ გადაწყვიტა, რომ საქართველოში გათხოვილიყო, ამ ყველაფერზე უფრო დაწვრილებით თავად ქეთი გვესაუბრა.**

ნათია ჟივიძე

— ამერიკაში 1999 წელს, აბსოლუტურად მოულოდნელად და სპონტანურად გავემგზავრე. მაშინ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზე ვსწავლობდი და პარალელურად, სახელმწიფო ტელევიზიაში, სტუდია „პუბლიცისტში“ ვმუშაობდი. ერთ-ერთი გადაღების დროს, „შერატონში“ გამართულ კონფერენციაზე გავიცანი და დავუმეგობრდი ამერიკელ ინვესტორს, რომელიც საქართველოში უამრავ კომპანიას ფლობდა, ამერიკაში კი ერთ-ერთი უმსხვილესი ტელეცენტრის ხელმძღვანელი გახლდათ. როცა ამ ადამიანმა გამიცნო და გაიგო, რომ კარგად ვიცოდი ინგლისური ენა და საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანობაც შემეძლო, ამერიკაში წასვლა შემომთავაზა. ამისთვის მოუმზადებელი ვიყავი, რადგან აბსოლუტურად სხვა გეგმები მქონდა. ვფიქრობდი, რომ სწავლა ასპირანტურაში უნდა გამეგრძელებინა, მოგვიანებით კი დისერტაციის დაცვაზეც მეზრუნა. მიუხედავად ასეთი გეგმებისა, 1999 წლის 3 დეკემბერს ნიუ-იორკში გავემგზავრე. თავიდან არც კი ვფიქრობდი, რომ ამერიკაში დავრჩებოდი. მეგონა, 3-4-თვიანი სტაჟირების შემდეგ კვლავ სამშობლოში დავბრუნდებოდი, მაგრამ, როგორც ყველა ემიგრანტს ემართება ხოლმე, წამოსვლა მეც ველარ მოვახერხე. მას შემდეგ უკვე 10 წელი გავიდა.

— **პატარა ქალაქიდან წასული პატარა გოგონა დიდ ნიუ-იორკში რომ მოხვდი, რა შეგრძნება დაგეუფლა? ვინმე დაგეხმარა იქ დამკვიდრებაში?**

— საქართველოდან რომ წავედი, 21 წლის ვიყავი. მანამდე თავი დამოუკიდებელი ადამიანი მეგონა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ძალიან კონსერვატიულ ოჯახში ვარ გაზრდილი. ტელევიზიიდან მივლინებაში რომ გამიშვებდნენ, მთელი ოჯახი თან მომყვებოდა. უცებ კი ჩემი ოჯახიდან ძალიან შორს, სულ მარტო აღმოვჩნდი. ძალზე რთული იყო, როცა ნიუ-იორკის უზარმაზარ აეროპორტში ჩავედი და იქ არავინ მელოდა. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ახლობელი გამოვძებნეთ, რომლის სიძეც ამერიკაში ცხოვრობდა. სწორედ მათმა სიძემ მომაკითხა აეროპორტში და ნაცნობის ოჯახში მიმიყვანა, სადაც ის ღამე უნდა გამეთია. ეს ნაცნობი თამარ (თაკო) კახელაძე გახლდათ, რომელსაც მალევე დავუმეგობრდი და დღეს უკვე მისი შვილის ნათლია ვარ. ჩემი ამერიკაში ჩასვლა ძალიან ცუდ დროს დაემთხვა. დეკემბერში იქ წინასაახალწლო სამზადისია და უცხო ადამიანისთვის არავის სცალია. ამიტომ, ვიდრე ჩემს გზას მოვძებნიდი, თაკოსთან გამოზამთრება მომიწია. თავიდან ძალიან დავიბენი. მიუხედავად იმისა, რომ ენა ძალიან კარგად ვიცოდი, მათი აქცენტი საერთოდ არ მესმოდა (საქართველოში ბრიტანულ ინგლისურს ვსწავლობთ, ამერიკული ინგლისური კი მისგან ძალიან განსხვავებულია). დედაჩემს ვურეკავდი და შევჩიოდი, ან მე არ ვიცი ინგლისური, ან ესენი არ ლაპარაკობენ ინგლისურად-მეთქი. ორ კვირაში მათ აქცენტს ყური მივაჩვიე და მეც ავლაპარაკდი.

— **სწავლა დაიწყე თუ მუშაობა?**

— ორივე. პროფესიონალთა კარიერის განვითარების ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა. არა იმიტომ, რომ პროფესიის გამოცვლა მინდოდა, უბრალოდ, ქვეყანაში ახალი ჩასული ვიყავი და მათი კანონმდებლობა მაინტერესებდა. იურისპრუდენციას სამ წელზე მეტხანს ვსწავლობდი და ის ინსტიტუტი წარჩინებითაც დავამთავრე, თუმცა ამ პროფესიით არასოდეს მიმუშავია, მაგრამ იურიდიული განათლება ბევრ რამეში დამეხმარა. სწავლის პარალელურად, მუშაობაც მიხდებოდა — თავი ხომ უნდა მერჩინა?! როგორც იცით, ემიგრანტს თუ საბუთები არა აქვს, ლეგალურად ვერ იმუშავებს, ამიტომ ერთი მდიდარი ქალბატონის ოჯახში, ასისტენტად დავიწყე მუშაობა. ძალიან გამიმართლა, იმ ოჯახში რომ მოვხვდი, რადგან მართლა ძალიან კარგი ქალბატონი იყო და მასთან დღემდე მაქვს ურთიერთობა.

— **რამდენ ხანს მუშაობდი იმ ქალთან?**

— დაახლოებით ერთი წელი. მერე სხვა სამსახური მოვძებნე. ძირითადი კონტაქტი ამერიკელებთან მქონდა და საქმიანი წინადადებებიც მათგან წამოვიდა. რამდენიმე მოკლევადიანი სამსახური მქონდა. მაგალითად, ძალიან ცოტა ხანს მსოფლიო სავაჭრო ცენტრში, ცნობილ „ტყუპებში“



**გარეთ რომ გავედი, ჩემი ყოფილი სამსახურის ნასახიც კი აღარ არსებობდა, სულ მიწასთან იყო გასწორებული**



ყველაზე მსხვილი ელემენტი ქართული სკოლაა, სადაც დრამის მიმართულებას საქართველოში ცნობილი მსახიობი ხათუნა იოსელიანი ხელმძღვანელობს, საბავშვო თეატრი კი ცუცა კაპანაძეს აბარია

## ამერიკაში დაბადებულმა ბავშვებმა ქართულად ,,აი იაც“ კი არ იცოდნენ. ჩვენი მეშვეობით, ქართულიც ისწავლეს და სპექტაკლებშიც თამაშობენ

(რომელიც მერე დაინგრა) იყო სურსათის გამანაწილებელი ობიექტი. იქ შეკვეთების მიღებისა და ანგარიშების განაწილების ერთ-ერთი მენეჯერი ვიყავი. „ტყუპების“ დანგრევამდე ორი კვირით ადრე დავტოვე ის სამსახური. იმ ტრაგედიის შემდეგ გარეთ რომ გავედი, ჩემი ყოფილი სამსახურის ნასახიც კი აღარ არსებობდა, სულ მიწასთან იყო გასწორებული. დღესაც არ ვიცი, ჩემს ყოფილ თანამშრომლებს რა ბედი ეწიათ. მოგვიანებით, მუშაობა ერთ-ერთი ტანსაცმლის ფირმაში დავიწყე, რომელიც თინეიჯერული სტილის ტანსაცმელს აწარმოებდა და ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყიდდა. იქ საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერად ვმუშაობდი. მერე ამ კომპანიის 10%-იანი წილიც შემომთავაზეს. მართალია, ეს ბევრი არ იყო, მაგრამ პატარა ვიყავი და ამ ყველაფერმა ეიფორიაში ჩამაგდო. ვფიქრობდი, ამდენი როგორ მოვახერხე-მეთქი?! ამავე პერიოდში, ნიუ-იორკში ერთ-ერთი ქართული გაზეთიც გამოდიოდა. პარალელურად იქაც ვთანამშრომლობდი. მართალია, მატერიალურად არ მიჭირდა, მაგრამ შინაგანად ჟურნალისტი ვიყავი და წერის მოთხოვნილება მქონდა. მინდოდა, მოვლენების ეპიცენტრში ვყოფილიყავი და ქართველებთან კონტაქტი მქონოდა. გაზეთში საერთაშორისო პოლიტიკურ ამბებს ვაშუქებდი. სამი წლის შემდეგ გაზეთი დაიხურა და მის ბაზაზე ჟურნალი „გეზი“ დაფუძნდა. ამ ჟურნალის სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა და მისი გამოსვლაც შეჩერდა. ამასობაში, ჩემს ძირითად სამსახურში რეორგანიზაცია დაიწყო, რის გამოც, იქიდან წამოვედი. პარალელურად, ჩემი საბუთებიც მომზადდა და მუშაობის უფლება ოფიციალურად მომეცა. ერთ-ერთი კორპორაციის ერთ-ერთ საგანმანათლებლო საკითხების კომპანიაში (ის კორპორაცია სულ 8 სხვადასხვა მიმართულების კომპანიას ფლობდა) მუშაობა პრეზიდენტის თანაშემწედ მარკეტინგისა და სტრატეგიის დარგში დავიწყე. თან საშტატო პროექტების კოორდინატორი გახლდით. ჩემს დაქვემდებარებაში 36 შტატი შედიოდა, მაგრამ მცირე პროექტები იყო. ერთ-ერთმა კომპანიას ძალიან დიდი შემოსავალი მოუტანა (ჩემი სტრატეგია იყო) და მის ერთადერთ კოორდინატორად დამნიშნეს. იმ სამსახურში 4 წელი ვმუშაობდი და იქ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ამასობაში, შემომთავაზეს, რომ აღვედგინა ჟურნალი „გეზი“, რომლის მთავარი რედაქტორიც მე ვიქნებოდი. ეს წინადადება სიამოვნებით მივიღე და რამდენიმე ნომერი გამოვუშვით კიდეც, მაგრამ მალე დაიხურა, რადგან ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, გამომცემელს ჟურნალის დაფინანსება არ სურდა. ამის გამო, რედაქციიდან წამოსვლას რომ ვაპირებდი, ყველა თანამშრომელმა სოლიდარობა გამომიცხადა და ჩემთან ერთად წამოვიდა.

**— როგორც ვიცი, სწორედ ამის შემდეგ წამოიწყე კიდევ ერთი ქართული საქმე. ნიუ-იორკში ქართული სკოლა გახსენი...**

— ჩვენს რედაქციაში ტექნიკური პერსონალის გარდა, ყველა სხვა თანამშრომელი ქართველი იყო. ჩვენ გავერთიანდით და შევქმენით კორპორაცია „გრაალი“, რომელიც ბრუკლინში მდებარეობს და რომლის აღმასრულებელი დირექტორიც, ირმა

## ერთხელ ვუთხარი კიდეც, მოიყვანე ცოლი და მეც აქ ჩემს გზას მოვნახავ-მეთქი, მაგრამ მიშა საოცრად ერთგული აღმოჩნდა

გვაზავასთან ერთად მეც ვარ. „გრაალი“ მრავალპროფილიანია. მისი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ელემენტი ქართული სკოლაა, სადაც დრამის მიმართულებას საქართველოში ცნობილი მსახიობი ხათუნა იოსელიანი ხელმძღვანელობს, საბავშვო თეატრი კი ცუცა კაპანაძეს აბარია. სკოლაში ისწავლება: ქართული ენა და ლიტერატურა, ხელოვნება, რელიგია, ისტორია, კულტურა და სხვა ყველაფერი ქართული, რაც ჩვენმა თაობამ უნდა იცოდეს. გარდა ამისა, გვაქვს ქართული ზღაპრის საათი, ქართული ფილმის ჩვენება და ა.შ. გვყავს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელსაც სიმღერას თენგიზ შაუტიძე ასწავლის. რაც მთავარია, გვაქვს მოზარდ მაყურებელთა თეატრი, სადაც ქართული სპექტაკლები იდგმება. მაგალითად, ამჟამად ქალბატონი ხათუნა დგამს სპექტაკლს — „მე ვხედავ მზეს“. ქალბატონმა ცუცამ კი პატარა ბავშვებთან დადგა სპექტაკლი „მგელი და კრავი“. ჩვენს სკოლაში ქართულის გარდა სხვა ენაზე ლაპარაკი კატეგორიულად აკრძალულია. ამერიკაში დაბადებულმა ბავშვებმა ქართულად „აი იაც“ კი არ იცოდნენ. ჩვენი მეშვეობით, ქართულიც ისწავლეს და სპექტაკლებშიც თამაშობენ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „გრაალში“ ფუნქციონირებს პრესცენტრი, რომელიც იქ მყოფ ქართველებს ეხმარება საბუთების მომზადებაში. გვაქვს იურიდიული და სოციალური კონსულტაციები და ა.შ. უახლოეს მომავალში კი ჩვენს ბაზაზე ქართული ჟურნალიც გამოვა. ასევე, დაგეგმილია, გაკეთდეს ქართული ტელეხიდი, რომლის მეშვეობითაც სისტემატურად მოგაწვდით იქაურ მასალებს. მოკლედ, დიდი გეგმები გვაქვს. სხვათა შორის, ამერიკაში „გრაალი“ უკვე ისეთი პოპულარობით სარგებლობს, რომ ჩვენი სტუმრები სანდრა რულოვსი და ჯონ მაკქეინი იყვნენ...

— **მიუხედავად იმისა, რომ 10 წელია, ამერიკაში ხარ, ახლა სამშობლოში დაბრუნდი და აქ გათხოვდი. სხვა ქართველებივით, რატომ არ დაუკავშირე ბედი უცხოელს?**

— იმიტომ, რომ ძალიან ძლიერი ქართული მენტალიტეტი მაქვს. უამრავი ამერიკელი თაყვანისმცემელი მყავდა და ალბათ ძალიან გაუკვირდებათ, ნიუ-იორკში გათხოვილი ქალის სტატუსით რომ ჩავალ. ამერიკელები ჩემთვის სამეგობროდ და საქმიანი ურთიერთობისთვის ძალიან კარგები არიან, მაგრამ მათთან ოჯახის შექმნა ვერ წარმომედგინა, რადგან რაც უნდა კარგები იყვნენ, ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოებისა და კულტურის მქონენი ვართ. გარდა ამისა, აგვისტოს ომის დროს მივხვდი, რომ მე აუცილებლად ქართველი შვილები უნდა მყოლოდა, რადგან ჩვენ ისეთი დემოგრაფიული პრობლემა შეგვექმნა, რომ ყველა ქართველმა ქალმა ქართველი შვილი უნდა გაზარდოს. რაც შეეხება ჩემი სიყვარულის ამბავს, ის დიდი ხნის წინ დაიწყო. როცა მე სტუდია „პუბლიცისტში“ ვმუშაობდი, ახლა უკვე ჩემი მეუღლე, მიშა არჩვაძეც იქ მუშაობდა, რეჟისორის ასისტენტად. მაშინ გაგვიჩნდა ერთმანეთის მიმართ სიმპათია, მაგრამ მე ამერიკაში წავედი და ჩვენს ურთიერთობას გასაქანი არ მიეცა. იქიდან მიშას ყოველთვის ვეკონტაქტებოდი, მაგრამ ჩვენი მომავალი გაურკვეველი იყო, რადგან მე წვალებით აწყობილ საქმეს ვერ დავტოვებდი, მიშა კი იქ ვერ ჩამოვიდოდა, ამიტომ ერთხელ ვუთხარი კიდეც, მოიყვანე ცოლი და მეც აქ ჩემს გზას მოვნახავ-მეთქი, მაგრამ მიშა საოცრად ერთგული აღმოჩნდა. ამდენი წელი დიდი მოთმინებით მელოდა. შარშანდელი აგვისტოს შემდეგ კი გადავწყვიტე, რომ საქართველოში უნდა ჩამოვსულიყავი და მას ცოლად გავყოლოდი. ასეც მოვიქეცი. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ძალიან მალე ისევ ამერიკაში უნდა დავბრუნდე, ჩემი მეუღლე კი აქ უნდა დარჩეს, რადგან მისი საბუთების მომზადებას დიდი დრო სჭირდება. ისევ უნდა მოგვენატროს ერთმანეთი, თუმცა ის მამშვიდებს, რომ უფლის წინაშე ჯვარდაწერილები ვართ და ჩემს არსებობას სხვანაირი ფასი მიეცა.

— **ოდესმე საქართველოში დაბრუნდები?**

— საქართველოში დაბრუნება ჩემი ოცნებაა, მაგრამ დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩემი აქ დაბრუნება სტაბილური იქნება. უახლოესი 3 წლის განმავლობაში აქ დაბრუნება არასტაბილურად მიმაჩნია. სხვათა შორის, ერთ-ერთმა გავლენიანმა ქართველმა ადამიანმა სახელმწიფო სტრუქტურაში გარკვეული თანამდებობა შემომთავაზა. ეს ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა და არ დავთანხმდი. მერე თვითონვე მითხრა, შენნაირები საქართველოს საზღვრებს მიღმა უფრო სჭირდებაო. პატრიოტიზმი შენს ტერიტორიაზე ყოფნით არ განისაზღვრება. ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს საქართველოში, რომელიც საქართველოს ზიანს აყენებს და თავისი ყოფნითა და მოქმედებით ვნებს; ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელიც უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს. საქართველოს ნამდვილად სჭირდება, რომ საერთაშორისო მასშტაბით ჰყავდეს გარკვეული ინტელექტუალური ნაწილი, რომელიც საქართველოს საერთაშორისო არენაზე გაიყვანს. მე მიმაჩნია, რომ ჩემი პატრიოტიზმი სწორედ ჩემი საქმიანობით გამოიხატება. ამიტომ ჯერჯერობით ვფიქრობ, რომ ჩემი ადგილი იქ არის. ■



ჯონ მაკქეინის ცვილის ფიგურასთან

# ჟურნალისტობაზე მეოცნებე „გზის“ ფანები და „მერცხვენიდი“ თოჯინის ბაბუა

**ამჯერად გადავწყვიტე, ინტერვიუ ჩამეწერა ჩვენს ერთგულ მკითხველებთან, იმ გოგონებთან, რომლებმაც 2009 წელს სხვებისთვის რჩევები არ დაიშურეს. მგზავნელები მათ ასე თუ ისე, იცნობენ, მაგრამ ამ ადამიანების შესახებ ახლა მეტს გაიგებენ. ამჯერად 2 გოგონა ავირჩიე: დამავოი — როგორც საოცრად თბილი და სტილისტურად გამართული მესიჯებით გამორჩეული და სვანის ასული — როგორც მკაცრი, მაგრამ ამავდროულად, ტაქტიანი რჩევების ავტორი. მომავალ კვირას კი კიდევ 2 საუკეთესო და ერთგულ მგზავნელს გაგაცნობთ. ისინი იმ ნიშნითაც შევარჩიე, რომ მათ თითქმის არც ერთი მესიჯი არ დაუტოვებიათ გულგრილად, რჩევას არავისთვის იშურებდნენ.**

*ლიკა ქაჯაია*

## „სვან ქალს მოტაცებას ვინ გამიბედავს?“

**მაკა ბურჯალიანი,** *დამავოი:*

— ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებთ, მინდა, ერთი საიდუმლო გაგანდო — მე ნიკოლის სახელითაც გწერთ მესიჯებს (*იცინის*).

**— დამავოის — ნაკლებად, მაგრამ ნიკოლს თითქმის ყველა მგზავნელი იცნობს, არა?**

— კი, ნიკოლს ყველა იცნობს, ის ყველას ნანახი ჰყავს.

**— ჰოდა, ძალიანაც კარგი, ახლა დამავოისაც „გაიცნობენ“...**

— პირველ რიგში, ყველას გილოცავთ ახალ წელს და ყველაზე მთავარს, მშვიდობას გისურვებთ. რაც შემეხება მე, ვარ ერთი ჩვეულებრივი და თან — არაჩვეულებრივი გოგო, მაკა ბურჯალიანი ანუ ყველასთვის ნაცნობი ნიკოლი, 18 წლის. გახლავართ ერთი პატარა ქალაქიდან დიდ ქალაქში „გადმოცხოვრებული“. ვსწავლობ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, პირველ კურსზე. მყავს დედა, მამა, ძმა, და და 11 დეიდაშვილი (*იცინის*).

**— ღმერთმა გიმრავლოს დეიდაშვილები. შენი არაჩვეულებრიობა რაში გამოიხატება? დედაქალაქში რომელი ქალაქიდან „გადმოცხოვრდი“?**

— ჭეშმარიტი ხაშურელი ვარ (*იცინის*). ბევრი დეიდაშვილისა და და-ძმის წყალობით გავხდი არაჩვეულებრივი — რიგით მეთოთხმეტე ანუ ყველაზე უმცროსი ვარ და მათი მოფერება, ქებადიდება ცოტა არ იყოს, თავში ამივარდა (*იცინის*).

**— საცხოვრებლად თბილისში რატომ გადმოხვედი?**

— აქ სასწავლებლად ჩამოვედი და ახლა ჩემს დასთან ვარ „გამაგრებული“.

**— მაინცდამაინც ჟურნალისტის პროფესია რატომ აირჩიე?**

— თავიდან ქირურგობა მინდოდა, მაგრამ ჩემი თავის და გულის ამბავი რომ ვიცი, გადავიფიქრე... 3 წელზე მეტია, რაც „გზაში“ მესიჯებს ვგზავნი და ჩემს პროფესიულ არჩევანში სწორედ თქვენ მიგიძღვით დიდი წვლილი. ძალიან მიყვარს წერა და ცოტა ინტრიგა. მოკლედ, ჟურნალისტის მრავალფეროვანი ცხოვრება მიზიდავს.



დამავოი

**— როცა „გზა“ პირველად აიღე ხელში, იქ შენთვის საინტერესო რა აღმოაჩინე?**

— თუ სწორად მახსოვს, „გზა“ პირველად 7-8 წლის წინ წავიკითხე. ჩემი ყურადღება მისმა გარეკანმა მიიქცია — მასზე ზურაბ ჟვანია და საყვარელი გოჭი იყო გამოსახული (*იცინის*). მაშინ ბავშვი ვიყავი და „გზაში“ საჩემო მხოლოდ ფოტოკურიოზები გახლდათ, მერე „მინიატიურებს“ გავუგე გემო (სხვათა შორის, პროვოკატორზე დღესაც ვგიჟდები), შემდეგ „გზავნილები“ აღმოვაჩინე, მოგვიანებით „თინეიჯერულმა პონტებმა“ (რომელსაც „ყველა ერთისათვის“ დაემატა) მიმიზიდა. მოკლედ, თქვენ ბევრი საინტერესო რუბრიკა გაქვთ. ჰოდა, ერთ დილას გავიღვიძე და მივხვდი — „გზა“ მიყვარდა!

**— „გზაში“ რაიმეს თუ შეცვლიდა შენი თინეიჯერული ტვინი? ჩვენს ადგილას რაიმე რუბრიკას ხომ არ დაამატებდი?**

— მდააა... „გზა“ ყველა ჟურნალისგან განსხვავდება! ერთადერთი, ძველი „გზა“ მენატრება. მინდა, ისევ „ჟურნალი-ჟურნალში“ იყოს. მაშინ ჩემს საყვარელ რუბრიკებს ადვილად ვპოულობდი, ახლა კი მათი ძებნა მჭირდება და ჩემი ლექტორებიც ადვილად ამჩნევენ, რაღაცას რომ ვცუღლუტობ; ხედავენ, ლექციის მოსმენის ნაცვლად, სხვა რაღაცით რომ ვარ დაკავებული და ამის გამო, ხუთშაბათობით ერთი წიოკია ხოლმე (*იცინის*). გამიხარდება, თუ გექნებათ რუბრიკა, სადაც თანამედროვე პოეტების ლექსები დაიბეჭდება.

**— ეს სახელები — ნიკოლი და დამავოი რატომ აირჩიე?**

— ნიკოლი იმიტომ დავირქვი, რომ ერთი პერიოდი ნიკოლ შერზინგერზე ვაზოდებდი. დამავოი კი ჩემმა დაქალმა, მგზავნელმა ბაო-ბაომ შემარქვა, ოღონდ რატომ, ვერ გეტყვით (*იცინის*).

**— ლამაზი გოგონა ხარ და ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. მამაშენს არ ეშინია, ქალაქელმა ბიჭმა შენი თავი რომ მოსტაცოს?**

— ვაიმეეე... მადლობა, კომპლიმენტისთვის... თაყვანისმცემლები კი „არიანსავით“, მაგრამ სვან ქალს მოტაცებას ვინ გამიბედავს (*იცინის*)?!

**— ეგრეც ნუ ამბობ, ბევრი სვანი მინახავს აკივლებული. ისე, შენ ჯვარი გწერია. სხვათა შორის, ბევრი მშობელი, რაღაც მიზეზის თუ უბრალო ხუშტურის გამო, შვილს სასწავლებლად თბილისში არ უშვებს. როგორ ფიქრობ, შენი და აქ რომ არ ცხოვრობდეს, თბილისში სასწავლებლად არ გამოგიშვებდნენ?**

— რა თქმა უნდა, გამომიშვებდნენ! ალბათ, შვილები მშობლებს საბაბს აძლევენ და მათ თბილისში ამიტომაც არ უშვებენ, თორემ როგორ შეიძლება, მშობელმა შვილს ნორმალური განათლების მიღებაზე უთხრას უარი? ერთს ვიტყვი, მე დედ-მამისთვის ნამდვილად, საამაყო შვილი ვარ. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მართლა ასეა. ისინი მენდობიან, იციან, რომ მათ არ დავაღალატებ და ამიტომაც, ყველანაირად მხარში მიდგანან.

**— მშობელი როგორ უნდა დაარწმუნო იმაში, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენ? შენ ეს როგორ მოახერხე? დავიჯერო, ისეთი რამ არასდროს გაგიკეთებია, რაც შენმა მშობლებმა დღემდე არ იციან?**

— მშობლებს ჩემ შესახებ კარგი ხშირ-

ად ესმოდათ. უცხო ადამიანები რომ მაქებდნენ, ე.ი. დასაძრახს მართლაც არაფერს ვაკეთებდი. ყოველთვის ვკიცხავ ისეთ ადამიანს, რომელსაც რაიმე სისულელის გაკეთება დიდ საქმედ მიაჩნია. მშობლების გარეშე ბევრ ადგილას, თუნდაც, საქეიფოდ წავსულვარ, მაგრამ იმიტომ, რომ მარტო ვიყავი და თავისუფლება მომანიჭეს, ამით არ მისარგებლია, სახლში „გათხლეშილი“ მთვრალი არასდროს დავბრუნებულვარ. დედ-მამამ იცის ჩემი ხასიათი და იმაშიც დარწმუნებულნი არიან, რომ ცუდს არაფერს ჩავიდენ... თუ მოზარდს მშობელი რაღაცას უკრძალავს, მან პირველ რიგში, ამის მიზეზი უნდა გაიგოს, შემდეგ კი დედ-მამა უნდა დაარწმუნოს, რომ რაღაც აკრძალვებს არ იმსახურებს... ერთადერთი რამ, რაც ყველასგან მალულად გავაკეთე და ამის შესახებ მშობლებმა დღემდე არაფერი იციან, ისაა, რომ მერვე კლასში ყოფნისას სიგარეტი გავსინჯე და ისეთი ხველება ამიტყდააა... მას მერე მოწევის სურვილი არ გამჩენია.

— **შინ გათხლეშილი მთვრალი არასდროს მივსულვარო, — ამბობ, მაგრამ ამ სურათში იმხელა სასმისს ხარ შეჭიდებული, რომ ამას ვერაფრით დავიჯერებ...**

— შეჭიდებული კი ვარ, მაგრამ შიგ ასხია რამე (*იცინის*)?..

— **სიგარეტს შენი მეგობრები თუ ეწევიან? ამბობენ, ბიჭებმა სიგარეტი გადააგდეს და ახლა გოგონები „ეძალებიანო“... შენ გარშემო ეს თუ იგრძნობა?**

— უი, რა თქმა უნდა, არა! სიგარეტის მავნე თვისებების შესახებ ბევრი რამ მსმენია და რატომ უნდა გამიჩნდეს სურვილი, სიცოცხლე ნაადრევად მოვისწრაფო? ჩემს საახლობლოში გოგოები არ ეწევიან. იყო ერთი გოგო, რომელიც მიმტკიცებდა, — სიგარეტი ნერვებს მიწყნარებსო და მის გადაგდებასაც არ აპირებდა, მაგრამ გართულებულმა ფილტვების ანთებამ აზრი შეაცვლევინა. ისე, ბევრი იმიტომ ეწევა, რომ მათზე ვიღაცამ არ თქვას, „ბანძი როჟააო“. ასეთი ადამიანები მართლა მეცოდებიან.

— **შენი აზრით, როგორი ტიპები არიან ბანძები?**

— ბანძი სწორედ ისაა, ვისაც თავი ძალიან ჭკვიანი, ყველაზე მაგარი ჰგონია და ზედაც არავის უყურებს...

— **„გზამ“, გარდა იმისა, რომ მისი წაკითხვით ერთობი, კიდევ რა მოგცა?**

— წერა მასწავლა და ბევრი მეგობარი შემძინა. თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს, მაგრამ არის ორი უძველესი მგზავნელი, რომელთაც ყველაზე ახლო დაქალებისგანაც კი ვერ განვასხვავებ. დიდი მადლობა „გზას“ ამისთვის!

— **ბევრი ამბობს, რომ სხვა დანარჩენი ქალაქის, რაიონის თუ სოფლის მცხოვრებლები, თბილისელებთან შედარებით, დაჩაგრულნი არიან. ვიდრე აქ „გადმოცხოვრდებოდი“, თავს შენც დაჩაგრულად გრძნობდი?**

— რა თქმა უნდა, არა!.. მთავარია, გქონდეს სურვილი, რომ გაერთო, გიხაროდეს ცხოვრება, გიყვარდეს შენ გარშემო მყოფი ადამიანები და ყველაფერი კარგად მოგეჩვენება. თუ „ცოცხალი“ ადამიანი არ ხარ, გინდ სოფელში იცხოვრე, გინდ — თბილისში და გინდაც — ნიუიორკში, სულერთია, თავს ყველგან დაჩაგრულად იგრძნობ.

— **საინტერესოა, შენ და შენი მეგობრები როგორ ერთობით? გართობას რას ეძახით?**

— მოდი, იმას გეტყვი, სოფელში როგორ ვერთობოდით... ჩვენ ჯიგრული მოლხენა ვიცოდით — მეგობრები ერთმანეთთან ვიკრიბებოდით, რაღაცებს ნაძლევზე ვთამაშობდით, მერე წაგებული მაგიდის ქვეშ ძვრებოდა, ცალი ფეხით ანუ ასკინკილათი სახლს წრეს არტყამდა და ა.შ. ეს ყველაფერი ზაფხულში ხდებოდა, ზამთარში კი ვქეიფობდით, ალკოჰოლს ვეძალებოდით, ოღონდ, მხოლოდ 3 ჭიქას ვსვამდით (*იცინის*). ზამთარში, ჩემს სოფელში იმისთანა თოვლი იციიის... მართალია, ციგიდან არაერთხელ გადმოვვარდნილვარ, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი, რადგანაც გვერდით მყავდა ის ადამიანები, ვინც მთელი გულით მიყვარს!

— **ახალ წელს სად და როგორ შეხვდი? თოვლის ბაბუამ არაფერი გაჩუქა?**



შინ გათხლეშილი მთვრალი არასდროს მივსულვარ

— ახალ წელს თბილისში, ნათესავებთან ერთად შევხვდი. ჰოდა, გავრისკე და 3 ჭიქაზე მეტიც დავლიე, თუმცა, ძალიანაც არ დავმთვრალვარ (*იცინის*). დეიდაშვილმა სიმღერა მოინდომა, მაგრამ რადგანაც ყველამ ყურებზე ვიტაცეთ ხელი, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და მაშინვე გაჩუმდა (*იცინის*). რაც შეეხება თოვლის ბაბუას, მან კარგა ხანია, დამივიწყა. ჰოდა, გული მწყდება, ახალი წლის ღამეს ბალიშის ქვეშ საჩუქარს რომ ვერ ვპოულობ, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა დიდების ბედი.

— **ისე, რის მოტანას სთხოვდი თოვლის ბაბუას?**

— თუ მხოლოდ საჩუქრების მოტანა შეუძლია, წითელ „ფერარის“ ვთხოვდი, ხოლო თუ ყველანაირი სურვილის ასრულება ხელეწიფება, მაშინ ვისურვებდი მშვიდობას, ჩემი საქართველოსთვის. მგონი, ბევრს არ ვითხოვ (*იცინის*).

— **ჰო, ეს არც ისე ბევრია, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო დროს ქართველი თოვლის ბაბუა გაღატაკდა, დაუძლურდა... აი, სანტა კი უცხოელია და ალბათ, ცოტათი შეძლებულიც...**

— ნუ, მაშინ ორივემ იჩალიჩოს და თუ ჩემი ოცნების ახდენას შეძლებენ, ხომ კარგი, თუ არა და, იმ სიხარულს მაინც არ დავივიწყებ, რაც წინა წლებში მომანიჭეს.

— **შენ რჩევას არავისთვის იშურებ. როგორ ფიქრობ, „ყველა ერთისათვის“ ხალხს მართლა ეხმარება? თქვენს რჩევებს ბევრი ითვალისწინებს?**

— როცა თავგზააბნეული ადამიანების მესიჯს ვკითხულობ, დიდ ტკივილს ვგრძნობ. ისინი ხომ გულით გვთხოვენ დახმარებას, რჩევას და მათ უარი როგორ უნდა უთხრა? დიდი იმედი მაქვს, რომ თითოეულ მათგანს ნამდვილად ვეხმარებით და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება! რაც შემეხება მე, რჩევას დედას, დას ან დაქალებს ვეკითხები ხოლმე.

— **რას ურჩევ ან უსურვებ „გზას“, მის მკითხველებს?**

— „გზას“ ბევრ მკითხველს ვუსურვებ. და კიდევ, არასდროს ეღალატოს თავისი ორიგინალურობისთვის; მკითხველს კი უფლის მფარველობას, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ! დაბოლოს, მინდა, „გზის“ მკითხველებს მხიარულ ნოტაზე დავემშვიდობო: ერთხელ დედას ვკითხე: ბოლნისის სიონი სადაამეთქი? ოღონდ, გეფიცებით, ეს მართლა სვანობით მომივიდა და არა — უცოდინარობით (*იცინის*).

— **წარმატებებს გისურვებ! იმედია, მალე ქართულ ჟურნალისტიკაში საკუთარ, ღირსეულ სიტყვას იტყვი და გვასახელებ.**

— გმადლობ, „გზის“ იქით თავი ვერც წარმომიდგენია!

## „ხშირად, სახლში სახეგათხუპნილი მივდიოდი“

**თამარ ონიანი,** *სვანის ასული:*

— ვცხოვრობ ქუთაისში. დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, მაგრამ ჯერჯერობით არსად ვმუშაობ. სხვათა შორის, ჩემი ბავშვობის ოცნება ჟურნალისტობა იყო და ეს ოცნება, ჯერჯერობით, ვერ ავიხდინე. მგონი, ჟურნალისტის პროფესიის დაუფლება არც ახლაა გვიან... დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, აქტიური მგზავნელი კი წელიწად-ნახევრის წინ გავხდი.

— **„გზამ“ ასე რით „დაგაბა“?**

— „გზა“ გამორჩეულია თავისი ნაკ-

ლებად სკანდალური და სენსაციური სათაურებით, სერიოზული სტატიებით და ა.შ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი რუბრიკა გამორჩეულად მიყვარს, მაგრამ ჟურნალს



ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ არ მოეწონოთ

მაინც, თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით ვეცნობი, ყველა სტატიას სიამოვნებით ვკითხულობ და „გზის“ წაკითხვას სხვებსაც ვურჩევ...

**— მგზავნელებიდან ვინმესთან მეგობრობ?**

— რამდენიმე მგზავნელს ვიცნობ, ჯერჯერობით — მხოლოდ ვირტუალურად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე მათ უფრო ახლოს გავიცნობ.

**— სვანის ასული რატომ დაირქვი?**

— მინდოდა, რაიმე ორიგინალური და ლამაზი სახელი შემერჩია. ამაზე რომ ვფიქრობდი, უცებ, ლადო ასათიანის ლექსი — „ცაგერის ბაზრობა“ გამახსენდა: „სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა“ და სვანის ასული დავირქვი.

**— „გზასთან“ რაიმე შენიშვნა ხომ არ გაქვს?**

— შენიშვნებს რაც შეეხება, ალბათ, ბანალურია, მაგრამ პოლიგრაფიული ხარისხის გაუმჯობესებას გირჩევთ. უნივერსიტეტიდან გამოსული, ვერ ვითმენდი, ჟურნალს ხშირად, სამარშრუტო ტაქსიში ვკითხულობდი და სახლში სახეგათხუპნილი მივდიოდი (*იცინის*)... ასევე მინდა, მგზავნელები არ ჩხუბობდნენ, ერთმანეთის ცხოვრებაში უხეშად არ ერეოდნენ, ჟურნალში ქართული ტრადიციების და არა ზღვარგადასული უკომპლექსობის პროპაგანდა ხდებოდეს (ამას საერთოდ ვამბობ, რომელიმე ფაქტს არ ვგულისხმობ).

**— ქართულ ტრადიციებს რამდენად იცავ? ჩვენი სუფრის ტრადიცია თუ მოგწონს?**

— ღრეობა ზღვარგადასული ქეიფია და არა — ტრადიციული ქართული სუფრის წესი, მაგრამ სამწუხაროდ, უმეტესობას ქეიფისას ზომიერების გრძნობა ღალატობს, რაც უკეთეს შემთხვევაში ჩხუბით, უარესში კი ტრაგედიით მთავრდება. რა თქმა უნდა, ღრეობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. მამაჩემს ხშირად უწევს სუფრის გაძღოლა და მისი თამადობისას სკანდალი არასდროს მომხდარა. მამა უკვე შეეგუა იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდებს საცეკვაოდ, შედარებით მეტი დრო უნდა მისცეს, სადღეგრძელოები კი უნდა შეამოკლოს. მე ტრადიციების მიმდევარი ადამიანი ვარ, მაგრამ ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

**— ოდესმე თუ დამთვრალხარ?**

— ალკოჰოლს არ ვეტანები. დაბადების დღეზე მაქსიმუმ, ერთ ჭიქა ღვინოს თუ დავლევ, ისიც იმიტომ, რომ იუბილარი ვადღეგრძელო და მაშინაც, თავის ტკივილი მეწყება. ალკოჰოლი გამხიარულებაში კი არ მეხმარება, პირიქით — ამაში ხელს მიშლის.

**— როგორ ფიქრობ, თბილისში ოჯახის გარეშე რომ ცხოვრობდე, უფრო ბედნიერი იქნებოდი?**

— არა მგონია, თბილისში მხოლოდ ოჯახთან ერთად ვიცხოვრებდი ბედნიერად. ამ ეტაპზე ქუთაისში ცხოვრებითაც კმაყოფილი ვარ, აქაურობა ძალიან მიყვარს და არც გართობის მხრივ განვიცდი დეფიციტს, თუმცა, რა თქმა უნდა, გართობა უკეთესადაც შეიძლება.

**— თუ არის ისეთი რამ, რის გაკეთებასაც მშობლები გიკრძალავენ?**

— ამ მხრივ სრული ჰარმონია გვაქვს, რადგანაც ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ არ მოეწონოთ.

**— შენს თაყვანისმცემლებზე რას იტყვი?**

— ცხოვრების ყველა ეტაპზე მყავდა რამდენიმე ისეთი ადამიანი, რომელსაც ვაინტერესებდი. ისინი ჩემდამი სიმპათიას სხვადასხვაგვარად გამოხატავდნენ — ზოგი კომპლიმენტს მეუბნებოდა, ზოგი საკუთარი ყურადღებით ან ყვავილებით მანებივრებდა, ზოგი კი სიურპრიზს მიწყობდა და იმ ადგილას ჩნდებოდა, სადაც ვიყავი. სატელეფონო ზარების და მესიჯების აღნიშვნა ალბათ, ბანალურია.



სვანის ასული

და კიდევ, ბიჭებს ჩემ გამო განსაკუთრებული სიგიჟეები ნამდვილად არ ჩაუდენიათ. ალბათ, მათ თავად არ ვაძლევდი ამის უფლებას. ისე, ჩემი თაობის ბიჭების უმეტესობა საკმარისად რომანტიკული და ყურადღებიანი არ არის, მაგრამ მათ რომ ჰკითხოთ, იტყვიან: ქალები ჩვენგან ბევრს ითხოვენო. მოკლედ, თავის შეწუხება ეზარებათ...

**— ამბობენ, მესიჯებით ურთიერთობამ შეჩვევა იცისო...**

— ეს მართალია, მაგრამ გადაჩვევაც შესაძლებელი გახლავთ. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ვიღაცაზე დამოკიდებული არ იყოს. ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია და შესაძლოა, ის, ვისზეც დამოკიდებული ხარ, შენი ცხოვრებიდან რაღაც მიზეზის გამო გაქრეს და მერე თავს ძალიან ცუდად იგრძნობ.

**— რას გრძნობ, როცა შენს თანატოლებს რჩევას აძლევ?**

— ცხოვრებაშიც ძალიან ხშირად ვარ მრჩევლის როლში, მეგობრები ჩემს ნათქვამს ყოველთვის ითვალისწინებენ და ხშირად, მოგებულნიც რჩებიან. რუბრიკაში — „ყველა ერთისათვის“ დამესიჯება განსაკუთრებით მსიამოვნებს და მიხარია, რომ მგზავნელთა უმეტესობა სამართლიან და რეალურ რჩევას იძლევა. დარწმუნებული ვარ, იმ ადამიანთა დიდი ნაწილი, ვინც რჩევას ითხოვს, თავნებაა და გადაწყვეტილებას მაინც, დამოუკიდებლად მიიღებს, მაგრამ მჯერა, ჩვენი აზრი მათზე გარკვეულწილად მაინც მოქმედებს და ეს მათ სიტუაციის სწორად შეფასებაში ეხმარება.

**— როცა რჩევა გჭირდება, დახმარებისთვის თავად ვის მიმართავ ხოლმე?**

— რჩევისთვის მეგობრებს, ზოგჯერ კი ოჯახის წევრებსაც მივმართავ. სხვათა შორის, ჭკვიანი დაქალები მყავს... საერთოდ, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული და მეც, ყოველთვის ვცდილობ, ვიყო მიმტევებელი, მაგრამ ზოგჯერ, წყენის დავიწყება საკმაოდ ძნელია. ვაფასებ ადამიანს, რომელსაც ბოდიშის მოხდის უნარი შესწევს.

**— ახალ წელს სად და როგორ შეხვდი?**

— ჩემი ოჯახი ახალ წელს სოფელში შეხვდა. იქ ისეთი არაფერი მომხდარა, ყურადღების გამახვილება რომ ღირდეს. სხვათა შორის, ჩემთან არც თოვლის ბაბუა მოსულა.

**— მისგან რას ელოდი?**

— არც არაფერს! საერთოდ, ზედმიწევნით რეალისტი ვარ და თან, მატერიალური ოცნებებიც არ მაქვს...

**— დაბოლოს, „გზას“ და მის მკითხველებს რას უსურვებ?**

— ჟურნალს — მკითხველთა სიმრავლეს, სიყვარულს და მაღალ რეიტინგს; ხალხს კი უფლის მფარველობას, მშვიდობასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ!

■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი გოჩა ფანჯიკიძე

### ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2

**აეტკრიცება** — წამოუწითლდება, წითლად შეეფაკლება, აელეწება (სახე).
**ავანგი** — (სპ.) თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა.
**ავანგარდი** — 1. (ფრ.) მეწინავე რაზმი ჯარისა, ფლოტისა (საპირისპირო არიერგარდი). 2. გადატ. მოწინავე ნაწილი (რაიმე საზოგადოებრივი ჯგუფისა, კლასისა).
**ავანდასტა** — (სპ.) თითბრის როდინი.
**ავანჩავანი** — (საუბ.) 1. მესაიდუმლე, ამყოლი, ხელის შემწყობი. 2. ვისიმე საქმის ვითარება (არავინ იცოდა მისი ა.)
**ავთრათი** — 1. (ძვ.) ბარათი. 2. საბიბლიოთეკო საქმეში: წიგნის ყდაზე ან ყუაზე დაწებებული ბარათი, რომელზეც ინდექსია აღნიშნული.
**ავლი** — იგივეა, რაც ფერფლი.
**ავჟანდი** — იგივეა, რაც უზანგი (უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი რკინის რკალი).
**ავრალი** — 1. (ინგლ.) გემზე სასწრაფო მუშაობა, როდესაც მთელი ეკიპაჟია გამოძახებული. 2. გადატ. ცუდი დაგეგმვით გამოწვეული სასწრაფო სამუშაო, რომელსაც ასრულებს მთელი კოლექტივი.
**ავრეხი** — უნაყოფო ვაზი.
**ავტოკეფალია** — ეკლესიის დამოუკიდებლობა.
**ავქაში** — იგივეა, რაც საწინწკარა ( ქათმის მკერდის ორტოტა ძვალი).
**ავშანი** — ბალახოვანი მცენარე. მიიჩნევა ცხვრის საუკეთესო საკვებად.
**ავშარა** — ულაგმო აღვირი.
**აზავერი** — (ძვ.) ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებენ ხოლმე.
**ათაბაგი** — (ისტ.) სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდებულება.
**აიაზმა** — (ბერძ.) (ეკლ.) ნაკურთხი წყალი.
**აკაკი** — საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე; ისხამს კურკიან მოტკბო ნაყოფს.
**აკიდო** — ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა.
**აკროსტიქი** — (ბერძ.) ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისგან გამოდის სიტყვა ან წინადადება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# წვეთი პოეზია

* * *



გიმზერ და მჯერა,
რომ ქართველობა
არასოდეს არ გადაშენდება;
ვაგლახ, ხელახლა
ბაგისჩვილობა,
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!

როცა გიხილე, მამა-პაპათა
განმეორება გულს ჩამეწვეთა,
შენ უნდა გეცვას ჯაბა „ხაბარდა“,
უნდა დაქროდე
რუსთაველზედა.

ეს ყაისნაღი ან ეს ხავერდი
ვინ გაგიჩინა, ვინ მოგაბარა?
თავადის ქალო, იქნებ დაბერდი,
სიბერის შუქი შემოგეპარა?!

შემოგეპარა და ბნელ დალალში
გაიშრიალა თეთრი ზოლებით:
ყველა წავიდა, ერთიღა დარჩი,
მიწაში წვანან შენი ტოლები!

როცა გიხილე, ციხე-კოშკების
განმეორება გულს ჩამეწვეთა,
შენ უნდა გეცვას ოქროს ქოშები,
დაგოგმანობდე
რუსთაველზედა.

მაშინ ჩემგვარი ენამწარენიც
ვერ გაკილავდნენ ძველ
სილამაზეს,
როცა ჩამქრალი კელაპტარივით
შემოხვდებოდი ვერის
დაღმართზე.

გიმზერ და მჯერა,
რომ ქართველობა
არასოდეს არ გადაშენდება,
ვაგლახ, ხელახლა
ბაგისჩვილობა,
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!

*ლადო ასათიანი*




**საზოგადოებაში გამოწვეული რეზონანსისა და მკითხველთა დიდი დაინტერესების გამო, „გზის“ ფურცლებზე, ლალი მოროშკინას ავტობიოგრაფიულ წიგნს გთავაზობთ.**

დასაწყისი

## სკოლა

1975 წლის 1-ელი სექტემბრის დილა გათენდა. თბილისის პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლა ფართოდ გაღებული რკინის ჭიშკრით, რომელსაც ზევიდან მავთულხლართები „ამშვენებდა“ (სხვათა შორის, სწორედ ამ დეტალმა ვერაფრით გააქრო ჩემი მეხსიერებიდან ფილმებში ნანახი გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკის სკოლასთან იდენტიფიკაცია) 68-69 წელს დაბადებულ ახალბედებს ელოდებოდა.

სკოლის ეზო „ვოლგებისა“ და „ჩაიკების“ სიმრავლით 26-ე პარტიული ყრილობის გახსნას უფრო ჰგავდა, ვიდრე ახალი სასწავლო ნაკადის მისაღებ დღესასწაულს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამა ქვეყნის ძლიერთა აზრით, სწორედ ეს სკოლა იძლეოდა სათანადო „დონეს“, აყალიბებდა „საჭირო“ წრეს და აჩენდა „ჯანმრთელ“ ამბიციას სამომავლო პერსპექტივის ნათელი შუქის დასანახავად. სხვათა შორის, იმ დროს არავინ იცოდა, რომ გავიდოდა წლები და სწორედ ამ სკოლის „საუკეთესოთა ოქროს დაფას“ დაამშვენებდნენ: მიხეილ სააკაშვილი (პრეზიდენტი), ზურაბ ჟვანია (აწ გარდაცვლილი ექსპრემიერ-მინისტრი), ირინა სარიშვილი (პოლიტიკოსი), ნინო ჯანგირაშვილი (ტელეკომპანია „კავკასიის“ მფლობელი), კახა შარტავა (პოლიტიკოსი), მანანა კოზაკოვა (მსახიობი), ზაქარია ქუცნაშვილი (იურისტი), მარინა სალუქვაძე (ჟურნალისტი), თეა დემურიშვილი (მადრიდის საოპერო თეატრის პრიმამომღერალი), ლაშა ნადარეიშვილი (გაზეთ „ასავალ-დასავლის“ გამომცემელი) და ბევრი სხვა...

მე ისე მაგრად ვუჭერდი ხელს დედას, რომ ცოტა ხანში ჩემი თითების ნაკვალევი ნათლად ჩანდა მის არანაკლებ აკანკალებულ ხელზე. ორივეს გვეშინოდა: დედას — უცხო ქართული გარემოსი, მე კი სავსებით ახალი და უცნობი ეტაპისა ჩემს ცხოვრებაში.

საქმე ის არის, რომ დედაჩემი — მანანა ყარყარაშვილი დიდი ბებიის, აგრაფინას დაჟინებული თხოვნით სოჭიდან თბილისში სულ რამდენიმე წლის გადმოსული იყო. შესაბამისად, ქართულიც არ „ეკერკებოდა“, მაგრამ „პრესტიჟული“ მშობლების — აფთიაქის გამგე ნანა უჩაძისა და მინისტრი მამის, არჩილ ყარყარაშვილის ქალიშვილსა და მეცნიერ თალეს შონიას (ჩემი მამინაცვალი) მეუღლეს სნობური არჩევანი განგებით ჰქონდა განსაზღვრული. რაც შეეხება მამაჩემს, ის ჩემს ცხოვრებაში გაცილებით გვიან გამოჩნდა.

მაშ ასე, მცირედი შესავალი სიტყვის, სკოლისა და კომუნისტური პრინციპების ქება-დიდების შემდეგ ჩვენ, ბატებივით დაბნეული ახალბედები, კლასებში გადავნაწილდით.

პირველი მასწავლებელი დაუვიწყარი ფენომენია! და თუ ჩემს ცხოვრებაში ღვთის წყალობით ბევრი სიკეთე და სასწაული ყოფილა, ერთ-ერთი ქალბატონი ლეილა კინწურაშვილი, უფრო სწორად კი, ლეილა მასწ-ი იყო, — სათნო, სანდომიანი და მომთმენი ჩვენს თვალებში ამოკითხულ შიშსა და უნდობლობას სიყვარულითა და სიბრძნით პასუხობდა.

სიის პირველივე ამოკითხვამ ჩემი ბედი წინდაწინ განსაზღვრა.

— მოროშკინა ლალი. სადაური ხარ, გენაცვალე?

— ქართველი, — ვპასუხობდი მე და ვერ ვხვდებოდი, რატომ გამომარჩია მასწავლებელმა 45 ბავშვში და ასეთი უცნაური შეკითხვა დამისვა. ცხოვრებაში სხვადასხვა ტონალობით დასმულ ამ შეკითხვაზე, ალბათ, მილიონჯერ მიპასუხია, გამიმეორებია და მიყვირია კიდეც: — მე ქართველი ვაააააააააააარ!

## ალისფერი ყელსახვევი

ალბათ, ყველა მოსწავლის სასკოლო მატიანეში სკოლის ბუფეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე მრავალი წელი ვცდილობდი, ამომეხსნა სასკოლო კვების საიდუმლოება. რა ხერხს არ მივმართა დედაჩემმა, მაგრამ ვერაფრით ეზიარა იმ კულინარიულ სასწაულს, რომელსაც სკოლის კატლეტი ერქვა. „კორჟიკები“ და „ენები“? ალბათ, დღეს ეს ყველაფერი ისეთივე რარიტეტია, როგორიც პიონერული ალისფერი ყელსახვევი.

დიდი დასვენების ზარი და სკოლის ბუფეტში „არმაგედონის“ დაწყება ერთი იყო. გარდა იმისა, რომ ყველა ერთმანეთის თავზე გადავლებით ცდილობდა სანუკვარი ლუკმის პირში ჩაგდებას, ზარამდე დარჩენილ დროს ავსებდა ისეთი „ზეინტელექტუალური“ თამაში, როგორიცაა „ვირობანა“. თამაშის წესები ისეთივე მარტივი იყო, როგორიც ყველაფერი გენიალური ამქვეყნად. კერძოდ, ბიჭები „ვირის“ იმპროვიზაციას ახდენდნენ, როგორც მხედრები ევლებოდნენ ზედ ერთმანეთს და ვინც ბოლო დარჩებოდა, შესაბამისად, „ვირიც“ ის იყო.

მე და ჩემი აწ უკვე სამი წლის მეგობარი, ცისფერთვალება, ქერა და ლოყებღაჟღაჟა მარინა სალუქვაძე სუნთქვაშეკრული ვადევნებდით თვალს „უფროსების“ გართობას. მარიკუნა, როგორც მას მოფერებით ვეძახდით და რომელიც არც ზომა-წონასა და მადას უჩიოდა, გაუჩერებლად ჭამდა, თანაც ისე საყვარლად, რომ ჩვენს მაგიდასთან მჯდომი მეხუთეკლასელი დროდადრო სავსე ლოყაზე ჩქმეტდა.

ხმაურში, მტვერსა და აურზაურ-

ში განსაკუთრებული სიცელქით ერთი ბიჭუნა გამოირჩეოდა, რომლის ზურმუხტისფერი თვალები პატარა დელფინებივით ამოცურდებოდა საერთო ორომტრიალში, შეავლებდა მზერას იქ მყოფთ, გაასწორებდა ფოკუსს ჩვენს თანამეინახეზე და თავგანწირვით უყვიროდა:

— კარგი რა, მიშა, ხომ ხედავ, ვაგებთ, რა დროს ჭამაა, შემოგვიერთდი!

— მოიცა რა, გუშინაც ეგრე მითხარი და სახლში იცი რა ჭუჭყიანი მივედი?

— ვააჰ, რა ჭუჭყიანი, შენც ოპერაში არ მიდიოდე, ტო! მოდი, რა მოდიიი, ვაგეებთ! — და მწვანეთვალება ისევ გაოფლილ ონავრებში გაუჩინარდებოდა. და რატომ შევამჩნიე მისი თვალების ფერი?

— ბიჭი, შენ რა გქვია? — ველარ მოვითმინე და მოთამაშე ბიჭუნას ინტერესის საგანს გამოვესაუბრე.

— მე მიშიკო სააკაშვილი, შენ?

— მე ლალი მოროშკინა, ეს კი მარინა სალუქვაძეა, უბრალოდ, მარიკუნა.

— რუსი მოროშკინა? ვა, აქ საიდან?

— იქიდან, — ვუთხარი და ზურგი შევაქციე თავხედს.

— ჰო, კარგი, კარგი, გეხუმრე, რომელ კლასში ხარ?

— მესამეში, — ვუპასუხე ამაყად და შურით შევხედე მის ალისფერ გაპიწკინებულ ყელსახვევს. ის უკვე პიონერია! მალე გავიდეს რა 2 წელი...

— მარინაც მესამეშია? — იკითხა გაკვირვებულმა მიშიკომ.

— დიახ, მარინაც!

— აუ, მე უფროსი მეგონა, ეტყობა, მართლა მადაზეა! — გაეცინა ახალგაცნობილს. მარიკუნა ამასობაში აზარტულად გულშემატკივრობდა ბიჭებს და სულ არ ადარდებდა ჩვენი საუბარი.

— მიდი, ნუკრია, მიდი, აჩვენე ამ მეექვსეკლასელებს სეირი, — ყვიროდა მარიკუნა და მარჯვენა ხელით გრძელი ნაწნავიდან მოხსნილ ბაფთას აფრიალებდა.

მე კი მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში, როგორ გამეგო, ვინ იყო ეს ზღაპრული, პერანგშემოფლეთილი პრინცი მტვრიდან, ჰყავს თუ არა შეყვარებული, და საერთოდ, რა მაგარი იქნებოდა, ყოველდღე ბუფეტში მის გვერდზე ყოფნა!

— გაიცანი, ჩემი ახალი მეგობრები ლალი და მარინა, — ჩამესმა ოცნებაში წასულს მიშიკოს ხმა.

— მე ნუკრი ჩაგანავა ვარ, — თქვა უკმეხად ორთაბრძოლაში დამარცხებულმა რაინდმა, მიშიკოს გამოართვა ორჯერ მონაკბეჩი კატლეტი, განახევრებული „კორჟიკი" და ეგრევე საქმეზე გადავიდა.

— აუ, ბიჭო, რა დროს ეს ლაწირაკებია, წავაგეთ რაა!

— დიდი ამბავი, დღეს წავაგეთ, ხვალ მოვიგებთ, მე რაიმე გამოსაცვლელს წამოვიღებ და მერე ნახონ ამათ!

— ჰო, რა, ძმაო, თორემ ხომ იცი, მერე „ვზროსლების" ყბიდან ველარ ამოვალთ, სკოლიდან ბირჟაზე რომ გავალთ. ჰო, მართლა, ფული მოიტანე?

— რა ფული?

— კარგი რა, დაგავიწყდა, „ჩხაიძეებს" რომ უნდა მივცეთ? თორემ მერე ნახე შენ, „В гостях у сказки"-ს რომ მოგვიწყობენ!

— ლალი, წამო, ზარი დაირეკა, — მქაჩავდა ნაწნავზე მარიკუნა, მე კი ძლივს მივათრევდი ფეხებს გასასვლელისაკენ, ბუფეტიდან კი აჭარხლებული, თმაგაჩეჩილი ნუკრის და ალისფერი ყელსახვევის ყუნწის მღეჭავი ანერვიულებული მიშიკოს სილუეტები მტვერში უჩინარდებოდა.

## პირველი სიყვარული

სკოლაში უჩვეულო ფუსფუსი იყო. იმართებოდა საზეიმო წარმოდგენა, რომელიც საპირველმაისოდ, როგორც წესი, ყოველწლიურ აუცილებელ ღონისძიებათა ნუსხაში იყო შეტანილი, მაგრამ ამჯერად სამზადისი მაინც განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა. საქმე ის არის, რომ საქართველოს, კერძოდ კი ჩვენს სკოლას, გდრ-ის პარტიული ელიტა და მოწინავე პედკოლექტივი სტუმრობდა. გერმანელი სტუმრები ინსტრუქტაჟგავლილ მოსწავლეებს „პარიზოს" დათუნიებსა და სურნელოვან საშლელებს უხვად ურიგებდნენ, თანაც გაუგებარ ენაზე რაღაცებს ეკითხებოდნენ. ჩვენებიც არ იბნეოდნენ და მსოფლიო მოწინავე ენაზე ნათარგმნ მაიაკოვსკის კომუნისტურ შედევრს „პასპორტს" სხაპასხუპით მიაგებებდნენ. მერე რა, რომ არც ერთს არ ესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი. მოკლედ, კონტაქტი, ავად თუ კარგად, შედგა. ნერვიულობის მუხტმა პიკს მიაღწია.

ჩვენ, ანუ უმცროსკლასელები, როგორც ყველაზე „მორჩილი ელექტორატი", ამ პომპეზურ ღონისძიებაში მდუმარედ ვმონაწილეობდით. თუმცა „მდუმარე", ალბათ, მხოლოდ ჩვენი გარეგნული პოზიცია იყო, სინამდვილეში ბევრის ქვეცნობიერი ლოგიკურ კითხვას ბადებდა, რომელიც დროთა განმავლობაში რიტორიკულად ისმებოდა. ალბათ, სწორედ ამ მომენტს ჰქვია „წვეთ-წვეთ სიმართლის შეგროვება".

მე და ნუკრი გვერდიგვერდ ვისხედით. მე მსიამოვნებდა მისი თამბაქონარევი სუნთქვა და უხერხულობით გამოწვეული ყმაწვილური მოძრაობები, რაც ხან მიშიკოსკენ და ხან ჩემი მეგობრების — მარიკუნასა და ქეთისკენ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკან „სამთა" ჭორაობა არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა და „ინტერესის საგანი" ცნობილი იყო, მე რაღაც ახალი, გაუგებარი გრძნობით შეპყრობილი ვირტუალურად, თხემით ტერფამდე დარბაზის სცენასთან ვიდექი, ყველა სიტყვას ხარბად ვისრუტავდი და თავს ყველა პერსონაჟთან ვაიგივებდი.

და აი, სააქტო დარბაზის სცენაზე შავტუხა, გულანთებული ყმაწვილი გამოჩნდა. რა უჩვეულოდ ჟღერდა მისი ლიტერატურული არჩევანი:

„ვდგავარ კლდეზე... მწუხარების
ძლიერია ფიქრთა დენა,
სადღა არის ის სასახლე,
აქ რომ ხალხმა ააშენა!
ის გადაწვეს... და გრიგალი
ფერფლს მიაბნევს ზენა, ქვენა.
საძირკველიც ოდნავა ჩანს,
წახდა... მორჩა, მოისვენა...
ვდგავარ კლდეზე აქ ოდესმე
ბაღი იყო სანეტარო.
გადამხმარა ჩვენი ბაღი,
ამომშრალა ჩვენი წყარო.

ლალი თანაკლასელებთან ერთად (მარჯვენიდან მეხუთე)





1-ელი ექსპერიმენტული სკოლა (მარჯვნიდან მეორე – ლალი)

ვამბობ: „ვაი, ჩემო ბალო,
ვაი, უბედურო ქნარო“...
მხოლოდ მჭკნარი ფოთლებია
და გრიგალი უსახლკარო.
ვდგავარ კლდეზე, შემოდგომის
დღე მაგონებს სხვა გაზაფხულს,
აქ დროშებით უმღეროდნენ
რწმენას მთაზე გამოსახულს.
ვდგავარ კლდეზე და ვდარაჯობ
დროშებს, მრავალ ბრძოლანახულს,
დროშებს, მომავალისათვის
საიმედოდ გადანახულს“.

— ნუკრი, ვისი ლექსია? — ვკითხე გვერდით მჯდომ მეგობარს.

— ჩჩჩ... — მიიდო საჩვენებელი თითი ტუჩებზე ჩემმა ზურმუხტისთვალება რაინდმა, — ეს გალაკტიონია!

— აა, — ისე მრავლისმეტყველად და ამაყად ჩავიჩურჩულე მე, თითქოს გალაკტიონმა „მერი“ ბებიაჩემს მიუძღვნა.

— ეს ბიჭი არ მეცნობა, შენი კლასელია? — ვკითხე გამომსვლელზე.

— არა, ეს ზურა ყვანიაა, მეცხრეკლასელი, მაგრამ მიუხედავად ასაკისა, ვმეგობრობთ, თანაც რესპუბლიკურ საკონტროლოებში მაგრად მეხმარება, და საერთოდ, მაგარი ჯიგარია. ლალი-ბალი, სულ ასე გაუჩერებლად ლაპარაკობ?

მე მორცხვად ჩავქინდრე თავი, მერე მივხვდი, რომ „ეს პოზა“ დიდხანს არ გამომადგებოდა, და რაც შემეძლო დიდზე, ისე, რომ ორივე გლანდი გამომჩენოდა, ნუკრის ენა გამოვუყავი.

ბოლო სიტყვები, რომელიც სააქტო დარბაზიდან გაძევებულებს გვესმოდა, ლაშა ნადარეიშვილის მილულული თვალებითა და დიდი გრძნობით წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ ნაწყვეტი „დედავ ღვთისაო“ იყო:

„დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა:

სალმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულთა ეს ქვეყანა ტანჯვად ეყოფა,

მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა...“

— ლალი-ბალი, ცოლად გამომყვები? — მომესმა ქართულ კლასიკასა და სულის ტკივილს შორის გაბნეული სიტყვები, — მომეცი სიტყვა, რომ რაც უნდა მოხდეს, დამელოდები და ჩვენს შვილს დიდი მებრძოლის, ალექსანდრე მაკედონელის უკვდავ სახელს მისცემ!

— მაკედონელის? გადაირიე არა? და სად მიდიხარ, რო? ისე, ჩვეულებრივად, სანდრიკა რომ დავუძახოთ, ხომ შეიძლება, რა იმპერიული ამბიციებია?

— კი, პატარა, და ჩვენს შვილიშვილებს მოვუყვებით, რა მაგარი ტიპები ვიყავით, არა?

— მამაშენს ხომ არ ეწყინება?

— რა?

— პირველ შვილს რომ მისი სახელი არ ერქმევა?

— ლალი-ბალი, რა სულელი ხარ, ეგ როგორ იფიქრე? შენ ყველას ისე ეყვარები, რომ თუ გინდა, ბავშვებს შენი სახელები დავარქვათ. ნახე, როგორ ჟღერს: „ლალი პირველი“, „ლალი მეორე“ და ასეეეეეე... — ხარხარებდა ნუკრი და თან სასკოლო ჩანთას მუშტებს ურტყამდა.

— დებილი ხარ, ნამდვილი დებილი, მე სახლში მინდა, — კატეგორიულად გამოვაცხადე და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გავეშურე.

— ეი, შენ რა, მართლა გეწყინა? კარგი რა, რაც გინდა, ის დავარქვათ, თუნდაც ვიქტორი, ეს ხომ მამაშენის სახელია? ჰა, მიჩუქნია, — მეუბნებოდა ნუკრი და თან ცრემლნარევ სიცილს ძლივს იკავებდა.

ეს სიტყვები მეხის გასროლასავით მომხვდა გულში, ვიქტორი? მამაჩემი? როგორ ავუხსნა ამ ცხოვრებით განებივრებულ, თვითმტკბარ, მაღალი თანამდებობის პირის შვილს, რომ მე, მისი პირველი შეყვარებული, ლალი მოროშკინა, არ ვიცნობ მამაჩემს, ცნობილ პედიატრს, პირველ გენეტიკოსს საქართველოში ვიქტორ მოროშკინს — არ ვიცნობ, არ მინახავს, არ ვიცი, როგორია, რა უყვარს და რა ეზიზღება, როგორ გამოიყურება და რით სუნთქავს, უბრალოდ, ა რ ვ ი ც ნ ო ბ!

## მამა

ადამიანი ექსტრემალურ პირობებშია ყველაზე არაადეკვატურიც და ადეკვატურიც. რა შეიძლება იყოს 13 წლის ასაკში უფრო არაადეკვატური, ვიდრე პირველი სიყვარული? რამდენი შეკითხვა ჩნდება ერთდროულად? იქნებ დედას არ მოეწონოს? ან იქნებ მე — ნუკრის დედას? თანაც რუსული გვარით? მეგრელებს ხომ ეს მომენტი განსაკუთრებით გამძაფრებული აქვთ? მაგრამ ვიცი, რომ თბილისელები არიან, იქნებ გადავრჩე...

პირველი ტესტი თითქოს გავლილი მქონდა და ნუკრის დედასთან, ქალბატონ ლიასთან ერთად სამზარეულოში, ინსტრუქტაჟის ჩატარების მერე, ორიოდე კვირის წინ მარწყვსაც კი ვარჩევდი, — თურმე ყუნწი მარწყვს წრიული მოძრაობით სძვრება.

„დალახვროს ეშმაკმა, ეს ადრე არ უნდა მცოდნოდა? მივალ სახლში და დედას საყვედურს ვეტყვი“, — ვბუზღუნებდი ჩემთვის.

ვისაც „ეს“ მომენტი გამოვლილი აქვს, ალბათ, დამეთანხმება, სულ რომ იტალიის ყველაზე ცნობილი შეფმზარეულიც იყოთ, მილიონი ჯილდოთი და 20 წლის გამოცდილებით, პირველი შეხვედრა შეყვარებულის სანათესავოსთან აუცილებლად ამოგაგდებთ ჩვეული რიტმიდან. მეც ამოვვარდი და პირველი შეხვედრა ტრანსპორტის მინისტრის მკაცრ მოადგილე ბატონ ლერი ჩაგანავასთან „პროდუქტიული ფიასკოთი“ დამთავრდა. მარწყვით სავსე კალათამ ვერ პოვა ადრესატი.

ნუკრის მშობლებმა წითელი მარწყვის ლაქები ახალ ხალიჩაზე იმ-

პრესიონიზმად მონათლეს, ბევრი იცინეს და სამუდამო კონტაქტიც შედგა.

ცხოვრება ჭადრაკის დაფაა, ფიგურები ერთმანეთის მონაცვლეობით გადაადგილდებიან. ჩემი სვლის დროც დადგა. თამაშს ერთი ფიგურა აკლდა — მამა. ბიოლოგიური მამა. საქართველოსთვის ასე იშვიათი, მაგრამ ჩემთვის საოცრად ნაცნობი გვარით — მოროშკინი.

მე, დედა, ძმა და თალესი საბურთალოზე, ბუდაპეშტის ქუჩაზე, გერმანელი ტყვეების აშენებულ სახლში ვცხოვრობდით.

დედასთან მოკლე ბლიცგამოკითხვის შემდეგ ნათელი შეიქნა მამის არა მარტო საცხოვრებელი ადგილსამყოფელი, არამედ მისი სამსახურის ადგილმდებარეობაც, რაც ჩვენი სახლიდან ორ ნაბიჯში მდებარე რესპუბლიკური საავადმყოფოს არეალს მოიცავდა. ექიმი მამა ხომ ბევრი გოგონას ოცნებაა?

— გოგო, გათხოვებას ხომ არ აპირებ? რა დროს მშობლების გაცნობაა? — სიცილით მკითხა დედამ.

— რა შუაშია გათხოვება? მე რა, უპატრონო ხომ არ ვარ, მინდა მამაჩემს მეც და ჩემი მეგობრებიც იცნობდნენ.

— და თალესი? ის ხომ სულ შენ გვერდითაა? რა, არ გყოფნის? და საერთოდ, იქნებ მის გვარზე გადასულიყავი?

— დედა, ჩვენ ამაზე უკვე ვილაპარაკეთ და შენ იცი ჩემი აზრი, — მკაცრად ვუპასუხე მე, — თალესი ჩემიანია, მამას ვეძახი და მამასავით მიყვარს, მაგრამ მე მაქვს უფლება, ვიცნობდე ნამდვილ მამას, და ეს ჩემი არჩევანია. გვარის გამოცვლაზე ლაპარაკი აღარ იყოს!

ვიცი, რომ ამგვარი საუბრები დედას გულს სტკენდა, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო, ეს ჩემი, უკვე ზრდასრული ადამიანის სწორი არჩევანი იყო. ამგვარი არჩევნის წინ ცხოვრებაში კიდევ რამდენიმეჯერ მომიწევდა დადგომა...

მოსვენებას არ მაძლევდა მხოლოდ ერთი „მოკრძალებული“ კითხვა: კი მაგრამ, მე, ასე პატარა, ცოტათი ტრაბახა, ხუთოსანი, მოცეკვავე, მოფარიკავე, ერთადერთ ტელეარხზე საყმაწვილო გადაცემის „შევისწავლოთ რუსული ენა“ წამყვანი, ბოლოს და ბოლოს, პირველი ქალიშვილი, „უმნიცა, კრასავიცა“ და მამას არ ვაინტერესებ? რატომ?

პასუხის მისაღებად უახლოეს მომავალში „რესპუბლიკურის“ იერიში დაიგეგმა.

ო, რამდენჯერ გამივლია რეპეტიცია! ძალიან ლამაზად მაცვია, ნაწნავში ოქროს თასმა მაქვს გატარებული, ფართოდ ვაღებ მამის კაბინეტის კარს და ვეუბნები: „მე შენი უფროსი ქალიშვილი ვარ. სად იყავი ამდენ ხანს? ნუთუ არაფერი გაინტერესებს ჩემ შესახებ?“ მერე ისიც ატირდება, გულში ჩამიკრავს და ვივლით ასე ჩახუტებული მთელი ცხოვრება; და ამ ქვეყანაში მთელი ორი მოროშკინი ვიქნებით! თუმცა არა, მე ხომ დებიც მყავს? რა საინტერესო იქნება მათი გაცნობა! ოთხი მოროშკინი ხომ მთელი მინისაფეხბურთო გუნდია!

მაგრამ როგორც ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჩემს ცხოვრებაში, ესეც კარტის სახლივით ჩამოიშალა.

* * *

დერეფანში ახალგაზრდა მამაკაცი, ყავის ჭიქითა და სიგარეტით ხელში, კედელზე ჩამოკიდებულ რაღაც უნიჭო პეიზაჟს ასწორებდა.

— უკაცრავად, ვიქტორ მოროშკინის კაბინეტი რომელია? — ვკითხე მე და ის შემობრუნდა...

განცდა, რომელიც მაშინ დამეუფლა, არაფერს ჰგავდა, — მე ლალი მიყურებდა, ოღონდ მამაკაცის ჩაცმულობით და სულ ოდნავ უფროსი. მიყურებდა ჩემი ასლი, თუ მე ვიყავი მისი ასლი? მოკლედ, არ ვიცი...

— Лалка, это ты? — შინაურივით მკითხა უცნობმა და თმა მომიჩეჩა.

— Я, — წავილუღლუღე მე და შეძლებისდაგვარად ძალა მოვიკრიბე. მთავარი მისია ჯერ შეუსრულებელი იყო.

მე კითხვაზე პასუხს ველოდი. პასუხი კი მოკლე და საოცრად ლაკონური აღმოჩნდა:

— იცი, ძვირფასო, როცა დედაშენი გათხოვდა, მისი ახალი მეუღლე ისე ეჭვიანობდა ჩემს ყველა მოსვლაზე, რომ გაცლა ვამჯობინე ისევ შენს საკეთილდღეოდ! ვიცოდი, რომ ოდესმე დამიბრუნდებოდი... — თქვა მან, ჩემკენ გადმოიხარა და ნაზად დამსუნა. — Всё правильно, мои девочки пахнут молочком! Ювелирная работа!

ეს იყო მისი ერთადერთი კომენტარი — ერთადერთი 13 წლის განმავლობაში.

იცოდი, რომ ოდესმე მნახავდი? ოდესმე, 30-40 წლის შემდეგ? თუ 100-ის? იცი თუ არა, როგორია უცხო გვარით ოჯახში ცხოვრება? იცი თუ არა, რა არის, როდესაც ზეიმზე დედა მარტო მოდის, იცი თუ არა იმის სიმწარე, როცა სკოლაში მამის სამსახურიდან ცნობა ვერ მიგაქვს, კვირას მწვადის შესაწვავად არავის დაჰყავხარ, თოვლის ბაბუას არავინ ასახიერებს; დილით თბილი, საბავშვო საწოლიდან მოდანდალებულს, თმააწეულს მშობლის ლოგინში არავინ გხვდება, თავის ძლიერ ყოვლისშემძლე მკერდზე არ მიგიკრავს და არ გეუბნება: „ეს ლამაზი გოგო მამასიაა“.

შენ კი ვერ ამბობ, ვერ ყვირი, ვერ ჩურჩულებ:

— მამაჩემი ყველაზე ძლიერია და ყველას მოგერევათ!

„Молочком пахнут“, არა?“ — გულში ვაპროტესტებდი მე, მაგრამ გესლის გადმონთხევას არ ვჩქარობდი, წინ გაცილებით მნიშვნელოვანი მომენტი მელოდა. ამ თავდაჯერებულ „ტიპთან“ კი მოვასწრებდი ანგარიშსწორებას. დედა მართალი იყო: „Он не такой, как все, не спеши, Лалико“.

მაგრამ სენტიმენტების დრო, როგორც ჩანს, ჩემთვის იმთავითვე ლიმიტირებული იყო და მე, ორმხრივად „შეიარაღებული“, მზად ვიყავი ფართომასშტაბიანი ოპერაციის, სახელწოდებით „ჩემი ოჯახის“ ჩასატარებლად და ცინიკური ნუკრისათვის ორივე, უფრო სწორად, სამივე მშობლის წარსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური მამა ნაპოვნი და „გაუვნებლებული“ იყო, ჩემ გვერდით დიდ და მეტად საპასუხისმგებლო ადგილს სწორედ თალეს შონია იკავებდა. მერე რა? რაც მეტი მოთამაშეა დაფაზე, მით წარმატებულია პარტია!

ასე რომ, „თამაში“ ყველაზე აქტიურ ფაზაში მოწინააღმდეგის „დაბნევასა და დემორალიზაციაში“ შედიოდა. მე, დედა, მამა და მამა (ასე ვეძახდი მამინაცვალსაც) მზად ვიყავით ცეცხლის მისაღებად, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ჩემი „ბარბაროსული გეგმა“. და მერე რა, რომ მშობლებმა ამ ავანტიურის შესახებ არაფერი იცოდნენ?

მთავარი იყო, მამებს ჩემი სცენარით ემოქმედათ. თანაც ფილმებში პატარძალი სულ მამას მიჰყავს ტაძარში, მე კი ორი, აქეთ-იქიდან მკლავგაყრილი მამები მიმაცილებდნენ! უფ, რა გაუსკდებოდათ გულები მოშურნეებს, განსაკუთრებით მე-9ა კლასიდან!

— რა ალექსანდრე აუტყდა ამ ნუკრის, ისე, არც ვიქტორი არის ცუდი სახელი, არა? და გოგოს როგორ მოუხდებოდა ვიქტორია... — ვფიქრობდი ერთდროულად გენების ყივილის, სიყვარულისა და თავში ორპირი ქარის მარწუხებში მოქცეული.

მე მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი დედაჩემის ადრეული ნევროზის წინა პირობას.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*




***ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით***
*gza.fantazia@gmail.com*

***დასაწყისი***
***იხ. „გზა“ №37, 2009***
***— №2, 2010***

***გოჩა მანველიძე***

სითბო ნელა მოედო სახეს. ჯერ ნიკაპი გაუხურა, მერე ყვრიმალს მისწვდა, ბოლოს კი თვალებს მიადგა. მალე უჩვეულო სიმხურვალე აუტანელი გახდა. გოგამ მძიმედ გაახილა თვალები, მაგრამ ოქროსფერი ბრწყინვალების მეტი ვერაფერი დაინახა. მიხვდა, რომ ეს მზის სხივები იყო, რომლებიც თვალებში უჭყიტინებდა და სახესაც უხურებდა. მხედველობა ცოტა ხანში აღუდგა. გოგამ აქეთ-იქით მიმოიხედა. თავისი სამყოფელი ვერ იცნო. აქ არასდროს ყოფილა. აქაურობა არაფრით ჰგავდა საავადმყოფოს პალატას, რომელშიც დაჭრის შემდეგ გონს მოეგო. ოთახის კედლებზე შპალერი იყო გაკრული. იატაკზე სინთეტიკური ხალიჩა ეფინა. ოთახის ხის ავეჯით იყო გაწყობილი, კუთხეში ტელევიზორი იდგა.

„როგორ მოვხვდი აქ? — ფიქრობდა გოგა. — საავადმყოფოდან წამოვედი — ეს კარგად მახსოვს. ექთანმა თვითონ გამომაცილა. მგონი, ქუჩამდეც მივაღწიე. მერე კი...“

გოგამ შუბლი მოისრისა. ვერაფრით გაიხსენა, თუ რა მოხდა შემდეგ. ყველაფერი უეცრად ჩაიძირა წყვდიადში...

კარის ჭრიალმა ფიქრს მოსწყვიტა. ოთახში რიტა შემოვიდა, რომელსაც სინი ეჭირა. სინზე ორთქლადენილი ფინჯანი და ბუტერბროდები ელაგა. გოგას მისი ცნობაც კი გაუჭირდა: საავადმყოფოში თეთრ ხალათში ჩაცმული და კონად შეკრული თმით ჰყავდა ნანახი, ახლა კი ჯინსის შარვალი და საზაფხულო მაისური ეცვა, ჩალისფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა.

— დილა მშვიდობისა, — ღიმილით მიესალმა რიტა და სინი საწოლის გვერდით, ტუმბოზე დადო, — როგორ გრძნობ თავს?

— სად ვარ? — ჰკითხა გოგამ.

— ჩემი მეგობრის სახლში.

— როგორ მოვხვდი აქ? — განაგრძო გოგამ.

— როგორ მოხვდებოდი?.. მე მოგიყვანე, — უპასუხა რიტამ.

— არაფერი მახსოვს, — საფეთქლები მოისრისა გოგამ.

— როგორ გეხსომება?! საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე გაითიშე. მე ხომ გაფრთხილებდი: ძალა არ გეყოფა წასასვლელად-მეთქი! კიდევ კარგი, მაშინვე არ შევბრუნდი საავადმყოფოში. ცოტა ხანს კართან დავრჩი და დავინახე, როგორ ჩაიკეცე. რა უნდა მექნა?! ვიცოდი, უკან არ მობრუნდებოდი.

— და საავადმყოფოდან წამომიყვანე?

— იძულებული გავხდი.

— როგორ მოახერხე? — გაუკვირდა გოგას.

— სიმართლე გითხრა, მართლაც გამიჭირდა. საბედნიეროდ, მანქანის გაჩერება შევძელი. მძღოლიც დამეხმარა, თორემ მარტო ვერაფრით მოვახერხებდი შენს აქ მოყვანას.

— შენი მეგობრის ოჯახი როგორ უყურებს ჩემს აქ ყოფნას? — ჰკითხა ლუკამ.

— არ ვიცი, — გაიცინა რიტამ.

— არ იცი? — დაიბნა გოგა.

— ჩემი მეგობარი და მისი ქმარი გეოლოგები არიან. ახლა ისინი ურალის მთებში, ექსპედიციაში იმყოფებიან. წასვლამდე სახლის მიხედვა მთხოვეს. ძაღლი და ორი კატა ჰყავთ, რომლებსაც პატრონობა სჭირდებათ. მათ თუ არ ჩავთვლით, აქ ჩვენ გარდა არავინაა. ამაზე კარგი თავშესაფარი არ მეგულება. მშვიდი დასახლებაა. აქ ყველა ბინების გაქირავებითაა დაკავებული, უცხო ადამიანის გამოჩენა არავის უკვირს. ჩემი მეგობრები კი შემოდგომამდე არ აპირებენ დაბრუნებას.

— ჰო, მაგრამ...

— რა გაღელვებს?

— არა... არაფერი... აქ დიდხანს მაინც ვერ დავრჩები. დღესვე წავალ აქედან, — თქვა გოგამ.

— ნუღარ დავუბრუნდებით უკვე ნათქვამს.

— მაგით რისი თქმა გსურს?

— შენი გუშინდელი ნალაპარაკებით თუ ვიმსჯელებ, ახლა სოჭის მიდამოებში უნდა იყო, მაგრამ თავადაც ხედავ, სადაც ხარ.

— დღეს უკეთ ვგრძნობ თავს.

— არა!.. — შეუვალი სახით თქვა რიტამ. — შენ შემთხვევით გადარჩი. არც კი ვიცი, რა მოხდებოდა, ის მძღოლი რომ არ შემხვედროდა. მეორედ ასე არ გაგიმართლებს. ვიდრე არ მომჯობინდები, აქ დარჩები და ტყუილად ნუ დამიწყებ თხოვნას — ტანსაცმელს მაინც ვერ მიიღებ. ახლაც იმას ხომ ვერ იტყვი, რომ აქაც მოგძებნიან „სისხლისმსმელი აფხაზები“!..

— ჭრილობის მოშუშებას ათი დღე მაინც დასჭირდება. ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს ამ დროში?

— შენს ჭრილობაზე უფრო, ტვინის შერყევა მაფიქრებს. ექიმი ხარ და თავადაც კარგად იცი, რომ შენი ფეხზე დგომა არ შეიძლება. ყველაზე ცოტა, ორი კვირა მაინც უნდა იწვე.

— ამდენი ხანი აქ ვერ დავრჩები, — თქვა გოგამ.

— სხვა რა გზა გაქვს?!

— ვინ იცის, რამდენი პაციენტისთვის გითქვამს იგივე?!.

— ბევრისთვის, მაგრამ ისინი საავადმყოფოში იწვნენ.

— აბა, შენ სად გგონია თავი? საავადმყოფო ჰქვია დაწესებულებას, რომელშიც პაციენტი წოლით რეჟიმსა და მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ეს ოთახი გაგრის საავადმყოფოს ნებისმიერ პალატას სჯობია. თანაც, აქ ექიმიც არის და ექთანიც: მედიკამენტებზეც ნუ იდარდებ. ვიდრე გეძინა, საავადმყოფოში დავბრუნდი და ყველა საჭირო მედიკამენტი მოვიმარაგე.

— ძნელია შენთან კამათი, მაგრამ ერთ რამეს მაინც არ ითვალისწინებ.

— რას? — ჰკითხა რიტამ.

— იმას, რომ მე ძებნას დამიწყებენ!

— ახლა შენთვის არავის სცალია. ამბობენ, გუმისთაზე ძალიან მძიმე ვითარებააო. მთავრობას შეიარაღებული ფორმირებები იქ გადაჰყავს.

— რომა მაინც დამიწყებს ძებნას.

— დაგიწყებს, მაგრამ როგორ გგონია — ვისთან მივა პირველ რიგში?

— შენთან.

— მართალი ხარ. მე კი არაფერი ვიცი. ბოლოს გუშინ საღამოს გნახე. დაგალევინე წამლები და ძილი ნებისა გისურვე. დილით კი შენი საწოლი ცარიელი აღმოჩნდა...

— არ ყლერს დამაჯერებლად. საავადმყოფოდან შიშველი ხომ არ გავიპარებოდი! ვიღაცას ტანსაცმელი უნდა მოეცა ჩემთვის, — შენიშნა გოგამ.

— ისე, მგონია, რომ ექიმი არ უნდა იყო. შენი მსჯელობა დეტექტივების ავტორს უფრო შეეფერება. საიდან უნდა

იცოდეს უბრალო ექთანმა, თუ როგორ გაქრა პაციენტი საავადმყოფოდან?!. რომასაც იმავეს ვეტყვი... მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. თანაც, დასაკარგი დროც არ გვაქვს.

— რა გვაქვს საჩქარო? ორი კვირა მაინც პატიმრობაში უნდა გამატარებინო... — გაეღიმა გოგას.

— ჰო, მაგრამ ახლავე შეეგუე იმ აზრს, რომ მუდამ შენ გვერდით ვერ ვიქნები, განსაკუთრებით — დღეს. დარწმუნებული ვარ, რომას უკვე აცნობეს შენი გაქრობის შესახებ. ის მაშინვე საავადმყოფოში მივიდოდა. მერე კი მე მომიკითხავს...

— მაშინ, აღარ დაგაყოვნებ... წადი, — სწრაფად თქვა გოგამ.

— წავალ, მაგრამ ჯერ ისაუზმე. მერე წამლებს მიიღებ, სახვევს გამოგიცვლი და წავალ.

— არ მინდა ჭამა.

— გაფრთხილებ, რომ ჭირვეულობას არ მოვითმენ. როცა გეტყვი, უნდა ჭამო. როცა გეტყვი, წამალიც უნდა დალიო და სახვევიც გამოიცვალო! — შეუვალი ტონით თქვა რიტამ და ფინჯანი და ბუტერბროდი მიაწოდა.

გოგას მართლა არ უნდოდა ჭამა. ნარკოზს მისთვის საერთოდ გაექრო მადა, მაგრამ რიტას მაინც ველარ უთხრა უარი. თავადაც იცოდა, რომ საკვები ძალის მოკრებაში დაეხმარებოდა. ცოტა ხანში ინანა, რომ საჭმელზე უარის თქმას აპირებდა. უბრალო ჩაი და ბუტერბროდები ძალიან გემრიელი ეჩვენა.

— დანაყრდი? — ჰკითხა რიტამ, როგორც კი გოგამ ცარიელი ფინჯანი სინზე დადო.

— დავნაყრდი.

— ვჩქარობდი და ბუტერბროდის მეტი ვერაფერი მოვამზადე. შუადღეს რომ დავბრუნდები, ისეთ საჭმელს გაგიკეთებ, რომელიც ავადმყოფს შეეფერება. ახლა კი გვერდზე გადაბრუნდი, სახვევი რომ შეგიცვალო.

— სარკე გაქვს? — ჰკითხა გოგამ.

— რად გინდა? — გაუკვირდა რიტას.

— ჭრილობა მინდა დავათვალიერო.

რიტა ხელჩანთას დასწვდა და გოგას მომცრო სარკე გაუწოდა.

ჭრილობის ნახვამ გოგა უკმაყოფილო დატოვა. ოპერაციიდან დღე-ღამე იყო გასული, მაგრამ ამის მიუხედავად, იარა ისევ სველი იყო. ნაკერებიდან მდორედ ჟონავდა სისხლი.

— გუშინდელი ღამის ბრალია. იმაზე მეტი იმოძრავე, ვიდრე შეიძლებოდა, მაგრამ ეგ არაფერი. წოლით რეჟიმს დაიცავ და ჭრილობაც უცებ შეიკრავს პირს, — ლაპარაკობდა რიტა და თან სახვევს უცვლიდა.

მისი ხელების შეხებისას გოგას უჩვეულო შეგრძნება დაეუფლა. ყოველი შეხებისას სხეულს სიამოვნების მომგვრელი, თბილი ტალღა დაურბენდა...

— ხომ არ გატკინე? — ჰკითხა რიტამ, როგორც კი სახვევის გამოცვლა დაასრულა.

— არა, ყველაფერი კარგად არის.

— მაშინ წამლებიც დალიე და დაიძინე. მე წავალ და შუადღისთვის დავბრუნდები.

— არ მინდა ძილი. ტელევიზორი ჩამირთე, — სთხოვა გოგამ.

— ტვინის შერყევა გაქვს, ტელევიზორის ყურება არ მოგიხდება, — შეეწინააღმდეგა რიტა.

— მინდა, გავიგო, რა ხდება ქვეყანაზე.

— კარგი, მაგრამ მაინც ნუ გადაიღლი თავს, — უპასუხა რიტამ, მერე კი ტელევიზორო ჩართო და დისტანციური მართვის პულტი მიაწოდა.

რიტა უკვე თავის სახლს უახლოვდებოდა, როდესაც მის გვერდით მუხრუჭების ღრჭიალით მანქანა გაქვავდა. ის შიშით გვერდზე გახტა და სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი რომას, რომელიც მანქანიდან გადმოვიდა.

— რას აკეთებ აქ? — გაიკვირვა რიტამ.

— შენს სანახავად მოვედი.

— სახლში შემოდი, — მშვიდად უპასუხა რიტამ, რომელიც უკვე ხვდებოდა მისი სტუმრობის მიზეზს და ჭიშკრისკენ შებრუნდა. მაგრამ რომამ მკლავში ჩაავლო ხელი, თავისკენ შემოაბრუნა და უთხრა:

— არა. აქ ვილაპარაკოთ!

— რამე ხომ არ მოხდა? აღელვებული ჩანხარ.

— შენ რა, არაფერი იცი?

— რა უნდა ვიცოდე?

— შენი პაციენტი საავადმყოფოდან გაქრა!

— როგორ თუ გაქრა?! — გაოცება გამოხატა რიტამ. — დილით იქ იყო.

— ბოლოს როდის ნახე?

— დილის 8 საათი იქნებოდა. ეძინა. გავაღვიძე და წამლები დავალევინე. მერე კი ისევ დაიძინა.



— ახლა პირდაპირ საავადმყოფოდან მოვდივარ. იქ არ იციან, სად გაქრა ეს კაცი! — თქვა რომამ.

— უცნაურია. სად უნდა წასულიყო?

— რიტა... — რომა თვალებში ჩააცქერდა თავის ბიძაშვილს. — ეს სახუმარო საქმე არ არის. მე გითხარი, რომ ის კაცი რაულ ხიჟბაა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ვცდებოდი!

— ცდებოდი?! თუ ხიჟბა არ არის, მაშინ ვინაა?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! თვითონაც ვერაფერში გავრკვეულვარ.

— ვინ გითხრა, რომ ის კაცი ხიჟბა არ არის? — ჰკითხა რიტამ.

— თავად რაულმა.

— ვერაფერი გავიგე. სად ნახე ხიჟბა?

— არ მინახავს. გუდაუთიდან დამირეკა. საიდანღაც გაუგია, რომ ის კაცი საავადმყოფოში იწვა. მთხოვა: მიდი და ჩემს ჩამოსვლამდე არავინ მიაკაროო.

— რატომ ღელავ, რომა? ეგ საქმე შენ ხომ არ გეხება. ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვაქვს, ხიჟბას — თავისი. თუ ასე სჭირდება, თვითონ მოძებნოს ის კაცი, — მშვიდად თქვა რიტამ.

— რიტა, შენ რაღაც იცი მის შესახებ!.. — ეჭვით შეხედა რომამ.

— არაფერი ვიცი და არც მაინტერესებს.

— როდის წამოხვედი საავადმყოფოდან? — გამოკითხვა განაგრძო რომამ.

— 9 საათი არ იქნებოდა.

— რატომ? სამუშაოს 10-ზე ამთავრებ!..

— საქმე მქონდა.

— რა საქმე? სად იყავი? — ტყვიამფრქვევივით მიაყარა რომამ.

— ზედმეტი ხომ არ მოგდის, ბიძაშვილო?! — შუბლი შეიკრა რიტამ.

— რიტა, ცეცხლს ეთამაშები! ხიჟბა... — რომამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ მათ გვერდით თეთრი „ჟიგული“ გაჩერდა. მანქანიდან რამდენიმე მამაკაცი გადმოვიდა. რიტა და რომა ერთდროულად შებრუნდნენ მათკენ და გაოგნებულები ადგილზე გაშეშდნენ: მამაკაცებს შორის ერთ-ერთი, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა გოგას.

— შენ ხარ ლაკობა? — მამაკაცმა უხეშად მიუგდო რომას.

— ჰო.

— ხვდები, ვინ ვარ?

— რაული...

— მართალი ხარ... — ხიჟბამ რიტას გახედა და ცივად დაამატა: — ეს კი შენი ბიძაშვილი უნდა იყოს... რიტა ლაკობა!

რიტამ დუმილით უპასუხა.

— კარგი, ჩავთვალოთ, რომ უკვე გავიცანით ერთმანეთი. ახლა საქმეზე გადავიდეთ: სად არის ის კაცი? — განაგრძო რაულმა.

— არ ვიცი, — ყრუდ ჩაილაპარაკა რომამ.

— რა გითხარი დილით?! საავადმყოფოში მიდი და ახლოს არავინ გააკარომეთქი!

— მანამდე გაიპარა, სანამ დამირეკავდი.

— ასეთი ბრიყვი რამ გაგაჩინა?! — მზერა გაეყინა რაულს. — როგორ გაგეპარა დაჭრილი და ტყვინშერყეული კაცი?! დავრდომილს ვერ მოერიე და შენ იომებ ქართველებთან?!.

— წესიერად ილაპარაკე! საერთოდ არ მაინტერესებს შენი პრობლემები! — ხმას აუწია რომამ. — ისე ჰგავხართ ერთმანეთს, რომ ჩემს ადგილას შენი ახლობლებიც კი შეცდებოდნენ!

— სად შეხვდი?

— „კაპეზეში"... გაგრის „ოურის" უფროსმა, გულბანმა ჩემ თვალწინ უთხრა, ხაულ ხიჟბა ხარო!.. თან, ემუქრებოდა: მალე მოვიცლი შენთვის და საკუთარი ხელით დაგბრიდავო!.. რა უნდა მეფიქრა?!

— ესე იგი, ძაღლები შეცდნენ და შენც შეცდომაში შეგიყვანეს? — ჰკითხა რაულმა.

— ჰო, — დაუდასტურა რომამ.

— თვითონ რას ამბობდა? — განაგრძო ხიჟბამ.

— საკანში მეც დაველაპარაკე. მეცოდებოდა. მაგრად იყო ნაცემი. თანაც, დარწუნებული ვიყავი, რომ შენ გელაპარაკებოდი. მითხრა, ვიღაცაში გეშლები, მე რაულ ხიჟბა არა ვარ და მაგ კაცზე საერთოდ არაფერი მსმენიაო!

— ვინ ვარ და რა მქვიაო?

— გოგა კილაძე...

— მერედა, თუ კაცმა გითხრა, ცდებიო, რაღას უმტკიცებდი, ხიჟბა ხარო?! — გაიკვირვა რაულმა.

— შენ რა, კამერაში არ მჯდარხარ?! — ცივად თქვა რომამ. — რა იყო მაგაში გასაკვირი?!. ჩვენთან ერთად, მესამე კაციც იჯდა და მის გასაგონად ხომ არ მეტყოდა, რაული ვარო! ის კაციც რომ არ ყოფილიყო, მაინც იმავეს ველოდი. „დაჟე", არიფივით მოვიქეცი, ვინაობაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა. კაცი „ოურის" უფროსს „ეკაჩავებოდა", ხიჟბა არა ვარო და „კამერაში", უცნობთან საწინააღმდეგოს ხომ არ იტყოდა?!

— საავადმყოფოში?.. იქაც „ნასედკების" ხომ არ ეშინოდა?!

— საავადმყოფოში მითხრა, რაული ვარ, მაგრამ ჩემს გუდაუთელ ახლობლებს არაფერი გააგებინოო!..

— და შენც „ჭამე" და იმ დამპალს წასვლის საშუალება მიეცი! — გაშმაგდა ხიჟბა.

— როდემდე უნდა ილაპარაკო ერთი და იგივე?! — არ შეეპუა რომა. — რაც მოხდა — მოხდა. ამას სიტყვებით აღარაფერი ეშველება. თუ ასე გჭირდება, მოძებნე. დახმარება თუ გჭირდება, მაგაზეც არ გეტყვი უარს!

— მოვძებნი... ვერსად წავა, მაგრამ ახლა ამაში არ არის საქმე.

— მაშინ რაშია? — გაუკვირდა რომას.

— საავადმყოფოში მითხრეს, რომ იმ კაცს თავს ევლებოდი. საკუთარი ბიძაშვილიც კი მიუჩინე მეურვედ და ასეთ ვითარებაში, როგორ უნდა გამქრალიყო ის კაცი საავადმყოფოდან?! არ მჯერა, რომ ეს შენი და შენი ბიძაშვილის მონაწილეობის გარეშე მოხდა. ხედავთ, რა ხდება?! — თავის მეგობრებს მიუბრუნდა ხიჟბა. — ჩვენი ხალხი გუმისთაზე სისხლს ღვრის, ესენი კიდევ, ქართველებს ეხმარებიან!

— უკვე გითხარი, რომ წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გაიპარა! — ხმას აუწია რაულმა.

— შენ შეიძლება, მართლაც, აზრზე არა ხარ, მაგრამ შენმა ბიძაშვილმა ნაღდად იცის იმ დამპლის ასავალ-დასავალი, — ამ სიტყვების თქმისას, რაულმა წინ წაიწია, რიტას მკლავში ხელი ჩაავლო და ღვარძლით გამოცრა: — მაინც რით შეგაბა იმ ქართველმა ნაბიჭვარმა?!

— ხელი გაუშვი! — უმალ იფეთქა რომამ.

— ენა დაიმოკლე! — მისკენ გაუხედავად წამოიძახა რაულმა, მაგრამ რომას უკან დახევა არც კი დაუპირებია. ელვის სისწრაფით მოიმარჯვა პისტოლეტი, რაული მიზანში ამოიღო და უყვირა:

— ხელი გაუშვი, თორემ აქვე გაგიხვრეტ შუბლს!..

შუადღემდე დარჩენილმა დრომ სწრაფად გაიარა, მაგრამ რიტა არა და არ გამოჩნდა. გოგა თავს იმშვიდებდა: ალბათ რამემ შეაყოვნა და იგვიანებსო. თუმცა თავადაც არ სჯეროდა, რომ მომხდარის შემდეგ რიტა უმნიშვნელო მიზეზით დატოვებდა უყურადღებოდ.

ამასობაში წამლის დალევის დროც დადგა. მაგრამ გოგას არც გაუხედავს ტუმბოსკენ, რომელზეც მისი მკურნალის მიერ დატოვებული აბები იდო. ახლა დამამშვიდებელი რომ მიეღო, უეჭველად ჩაეძინებოდა, მას კი სურდა, რიტასთვის დაეცადა.

„ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი ასე მარტივად არ ჩაივლიდა, — ფიქრობდა გოგა, — რიტა თანაგრძნობით მომეკიდა, მაგრამ იმაზე არ უფიქრია, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ამბავს. კარგი, რომა მისი ბიძაშვილია და ასე ადვილად ვერ გაიმეტებს. მაგრამ რომას გარდა, ჩემი საავადმყოფოში ყოფნის შესახებ კიდევ ბევრმა აფხაზმა იცოდა. როგორ მოიქცეოდნენ ისინი საავადმყოფოდან ჩემი გაქრობის შემდეგ?.. პირველ რიგში, რიტას მოჰკითხავდნენ პასუხს და ღმერთმა დაგვიფაროს, თუ ვინმემ ერთად დაგვინახა საავადმყოფოდან გამოსულები!.."

უკვე საღამოვდებოდა, როდესაც დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. გოგა დაძაბული წამოჯდა. იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, რა მოხდებოდა, თუ კარს რიტას მაგივრად სხვა ვინმე შემოაღებდა. მაგრამ საბედნიეროდ, ოთახში მისი მკურნალი შემოვიდა. გოგას მაშინვე თვალში მოხვდა მისი შეშფოთებული მზერა.

— რამე ხომ არ მოხდა? — ჰკითხა აღელვებულმა.

რიტამ ტუმბოზე დადებულ აბებს დახედა და მერე თქვა:

— წამლები არ დაგილევია...

— დავლევ, მაგრამ ჯერ მითხარი, რატომ ხარ შეშინებული?

— მართალი ყოფილხარ, როცა საავადმყოფოდან წასვლას ჩქარობდი, — რიტა საწოლის გვერდით ჩამოჯდა, — იმის გაფიქრებაც კი მიჭირს, თუ რა მოხდებოდა, იქ რომ დარჩენილიყავი...

— აფხაზებმა განგაში ატეხეს?

— უფრო უარესი... საავადმყოფოში რაულ ხიჟბამ მოგაკითხა! — უპასუხა რიტამ. — მართლაც, სულზე გამოვასწარი იქიდან. მის შესახებ ადრეც მსმენოდა. ის მართლაც, საშინელი ადამიანი ყოფილა...

— რამე ხომ არ დაგიშავა?! — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— კინაღამ...

— რას ნიშნავს — კინაღამ?

— ბევრი არ უფიქრია — შენი გაქრობა მაშინვე მე მომაწერა. უხეშად ჩამავლო ხელი: ახლავე მითხარი, სად იმალება ის ქართველიო?! რომამ ვერ მოუთმინა და პისტოლეტი დაუმიზნა... — რიტამ სახეზე აიფარა ხელები და აკანკალებული ხმით განაგრძო: — არასოდეს შემშინებია ასე. მეგონა — წამიც და ყველაფერი დამთავრდებოდა. როგორც კი რომამ იარაღი ამოიღო, ხიჟბა უკან გახტა და თვითონაც დაუმიზნა იარაღი. თან, გაშმაგებული იგინებოდა და ყვიროდა: ხედავთ, ეს დამპალი, ქართველის გულისთვის, აფხაზის სისხლის დაღვრას აპირებსო!.. არ ვიცი, რა მოხდებოდა, რომა და მისი მეგობრები რომ არა — ალბათ ერთმანეთს ამოხოცავდნენ, მაგრამ ისინი არ დაიბნნენ, შუაში ჩაუდგნენ და ერთმანეთს დააშორეს. წასვლისას ხიჟბა მაინც დაემუქრა რომას: კაცი არ მერქვას, თუ ეს შეგარჩინოო!.. ძალიან საშიში ადამიანი ყოფილა, თავზე ხელაღებული მკვლელი. რომა ასეთი არ არის. ახალგაზრდობაში შეეშალა რაღაც და ცოტა ხნით ციხეში მოხვდა. შეუპოვარია, თამამი, მაგრამ ასე უმიზეზოდ სისხლს არასოდეს დაღვრის. მეშინია, იმ ხიჟბამ რამე არ აუტეხოს ჩემს ბიძაშვილს.

— ნანობ?.. — ჰკითხა გოგამ.

— რას? — რიტამ სწრაფად ჩამოუშვა ხელები და გაოცებულმა შეხედა.

— ჩემი გულისთვის რომ გაეხვიე შარში!

— არა... წინასწარ რომ მცოდნოდა, ასე მოხდებოდა, მაინც იმავეს გავაკეთებდი! — უყოყმანოდ უპასუხა რიტამ.

— რატომ?! რატომ გაეხვიე ამ უსიამოვნებაში ვიღაც გადამთიელისთვის?..

— შენ გადამთიელი არა ხარ!

— მაშ, ვინ ვარ?

— შენ ქართველი ხარ!.. კმარა!.. ჩვენმა ხალხმა ისედაც ბევრჯერ მიაყენა ჭრილობები ერთმანეთს. ეს უნდა შეწყდეს!

გოგა დიდხანს ჩასცქეროდა აცრემ-

ლებულ თვალებში და მერე უთხრა:

— საოცარი გოგო ხარ!.. გული მწყდება, ასეთ დროსა და ვითარებაში რომ შევხვდით ერთმანეთს!

— და რა მოხდებოდა, ადრე რომ შემხვედროდი?.. — ჰკითხა რიტამ.

გოგას აღარაფერი უთქვამს. საწოლზე წამოიწია, მკლავები მოხვია და თავისკენ მიიზიდა...

რიტა დიდხანს იჯდა სახეზე ხელებაფარებული. მერე ხელები ჩამოუშვა, მღელვარებისგან წამოწითლებული სახე გამოაჩინა და თქვა:

— არ მჯერა...

— რა არ გჯერა? — ჰკითხა გოგამ.

— არ მჯერა, რომ ეს მოხდა... მე შევიყვარე ქართველი!.. — გაუბედავად ჩაილაპარაკა რიტამ.

— ქართველები გძულს?!

— არა... არა... შენ ვერ გაიგე. მე არავინ მძულს. ყველას გვაქვს სიცოცხლის, სიყვარულის, ბედნიერების უფლება. მაგრამ... — რიტა მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: — ალბათ ყველა ადამიანი ფიქრობს იმაზე, თუ ვინაა მისი საბედო, ვის შეიყვარებს და ვინ შეიყვარებს მას. მეც ვფიქრობდი ამაზე. სიზმარში მინდოდა მეხილა ჩემი რჩეულის სახე. მაგრამ იმას ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქართველი იქნებოდა, რომელსაც ასე უცნაურად გავიცნობდი!.. შენ... შენ თუ გიფიქრია ამაზე?

— მიფიქრია, მაგრამ ბევრი — არა, — გულახდილად გამოუტყდა გოგა, — ბევრი გოგონა მომწონებია, მაგრამ ასე — არავინ!

— შენ ხომ არაფერი იცი ჩემ შესახებ?

— რაც მჭირდება, უკვე ვიცი... — უპასუხა გოგამ.

— და მეც არაფერი ვიცი შენ შესახებ... — განაგრძო რიტამ.

— ჩემი სახელი და გვარი ხომ იცი?

— კილაძე გოგა. ხარ თბილისელი... ექიმი...

— გამოდის, ყველაფერი გცოდნია, — გაეღიმა გოგას.

— ეს ძალიან ცოტაა.

— კიდევ რა გაინტერესებს?

— რა გაკავშირებთ შენ და ხიჟბას?.. არა მგონია, თქვენი მსგავსება შემთხვევითობა იყოს... — ყოყმანით თქვა რიტამ.

— ის ჩემი ძმაა!

— ძმა-ა?! — თვალები გაუფართოვდა რიტას. — კი, მაგრამ როგორ?! შენ ქართველი ხარ, ის კი — აფხაზი!

— სამწუხაროდ, ასეა.

— დაუჯერებელია. არასოდეს მინახავს, ასე ძალიან ჰგავდეს ერთმანეთს ორი ადამიანი და ამასთან ერთად, ასე განსხვავდებოდეს!

— რით?

— ერთი შეხედვით ერთმანეთისგან თქვენი გარჩევა შეუძლებელია. ის ზუსტად შენსავით გამოიყურება, მაგრამ თვალები... შენ თბილი მზერა გაქვს... არც კი ვიცი, როგორ აგიხსნა. შენი თვალები ყველას აგრძნობინებს, რომ კარგი, კეთილი ადამიანი ხარ. ასეთი მზერის პატრონი ვერ იქნება ბოროტი. ხიჟბას კი... აქამდე არასოდეს შევხვედრივარ ასეთ მზერას. ყინულივით ცივი თვალები აქვს. აუხსნელი სიძულვილით გიმზერს. გგონია, რომ გეცემა და ნაკუწებად დაგგლეჯს. რატომაა ასეთი?.. ან რატომ ცხოვრობ შენ თბილისში, ის კი აფხაზეთში?

— ძალიან ჩახლართული ამბავია. სხვა დროს გიამბობ, — პასუხს თავი აარიდა გოგამ.

— როდის? — არ მოეშვა რიტა.

— როცა ყველაფერი ჩაივლის.

— რა ჩაივლის?

„მაინც რა ჩაივლის? — საკუთარ თავს ჰკითხა გოგამ. — აქ იმ არაკაცის მოსაძებნად ჩამოვედი და მის მაგივრად, ეს გოგო მოვძებნე. რა უნდა ვქნა ახლა?.. ის მკვლელი სადღაც აქვეა, ჩემ სიახლოვეს დაძრწის. ასე დავრდომილს თუ მომაგნო, ვეღარაფერი მიშველის. უეჭველად მომკლავს. მაგრამ როგორ მოვიქცეოდი, დაჭრილი რომ არ ვყოფილიყავი და მისი აქ ყოფნის შესახებ მცოდნოდა?.. მოვძებნიდი, ასე სოროში არ შევიყუჟებოდი. მე ხომ ამისთვის გადავიტანე ყველაფერი. მაგრამ ახლა?.. ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ ვაგებ პასუხს. ნებსით თუ უნებლიეთ, ეს გოგო შარში გავხვიე. ამის შემდეგ რაღა მაქვს საფიქრალი?! როგორმე უნდა გავარიდო აქაურობას. ცოდვაა. ხიჟბა არ დაინდობს და თუ გამჟღავნდა, რომ დამეხმარა, მასზე ამოანთხევს ბოღმას“.

— რატომ არ მპასუხობ? — ჩაეძია რიტა.

— როგორც კი გუმისთაზე სროლა შეწყდება და აფხაზებიც და ქართველებიც თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდებიან, მაშინ მოგიყვები, — თქვა გოგამ.

— შენ ამის იმედი გაქვს?

— შენ — არა?

— არ მინდა ამაზე ფიქრი. მით უმეტეს, ახლა, — ჩაილაპარაკა რიტამ. — ჯობს, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— რაზე?

— იმაზე, თუ რა იქნება ხვალ.

გოგა მაშინვე მიხვდა, რასაც რიტა გულისხმობდა. მათი ხვალინდელი დღე მართლაც, ბურუსით იყო მოცული. დღესდღეობით ბრძოლები მხოლოდ გუმისთის გასწვრივ მიმდინარეობდა, მაგრამ რა მოხდებოდა, თუ ომის ქარცეცხლი მთელ აფხაზეთს მოედებოდა?

— რაც უნდა მოხდეს, პირობას გაძლევ, რომ ერთად ვიქნებით, — მცირე ხნის შემდეგ თქვა გოგამ.

— რას გულისხმობ ერთად ყოფნაში? — ჰკითხა რიტამ. — შენ გაგრაში დარჩები?

— არა, და შენც კარგად იცი — რატომ... მინდა, რომ ჩემთან წამოხვიდე!

— რა სასაცილო ხარ!.. — მოულოდნელად გაიცინა რიტამ.

— სასაცილო?! — გაიკვირვა გოგამ. — რა ვთქვი სასაცილო?!

რიტა თვალებში ჩააცქერდა და ისე თქვა:



— შენ სიმპათიური ხარ. უფრო მეტიც — ასეთი გრძნობა არავის მიმართ განმიცდია. ანდამატივით მიზიდავ, მაგრამ ერთი კოცნა მაინც არაფერს ნიშნავს. მე ამას წუთიერ გატაცებად მივიჩნევ.

— მაშინ, მეც მომისმინე, — გოგამ წამოიწია, — არც მე განმიცდია რაიმე ამდაგვარი. გაგრაში მომავალი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ხიჟბას გარდა, სხვა ვინმე დამაინტერესებდა. იმას ვერ ვიტყვი, რომ შენმა სახემ ის მიმავიწყა, მაგრამ ჩრდილში მაინც გადასწია... ისიც იცოდე, რომ ეს კოცნა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და წუთიერ გატაცებადაც არ მივიჩნევ!..

— გაჩუმდი!.. გთხოვ, გაჩუმდი... — რიტამ ხელი ტუჩებზე მიაფარა.

მისი შეხებისგან გოგას ჟრუანტელმა დაუარა. მცხუნვარე ტალღამ ელვის სისწრაფით დაურბინა სხეულს. ეს რიტამაც იგრძნო და ხელის უკან წაღება დააპირა, მაგრამ გოგამ ამის საშუალება არ მისცა. მაჯებში სწვდა და თავისკენ მიიზიდა.

— არა... არა... — შეეწინააღმდეგა რიტა. — ეს შეუძლებელია. ამას არ შეიძლება ჰქონდეს მომავალი.

გოგამ ხელი შეუშვა და თქვა:

— ცოტა ხნის წინ შენ თვითონ თქვი, რომ ყველას აქვს სიყვარულისა და ბედნიერების უფლება. მაგრამ თუ შენ აფხაზისა და ქართველის სიყვარული შეუძლებლად მიგაჩნია, წადი... მე არ შეგაჩერებ!

რიტამ სევდიანი მზერა მიაპყრო. მერე კი სწრაფად გადაიხარა მისკენ, მკლავები კისერზე მოხვია და მთელი ძალით მიიკრა მკერდზე.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

რომანი

# სხვისი სურნელი



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 51, 2009 - №2, 2010

როგორღაც უნდა დამეძვრინა თავი ამ სიტუაციიდან.

— გასაგებია, მაგრამ ხვალ მაინც უნდა გავიდე ქალაქში, ჩემი ნივთები წამოსაღები მაქვს, — როგორც იქნა, რაღაც მოვიფიქრე.

— მართლაც და, სად არის თქვენი ბარგი? — მამაკაცი წინ გადმოიხარა. — განა ამ დილით არ ჩამოხვედით? სადგურში დატოვეთ?

— არა... — დავიბენი, — მთლად ასე არ არის... იცით... — ვიგრძენი, როგორ გამიხურდა სახე. ტყუილის თქმა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არასდროს გამჭირვებია. ახლა კი არ ვიცი, რა დამემართა. სასწრაფოდ უნდა მომეფიქრებინა მიზეზი, რატომ ვიყავი ბარგის გარეშე... რა ჯანდაბა მემართება?!

— გისმენთ, გისმენთ, — კახიმ გამჭოლი მზერა მესროლა.

— მე აქ ერთ ოჯახში ვმუშაობდი და პირდაპირ იქიდან მოვდივარ. მათი შვილი სექტემბრიდან უკვე სკოლაში მიდის და ჩემი დახმარება აღარ სჭირდებათ. ამიტომაც ჩემი ნივთები მათთან დავტოვე.

— როგორ, ზაფხულშიც გიწევთ მუშაობა?

— ყოველთვის არა, მაგრამ წელს მომიწია.

— მერედა, რატომ დატოვეთ ბარგი მათთან, რატომ თან არ წამოიღეთ?

— ვიფიქრე, ჯერ სიტუაციას გადავხედავ-მეთქი... ყოველთვის ასე ვიქცევი, სანამ ახალ ადგილზე მუშაობას დავიწყებ. წინასწარ უნდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი რიგზეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს ვამბობ სამუშაოზე. ხომ გესმით... ხანდახან ისე ხდება, ან დამქირავებელს არ მოეწონები, ან პირიქით... ამჯერადაც არ ვუღალატე ჩვეულებას. მით უმეტეს, ვიცოდი, რომ მარტოხელა მამაკაცის სახლში მომიწევდა ცხოვრება, — ერთი ამოსუნთქვით ჩამოვარაკრაკე და თამამად შევხედე თვალებში.

ანდრონიკაშვილმა ერთხანს დაკვირვებით უყურა ჩემს აჭარხლებულ სახეს, მაგრამ მის ცივ, მაგრამ ლამაზ თვალებში საგანგაშო ვერაფერი წავიკითხე.

— გასაგებია... შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, ქალბატონო ქეთი. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩემგან არაფერი გემუქრებათ, — დამცინავი გაუხდა ტონი.

გგონიათ, მისმა სიტყვებმა დამამშვიდა? პირიქით... რატომღაც, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. მამაკაცმა აშკარად მიმანიშნა, რომ მე მის გემოვნებას არ ვაკმაყოფილებდი. ვითომ ჯული მარგველაშვილს არ ვჯობივარ გარეგნულად? სხვა თუ არაფერი, მასზე ბევრად ახალგაზრდაც ვარ. თუნდაც ჩემზე ლამაზი იყოს, ასე უნდა მელაპარაკოს? რატომ მამცირებს? რომელი მახინჯი მე მნახა? ისე ავპილპილდი, თავის შეკავება ძლივს მოვახერხე და შევეცადე, ღიმილით დამეფარა ჩემი გაბრაზება.

— სასიამოვნოა ამის მოსმენა, — ზუსტად ისეთი ტონით ვთქვი, როგორითაც წეღან თავად მომმართა და ამით ფრიად კმაყოფილი დავრჩი, — ნამდვილად არ მსურს, რომ ჩვენ შორის გაუგებრობა წარმოიშვას.

— გეთანხმებით, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, — მიპასუხა კახიმ და გულგრილად შემათვალიერა, — არ მიყვარს ჩემს მომსახურე პერსონალთან ფამილარობა. ასეთი რამეები არ მჩვევია.

„არადა, როგორ მიზიდავს ეს კაცი, ნეტავ იცოდეს!“ — გავიფიქრე. ხმამაღლა კი ვთქვი:

— მივესალმები თქვენს შეხედულებას. ვფიქრობ, შევეგუები აქაურობას.

რაღაც ძალიან ოფიციალური კედელი აღიმართა ჩვენ შორის. ისეთი მაღალფარდოვანი ფრაზებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, თითქოს რომელიღაც ჰოლივუდური მელოდრამის მთავარი მოქმედი გმირები ვყოფილიყავით.

მანაც გაიღიმა და მომეჩვენა, რომ მის მზერაში წამით ეშმაკური ნაპერწკლები გაკრთა. ერთი ამას დამიხედეთ! რადგან ცნობილი მწერალია, ჰგონია, სხვისი დამცირების უფლება აქვს?! დამაცადოს! როცა ჩემს სტატიას წაიკითხავს, აი, მაშინ გაიღიმოს ასე, თუ მაგარია! მეეჭვება, ღიმილის ხასიათზე დადგეს. ამის წარმოდგენამ ოდნავ გამამხიარულა კიდეც.

— ხვალ მეც გავდივარ ქალაქში. ასე რომ, გაგიყვანთ, პრობლემა არ არის, ერთად წავალთ და წამოვალთ, — მშვიდად გააგრძელა კახიმ.

ამის გაგონებაზე ელდა მეცა. რაში მჭირდება მისი გაცილება? ან როგორ უნდა გამოვიტანო ჩემი ბარგი სასტუმროდან, თუკი გვერდიდან არ მომცილდება?

— მაგრამ ბავშვი? ნუკისთან ვინ დარჩება? — წყალწაღებულივით ხავსს მოვეჭიდე.

— თან წავიყვანთ. რა დიდი გზა ჩვენ გვაქვს გასავლელი?! ერთ საათში უკან მოვბრუნდებით. ეს ხომ თბილისი არ არის, ჟურნალისტები ჩაგვისაფრდნენ, ქობულეთია, რა!

— მაგას ნუ იტყვით. აქაურობა სავსეა თბილისელი დამსვენებლებით, მათ შორის — ჟურნალისტებითაც, — ოდნავ ნიშნის მოგებით ვუპასუხე.

— ეგ არ მადარდებს. ჯერჯერობით, ძალიან ცოტამ თუ იცის ჩემი აქ ყოფნის შესახებ, — თქვა კახიმ და მაჯის საათზე დაიხედა, — ახლა კი დროა, ცოტა წავიმუშაო, თუკი წინააღმდეგი არ იქნებით. შეგიძლიათ ვახშმად რამე მომიმზადოთ? ძალიან მომშივდა, თან გვიანობამდე მომიწევს ჯდომა.

მივხვდი, რომ ბოსთან აუდიენცია ამით დასრულდა, ამიტომ თავი უსიტყვოდ დავუქნიე და კაბინეტი ანერვიულებულმა დავტოვე.

როგორც კი დერეფანში გამოვედი, ანდრო შევამჩნიე, რომელსაც ნუკი ხელში აეტატებინა და კიბეზე ჩამოდიოდა.

— მგონი, პატარას ჭამა უწევს, ქალბატონო, — შემახსენა მნემ.

— რა თქმა უნდა, ახლავე მივხედავ, — ვუპასუხე და ბავშვს დავხედე.

ჩემს დანახვაზე ნუკი აჭყლოპინდა, პაწაწინა ხელების ქნევა დაიწყო და გამიღიმა. ორივე ლოყაზე საყვარლად დააჯდა ფოსოები. ღმერთო, რა სასწაული ბავშვია! ნეტავ, ასე ძალიან რატომ მოვეწონე?

— ბატონო ანდრო, იქნებ ჯობია, სახელით მომმართოთ? ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა „ქალბატონოს“ მეუბნებით.

— როგორც გნებავთ, ქეთი. თუკი ასე გსურთ, ასე იყოს... — სათნოდ გამიღიმა მამაკაცმა. — ჰო, მართლა, მე სანამ წავალ, უნდა გაჩვენოთ, როგორ იღება და იკეტება ჭიშკარი. ეს აუცილებლად უნდა იცოდეთ, თორემ ბატონ კახის არ მოეწონება, შემთხვევით ღია რომ დაგრჩეთ, — მითხრა და ხელით მანიშნა, უკან მომყევიო.

მალე სამზარეულოში აღმოვჩნდით. ოოოოოო! რა უცხოა ეს მუხის კარადები, სკამები და მაგიდა! ალბათ სპეციალური შეკვეთით დაამზადებინეს! ძალიან მდიდრულია! ახლა კი მართლა მშურს იმ ქალის, ვინც ამ ოჯახის დიასახლისი გახდება! ალბათ თბილისშიც აქვს ამ კაცს სახლი. იქაურობა როგორია ნეტავ? ამაზე უკეთესი? უფრო ძვირფასი? ღმერთო, რა სისულეებზე ვფიქრობ! ჩემი გამჭირვებია! ეს რაღა მიუმაგრებიათ კედელზე, რისი ეკრანია? ააა! ახლა მივხვდი! აქედან ხომ ჭიშკარი მოჩანს!

— დააჭერთ აქ და აქ! — მომესმა უეცრად ანდროს ხმა, რომელმაც მონიტორის ქვემოთ დამაგრებულ ორ ღილაკს მორიგეობით მიაჭირა თითი.

მონიტორზე გარკვევით მოჩანდა, თუ როგორ გაიღო ჭიშკარი, მერე კი დაიკეტა.

— ბატონი კახი მხოლოდ მათ ულებს კარს, ვინც დაბარებული ჰყავს. ეს გაითვალისწინეთ, თუ შეიძლება.

— გასაგებია, — პატარა ბავშვივით დავუქნიე თავი.

— ჩემი წასვლის შემდეგ შეძლებთ ჭიშკრის დაკეტვას?

კვლავ თავი დავუქნიე.

— მე კი მეგონა, თქვენც აქ ცხოვრობდით...

— არა. ჩემი სახლი აქვე ახლოსაა, ფეხით მივდივარ და მოვდივარ ხოლმე. როცა ბატონი კახი მიემგზავრება, სახლს მე ვუვლი.

ამ ამბავმა ძალიან გამახარა. გამოდის, როცა ანდრონიკაშვილი მუშაობით იქნება დაკავებული, მე თავისუფლად შევძლებ ოთახიდან ოთახში გადაადგილებას, არავინ შემამოწმებს.

— გამომართვით ბავშვი, მგონი, ძალიან მოშივდა, — თქვა ანდრომ და ნუკი მკლავებში ჩამიწვინა.

პატარამ ჭუჭყუნი დაიწყო.

— ამ კარადებში ადვილად იპოვით ყველაფერს, რაც დაგჭირდებათ, — განაგრძო მნემ და მუხის კარადის კარების რიგრიგობით გამოღება დაიწყო, — შაქარი, ბავშვის საკვები, ჭიქები, თეფშები, ქვაბები... რა ვიცი, ყველაფერი აქ არის.

— დიდი მადლობა, ანდრო, — გადავწყვიტე, დროზე გავშინაურებოდი ჩემს „კოლეგას“ და რაღაც-რაღაცები მისგანაც გამეგო, — მაპატიე, მაგრამ შენს ფუნქციაში რა შედის?

— როგორ გითხრა... ცოტ-ცოტა ყველაფერი. ბაღს ვუვლი, აუზს ვასუფთავებ, წვრილმან საქმეებს ვაწესრიგებ.

— ბატონ კახის ადვილად ეწყობით თუ რთულია მასთან მუშაობა?

— თორმეტი წელია, მას ვიცნობ. ადრე ჩემი მეუღლე ეხმარებოდა, ნელი, — ამ სიტყვებზე წამით გაჩუმდა, ჩრდილმა გადაურბინა სახეზე, — წელიწადი ხდება, რაც გარდაიცვალა. სულ მარტო დავრჩი და...

— სამწუხაროა...

— ოცდათხუთმეტი წელი ვიცხოვრეთ ერთად. კარგის მეტი არაფერი მახსენდება ამ ხნის განმავლობაში. შვილი მყავს, შვილიშვილებიც, მაგრამ თბილისში ცხოვრობენ, მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან აქ. ბატონი კახი ძალიან კარგი ადამიანია. მასთან ურთიერთობა არასდროს გამძნელებია, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც დავქვრივდი. მისთვის ეს ადვილი გასაგებია, ოდესღაც თვითონაც ხომ დაკარგა ძვირფასი ადამიანი.

მინდოდა, მეკითხა, მართლა-მეთქი? — მაგრამ ანდრომ არ დამაცადა და ჩქარ-ჩქარა დაამატა.

— მგონი, ბევრს ვლაპარაკობ, თავი შეგაწყინე, ქეთი. წავედი მე და შენ იცი, როგორ მიხედავ აქაურობას. დილას შევხვდებით, — ამ სიტყვებით მამაკაცმა კარი გაიხურა და გაუჩინარდა.

არადა, სულ რამდენიმე წუთი მჭირდებოდა და ძალიან ბევრს გავიგებდი. აფსუს! საინტერესოა, ვისზე ლაპარაკობდა? ვინ იყო ის ძვირფასი ადამიანი, ანდრონიკაშვილმა რომ დაკარგა? პრესაში ამაზე არასდროს არაფერი დაწერილა...

არა უშავს, სხვა დროს ვათქმევინებ.

ნუკის ვაჭამე და ჩემს ტახტზე დავაძინე, თან გვერდით მივუწექი, რომ ცოტათი მეც დამესვენა. ის იყო, ჩამთვლიმა, რომ ჩანთაში ჩემი მობილური აწკრიალდა. შემკრთალი ისე წამოვხტი საწოლიდან, კინაღამ ბავშვი გავაღვიძე. ვაითუ, დედაჩემი მირეკავს ან მამუკა. არა, ტელეფონი უნდა გამოვრთო, აქ საშიშია მობილურის გამოყენება. ყოველ წამს შეიძლება კახიმ გამომიჭიროს.

ეკრანს დავხედე და... თემური იყო. ჯანდაბას! ეგღა მაკლდა ახლა!

— როგორ ხარ, ქეთი? — ჩემი „ყოფილი კაცი“ კარგ ხასიათზე ჩანდა.

— კარგად, — დახშული ხმით ველაპარაკებოდი.

— გავიგე, ქობულეთში ისვენებსო...

— მერე შენ რა? — უკმეხად ვკითხე.

— ხვალ მეც ჩამოვდივარ. მითხარი, სად გაჩერდი და მოგაკითხავ, საქმე მაქვს შენთან.

— მე ხვალ უკვე თბილისში ვბრუნდები, ამიტომ თავს ნუღარ შეიწუხებ.

— მატყუებ!

— არ გატყუებ და ძალიან გთხოვ, აღარ დამირეკო. მე შენთან ყველაფერი დავამთავრე!

— მოიცა, არ გამითიშო, გთხოვ! მხოლოდ ერთხელ გნახავ და მერე თუ იმავეს მეტყვი, მართლა აღარ შეგაწუხებ, გპირდ...

— აღარ დამირეკო-მეთქი, მგონი, გასაგებად გითხარი! — მკვახედ გავაწყვეტინე და მობილური გავთიშე.

ძალიან ამაღელვა მისმა ზარმა. რას გადამეკიდა, რა უნდა? მასთან საუბრის სურვილი აღარ მაქვს, მორჩა და გათავდა! რაც უნდა, ის უქნია! თუ უნდა, მთელ თბილისს მოსდოს ის ამბავი! აღარ მადარდებს! ცხოვრებაში არ დაველაპარაკები! დამპალი, როგორ მომატყუა! ამას ვაპატიებ?! არასდროს!!!

აფორიაქებულმა კედლის საათს ავხედე. ვაიმე! რა დრო გასულა! მე კრეტინს კიდევ ვახშამი მაქვს მოსამზადებელი, თორემ ის კაცი გადამდგამს! ხომ მითხრა, ბევრი სამუშაო მაქვს და რამე მომიტანეო!



მძინარე ბავშვი ავიყვანე და სასწრაფოდ თავის საწოლში გადავაწვინე, მერე კი სამზარეულოში გავვარდი. მაცივარს ვეცი. ორი ცალი კვერცხი და ორი ნაჭერი ყველი გამოვიღე. კვერცხები სასწრაფოდ ჩავახალე ქვაბში, დაფშვნილი ყველი დავაყარე და გულმოდგინედ ავთქვიფე... ნელ ცეცხლზე შევწვი. ცხოვრებაში პირველად ვამზადებ ტაფამწვარს, ხომ მაგარია?! არ ვიცი, რა გამომივა! ღმერთო, შენ მიშველე!

რამდენიმე წუთში ყველაფერი გავამზადე. პური თხლად დავჭერი, ტყემლის საწებელი ჯამში ჩავასხი, კარგად დაბრაწული ტაფამწვარი ბრტყელ თეფშზე გადავიტანე, ყველაფერი ერთად კი ვერცხლისფერ სინზე მოვათავსე და კახის კაბინეტისკენ გავეშურე.

ვაი, ვაი, ქეთი, შე საწყალო, რა დღეში ხარ! არც ისე ადვილი ყოფილა ბავშვის მოვლა, როგორც მეგონა! ჯერ ვაჭამე, მერე პამპერსი გამოვუცვალე, მერე დავაძინე... ძლივს, როგორც იქნა! და მეც იქვე მიმეძინა! ახლა ვახშამიო... რა დავაშავე ასეთი? რომელ წყალში ჩავვარდე? შავი ზღვის რომელ ტალღას მივცე თავი?! და ამდენი წვალების მერე ყველაფერი რომ გაირკვეს... ხახამშრალი რომ დავრჩე?! გავგიჟდები კიდევაც! არავითარ შემთხვევაში! ამას არ დავუშვებ!

კაბინეტში შევედი და სინი მაგიდაზე შემოვდგი. კახი მონიტორს მისჯდომოდა და გამალებით ბეჭდავდა რაღაცას. ოდნავ მოატრიალა თავი ჩემს დანახვაზე.

— როგორ არის ნუკი?

— ძლივს დავაძინე, კარგა ხანს იჭუჭყუნა, — მოვატყუე, რათა დაგვიანების მიზეზი ამით ამეხსნა, — მე მგონი, დედა ენატრება, ამიტომაც ვერ ისვენებს... რამე ხომ არ გაგიგიათ ახალი?

— ცოტა ხნის წინ დავრეკე. მითხრეს, არაფერი შეცვლილაო, ისევ უგონოდაა, — თავი ჩაქინდრა ანდრონიკაშვილმა.

— საწყალი ბავშვი, ძალიან მეცოდება, — რაღაც ხომ უნდა მეთქვა...

კახიმ შემომხედა და ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

— მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდით ნუკის სამზარეულოში.

ვიგრძენი, როგორ გავწითლდი. როცა ბავშვს ვაჭმევდი, მართლა ველაპარაკებოდი ენამოჩლექით, რომ როგორმე გადაეყლაპა ლუკმა. მგონი, ჩემი მომზადებული ფაფა დიდად არ მოეწონა.

— აქ ისმოდა ჩემი ხმა? — ვიკითხე შეცბუნებულმა.

— არა, უბრალოდ, მე თვითონ შემოვიხედე. მაინტერესებდა, როგორ ართმევდით თავს საქმეს, — თქვა და გამომცდელი მზერა მომაპყრო.

— არ შემიმჩნევიხართ...

— ისე იყავით ნუკითი გართული, გადავწყვიტე, არ შემეწუხებინეთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორი შვება ვიგრძენი... ისე ალერსიანად ელაპარაკებოდით გოგონას, ისე ბუნებრივად.... ვფიქრობ, მართლაც კარგი ძიძა ხართ. დავისვენე, მისი ტირილი რომ არ მესმის.

მამაკაცი მართალი იყო. ბავშვის მიმართ ისეთ სინაზეს განვიცდიდი, ისეთი საყვარელი იყო, სხვანაირად არ შემეძლო. სიამოვნებით მოვუვლიდი სხვა დროსაც, ამის საშუალება რომ მომცემოდა.

კახი საოცარი მღელვარებით ლაპარაკობდა ნუკიზე. ამან ერთიანად შემძრა. იმის მაგივრად, რომ მადლობა გადამეხადა მისთვის, ხმა ვერ ამოვიღე, დაბნეული მივაჩერდი მხოლოდ — რა არაჩვეულებრივი პროფილი ჰქონია... მზერა? პირდაპირ სულში ჩამწვდომი... ცუდად ვარ...

— რა მომიტანეთ? — კახიმ სინს დახედა.

— ტაფამწვარი... — დარცხვენით ჩავილაპარაკე.

— ძალიანაც კარგი. იმედია, არ დაგიმლაშებიათ. მარილი მაინცდამაინც არ მიყვარს...

— არ ჩამიმატებია მარილი, — ლამის გახარებულმა შევყვირე, რადგან მარილი საერთოდ არ გამხსენებია...

კიდევ კარგი... ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზეა ნათქვამი.

— ესე იგი, ახალ წიგნზე მუშაობთ? — თემის შეცვლა ვცადე, ჩემი ნერვიულობა ცოტათი რომ განმემუხტა.

მამაკაცს გამომეტყველება შეეცვალა, სახე მოექუფრა.

— ჰო.

მისი ამ ძუნწი პასუხით მივხვდი, რომ რადგან ნუკიზე აღარ ვლაპარაკობდით, მეტად აღარ უნდა შემეწუხებინა და რომ ჩემი წასვლის დრო დადგა.

— არადა, ბევრი წიგნი გაქვთ გამოცემული, არა? — უკან არ დავიხიე და რადგან მაინც ფეხზე ვიდექი, წიგნის თაროებს მივუახლოვდი.

მაშინვე თვალში მეცა მისი ბოლო რომანი „სიძულვილის თეორია“. თაროდან გადმოვიღე და გადავშალე.

— აი, ეს კი არ წამიკითხავს, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, — ამაზე აპირებენ ფილმის გადაღებას გერმანიაში?

— ჯერ არ ვიცი, რა იქნება. მოლაპარაკებები არ დამთავრებულა... თუ გნებავთ, წაიღეთ, როცა თავისუფალი დრო გექნებათ, წაიკითხავთ, — მამაკაცს, როგორც მივხვდი, ამით დროზე უნდოდა ჩემი თავიდან მოცილება.

— დიდი მადლობა, — გულღიად გავუღიმე, თუმცა წასვლას სულაც არ ვჩქარობდი, — გამოგიტყდებით და, თქვენი რომანებიდან ძალიან ცოტა მაქვს წაკითხული. სამწუხაროდ, ისეთი დაძაბული დღის რეჟიმი მაქვს, წიგნებისთვის ვერ ვიცლი. ისე, შედარებით მსუბუქ საკითხავებს ვირჩევ ხოლმე...

— შევეცდები, გამოვიცნო... სასიყვარულო რომანებს, არა?

კვლავ გავწითლდი. უხერხულად ვიგრძენი თავი. ნამდვილად არ მინდოდა, უწიგნური ვგონებოდი — სულაც არ ვიყავი ასეთი.

— ჰო, მიყვარს რომანები. ადრე მეტი დრო მქონდა და სხვა რამეებსაც ვკითხულობდი. იცით, თქვენი რომელი ნაწარმოები მომწონს? — „სიამაყე და დაპირისპირება“. თუმცა თქვენ საერთოდ ძალიან ცოტას წერთ სიყვარულზე... რატომ? — ვკითხე და ჯიქურ გავუსწორე თვალი.

ინტერვიუს დროს ამ შეკითხვას ისედაც აუცილებლად დავუსვამდი. ახლა კი მიხაროდა კიდეც, თავისთავად რომ ჩამოვარდა ამ თემაზე ლაპარაკი.

— როგორ გითხრათ... სიყვარული ძალიან ძლიერი გრძნობაა და, რა თქმა უნდა, ნამდვილი მწერალი მას გვერდს ვერ აუვლის. მეც ვეხები ამ თემას ხანდახან, სხვანაირად არ გამოვა. აი, მაგალითად, ჩემი „მრისხანების ნაკვალევზე“ წაგიკითხავთ? ნინო როგორი შეყვარებული პერსონაჟია, გახსოვთ ალბათ... სწორედ სიყვარულმა აქცია ერთი ჩვეულებრივი ქალი ცივსისხლიან მკვლელად.

— სამაგიეროდ, მთავარი გმირი არავისზე ყოფილა შეყვარებული...

— ვინ, დავითი? რატომ? მასაც ჰქონდა რამდენიმე თავგადასავალი... — არ დამეთანხმა კახი. მგონი, ცოტათი გამხიარულდა კიდეც.

— მაგრამ თავგადასავალი სიყვარულს არ ნიშნავს... ასე არ არის?

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — ამწუთას მისი ლურჯი თვალები აშკარად დაცინვით მიმზერდა, რამაც ძალიან დამაბნია.

— იმ წიგნში გმირებს ერთმანეთი არ უყვარდებათ... ამიტომაც აქვს ცუდი დასასრული.

— მაგაში გეთანხმებით, მაგრამ განა ცხოვრებაშიც ასე არ ხდება?

— გამოდის, რომანტიკოსი არ ხართ.

— მე მწერალი ვარ, ქეთი, მხოლოდ მწერალი და მიყვარს ჩემი საქმიანობა. განსაკუთრებით, თუ არავინ მიშლის ხელს მუშაობაში.

მეტი რაღა უნდა ეთქვა?! აშკარად მიმანიშნა, მარტო დამტოვეო... მაგრამ მე რომ არ მინდოდა წასვლა?!

მოულოდნელად ტელეფონი აწკრიალდა. კახიმ ყურმილს მსწრაფლ ხელი დასტაცა და სახეზე შეშფოთება დაეტყო.

მე კი ვიდექი და ვუყურებდი. ალბათ გერმანიიდან ურეკავდნენ, ჯულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამბავს ატყობინებდნენ. როგორც ჩანს, რაღაც შეიცვალა, რადგან მამაკაცს სახე შესამჩნევად დაუწყნარდა.

— არა, გოგი, ახალი ჯერჯერობით არაფერია. ახლახან ველაპარაკე ექიმს, ყველაფერი ძველებურად რჩება, — უპასუხა ვიღაცას ანდრონიკაშვილმა, მერე ყურმილს ხელი დააფარა და გაღიზიანებული მზერით მე მომიბრუნა.

— თქვენ რა, საქმე არაფერი გაქვთ?

მისმა სიტყვებმა საშინლად გამიფუჭა ხასიათი. რა სულელი ვარ! დროზე უნდა გავსულიყავი! ნეტავ, რისი იმედი მქონდა, ამდენს რომ ვქაქანებდი?

ნირწამხდარმა კარი გამოვიხურე და კიბეს ავუყევი. ის იყო, მეორე სართულზე ავედი, რომ ბავშვის ტირილის ხმა შემომესმა. როგორც ჩანს, გაეღვიძა.

— რაო, პატარავ, რატომ ტირი? მოგწყინდა მარტო?

ბავშვს სახე ასწითლებოდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

— მოდი, სიხარულო, შენ, მგონი, გცხელა, არა? ახლა გამოვიცვალოთ, ცოტა უფრო თხლად ჩავიცვათ და პამპერსიც შევამოწმოოოოოთ! — ჩვილი საწოლიდან ამოვიყვანე და ჩემს ტახტზე გადავაწვინე.

მუხლებზე დავეშვი. როგორც კი გავხადე, ნუკიმ ტირილი მაშინვე შეწყვიტა. პამპერსი სუფთა იყო, მაგრამ მაინც დავაპირე გამოცვლა.

— აჰააა, გასაგებია, პაწუკავ, არ მოგწონს ამ საფენებით ძილი, არა? — მივუალერსე გოგონას და შუბლზე ვაკოცე, — მაგრამ ამის გარეშე როგორ უნდა იყო ღამე? ლეიბს ხომ დაასველებ? იქნებ როგორმე მოითმინო? ხვალ დილიდან კი უპამპერსოდ ვიაროთ მთელი დღე, კარგი?

ეს რა ხათაბალა წამოვიკიდე! რომელი ძიძა მე ვარ! რას მერჩოდა ჩემი რედაქტორი? არ სჯობდა, ვყოფილიყავი სანაპიროზე წამოკოტრიალებული და მზის აბაზანები მიმეღო? რა მეძიძება ახლა მე? თუმცა, სულაც არ არის სათაკილო პროფესია. მე თუ მკითხავთ, ერთობ კეთილშობილური საქმეა და სულაც არ მრცხვენია, ასე რომ ველაპარაკები ბავშვს. თითქოს ყველანაირი კომპლექსი მეხსნება და ჩემს ნამდვილ სახეს ვპოულობ... ვარ კი ასეთი ღვთისნიერი?.. ალბათ...

ბამბა გავპუდრე, ბავშვს ფეხები ავუწიე და ირგვლივ გულდასმით წავუსვი. არ მეყო. კვლავ ამოვატრიალე პლასტმასის კოლოფი, მაგრამ ვეღარ გამოვზომე და პუდრი იატაკზე მიმოიბნა. ნუკი აჭყლოპინდა, თითქოს მიხვდა, რაც დამემართა და ამან გააცინაო.

— დამცინე, ჰო, დამცინე, — მეც გავმხიარულდი.

— ყველაფერი რიგზეა, ქეთი? — მომესმა უეცრად კახის ცივი ხმა.

ეგლა მაკლდა! რაღა ახლა დამადგა თავზე! უკან მოვიხედე. მამაკაცი ზღურბლთან იდგა და მომჩერებოდა.

— დიახ, დიახ... ყველაფერი რიგზეა, ბატონო კახი.

— თითქოს ნუკის ტირილის ხმა შემომესმა...

— როგორც ჩანს, დასცხა და გამოეღვიძა. სულ ეს იყო. თხელი პერანგი ჩავაცვი და საფენიც გამოვუცვალე. ახლა უფრო თავისუფლად იქნება და დაიძინებს, — თან ვლაპარაკობდი, თან ვცდილობდი, ნახმარი პამპერსით იატაკზე მიმობნეული პუდრის კვალი გამექრო.

ნეტავ დროზე წავიდოდეს და ამას არ ნახავდეს! არ მინდა, მოუქნელი ვეგონო და ამის გამო მისაყვედუროს.

თქვენც არ მომიკვდეთ. მამაკაცი ჩემკენ წამოვიდა და ისიც მუხლებზე დაეშვა, ჩემ წინ.

— მოდი ჩემთან, პატარავ, — მიესიყვარულა ნუკის, შიშველ ფეხებში ჩაავლო ხელი და თავისკენ მისწია.

მიუხედავად იმისა, რომ ვნერვიულობდი, აღფრთოვანებული დავრჩი, როგორი სიფაქიზით ამოაცვა კახიმ ბავშვს პამპერსი, თითქოს მთელი ცხოვრება ამით ყოფილიყო დაკავებული.

— აჰა, სულ ეს არიიის, — სიცილით წამოიძახა, როცა საქმეს მორჩა, — ცხვირზე პუდრი რომ გაცხიათ, იცით, ქეთი? — უცებ მე მომმართა.

— უი! მართლა? — უხერხულად შევიშმუშნე, მაგრამ სანამ ხელს ავწევდი და ცხვირიდან პუდრს მოვიშორებდი, მამაკაცმა დამასწრო და თავად გააკეთა ეს...

მისი თითების შეხებამ ელექტროდენივით იმოქმედა ჩემზე.

— აი, ასე უკეთესია... აბა, შემომხედეთ!.. ძალიან საყვარელი ცხვირი გაქვთ, — ჩუმად თქვა. ამწუთას მის ხმაში დაცინვის ნატამალიც არ იგრძნობოდა, გამომეტყველებაც სერიოზული გაუხდა.

წამით მომეჩვენა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა... თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანის... გამშრალი ტუჩები გავილოკე... ვერ ვხვდებოდი, მოულოდნელად რატომ შეიქმნა ჩვენ შორის ასეთი დაძაბული ატმოსფერო.

პირველმა კახიმ აარიდა მზერა. მის ლამაზ სახეზე არაფერიც არ იკითხებოდა...

— ახლა კი დავაძინოთ ეს პატარა ანგელოზი. მგონი, დროა, არა? — თქვა კახიმ, წამოდგა, ბავშვი ხელში აიყვანა და დაარწია.

ნუკიმ თვალები ეგრევე მილულა, როგორც ჩანს, ეძინებოდა.

— ოღონდ კი ჯული დროზე გამოჯანმრთელდეს, — სევდიანად ჩაილაპარაკა ანდრონიკაშვილმა.

იმდენად გამაოგნებელი იყო ჩემთვის მისი სიტყვები, თვალები გამიფართოვდა. არა იმიტომ, რომ მის გულწრფელობაში მეპარებოდა ეჭვი, ასე დაუფარავად რომ გამოიჩინა სისუსტე ჩემი თანდასწრებით, მხოლოდ ამიტომ.

მკერდში ჩხვლეტა ვიგრძენი, ისე შემეცოდა, გული მომეწურა.

— იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, ბატონო კახი, — ვცადე, მენუგეშებინა, — ბავშვს დედა სჭირდება, ღმერთი არ გაგწირავთ.

მამაკაცმა თავი ასწია და მსუბუქად გამიღიმა.

— იცით, ქეთი... ხანდახან ძალიან კარგ ადამიანად მეჩვენებით.

ისევ გავწითლდი.

— მე მართლა კარგი ადამიანი ვარ, არ გეჩვენებათ... — ძლივს გასაგონად ამოვთქვი.

კახიმ უცნაურად გაიღიმა, ბავშვი



საწოლში ჩააწვინა და გასასვლელისკენ გაემართა.

— თუკი რამე დაგჭირდეთ, კაბინეტში ვიქნები და არ მოგერიდოთ! — უკანმოუხედავად ჩაილაპარაკა და კარი გაიხურა.

მისი წასვლის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვიდექი ბავშვის საწოლთან... გაოგნებული... რეტდასხმული... ისევ და ისევ, იმაზე ვფიქრობდი, რამდენიმე წუთის წინ როგორი სინაზით მელაპარაკებოდა, როგორ მიყურებდა... თავიდან არ ამომდიოდა მისი გამოხედვა და სიტყვები — „ძალიან საყვარელი ცხვირი გაქვთ"... ნუთუ?

„ეჰ..." — ხმამაღლა ამოვიოხრე და გულიც მოვაყოლე... — რა დროს ამაზე ფიქრია, როცა ამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი. სანამ ნუკის არ გაუღვიძია, სახლის ფოტოები უნდა გადავიღო. ჩემი ნამდვილი სამუშაო ბოლომდე უნდა მივიყვანო!

მღელვარებისგან გული გამალებით მიცემდა, როცა ფოტოებს ვიღებდი. ჯერ სასტუმრო ოთახში შევიპარე, მერე — საძინებლებში. აქ, ძირითადად, ერთნაირი ავეჯი იყო განლაგებული, ოღონდ სხვადასხვა ფერის გადასაფარებლებით. როცა ბოლო ოთახის კარი შევაღე, მივხვდი, რომ ანდრონიკაშვილის საძინებელში აღმოვჩნდი... ეს ოთახი სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

**დასაწყისი იხ. „გზა“ №40, 2009 - №2, 2010**

როცა ქალბატონი ქეთევანი ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი, იმაზე ვფიქრობდი, რაც სულ ცოტა ხნის წინ გადავიტანე ჩემი „წიგნის“ ფურცლებზე და როცა მკითხა, — რა უნდა ვქნა, რას მირჩევთო?! — პასუხად მხოლოდ მხრები ავიჩეჩე და ხანმოკლე პაუზის შემდეგ მადლობა გადავუხადე:

— მე თქვენი დახმარება არ შემიძლია, ქალბატონო ქეთევან. მაპატიეთ, მაგრამ თქვენთვის ძალიან გვიანია რაიმის შეცვლა და ამას ჩემზე უკეთ ხვდებით... კიდევ, მადლობა მინდა გითხრათ... ანგელოზი არც მე ვარ და ალბათ, საკმაოდ ბევრი შეცდომაც დამიშვია ცხოვრებაში, მაგრამ თქვენ რომ გისმენდით, მივხვდი — არაფერი მაქვს სანანებელი. თუნდაც იმიტომ, რომ თქვენს ასაკში მე ვერავის დავაბრალებ რამეს და იმით მაინც ვიქნები კმაყოფილი, რომ არასოდეს მითქვამს უარი საკუთარ სურვილებსა და სიხარულზე... ისე, რომ იცოდეთ, ცხოვრებით კმაყოფილი სულიერი არ არსებობს დედამიწაზე, ისევე, როგორც აბსოლუტური ბედნიერება, რადგან ისიც ისეთივე მირაჟია, როგორიც წუთისოფლად ქცეული ჩვენი არსებობა... მე ერთი რამის რჩევა შემიძლია — თვითგვემას შეეშვით და როცა წარსულზე ფიქრს დაიწყებთ, რაც შეიძლება მეტად მოუძებნეთ გამართლება თქვენს თითოეულ ნაბიჯს...

ფიქრიამ ყავა შემოგვიტანა და როცა სმას მოვრჩით, ქალბატონმა ქეთევანმა მოულოდნელად შემომთავაზა:

— გინდა, ჩაგიხედო?

მექანიკურად ვაპირებდი უარის თქმას, მაგრამ უცებ გადაწყვეტილება შევცვალე და ცხოვრებაში პირველად „ვანდე“ საკუთარი მომავალი ყავის ნალექს.

როცა ქალმა ჩემს ფინჯანს ჩახედა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

— შენ ახლა ბედნიერების მოლოდინით ცხოვრობ და ცუდზე არ ფიქრობ, რაც უკვე, თავისთავად, ძალიან კარგია... წინ შორეული გზა გელოდება და მიმართულება სწორად აგირჩევია. თან, ამ გზაზე არასოდეს დარჩები მარტო, ერთის ნაცვლად, ორი მამაკაცი გყავს გვერდით და ორივეს ძალიან ეყვარები. მათი სიყვარული სხვების სიძულვილს დაგამარცხებინებს... ფეხმძიმედ ხარ?

თანხმობის ნიშნად, თავი დავუქნიე.

— ალბათ ბიჭი გეყოლება... ისე, რამდენი შვილიც უნდა გააჩინო, ყველა ბიჭი იქნება. ეს ძლიერი ქალების ნიშანია და სხვათა შორის, მარტომაც რომ გაზარდო შვილი, შენ მას მაინც კარგ ვაჟკაცად აქცევ...

— მარტოობა მელოდება?..

— არა-ა! — ხელი აიქნია ქალბატონმა ქეთევანმა. — შენ მარტო არასოდეს იქნები და ასეც რომ იყოს, მარტოობა შენთვის პირობითი ცნებაა: შეიძლება, ათას კაცში მყოფმა იგრძნო თავი მარტოსულად, ხოლო მარტოობაში — პირიქით...

ქალბატონ ქეთევანს სხვა აღარაფერი უთქვამს. ყავის ფინჯანი უცებ დადო და შემომხედა:

— მე აქ ყველაზე მნიშვნელოვანს მივხვდი, ეკა: მომავლის დაგეგმვა შეუძლებელია, მით უმეტეს — შენნაირი ქალისთვის. შენ ყოველ წუთს შეგიძლია შეცვალო ცხოვრება და ეს

**ბედნიერებას ასხივებთ — ამას რა მიხვედრა უნდა?! — გამიღიმა თბილად და მივხვდი, თავადაც ჰქონდა მსგავსი ბედნიერება გამოცდილი**

ძალიან დიდი ბედნიერებაა. მეც ასე უნდა მეცხოვრა ალბათ.

— ქალბატონო ქეთევან, თქვენ აქეთ ჩამიტარეთ ფსიქოლოგიური სეანსი, — გავხედე მადლიერმა და, რა თქმა უნდა, მისთვის ფული არ გამომირთმევია. როცა შემომთავაზა, ვიმეგობროთო, არც ამაზე მითქვამს უარი, რადგან მივხვდი — მე სწორედ მისი მგავს ადამიანები მჭირდებიან, რომ ცხოვრებასთან ჭიდილის ძალა მომემატოს...

როცა სამსახურში ვთქვი, რომ რამდენიმე თვით მოსკოვში წასვლას ვაპირებდი, კლინიკის მთავარმა ექიმმა ძალზე საინტერესო რამ შემომთავაზა: ცნობილი ფსიქოლოგის, ალბერტ მანაშეროვის ექვსთვიანი კურსი გამევლო; საფასურს კი კლინიკა გადაიხდიდა. ესეც ბედის საჩუქრად მივიჩნიე. მანაშეროვის ლექციებზე მოხვედრა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ახლა კი სასიამოვნოს სასარგებლოსთან შევათავსებდი და საქართველოში ორმაგად გამარჯვებული დავბრუნდებოდი...

ნიკა კვირაში ორჯერ მაინც მირეკავდა. თავადაც კმაყოფილი იყო სწავლის პროცესით და უკვე დარწმუნდა, რომ საკუთარი სასტუმროების ქსელის შექმნის ოცნებას, ოდესმე უეჭველად აიხდენდა. უკვე თავისი უცხოელი თანაკურსელებიც დაუინტერესებია საქართველოთი და ვინ იცის, იქნებ საერთო ბიზნესიც ააწყოს რომელიმესთან ერთად...

როცა ვუთხარი, რომ ქვეყნიდან სასწავლებლად მეც მივდიოდი, არ სწყენია, მაგრამ თითქოს დაეჭვებულმა მკითხა:

— ხომ არაფერს მიმალავ?

— რას უნდა გიმალავდე?! — გამეცინა რატომღაც.

— რა ვიცი... გეხვეწები, არასოდეს მომატყუო და არც იმის იმედი წამართვა, რომ შენთვისაც უნდა დავბრუნდე საქართველოში... შორს მყოფი უფრო ვგრძნობ, რომ ძალიან მჭირდები...

— გჭირდები, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ ამას სიყვარული დაარქვა...

— ვუსაყვედურე, დაბნეულს.

— მაპატიე! — მიხვდა შეცდომას. — მაპატიე და დამიჯერე, რომ მართლა ძალიან, ძალიან მიყვარხარ...

ამ საუბრიდან ორიოდე დღეში ზურაბ გობეჩიამ ჩემთან შეხვედრა მოინდომა და მივხვდი, რომ ნიკა მაინც ვერ იყო მშვიდად ჩემ გამო...

— ვიცი, — ნიკამ გთხოვათ ჩემთან შეხვედრა! — ვუთხარი კაცს, როცა ერთმანეთის პირისპირ ალმოვჩნდით.

არ უარუყვია:

— ნერვიულობს... არც ის ესიამოვნა, რომ მოსკოვში წასვლა გადაწყვიტე...

— ეს ჩემი კარიერისთვისაა აუცილებელი! — ავიჩეჩე მხრები...

— თუ ვერ შევძლებ მის დარწმუნებას, რომ მართლა არ გარბიხარ და არც დამალვას აპირებ, შეიძლება, ყველაფერი მიატოვოს და ჩამოვიდეს...

— რა სისულელეა! დასამალი რა მაქვს?! თანაც — ნიკა კარგად მიცნობს და იცის, გაქცევა რომც დავაპირო, ვერ შემაჩერებს...

— იმის ნახევრად თუ მაინც გიყვარს ჩემი შვილი, როგორც მას უყვარხარ, მიხვდები, რასაც განიცდის და შეეცდები, დაარწმუნო, რომ ცუდი არაფერი ხდება...

— დღესვე დავურეკავ და დავარწმუნებ, რომ ეს სიშორე კიდევ უფრო დაგვაახლოებს...

— ეს როგორ?! — ეჭვით შემომხედა კაცმა და მერე მანაც ის მკითხა, რაც ნიკამ: — რაიმეს ხომ არ გვიმალავ, ეკა?!

მის კითხვას თავი ავარიდე და ყავა მოვსვი.

— როდის მიდიხარ? — ისევ ზურაბმა დაარღვია დუმილი.

— ძალიან მალე...

— მოსკოვში ვინმე დაგხვდება?

— ძალიან ახლო მეგობარი. შეუძლებელია, არ იცნობდეთ მის მეუღლეს, — ვუთხარი ნიას ქმრის სახელი და გვარი და დავძინე: — ისინი არაფერს გამიჭირვებენ.

— კი, გეგას ვიცნობ! — გაუხარდა ზურაბს. — დღემდე გვაქვს კავშირი და თუ მის ოჯახში იქნები, მართლა არაფერი მექნება სანერვიულო. ყოველთვის მეცოდინება, რომ კარგად ხარ...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — ვთქვი ხმამაღლა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მეც მასავით გამიხარდა ნიკას ქმართან მისი კავშირი. თუ ახლობლობენ, გეგას ჩემი საიდუმლოს გათქმაც შეეძლება, მაგრამ არაფრის შეცვლა აღარ შემიძლია და ვინ იცის, იქნებ ესეც ბედისწერამ გადაწყვიტა?!.

რადგან გაიგო, ვისთან მივდიოდი, ნიკაც უფრო იოლად შეეგუა ჩემი მოსკოვში გამგზავრების აზრს და წამოსცდა კიდეც:

— უნდა ვიცოდე, სად ხარ და რას აკეთებ. ვერ დავუშვებ იმ აზრს, რომ შეიძლება, რაიმე დამიმალო და არ ვიცოდე შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაბიჯების შესახებ.

— მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით — ერთმანეთის ცხოვრების გაკონტროლებას არასოდეს შევეცდებით და არც თავისუფლებას შევუზღუდავთ! — ვუსაყვედურე, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ არ მესიამოვნა მის მიერ გამოჩენილი ინტერესი. ჩემი შვილის მამისგან გულგრილობა უფრო მეწყინებოდა...

ჩემი ოჯახიც არ შეხვედრია სიხარულით ჩემს გადაწყვეტილებას, თუმცა ყველას სხვადასხვა სადარდებელი გაუჩნდა: მამას იმის ეშინოდა, ამ დაძაბულ ვითარებაში ქართველი, რუსეთში რაიმე შარს არ გადავყროდი: ყველა აქეთ გამორბის, შენ იქით რა გესაქმება?!. ძმამ — ჩემი აზრით არასოდეს ინტერესდები, ახლა რა გითხრა, მაგრამ იცოდე, შენი ცხოვრებით არც სხვა დროს ვყოფილვარ კმაყოფილი და ახლაც ნაწყენს მტოვებო! დედა კი პირდაპირ იერიშზე გადმოვიდა: რა სწავლა აგიტყდა და რა ინტრიგებს ხლართავ იმისთვის, რომ ხელიდან გაგვისხლტე და თვალს მიეფარო?!. შენი თავხედობით ინფარქტს დამმართებ და დავიბარებ, ჩემს გასვენებაში არ მოგიშვანო... არც მაკოცა დამშვიდობებისას: შენ ჩემი არასოდეს ყოფილხარ და რა მნიშვნელობა აქვს, ყურის ძირში მეყოლები თუ სადღაც შორს, გადაკარგულშიო?!

სულ ცოტა მაკლდა ატირებას. მისთვის კი მაინც არ მითქვამს, რომ როგორც არასდროს, ისე მჭირდებოდა დედა და მე კი არა, დიდი ხნის წინ მან შემატოვა ბედისწერას მარტო და არასოდეს უცდია გაეგო, რას განვიცდიდი, რა მტკიოდა და რა მიხაროდა!

...ისევ მედიკომ გამიწია დედობა. ბოლო ღამეს ჩემთან დარჩა და დილამდე მეფერებოდა. ძილშიც კი ვგრძნობდი მისი ხელისგულის სითბოს ჩემს თავსა და მხრებზე და საოცარი ძალით ვივსებოდი. ოდესმე თუ შევძელი წიგნის დაწერა, სწორედ მედიკოს მაგალითზე შევეცდები იმის ახსნას, თუ როგორი დედა სჭირდება ქალიშვილს და რატომ უნდა იზრუნოს ყველა ქალმა პირად ბედნიერებაზე, რათა სხვისი ბედნიერების გაგება და ხელშეწყობა შეძლოს... ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ დედა არ მიყვარს, ან მედიკოს სიყვარული მასზე მეტად შემიძლია. მაგრამ ვაღიარებ, მშობლების არჩევა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მედიკოს სასარგებლოდ გადავიხრებოდი, მიუხედავად მისი ცხოვრების წესისა და წარსულისა: არ შემიძლია გავკიცხო მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარ სიხარულზე მეტად უფიქრია, ვიდრე ყოფილი ქმრებისა და თუნდაც შვილების ინტერესებზე, და იმ ქალებს დავუკრა ტაში, ვინც თავადაც უსიხარულოდ გაატარეს წუთისოფელი და ამიტომ არც სხვისი სიხარულის გაგება-გაზიარება შეუძლიათ...

აეროპორტში მეგობრებმა — ზურამ და ნინუცამ გამაცილეს. ზურასთვის ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება ჩემი ამბავი და მისთვის მხოლოდ სწავლის სურვილით ანთებული ახალგაზრდა მეცნიერი ვარ... აი, ნინუცამ კი აღარ იცის, როგორ დამარიგოს ჭკუა, და დამარწმუნოს, რომ ორსულობას ადვილად გადავიტან და არც ბავშვის მოვლა გამიჭირდება:

— აქამდე ჩამოიყვანე მშვიდობით და მერე, შენსასაც და ჩემსასაც ერთად გავზრდით და ვუპატრონებთ!..

ზურაბ გობეჩიაც მოვიდა ჩემს გასაცილებლად და მამაშვილურად ჩამიკრა გულში:

— ნიკამ მთხოვა, გამეცილებინე და რადგან მისთვის ამდენს ნიშნავ, იცოდე, რომ მეც ძალიან მიყვარხარ და გაფასებ.

...მერე კი, თვითმფრინავში მჯდომი, მთელი გზა მუცელზე ხელს ვისვამდი და სულ აღარაფერი მაინტერესებდა, გარდა მომავალ შვილზე ფიქრისა.

— ფეხმძიმედ ხართ? — მკითხა გვერდით მჯდომმა ქალბატონმა. უცხო თვალსაც კი არ გამოჰპარვია ჩემი მდგომარეობა.

— როგორ მიხვდით? — ვკითხე გაოცებულმა.

— ბედნიერებას ასხივებთ — ამას რა მიხვედრა უნდა?! — გამიღიმა თბილად და მივხვდი, თავადაც ჰქონდა მსგავსი ბედნიერება გამოცდილი. ახლაც ბედნიერი იყო და ამიტომ ესმოდა სხვისი ბედნიერების ასე კარგად... და კიდევ ერთხელ გავიფიქრე, რომ არავის წინაშე არ ვტყუოდი და სწორ გზაზე ვიდექი. ვიცი, რომ მამაკაცებს გავაღიზიანებ. სამაგიეროდ, ქალები გამიგებენ და ეს ამ შეთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანია...



**დასასრული**

# შეხვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"




*დასაწყისი იხ. „გზა", №27, 2009 - №2, 2010*

ზაქსენჰაუზენის ბანაკის კომენდანტის, „ესესის" შტანდარტენფიურერ კაინდლის ჩვენების თანახმად, იაკობ ჯუღაშვილმა 1943 წლის 14 აპრილს თავი მოიკლა. მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმად, სტალინის შვილი მოკლეს...

აი, რას ჰყვებოდა ამერიკელთა მიერ ომის დამლევს, 1945 წელს დატყვევებული კიდევ ერთი გერმანელი სამხედრო, „ესესელი" კონრად ჰარფიგი:

### ბელადის პირადი ტრაგედია

„1943 წლის 14 აპრილს, დაახლოებით 20.00 საათზე პოსტი დავიკავე. ყველა ტყვე, იაკობ ჯუღაშვილის გარდა, უკვე „ბარაკში" იმყოფებოდა, მხოლოდ ის მიწოლილიყო შესასვლელთან და ხის ტოტს მიწას უტყაპუნებდა. შევატყვე, ძალზე აღელვებული იყო. როცა ბადრაგის უფროსი, გასაღებებით ხელში, „ბარაკის" ჩასარაზავად მოვიდა, მე კი „ბარაკებს" შორის აგებული მავთულხლართის ღობეში დატანილი ჭიშკრის ჩასაკეტად გავეშურე, იაკობი კვლავაც არ დაძრულა ადგილიდან. მოვთხოვე, ამდგარიყო და „ბარაკში" შესულიყო, მაგრამ მან მიპასუხა: „არა. რაც გინდათ, ის მიყავით, მაგრამ „ბარაკში" არ შევალ. კომენდანტს უნდა დაველაპარაკო". ბადრაგის უფროსი, იუნგლინგი სათვალთვალო კოშკურისკენ წავიდა, რათა ტელეფონით დალაპარაკებოდა ბანაკის კომენდანტს, მაგრამ ამ დროს იაკობ ჯუღაშვილი ადგა, გვერდით ჩამიარა, უეცრად მავთულხლართის პირველ, დაბალ რიგს გადაევლო და დამიყვირა, — მესროლეო! პასუხად შევძახე: „ხომ არ გაგიჟდით?! ახლავე დაბრუნდით, შედით „ბარაკში" და დაიძინეთ, ხვალ ყველაფერი მოგვარდება". მან მიპასუხა: „გერმანელი გუშაგი — მშიშარაა, რუსი უმალვე ისროდა!" გავიფიქრე, — საშუალებას მივცემ, გონს მოეგოს-მეთქი, — 40-ოდე მეტრი გავიარე და როცა უკან მივიხედე, დავინახე — ის ორივე ხელით გარე მავთულხლართს ჩაჰფრენოდა, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. ამის შემდეგ მომიხდა, წესდების შესაბამისად მემოქმედა — იარაღი გამომეყენებინა. დაახლოებით 6-7 მეტრიდან თავში დავუმიზნე და სასხლეტს თითი გამოვკარი. მოვარტყი. გასროლისთანავე, მან მავთულხლართს ხელი უშვა, მთელი ტანით უკან გადავარდა და ბოლოს, თავქვე, მავთულხლართზე ჩამოეკიდა".

1943 წლის აპრილში იაკობ ჯუღაშვილის ნეშტი დაწვეს, ფერფლი ურნაში მოათავსეს და ბერლინში, საიმპერიო უშიშროების მთავარ სამმართველოში გადაიტანეს. მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელი უცნობი რჩება...

მოცემულ ჩვენებაში სულ ცოტა, 2 აშკარა შეუსაბამობაა: ჰარფიგი ამბობს, — 40 მეტრი გავიარე, შემდეგ მოვიხედე და დავინახე, ჯუღაშვილი ორივე ხელით მავთულხლარს ჩაჰფრენოდაო. თუ 40 მეტრი გაიარა, როგორღა ესროლა 6-7 მეტრის მანძილიდან?!. ან თუ იაკობი მავთულხლართს იყო ჩაჭიდებული, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა, ის უმალ დაიღუპებოდა. მაგრამ „ესესელი" ირწმუნება, — ტყვია რომ მოხვდა, მან მავთულხლართს ხელი უშვა და მთელი ტანით უკან გადავარდაო, — ე.ი. მანამდე ცოცხალი ყოფილა. თუ მავთულში დენს ატარებდნენ, იაკობისთვის ტყვიის სროლა საჭირო არ იქნებოდა.

ერთი სიტყვით, ჰიტლერელთა ჩვენებებში ბევრი რამ დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია. სავარაუდოა, რომ იაკობ ჯუღაშვილი მოკლეს, რადგან ის გერმანელებთან არანაირ გარიგებას არ დათანხმდა, არ გამოსულა მათი რადიოთი და სხვა ამგვარი. ამის გამო, ჯუღაშვილი მათ აღარაფერში სჭირდებოდათ.

იაკობს სისტემატურად დაჰკითხავდნენ ბერლინიდან ჩასული გესტაპოელები. ერთ-ერთმა მათგანმა, გვარად როიშლემ, მაგიდის სუფრის ქვეშ პატარა მიკროფონი დამალა, იაკობთან წარმოებული დიალოგები ჩაიწერა და შემდეგ ჩანაწერი ისე დაამონტაჟა, რომ ჯუღაშვილი სტალინისტური რეჟიმის მამხილებლად აქცია. ამ ფირს ფრონტის მოწინავე ხაზზე, ხმის გამაძლიერებლებით გადასცემდნენ და იაკობის ხმა საბჭოთა ჯარისკაცებს მაშინ ესმოდათ, როცა ციდან გერმანული თვითმფრინავები თავზე აყრიდა სააგიტაციო ფურცლებს, სადაც, „სტალინის შვილის რჩევისამებრ", ტყვედ ჩაბარებას ურჩევდნენ... ჩვენს მეომრებს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდათ, — იაკობი მართლაც, გერმანელთა ტყვეობაში იყო ჩავარდნილი, — დაამზადეს ფოტოების მთელი სერია, სადაც იაკობი გერმანელ ოფიცრებს ესაუბრებოდა თუ მათთან ერთად ჩაის მიირთმევდა. ბუნებრივია, ამ მასალების ტირაჟირება გერმანული ჟურნალ-გაზეთების მეშვეობითაც ხდებოდა.


იაკობ ჯუღაშვილი

როცა ამის შესახებ სტალინმა შეიტყო, მოქმედი კანონის შესაბამისად (ბრძანება №227 გერმანელებთან თანამშრომლობაში მხილებულ ტყვეთა ოჯახების რეპრესირებას ითვალისწინებდა), გასცა განკარგულება, იაკობის, როგორც მოღალატის, ცოლი იულია გადაესახლებინათ; ხოლო შვილიშვილი თავის ქალიშვილს, სვეტლანას მიაბარა. სტალინი უფრთხოდა იმას, რომ ხალხში გავრცელებუ-

ლიყო ხმა, თითქოს ის ხელს აფარებდა შვილის ოჯახს, რომელიც გერმანელების კარნახით, ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდა. თუმცა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი იყო, ამ შემთხვევაში, რიგითი მოქალაქის მდგომარეობაში იყენებდა თავს.

1943 წელს, როცა გაირკვა, რომ იაკობს ღალატი არ ჩაუდენია და მხოლოდ გერმანელთა უბინძურესი პროვოკაციის მსხვერპლი იყო, იულია გაათავისუფლეს და ოჯახში დააბრუნეს.

თავად იაკობმა კი გერმანელთა ამ ქმედებების შესახებ, ახალჩამოსული ტყვეებისგან შეიტყო. მათ უამბეს სააგიტაციო ფურცლების, მისი ფოტოსურათებისა და საბჭოთა მეომრებისადმი მისი სახელით გაკეთებული, ტყვედ ჩაბარების მოწოდების თაობაზეც, რასაც იმ პერიოდში ფაშისტური პროპაგანდა გამუდმებით ავრცელებდა.

იაკობ ჯუღაშვილი ტყვეობაში ყოფნისას მამაცურად იქცეოდა, გერმანული პროპაგანდისთვის არასოდეს მიუცია საბაბი, მისი გადაბირების იმედი ჰქონოდა და თუ მართლაც თავი მოიკლა, მხოლოდ იმისთვის, რომ მომავალში არანაირი საფუძველი არ დაეტოვებინა მისი სახელით სპეკულირებისთვის. შესაძლოა, ამით, გამოჩენილი მამის წინაშე თავის გამართლებაც სურდა...

როცა საბოლოოდ დადგინდა იაკობ ჯუღაშვილის დატყვევებისა და გერმანულ ციხესა და ბანაკში ყოფნისას მის მიერ გამოჩენილი ვაჟკაცური ქცევის ამბავი, 1977 წელს (სტალინის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ!), საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) დააჯილდოეს. სამწუხაროდ, მამამისი, რომელიც უთუოდ, ძალზე მძიმედ განიცდიდა ხანგრძლივი პერიოდით გაჭიმულ ამ ტრაგედიას, შვილის სრულ გამართლებასა და მისი სიმამაცის აღიარებას ვერ მოესწრო...

ცხოვრებაში საოცარი დამთხვევები ხდება ხოლმე: იმავე პერიოდში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის შვილი ლეონიდი, ისევე, როგორც იაკობი, გერმანელთა ტყვეობაში მოხვდა, ოღონდ უფრო გვიან — 1943 წლის მარტში. მაგრამ ამ ორი ამბის მსგავსება ამით შემოიფარგლება; ყველაფერი დანარჩენი — როგორც ტყვეობამდე, ასევე ტყვეობის შემდეგ განვლილი გზები, — რადიკალურად განსხვავდება ერთიმეორისაგან. იაკობი და ლეონიდი არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, სრული ანტიპოდები იყვნენ. თუმცა მოდი, ყველაფერს თანამიმდევრულად მოგიყვებით.

ლეონიდ ხრუშჩოვზე ბევრი ჭორმართალი ვრცელდებოდა. პოსტსაბჭოთა წლებში მის შესახებ არაერთი საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიაც გამოქვეყნდა. ჩვენ იმ ადამიანთა მონათხრობს დავეყრდნობით, ვინც პირადად იცნობდა და მის გვერდით იმყოფებოდა. მათ შორისაა მფრინავი (ისევე, როგორც ლეონიდი) სტეპან მიქოიანი, რომელიც ჰყვება:

„კუიბიშევში, მკურნალობის კურსს გავდიოდი პოლიკლინიკაში, სადაც ორი უფროსი ლეიტენანტი გავიცანი. ერთ-ერთი მათგანი — რუბენ იბარური (ესპანური კომპარტიის ლიდერის, დოლორესის შვილი) ბრძოლისას მიღებულ ჭრილობას იშუშებდა, მეორე — ლეონიდ ხრუშჩოვი გახლდათ. ლეონიდი ძალზე კეთილი ადამიანი, კარგი ამხანაგი იყო. დავმეგობრდით. ამ დროს ქალაქის სასტუმროში, მივლინებით ჩამოსული ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა, რომელსაც სპირტიანი სასმელების ადგილობრივ ქარხანაში „ბლატი“ ჰქონდა. ის და ლეონიდი იქ სასმლის მარაგს ყიდულობდნენ ხოლმე და მერე, მთელი კვირა შეექცეოდნენ. მე თითქმის არ ვსვამდი, მაგრამ ხშირად დავდიოდი მათთან სტუმრად. მერე, კუიბიშევში ევაკუირებული, დიდი თეატრის საბალეტო დასის ორი სოლისტი გოგონა გავიცანით, რომელიც ჩვენს კომპანიას ასევე ხშირად სტუმრობდა. სწორედ მათგან შევიტყვე იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც იქიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ დატრიალებულა. თურმე ერთხელ, ვიღაც





ლეონიდ ხრუშჩოვი

მეზღვაური მიუწვევიათ. უკვე კარგად შეზარხოშებულები იყვნენ, როდესაც ვიღაცამ თქვა, ლეონიდი საუცხოოდ ისვრისო. ეს მეზღვაური შეუჩნდა, — გინდა თუ არა, თავზე ბოთლს დავიდგამ და ესროლე, აბა, თუ მოარტყამო?.. ხრუშჩოვი დიდხანს უარობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. გაისროლა და ბოთლს თავი წააცალა. მეზღვაურმა ესეც არ იკმარა, — აქაოდა, ბოთლს შუაში ვერ მოახვედრეო, — და კიდევ ერთხელ გასროლა მოითხოვა. მეორე ტყვია, ბოთლის ნაცვლად, მას პირდაპირ შუბლში მოხვდა... ხრუშჩოვს 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ოღონდ საპატიმროს ნაცვლად, ფრონტზე გაგზავნეს (მაშინ ასეთი პრაქტიკა მსჯავრდადებულების მიმართ მიღებული იყო)“.

მანამდე კი მან მფრინავთა გადამზადების კურსი გაიარა, სადაც საგანგებოდ, გამოცდილი მფრინავი, უფროსი ლეიტენანტი ზამორინი მიუჩინეს. ლეონიდი კარგ შედეგებს უჩვენებდა, დაოსტატდა, შეუპოვარ ხასიათს ავლენდა, მაგრამ სარდლობა მაინც დიდხანს არ გზავნიდა საბრძოლო ოპერაციებზე. პირველად, კვლავ ზამორინთან ერთად გაუშვეს ოპერაციაზე, რომელშიც 6-დან 9-მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა. ეს მოხდა 1943 წლის 11 მარტს. ლეონიდ ხრუშჩოვის პირველი საბრძოლო გაფრენა მისთვის უკანასკნელიც აღმოჩნდა. მესამე რეისის შემდეგ, ის აეროდრომზე აღარ დაბრუნდა. თავიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ გერმანელთა ტყვეობაში აღმოჩნდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*




დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №2, 2010

მარი ჯაფარიძე

— ქალბატონო ანა, ზვიადი ვარ, — გაისმა ტელეფონში.

— შეგიძლია, უბრალოდ, ანა დამიძახო, — გააწყვეტინა ანამ. ყოველთვის აღიზიანებდა სიტყვა „ქალბატონო“.

— ანა... — პაუზა გააკეთა გამომძიებელმა. — ზვიადი ვარ, — თავიდან დაიწყო მამაკაცმა.

— გიცანი, ზვიად. რა ხდება, რამდენიმე საათში ახალი გაიგე რამე?

— დიახ, დავადგინე ვინმე ეთერ კვალიშვილის საცხოვრებელი ადგილი. ის ნამდვილად, რუსთავში ცხოვრობს. სულ ესაა, რაც ამ დროისთვის გავიგე, მაგრამ თქვენ ხომ მითხარით, ნებისმიერი უმნიშვნელო დეტალიც გამაგებინეო და იმიტომ გირეკავთ, — თითქოს შეწუხებისთვის ბოდიშს უხდიდა.

— კი, რა თქმა უნდა. როდის აპირებ რუსთავში წასვლას?

— ხვალ, შუადღის შემდეგ.

— კარგი. წასვლამდე დამირეკე და შეიძლება, მეც წამოვიდე.

— შევთანხმდით... — თითქოს ლაპარაკი დაასრულეს, მაგრამ მამაკაცი ტელეფონს არ თიშავდა.

— კიდევ არის რამე? — ჩაეკითხა ქალი.

— იცით, ძალიან კი მერიდება, ქალბ... ანა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, უნდა გითხრათ.

— გისმენ.

— ჩვენ, გამომძიებლებს არც ისე მაღალი ხელფასი გვაქვს...

— ზვიად, მაპატიე, ეგ მე თვითონ უნდა გამეთვალისწინებინა, — შეაწყვეტინა ანამ, — რამდენი მოგცე წინასწარ?.. არა, წინასწარ კი არა, უფრო სწორად — სამოძრაოდ, გზის ხარჯებს მოგცემ, შენი ჰონორარიდან რატომ უნდა დახარჯო?! მანქანა გყავს?

— არა, — უხერხულად ჩაახველა ზვიადმა.

— კარგი, ხვალვე რაღაცას მოგიხერხებ. დილით, 9 საათზე დამირეკე.

— კარგი.

— ზუსტად ცხრაზე! არაპუნქტუალურ ადამიანებს ვერ ვიტან, — გაფრთხილებასავით გაისმა ანას ნათქვამი.

— დიახ, გასაგებია, — ისევ ჩაახველა მამაკაცმა.

— ვის ელაპარაკებოდი? — ნინო ისე წამოსდგომოდა თავზე, რომ ანას არც კი გაუგია.

— ზვიადს.

— ეგ ვინღაა?

— გამომძიებელია.

— გამომძიებელი რაღაში გჭირდება? — სიტყვებს ძალით ჰგლეჯდა პირიდან ნინო.

— გინდა, ერთ ამბავს გეტყვი, მაგრამ მხოლოდ შენ უნდა იცოდე.

— ასეთი რა ამბავია?!. კარგი, გპირდები, რომ არავის ვეტყვი... ან ამ პირობის მოცემა რაში გჭირდება ჩემგან?!

— ნინო, მე შვილი მყავს...

— რააა?! — ხმამაღლა იკივლა გოგომ.

— სსუ! ხომ მითხარი, არავის ვეტყვიო! ახლა ნუნუ შემოვარდება გაგიჟებული...

— კი, მაგრამ სად გყავს? სად არის? ამერიკაშია?

— ჯერ არ ვიცი.

ამ პასუხმა ნინო უფრო დააბნია... მომდევნო საათის განმავლობაში კი თვალცრემლიანი ისმენდა ანას ამბავს. მან არც ლევანის, არც ანას ფეხმძიმობის და მით უმეტეს, არც ბავშვის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. გაოგნებული უსმენდა დას და ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა. ბოლოს გაიბუტა:

— მე მეგონა, ჩვენ ვმეგობრობდით... — სლუკუნით უთხრა დას.

— კი, ასეა...

— მერე, მე ახლა უნდა ვიგებდე ამ ამბავს?

— როცა ფეხმძიმედ ვიყავი, მაშინ შენ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი და ამის თქმა არ შემეძლო. შემდეგ სხვა პრობლემებმა გადაფარა ეს ყველაფერი და უკვე აღარ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მეთქვა. თანაც, არც ისე სასიამოვნო გასახსენებელია... რაც შეეხება გოგონას, მისი არსებობის შესახებ მეც ახლა, რამდენიმე დღის წინ გავიგე...

ნინო დას კარგა ხანს თვალებში უყურებდა. თითქოს ცდილობდა, იქ ამოეკითხა, რას განიცდიდა ანა... მერე ჩაეხუტა და თავი მკერდზე დაადო. ანამ მკლავები მოხვია და ნიკაპით თავზე დაეყრდნო...

— იცი, ანა, ადამიანი რომ შემოგხედავს, მასზე სულ სხვანაირ შთაბეჭდილებას დატოვებ — განებივრებული, ფულიანი მამიკოს თავგასული შვილები რომ არიან, ისეთის... სინამდვილეში კი სულ სხვანაირი ხარ... მიყვარხარ...

— მეც მიყვარხარ, ჩემო პატარავ! შენ, დედა და დავითი ხართ ჩემი საყვარელი ადამიანები... ყველაზე ერთგული, ყველაზე სანდო... სხვა ყველა უცხოა ჩემთვის... ყველა მიღალატებს, თუ დასჭირდა, ყველა გამწირავს, თქვენ გარდა...

— შენი შვილი?.. ის არ გიყვარს?

— არა... შენ წარმოიდგინე, რომ დავფიქრდი, მეც გამიკვირდა... ფილმებში ნანახი სცენების გავლენაა ალბათ, რომ ასე გვგონია... რაღაც გრძნობა მაქვს... ამ გრძნობას სახელი არ ჰქვია... ალბათ სიგიჟეა, ამას რომ ვამბობ, არა? მაგრამ ასეა... შეუძლებელია, გიყვარდეს ის ადამიანი, ვინც თვალითაც არ გინახავს, ვისი არსებობის შესახებ არც კი იცოდი... აბა, დაფიქრდი, თუ მართალს არ ვამბობ... მე ის მაშინ მიყვარდა, როცა ჩემს სხეულში ცხოვრობდა... მერეც მიყვარდა ისეთი, როგორიც მახსოვდა — ახალდაბადებული, სველი და ჩხავანა... მაგრამ ის, ვისაც ახლა ვეძებ, ჩემთვის უცხოა... მე მისი სიყვარული ახლა უნდა ვისწავლო... რაღაცნაირი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი სხეულის ნაწილი მაქვს დაკარგული და დავეძებ... აი, აქ, — ხელი გულზე მიიდო, — თითქოს სიცარიელეა... გამჭოლი ხვრელია დარჩენილი, სადაც ქარი, წვიმა და ყველანაირი უბედურება თავისუფლად აღწევს... როცა მას ვიპოვი, ეს ხვრელი მერე შეივსება.

ხშირად ვფიქრობ, რა იქნება მას მერე, როცა ვიპოვი... სახელიც კი არ ვიცი მისი... სახელიც კი ვერ მიწოდებია და გონებაში „მას“ ვეძახი... მიმიღებს? შემიყვარებს?.. ის უკვე დიდი გოგო იქნება, რომელსაც საკუთარი აზრი და შეხედულება აქვს ყველაფერზე... მან რომ უარმყოს, ამაზე დიდი ტრაგედია არ იქნება... ან ღირს კი მისი პატარა გულის აფორიაქება და იმის თქმა, რომ მე ვარ დედამისი?! იქნებ, უბრალოდ, როგორც ახლობელი, ისე გავეცნო და როცა გაიზრდება, მერე ავუხსნა, ვინ ვარ?.. აი, აქ მტკივა, როცა მასზე ვფიქრობ, — ანამ ხელი მუცელზე დაიდო, — გული კი არა, აქ მტკივა... და მეშინია... ისე ჯერ არაფრის მშინებია, როგორც მასთან შეხვედრის...

— ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ იმაზე კარგადაც კი, ვიდრე მე მგონია...

დებს საუბარი ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა.

— ანა, თუ იცი, რომ მომენატრე? — ირაკლი კარგ ხასიათზე ჩანდა.

— ეგ შენი პრობლემაა.

— შენ არ მოგენატრე?

— არა.

— რა სასტიკი ქალი ხარ!

— თუ მაგის სათქმელად დამირეკე, ჩათვალე, რომ უკვე გავიგე, რომ მოგენატრე...

— მოიცა, არ გათიშო! მინდა, სადმე დაგპატიჟო.

— უკვე სახლში ვარ და გარეთ გასვლას აღარ ვაპირებ.

— აუ, კარგი, რაა! ნუ დაიწყე 15 წლის გოგოსავით. დედა არ გიშვებს?..

— ჰო, დედა არ მიშვებს.

— ანა, გთხოვ, გამოდი, რაა!..

— არა-მეთქი, ვერ გაიგე? ა-რა! უნდა დავიძინო, ხვალ დილით თათბირი გვაქვს.

— აუჰ, თათბირი, თორემ შენც ახლა ევროსაბჭოს სხდომაზე არ გაგვიანდებოდეს! — გადაიხარხარა ირაკლიმ. — გამო, გამო, გაჩვენო, თბილისში როგორ ერთობა ხალხი.

— არა! ახლა გავთიშავ ტელეფონს და აღარ შემაწუხო ხვალამდე. უნდა დავიძინო, — და ანამ სიტყვა შეასრულა — ტელეფონი გათიშა და იქვე მიაგდო.

ირაკლი ჯიუტად რეკავდა, ანა აღარ პასუხობდა. მერე ტელეფონი სულ გათიშა და სააბაზანოში შევიდა. იქიდან გამოსულმა ხალათი შემოიცვა და „ზალაში“, დივანზე მოიკეცა. სველი, ხვეული თმა სახესა და მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი და მის გაშრობას ელოდა, რომ დასაძინებლად წასულიყო.

— კარზეა ვილაც, — გამოსძახა ნინომ სამზარეულოდან.

— მე ვერ გავაღებ, ხალათით ვარ, — უპასუხა ანამ.

ცოტა ხანში ოთახში ჯერ ნინო შემოვიდა, გაოცებული სახით, მერე ირაკლი შემოჰყვა, სულ ბოლოს კი ნუნუ მოდიოდა და ანას თვალებით რაღაცას ანიშნებდა.

ირაკლის ხელში 2 თაიგული ეჭირა, ერთი ნინოს მიაწოდა, მეორე — ნუნუს.

— მე? — ღიმილით ჰკითხა ანამ.

— შენ როცა დაიმსახურებ, მაშინ მიიღებ, — გაუღიმა მამაკაცმა.

ქალები ოთახიდან გავიდნენ და კარი გაიხურეს.

— ვინ მოგცა იმის უფლება, რომ სახლში დამადექი?! — მკაცრად ჰკითხა ანამ, როცა მარტონი დარჩნენ.

— ვის უნდა მოეცა?.. სტუმარი ღვთისაა და არა მგონია, თქვენს ოჯახში სტუმართმოყვარეობის ტრადიციას პატივს არ სცემდნენ.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. სხვა დროს ასე რომ მოიქცე, გარეთ მიგაბრძანებ და კარს მიგიხურავ.

— ახლა რაღას უცდი? ახლაც მიმაბრძანე, რაღად გინდა „სხვა დრო“?!

— ახლა პირველად შეგეშალა და ამას გაპატიებ.

— რა დიდსულოვანი ხართ, ქალბატონო ანნა! გმადლობთ, რომ შეიწყალეთ მონა და არ დასაჯეთ. ისე კი იცოდე, როცა მომენატრები და შეხვედრაზე უარს მივიღებ, ყოველთვის ასე მოვიქცევი. მე ყველა სურვილის შესრულებას ვარ დაჩვეული.

— მორჩი მაიმუნობას! ყავას დალევ?

— კი, დავლევ. მაგრამ იქნებ, ჯერ დაჯდომა შემომთავაზოთ, მწყალობელო დედოფალო... — ირაკლი ქალის მოშიშვლებულ მუხლებს დააშტერდა.

ანას არ გამოჰპარვია მისი მზერა, მაგრამ არაფერი ჩააგდო. მშვიდად წამოდგა, კარი გამოაღო და ნინოს გასძახა:

— ნინო, ყავა მოუდუღე სტუმარს და ცოტა ხანს გაართე, სანამ ტანსაცმელს გამოვიცვლი.

— ნუ გამოიცვლი, ასეც ლამაზი ხარ.

— ჰო, მაგრამ ვხედავ, რომ თვალი გაგირბის, — სიმართლის თქმას არ მოერიდა ანა.

— და განა რა, მერე?! მხოლოდ მშვენიერ მუხლისთავებს ვუმზერ, ამ ხალათში სხვა არაფერი ჩანს.

— ჰოდა, რადგან ეგ არაა საკმარისი, ამიტომ, ახლა ისეთ ტანისამოსს ჩავიცვამ, რომელიც უკეთ მოგცემს ჩემი „დათვალიერების“ საშუალებას.

ანა საძინებელში გავიდა და ცოტა ხანში მოკლე, თეთრ შორტსა და წითელ ტოპიში გამოწყობილი დაბრუნდა.

— ვაი, დედა! — ამოიკვნესა ირაკლიმ. — ჩემი სიკვდილი გინდა?..

— საწყალო, მეცოდები, — გაიცინა ქალმა.

— შენ ახლა ვითომ ჩაიცვი?! კი არ ჩაიცვი, გაიხადე, ფაქტობრივად.

— კარგი, ირაკლი, მართლა ხამივით ნუ იქცევი.

— ვხუმრობ. იმედია, ამას ხვდები.

ანამ ისეთი თვალებით გახედა, რომ ლამის მზერით ადგილზე მოკლა.

ამასობაში ნინომ ყავა შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და გაბრუნდა.

— ნინო, შენც აქ მოდი, ჩვენს სტუმარს გაგაცნობ, — გასძახა ანამ. — დალევ რამეს? — მიუბრუნდა მამაკაცს.

— შხამს დავლევ, შენგან მოწვდილს.

— მაშინ, კონიაკი ჯობია, — ანამ ბარიდან ჭიქები და კონიაკი გამოიღო და მაგიდაზე დადგა.

— არა, არა, ჯობია, სადმე წავიდეთ. ნინოც წავიყვანოთ, გთხოვ, — უცებ დასერიოზულდა ირაკლი.

— ნი, გინდა წასვლა? — დას ჰკითხა ანამ.

— როგორც გინდათ, ჩემთვის სულერთია. ისე, სიამოვნებით წავიდოდი სადმე, სიმართლე რომ გითხრათ, — წასვლის სურვილი გამოთქვა ნინომ.

— გენაცვალე! ჯიგარი ხარ! — გაუხარდა მამაკაცს.

ირაკლის დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, გოგონები უცებ გამოეწყვნენ, დედას უთხრეს, ნუ დაგველოდები, დაიძინეო და ირაკლის მანქანაში მოთავსდნენ.

— სადმე, ღამის კლუბში წავიდეთ? — იკითხა ირაკლიმ.

— არა, ხმაურიანი ადგილი არ გვინდა. ისეთი სიტუაცია შევარჩიოთ, სადაც საუბარსა და მუსიკის მოსმენას შევძლებთ.

— კარგი, მეც მაგ აზრზე ვარ, — დაეთანხმა მამაკაცი და რამდენიმე წუთის შემდეგ, „პეროვსკაიაზე“, ერთ-ერთ ბართან გააჩერა მანქანა.



შესვლისთანავე ირაკლის რამდენიმე ადამიანი მიესალმა.

— მოკლედ, ისე ვერსად წავედით, რომ შენი ნაცნობი არ აღმოჩნდეს ვინმე, — თავი გადააქნია ანამ.

— იყვნენ მერე, რას გიშლიან?! მე უცოლო მამაკაცი ვარ, არაფერს ვერიდები, შენ — გასათხოვარი გოგო და არც შენ გაქვს რაიმე მოსარიდებელი... 2 მშვენიერი ქალის გარემოცვაში თავს ისე საუცხოოდ ვგრძნობ, რომ ნაცნობებთან შეხვედრის დარდი არ მაქვს...

ის იყო, თავისუფალ მაგიდასთან მივიდნენ და დასხდომას აპირებდნენ, რომ ვიღაცამ ანას დაუძახა. სამივემ ერთად მიიხედა.

— შენც გყოლია ნაცნობები, — გაიღიმა ირაკლიმ და გულში ეჭვმა გაჰკრა, როცა მათკენ მიმავალი, სიმპათიური მამაკაცი დაინახა.

— ლევან, როგორ ხარ? — უხერხულად გაუღიმა ანამ. — გაიცანი, ჩემი და ნინო და ირაკლი, ჩემი მეგობარი.

ლევანმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ანა რამდენიმე სიტყვით მოიკითხა, მერე სკამი გამოუწია, წელზე ხელი მსუბუქად მოხვია, დაჯდომაში მიეხმარა, ყველას თავი დაუკრა, ბოდიში მოიხადა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

— ვინ იყო? — ლამის კბილების კრაჭუნით იკითხა ირაკლიმ.

— ძველი ნაცნობია, — ვრცელ პასუხს თავი აარიდა ანამ.

— ანა, შემომხედე! — კატეგორიული იყო მამაკაცი.

ანამ შეხედა და თვალი თამამად გაუსწორა.

— არავითარი ძველი ნაცნობები, არავითარი წელზე ხელის მოხვევები და კოცნა-პროშნები არ დამანახვო, გასაგებია?

— ზედმეტი ხომ არ მოგდის?! — მკაცრად თქვა ქალმა, მაგრამ გულში უზომოდ ესიამოვნა, რომ ირაკლიმ იეჭვიანა. — ისე იქცევი, თითქოს ან შეყვარებულები ვიყოთ, ან ცოლ-ქმარი და თუნდაც ასე იყოს, მე შენამდე უამრავი ახლობელი, მეგობარი და ნაცნობი მყავდა, რომელთან ურთიერთობასაც ვერავინ დამიშლის.

— გასაგებია, მაგრამ ეგ კაცი არ მომეწონა...

— წესით, კაცები არც უნდა მოგწონდეს... — სასაუბრო თემის შეცვლა სცადა ქალმა.

— კარგად მიხვდი, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ გინდა, ამ თემაზე საუბარს თავი აარიდო.

— მერე, მაგდენს თუ ხვდები, თავად შეწყვიტე ეს უსიამოვნო საუბარი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ის იყო, ირაკლიმ სასმლით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო და პირველი სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, რომ გიორგი ნიჟარაძე წამოადგათ თავს.

— უჩემოდ გრიალებთ, არა?.. — სკამი გამოსწია და დაჯდა.

— ვაა, შენ საიდანღა გაიგე, აქ რომ ვართ?

— შინ მივდიოდი და შენი მანქანა დავინახე. თუმცა ამ მშვენიერ ქალბატონებს აქ არ ველოდი, სხვა საზოგადოებაში მეგონე... — უცნაურად ჩაიღიმა გიორგიმ.

— ააა, „იმ“ საზოგადოებაში? იქ ყველაფერი „გაიასნდა“ უკვე.

— „უცხო ენაზე“ ნუ ვილაპარაკებთ, — სუფრის წევრებს ზრდილობისკენ მოუწოდა ანამ.

— რას სვამთ? ჭიქა მომიტანე, რა! — გასძახა მიმტანს.

ლევანი ანას თვალს არ აშორებდა. ცდილობდა, ქალის მზერა დაეჭირა, მაგრამ ანა მისკენ არ იყურებოდა, განგებ არიდებდა თვალს. ირაკლის არ გამოჰპარვია ეს ჩუმი თვალთვალი და ბრძოლა. სახე მოეღუშა და გუნება წაუხდა.

— აბა, მოდი, ამ ჭიქით ანას ახალ თანამდებობას გაუმარჯოს! — გიორგიმ ჭიქა დანარჩენებს მიუჭახუნა. — ანა, უკვე გადაწყვეტილია, რომ მე და შენ პოლონეთში წავალთ, მომდევნო კვირის ხუთშაბათს. ბილეთებს ხვალ ავიღებ.

— მეც მოვდივარ, — ირაკლიმ ჭიქა გამოცალა და მაგიდაზე დადგა.

— როგორც ჩანს, უშენოდ ანა ნაბიჯსაც ველარ გადადგამს, არა?.. არ მენდობი თუ რაშია საქმე?! მე, დიდიდიდი, ანას ის დავუშავო, რომ და წავართვა...

— შენ აუცილებლად შხამის დიდ დოზას ჩაგიყრიან სასმელში ან საჭმელში და ფეხებს გაგაფშეკინებენ, — გაიცინა ანამ და ისევ აარიდა ლევანს თვალი.

ირაკლიმ უკან მიიხედა და ლევანს ისე გახედა, თითქოს აფრთხილებდა. ლევანმა მასაც გაუსწორა თვალი... მამაკაცები ერთმანეთს მზერით ბურღავდნენ და რომ არა ის მდგომარეობა, რომელშიც ახლა იმყოფებოდნენ, ალბათ ერთმანეთს ხელდახელ შეებმებოდნენ კიდეც.

მზერით ჭიდილმა რამდენიმე წუთს გასტანა.

— იკა, შემდეგი სადღეგრძელო შენ თქვი, — ანამ განგებ სცადა მისი ყურადღების მიპყრობა.

მამაკაცმა წარბებს ქვემოდან გახედა.

— წავიდეთ აქედან, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— ახლა მოვედით, ვიყოთ, — გაუბედავად შეეწინააღმდეგა ანა.

— რა იყო, რა ბზიკმა გიკბინა?! — გიორგიმ ვერ გაიგო ირაკლის ახირების მიზეზი.

— კარგი, დავრჩეთ მაშინ, — უცებ დათანხმდა მამაკაცი და ისევ ლევანისკენ მიიხედა. მაგრამ ის იქ აღარ დახვდა. მაგიდა ცარიელი იყო...

ცოტა ხანში გიორგიმ ნინო საცეკვაოდ გაიწვია და ანა და ირაკლი სუფრასთან მარტონი დარჩნენ.

— არაფრის თქმა არ გინდა? — ჰკითხა მამაკაცმა.

— ეს წარსულია, იკა, რომელზეც ლაპარაკი არ მინდა...

— რატომ? მიამბე, ძალიან მაინტერესებს. მე შენი ყველა ნაბიჯი მინდა, ვიცოდე.

— შეიძლება, ამის შემდეგ გადამიყვარო, — ისეთი სახით თქვა ანამ, რომ მამაკაცმა ვერ გაიგო, მართალს ამბობდა თუ ხუმრობდა.

— მაინც მირჩევნია, რომ დაფარული არაფერი იყოს. მოდი, გულახდილობის საღამო მოვაწყოთ. არ გინდა?

— არა, არ მინდა, — კატეგორიულად თქვა ქალმა.

— რატომ? რა გაქვს ასეთი დასამალი?

— ახლა — არა, ახლა ვერ შევძლებ გულახდილობას, დრო მჭირდება... როცა რაღაც საქმეებს დავასრულებ, მერე შევძლებ...

— რას ვიზამთ?! იმისთვისაც დიდი მადლობა, რომ არ მომატყუე და პირდაპირ მითხარი...

— იკა, მე ტყუილი არ ვიცი და არ მიყვარს. არც დასამალი მაქვს რამე. უბრალოდ, ახლა ასე მირჩევნია... ძაღლივით ერთგულება შემიძლია და ჩემი ყველაზე დადებითი თვისება ეგაა. ნებისმიერ მამაკაცს, ვისაც ჩემს გულს, სულსა და გრძნობას ვაჩუქებ, შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ ყველაზე ერთგული ქალი ჰყავს გვერდით.

— გადასარევია... მოდი, დავლიოთ, — მამაკაცს გუნება უცებ გამოუკეთდა. რატომღაც სჯეროდა ამ ქალის და გრძნობდა, რომ რასაც ამბობდა, წრფელი გულით ამბობდა...

— შენ გაგიმარჯოს! მინდა, რომ მართლა გახდე ჩემი და შენზე ყველა უფლება მოვიპოვო... სიყვარულის ახსნას არ ვაპირებ, რადგან საამისოდ არც ადგილია შესაფერისი და არც დრო, მაგრამ ალბათ სიტყვები აღარცაა საჭირო... ასე არ არის?

— საჭიროა, როგორ არა, — არ დაეთანხმა ქალი.

— საჭიროა? მაშ, შენ გინდა, რომ სიყვარული აგიხსნა?

— მინდა, რადგან ჯერ არ მახსოვს, რომ ვინმეს ჩემთვის სიყვარული აეხსნას...

— მაგას ვერ დავიჯერებ... მაგრამ თუ მართლა ასეა, მე აგიხსნი პირველი, ოღონდ ახლა — არა, — მამაკაცს სასმელი მოეჰკიდებოდა და თვალები უჟუჟუნებდა. — მართლა ვაპირებ პოლონეთში წამოსვლას. მარტო არ გაგიშვებ, თანაც, გიორგისთან ერთად. ვიცი, რომ მაგას ადრე უყვარდი და არ არის გამორიცხული, თქვენმა ერთად ყოფნამ ისევ გაახსენოს ძველი გრძნობა და მე პირში ჩალაგამოვლებული დავრჩე.

— შენს მეგობარს არ ენდობი?!. თანაც, ეგ გამორიცხულია: ნახე, ნინოს როგორ ეკურკურება, — წყვილისკენ მიახედა ანამ.

— ნინო შენ გგავს და იმიტომ მოეწონა. ნუ მასწავლი კაცის ბუნებას, — თავი გააქნია იკამ.

— ანა, შეიძლება, ერთი წუთით დაგელაპარაკო? — თავზე ლევანი წამოსდგომოდათ და სასმლისგან მიბნედილი თვალებით დაჰყურებდა ქალს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გზავნილები



მარი ჯაფარიძე

გამოხდა ხანი და... ისევ მოვიდა „გზავნილების“ დრო... როგორ ხართ? ვიცი, მოსაწყენი დრო არ გექნებოდათ, რადგან დღესასწაული დღესასწაულზე გვქონდა და ერთი სუფრიდან „გამოსვლას“ ვერ ვასწრებდით, რომ მეორეზე გვიწევდა „შევლა“, მაგრამ როგორც იქნა, მგონი, ყველაფერმა ჩაიარა და ახლა, 3 მარტამდე, უფრო სწორად, 14 თებერვლამდე („ვალენტინობას“ მაინცდამაინც არ ვწყალობ), ყველა ფხიზელი ვიქნებით. ჰოდა, ბატონო, შეეტყო კიდეც „გზავნილებს“ თქვენი „პახმელიიდან“ გამოსვლა... ისეთი მესიჯები მივიღე, ისეთი, რომ სულ „თითებს ჩაიკვნეტთ“... მარტო ჩხუბი კი არ მეხერხება, ბატონო, შექებაც ვიცი, როცა იმსახურებთ. ძველებს ნუ გეწყინებათ და განსაკუთრებულად მინდა, ახალი მგზავნელი, უკვდავი ხმა შევაქო. მეორე კვირაა ამესიჯებს და გაწაფული მგზავნელივით იქცევა... ასე რომ, ახლებო, შემოგვიერთდით, ძნელი სულაც არაა ჩვენთან მოხვედრა და ძველებს კი შეხსენება აღარ უნდათ, ისედაც აქ არიან. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

# სიურპრიზი, რომელიც ცხოვრებამ მომიწყო

## მოკლე ჩართვა

### ყველაზე სასაცილო სადღეგრძელო, რომელიც ამ ახალ წელს მოისმინე?

• ამ ჭიქით დაწოლიდან დაძინებამდე განვლილ წუთებს გაუმარჯოსო, რომ თქვეს, გამოშტერებულმა პირი დავაღე. ნაღდად არ ვიცოდი, ასეთი სადღეგრძელო თუ არსებობდა. ჭრიჭინა.

• სასაცილო არ ვიცი, მაგრამ სიყვარულის სადღეგრძელოს ჩემეული ვერსია ჩამოვაყალიბე: მოდი, იმ სიგიჟეს გაუმარჯოს, ყოველ დილით, როცა ვდგები, თან ამყვება, იმ სიგიჟეს, მთელი დღე გვერდიდან რომ მიყურებს და ჩემში სახლდება, იმ სიგიჟეს გაუმარჯოს, ძილში, სიზმარში რომ ჩამყვება. მოდი, იმ სიგიჟეს გაუმარჯოს, თქვენ რომ სიყვარულს ეძახით და მე — სიგიჟეს. სუპერსთარი.

• მე არა, მაგრამ ჩემმა უახლოესმა ადამიანმა მოისმინა მანდილოზავრების სადღეგრძელო. მანდილოზავრი რომ მანდილოსანია, ალბათ მიხვდით. სატანა.

• სასაცილო სადღეგრძელო ბერძნებს აქვთ. მოკლე, კონკრეტული და ერთსიტყვიანი. იტყვიან — იასა და მორჩა, ეს არის მათი სადღეგრძელო. ეს ნიშნავს ყველაფერს. ალინა.

• რაც მართლა პირველად მოვისმინე და ალბათ სხვაგან არც მოვისმენ, ეს იყო სავსე კუჭის სადღეგრძელო. გავრცობილად ასე ჟღერდა: თუ კუჭში საკვებია, ე.ი. ფული გაქვს, თუ ბევრი ფული გაქვს, ე.ი. მუშაობ და თუ მუშაობ, ე.ი. კეთილმოწყობილ სახელმწიფოში ცხოვრობ და კიდევ — მომდევნო სადღეგრძელოს გაუმარჯოსო, ამ სისულელეზე აიძულებდა თამადა ჭიქების დაცლას, თანამეინახეებს. ბახუსის ჭინკები მთლად უტრიალებენ ტვინს, სუფრამიწებებულთ... გვეშველება რამე? მემე.

• კარგად შეზარხოშებულმა იმედამ თამადისგან ნებართვა აიღო და დედაბუნება დალოცა. მის ინიციატივას, სხვებთან ერთად, ჩემი ბიძაშვილი, ოთიკოც გამოეხმაურა: — ნამდვილად, ჩემო იმედ, ჩვენს ლამაზ დედაბუნებას, ჩვენს ფლორასა და ფაუნას გაუმარჯოს! — მომისმინე, ძმაო, მე ბუნება ვადღეგრძელე და ეგენი „ვაფშე“, ვინ არიანო? დათო.

• აუ, ბიცოლაჩემის ბებიამ დამლოცა ამ ახალ წელს: ისე წასულიყოს, ბებია, შენი საქმე მომავალში, თავად გეთქვას, ეს რა დამემართაო. რომ გადამცდა ამის გამგონეს შოკოლადი სასულეში და დავქაჩე თვალები, მერე დააყოლა, კარგისკენ წასულიყოს ბებო, კარგისკენო. შოკოლადა.

## დებ-ძმებიანი

„გამარჯობა, მინდა ჩემი ამბავი მოგითხროთ, რომელიც დღევანდელ თემას შეესაბამება. შეიძლება, ისეთი მხიარული არ გამოვიდეს, როგორც თქვენ წერთ ხოლმე, მაგრამ პირველია და ძალიან კრიტიკულად ნუ მიუდგებით. მოკლედ, ერთ დღეს „ოდნოებზე“ ერთმა ბიჭმა ფოტოები შემიფასა. მე ჩემი გვარის ჯგუფში ვარ გაწევრებული და მიჩვეული ვარ, რომ ყველა, ვისაც არ ეზარება, ფოტოებს მიფასებს და ამ ფაქტსაც ჩვეულებრივად შევხვდი. შეფასებას შეტყობინებაც მოჰყვა: შენ ძალიან ლამაზი გოგო ხარო, და მოწყენილი „სმაილები“. თავიდან მოშორების მიზნით, სურათები მეც შევუფასე და მივწერე: „შენც სიმპათიური ბიჭი ხარ“. მეორე მესიჯი უფრო უცნაური იყო: ამ საიტზე შენი სახელისა და გვარის ათი ადამიანია, ყველა დავათვალიერე და თვალებით გიცანი, მივხვდი, რომ ეს შენ ხარ. ვაი, — გავიფიქრე და მანიაკის თავიდან მოშორების მიზნით, საიტი გამოვრთე. „ოდნოების“ წყალობით მრავალი დაკარგული მეგობარი აღმოვაჩინე და საზღვარგარეთ მცხოვრებ რამდენიმე ნათესავსაც მივაგენი, მაგრამ ეს ადამიანი არ მეცნობოდა და არც სურვილი მქონდა მისი გაცნობის. ცოტა ხნის შემდეგ საიტზე დავბრუნდი და წერილი დამხვდა. „რუს, მე შენი ძმა ვარ, დიდხანს გეძებდი და გიპოვე. თუ ჩვენ შორის და-ძმური სიყვარული არ იქნება, ვიმეგობროთ მაინც“. დამცხა. თავიდანვე გეტყვით, რომ ჩემი მშობლები გაყრილები არიან. მამასთან და მის ნათესავებთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. ორი დღე გადარეული დავდიოდი, მერე დავმშვიდდი და მივწერე: „ვიმეგობროთ“. პასუხად უამრავი კოცნა მივიღე. მერე გაგრძელდა მიმოწერა. რა თქმა უნდა, ყველაფერი მაინტერესებდა ძმაზე, რომელიც 21 წლის უნახავი მყავდა. ბევრი საერთო თვისება აღმოვაჩინეთ და ისიც შევიტყვე, რომ მარტო ერთი ძმა კი არა, მეორე ძმაც მყოლია და კიდევ ორი და. შოკის მომენტმა, რომ გადაიარა, სენსაციური ამბავი, ყველა მეგობარსა და თანამშრომელს ვუამბე. კითხვაზე, რა ხდება შენკენ ახალი და საინტერესო, ვიწყებდი სიტყვებით: „მე ძმა მყავს“ და ვამთავრებდით სიხარულის ცრემლებითა და ჩახუტებით. მერე დანარჩენებიც გავიცანი. ამ ამბიდან 6 თვე გავიდა და ვერ წარმომიდგენია, როგორ ვცხოვრობდი მათ გარეშე“.

## ვაიტარიელი

„თუ ოდესმე თავს რაიმე გმირობა გადამხდენია, სულ სიმთვრალეში. ნუ ახლა, ტანზე თაფლი არ წამისვამს და მოძმეებს ცოტნე დადიანივით არ მივწოლივარ გვერდით, მაგრამ ქალაქის ცენტრში ლუდით კი მიწუწავია. :) ამ რამდენიმე დღის წინაც კაი გმირობა „ავაგდე“. დეკემბერში მე და „ლოვე“ დავშორდით, რადგან ერთმანეთისთვის გასაშრობი სისხლი გამოგველია... ჰოდა, პირველი 2 კვირა, ველად გავარდნილი, ვეფხვებს რომ ვეძებდი, ლილოს ბაზრობაზე ამოვყავი თავი, დაქალისთვის საჩუქარი უნდა მეყიდა. იმ დღეს რამდენი დავლიე? ბეეევრი! საბედნიეროდ, არ მეტყობა ხოლმე და გაჩერებაზე გამოვლილი პირველივე „მარშრუტკის“ დანახვისას, ჩემი ტარიელის „პატენტი“ შეყვარებული გამახსენდა. ვიცოდი, მასაც ძალიან უჭირდა უჩემოდ, ღამეები არ ეძინა და ძმარნაწრუპი სიფათით დადიოდა (ძმაკაცმა შემომწუწუნა). ბევრი არ მიფიქრია, ავედი ტრანსპორტში, მერე კიდევ 3 ტრანსპორტი გამოვიცვალე და მივადექი ჩემს „ტუფტა“ ტარიელს. სახლში მისი ძმა დამხვდა და სანამ ჩემი ნახვით გაფართოებული თვალების დახუჭვას მოახერხებდა, — ღვინო გამაიტა, დავლიოთ-მეთქი, ვუთხარი. ძლივს დავაჯერე, ნასვამი რომ ვიყავი და როდესაც ჩემმა ვეფხვთამმუსვრელმა კარი შემოაღო, მე და ნიკა დედმამიშვილების სადღეგრძელოს ვუბერავდით. არასოდეს დამავიწყდება მისი გაბრწყინებული თვალები, სიხარულისაგან ხმა რომ ჩაუვარდა და ძლივს ავიბრდღვენი, ჩახუტებული. გმირობა ხომ ისაა, ვინმეს შენი ქმედებით სიკეთე მოუტანო და თან საკუთარი ინტერესები არ გაითვალისწინო? სიამაყე დავთრგუნე და ბასუ გავახარე! მე გმირი ვარ!“

## მარტოხელა და ბაბოიანი

„მარ, ამას წინათ კი მოგწერე, აწი სულ თქვენთან ვიქნები-მეთქი, მაგრამ ვინ მაცლის, როოო? სახლის რემონტი დავიწყე და გარდერობის გარდა (ვერ დამეტია), ყველაფერი თავზე მაყრია. :) აი, სიურპრიზი კი, რომელიც ცხოვრებამ მომიწყო, უნათესავობა-უდედმამობაა. დუნიაზე სუუულ ერთადერთი ოჯახის წევრი მყავს — ბებია და ისიც გერმანიაში ცხოვრობს (გერმანელია). ჰოდა, ვიზა რომ ჩამომივიდა, მარია ბებომ იმ ვიზას „ინსტრუქციაც“ მოაყოლა და სა-

შობაოდ ჩამოდიო, — მითხრა. ვინ დაუჯერა, რო? შობას აქ მქონდა საქმეები და მეორე დღესვე ავუტალახე კონსულს კარი. პირველი კითხვა იყო, გერმანიაში რა გინდაო?! ბაბოჩემი უნდა ვნახო-მეთქი. — ბაბოშენ იქ რა უნდაო? მოკლედ, ბებიაჩემის გენეალოგია ძირისძირობამდე რომ გამოიკვლია, მერე მე მომდგა. რომ ვუთხარი, მშობლები არ მყავს და 14 წლიდან მარტო ვცხოვრობ-მეთქი, ფულს ვინ გიგზავნისო? ბაბოჩემი-მეთქი და ის იყო, ახლა ბაბოჩემზე უნდა ამოექექა, გაახსენდა, უკვე „ნაქექი“ ჰქონდა! :) თვალცრემლიანმა „ჩამირტყა“ ვიზა და წადიო, მითხრა. ერთი კი ვიფიქრე, ახლა ისეთს ჩავუტარებ, მართლა შესაცოდს შევაცოდებ-მეთქი, მაგრამ ვიზა რომ ამოეჩიჩქნა ჩემი გაზიმზიმებული პასპორტიდან, ხომ დამრჩებოდა გერმანია უკან? მოკლედ, ამ რემონტს „მივახრჩობ“ და თქვენთან ვარ! ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

## ალილო

„ვააა... ეს თემა ზედგამოჭრილია იმ ამბისთვის, რაც 14 იანვარს გადამხდა თავს. ახალი წლის არც ისე სახარბიელოდ გატარების შემდეგ, ძველით ახალი წელი ნამდვილად არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. ღმერთმა მართლაც უდიდესი სიურპრიზი მომიწყო და ახლავე გიამბობთ ამის შესახებ. მოკლედ, ბათუმს ვესტუმრე თუ არა, დაქალმა იმწამსვე მახარა, მამა თეიმურაზს (ჩემს მოძღვარს) ალილოში მონაწილე ვირუკა, თავისი ეტლით, ჩემთან ჰყავს დატოვებული, ამ დღეებში თავადაც გამოივლის, სამების ეკლესიაში (რომელიც სამების მთაზე მდებარეობს) უნდა აიყვანოსო. ამ ფაქტმა ისე ამაყვირა, ლამის ხმა წამერთვა. ჩემი მრავალრიცხოვანი ეშმაკთა ჯარის წყალობით, მიზეზები არ მელევა, რომ მოძღვართან მისვლა გადავდო და ღმერთი მიგზავნის ალბათ-მეთქი. ახალ წელს დაქალთან ერთად შევხვდი, იმ ღამეს კარგად გამოვთვერით, ვიმხიარულეთ და გათენებისას ახალჩაძინებულები ვიყავით, რომ დედამისმა გაგვაღვიძა, მამა თეიმურაზი მოდისო. არიქა, წამოვხტით ცალთვალგახელილები და სინათლის სიჩქარით დავიწყეთ მზადება. მამაოს მოსვლამდე სამების ეკლესიის დედები გვესტუმრნენ და ისე ვიყავი აფორიაქებული, რას ვლაპარაკობდით, არ მახსოვს. ამასობაში მამა თეიმურაზიც მოვიდა, ვირი შევკაზმეთ და ასე, ფეხით და გალობით დავადექით ეკლესიისკენ მიმავალ, 5-კილომეტრიან აღმართებს. გზადაგზა ვისვენებდით და მამაო მისი ჩვეული ენამახვილობით ისე გვახალისებდა, დაღლა საერთოდ არ გვიგრძნია. მოსახლეობა ინტერესით გვადევნებდა თვალს და ერთ-ერთ სახლთან ჩავლისას, სადაც მოქეიფეებს ეზოშივე ჰქონდათ სუფრა გაშლილი, წამოიშალნენ, ჭიქები და გრაფინი გამოარბენინეს და დაილოცეთო, შემოგვთავაზეს... ერთ-ერთმა, რომელსაც ჭიქა აღარ დარჩა, გრაფინითვე შემოსძახა, გაგვიმარჯოს მაგრადო, რასაც ჩვენი გულიანი სიცილი მოჰყვა... შემდეგ იმათ ეზოში გადავიხედეთ, ცუგრიკას, აქაო და ჩემს პატრონებს ჩემთვის აღარ სცალიათო, დაბალ მაგიდაზე ასვლაც არ დასჭირვებია, ისე მოესუფთავებინა იქაურობა და ამ საქმიანობით მანამ იყო გართული, სანამ დიასახლისმა ცოცხი არ გადაამტვრია ისედაც აბურძგნილ ზურგზე. ჩვენ კი ისევ გავუდექით გზას და უკან მოქეიფეების მრავალხმოვანი სიმღერაც წამოგვეწია. ზარების რეკვის ფონზე შევაბიჯეთ მონასტრის ეზოში. ის იყო, წამოსვლას ვაპირებდით, რომ დედა ანამ მონასტერში შესვლის კურთხევა მოგვცა და მუხლების კანკალით შევაბიჯე ამ საოცარ ადგილზე. ნება მოგვცეს, ოთახები დაგვეთვალიერებინა, გარდა სამლოცველოსი. ენაბლუსავით ვლუღლუღებდი და რისი თქმაც მოვახერხე, ის იყო, რომ: სამოთხე ამაზე მეტი იქნება-მეთქი? რის გამოც დედაჩემისგან ჩაპწკენა ვიგემე... ისე ვიყავი აღფრთოვანებული, მეგონა, ალბათ ნამთვრალევზე ღრმად ჩამეძინა და ეს ყველაფერი სიზმარია-მეთქი, მაგრამ დღესაც, როცა იმ დღეს ვიხსენებ, საოცარ სიხარულს ვგრძნობ. SWEET-GIRL.

## სუპერბებიები

„ზურამ და ნოდარმა ბიზნესის დაწყება გადაწყვიტეს. ტანსაცმელი იაფად იყიდეს, რაც გაყიდეს, გაყიდეს, რაც არა და, სოფლებში წაიღეს გასაყიდად. ჩაასხეს 5 ლარის ბენზინი, იყიდეს 3 ლარის ყველი, პური და აიღეს სტარტი. პირველივე სოფელში რომ შევიდნენ, დაინახეს, 2 ბებო იჯდა და ქსოვდა. ზურამ გადასძახა, ბებო, ტანსაცმელი გვაქვს გასაყიდი და ხომ არ გინდათო? ფული სად გვაქვსო?.. გადავცვალოთ სასმელზეო. მეორე ბებო ეუბნება: თქვე დედა მ...ებო, სასმელი რომ გვქონდეს, მე და ჩემი დაქალი დავლევდით, ქსოვას კი არ დავიწყებდითო. ეგრევე უკან გამობრუნდნენ და ხმას არც ერთი არ იღებს. უცებ, ნოდარს სიცილი აუტყდა. ზურაც აჰყვა. მანქანა რომ გააჩერეს, ნოდარი ეუბნება: იცი, რაზე ვიცინი, აქ წამოსვლა 8 ლარი დაგვიჯდა, 1 ლარი ნებისმიერისთვის რომ მიგვეცა, დედას ხომ ისიც შეგვაგინებდაო. აჰა, ესეც ცხოვრებისგან ნაჩუქარი სიურპრიზი. უკვდავი ხმა“.

## „გზავნილების“ დეიდა

„სულ სხვა ამბის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ გამახსენდა, რომ სიურპრიზი, რომელმაც დაუვიწყარი ემოციები დამიტოვა, ჩემი პირველი გზავნილის „გზაში“ დაბეჭდვა იყო. მაშინ, 17 წლის მეოცნებე გოგონასთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობდა. ყველას ვაჩვენე ის „სენსაციური“ მესიჯი. პაპა გაოცებით აქნევდა თავს, ეს იმდენს კითხულობდა, ვიცოდი, „დიდი ქალი“ გახდებოდაო და მეც ქვეყანა ჩემი მეგონა. მაშინ „გზავნილები“ პაწია იყო, მის 4 წლის იუბილეზე ჩემს მილოცვას „გზავნილების პარიზელი დეიდა“ ერქვა. ახლა 21 წელი მისრულდება და მართლა დეიდად ვეკუთვნი უკვე. ასეთ დროსაც კი მასზე ვფიქრობ და მეამაყება, რომ მე, ჩემი თაობის მგზავნელები და „გზავნილები“ ერთად გავიზარდეთ. წლებმა ვერ გაანელა ის მოლოდინი, რომლითაც ყოველ ხუთშაბათს ველი. ის სიხარულიც ისევ ისეთი გულწრფელი და მღელვარეა, როგორც 17 წლის ასაკში. ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ შეიცვალა და ამ ცვლილებების ნახევარი „გზამ“, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდმა სიურპრიზმა გამოიწვია. სიურპრიზები კვლავაც გრძელდება! პარიჟანკა“.

## აზარტული კოლექციონერი

„ყველა ჩემმა ახლობელმა იცის, რომ როგორც კი ფულს ხელში ჩავიგდებ, ნაცვლად იმისა, რომ კოსმეტიკა და ტანსაცმელი ვიყიდო (ამაზე ჩემი დედუცი ზრუნავს, საკმაოდ წარმატებით, თან), წიგნების მაღაზიებს ჩამოვირბენ და ჩემს პირად ბიბლიოთეკას ვამდიდრებ. :) ჰოდა, ერთ მშვენიერ ან არც ისე მშვენიერ დღეს, ქუჩაში მიმავალს „იღბლიანი დარტყმის“ გამყიდველი შემომეფეთა და ისე შემომწუწუნა, დაუფიქრებლად ვიყიდე ერთი ბილეთი. რომ ვერაფერი მოვიგე, მეორეც ვიყიდე, მესამეც, მეოთხეც და ჩემი „მგლები 4“-სთვის „გახაზირებული“ ფული მივახარჯე გათამაშების ბილეთებს (მაშინ „მგლებზე“ ვიყავი გადარეული).

## მოკლე ჩართვა

### ყველაზე სასაცილო სადღეგრძელო, რომელიც ამ ახალ წელს მოვისმინე?

• ახალ წელს ძმაკაცთან გავიარე. მაგარი პრიკოლი მამა ჰყავს. ჰოდა, სამეგობროს დალოცვის დროს ასე დაგვმოძღვრა: კაი ბიჭები ხართ, ჩემო ბიძია, ვხედავ, რაფერ გიყვარან ერთმანეთი. მარტო შენ კი არა, ვინც მევიდა ამ ოჯახში, ყველა კაები ხართ. ჰოდა, დიგილოცავთ მომავალს, ყველაფერს კაის გისურვებთ. ხომ იცით, რაფერაა ოჯახი? ჯერ დიდი, მერე — პატარა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. გიყვარდეთ ერთიმეორე, სხვაც გიყვარდეთ პაწა, პაწა კიდო იმათაც ეყვარებით და ე, აგია, ბიძია, ცხოვრება. მე ჩემი გითხარით, დიმიჯერებთ, ხომ კაი, თუ არა და, კისერიც გიტეხიენ სუყველას. ამინ... მაესტრო.

• დაქალი მაგარი მთვრალი იყო და თან ერთ ბიჭს ეპრანჭებოდა. თამადამ იმ ბიჭის დედმამიშვილი დალოცა. მარიც ადგა და გიოს ეუბნება, ჩემს მულს გაუმარჯოსო. ეს ბიჭი გაშტერებული უსმენდა. კაი პრიკოლი იყო. უკვდავი ხმა.

• ამ ახალ წელს სტუმრად ნათესავი და მისი აჭარელი სიძე გვყავდნენ. ჩვენთან პირველად იყო და ყველამ დიდი ამბით დალია მისი სადღეგრძელო. მერე ადგა და მადლობა გადაუხადა სუფრის წევრებს — ჩემი თამადობით ყველა სიძანებს გაუმარჯოსო. თავიდან გვეგონა, რომ რაღაც ვერ გავიგეთ კარგად, მაგრამ რამდენჯერმე ისევ გაიმეორა. სიძანები თურმე სიძის მრავლობით ფორმას ნიშნავს, ანუ სიძეებს. სვანის ასული.

ჰოდა, ცხოვრებამ, უფრო ზუსტად — ამ გათამაშებამ „სიურპრიზი მომიწყო“. 10 დავხარჯე და 1 ლარი მოვიგე. :) ამაზე დიდი სიურპრიზი რაღა მინდოდა? ამ მწარე გამოცდილებამ და მოგებით „წახალისებამ“ სამუდამოდ უარი მათქმევინა ყოველგვარ ლატარიაზე, გათამაშებასა და აზარტულ თამაშზე (ზოგი ჭირი მარგებელია). ჰოდა, ახლა თუ კიდევ მოვიხელთებ ფულს, „პირდაპირი რეისით“ მივრბივარ მაღაზიებში და მშვიდად ვამდიდრებ ჩემს პირად კოლექციას. თქვენი აწ უკვე არააზარტული ჩუპი“.

### ან გოგო, ან ბიჭი

„გამარჯობა, მარ, 2 კვირაა, არაფერი მომიწერია და უკმარისობის გრძნობა მაქვს უკვე. :) თემის სათაური რომ წავიკითხე, მაშინვე ჩემი დისშვილი გამახსენდა, რომელიც ჩემთვის ღვთის საჩუქარი უფროა, ვიდრე ცხოვრების სიურპრიზი, მაგრამ მაინც. თავიდან დავიწყებ: პირველად, „ექოდან“ რომ მოვიდა ჩემი და და გვახარა, ბიჭს ველოდებიო, ცოდვა გამხელილი სჯობს და კი დამწყდა გული. ნეტავ, გოგო იყოს-მეთქი, მაგრამ პირველი დისშვილი იყო და მიხაროდა მაგრად. ნუ, ველოდით მთელი 8 თვე ბიჭს და მერვე თვეზე ექიმმა შეცვალა „ჩვენება“, გოგო გეყოლებაო. რა გოგო, ექიმო, ბიჭი არ მითხარიო? აღშფოთდა ჩემი და. ექიმმაც იხტიბარი არ გაიტეხა და ან გოგო იქნება, ან ბიჭიო, დაგვაიმედა. :) აპა, კურდღელს არც ჩვენ ველოდებით-მეთქი და გაბრაზებულ-აბუზღუნებული წამოვიყვანე ჩემი და. გავიდა ერთი თვეც და დადგა ნანატრი დღეც. დილით ადრე გავქანდით სამშობიაროში. ხუმრობა ხომ არ იყო, მშობიარობას უნდა დავსწრებოდი, რაზეც ჯერ კიდევ დაფეხმძიმებამდე შევუთანხმდი ჩემს დას. იქ მისულმა ექთანს შევასწარი ლიფტში. ვიდრე კითხულობდა, მშობიარობას ვინ ესწრებაო, ისე ვიყოჩაღე, ჩემს დასაც კი ავასწარი ზემოთ. იქ კიდევ ექთანმა მომშალა ნერვებზე, მასაჟები გაუკეთე წელზეო. რა მასაჟები, მე და ვარ, მასაჟისტი კი არა-მეთქი, კინაღამ აღვშფოთდი და კი დაეწყო მშობიარობაც. იქით ექიმმა ამანერვიულა, გაუთხოვარი თუ ხარ, რატომ ესწრები მშობიარობასო? ჰობი მაქვს ასეთი-მეთქი, კინაღამ ვუთხარი, მაგრამ ვინ მაცალა? ისეთი იკივლა ჩემმა დამ, ოპერის მომღერალს შეშურდებოდა. როგორც იქნა, გაჩნდა ბავშვი, მაგრამ რას ვხედავ? ერთიანად მრგვალია. გამისკდა გული, მაგრამ ცოტა ხანში დაემგვანა ადამიანს და ექთანმა (სიძის ახლობელია), რომელიც არანაკლები ინტერესით ელოდა, სქესი დაედგინა, შეიცხადა, გოგოაო. აქეთ მე გავქანდი კარისკენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვინ გამიშვა გარეთ? შენ ბავშვთან დარჩიო. ნუ, ახლა, მახარობელს ფული ხომ უნდოდა? :) აი, ასეთი სიურპრიზი გამიკეთა ცხოვრებამ — პატარა ნინუცელა“.

### ქართულად ალაპარაკებული ფრანგი

„მართლაც საოცარი სიურპრიზი მომიწყო ცხოვრებამ. ორი თვის ჩასული ვიყავი საბერძნეთში, რომ ბებიას ვიღაც ფრანგი, ასაკში შესული მამაკაცი ესტუმრა. ისაუბრეს. ბებიამ უთხრა, ნახე, ახალი რუსის გოგო მყავსო. მე ამაყად ვუთხარი, რუსი არა, ქართველი ვარ-მეთქი. სტუმარი რაღაცაზე ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო. ცოტა ხანში მომიბრუნდა და ქართულად მითხრა: „ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო მხარეს, სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“. იცით, რა დამემართა? სიხარული, სიცილი, ტირილი ერთმანეთში ამერია. ძლივს დავწყნარდი. საბერძნეთის ერთ მიყრუებულ სოფელში ფრანგის მიერ წაკითხული ქართული ლექსი მართლაც ცხოვრების სიურპრიზი იყო. დიდი სიყვარულით, მაია“.

### სიყვარული სიბერემდეო

„ცხოვრებამ სიურპრიზი ახლახან მოუწყო ჩემს ახლობელს. ყოველთვის მიაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა გათხოვილიყო. კარგ გემოვნებასთან ერთად, მერყევი ხასიათიც ჰქონდა და გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის უკან იხევდა. ბევრ ღირსეულ მამაკაცს უთხრა ცოლობაზე უარი, ახლა კი 48 წლის ასაკში თავდავიწყებით არის შეყვარებული და ცოლად მიჰყვება ისეთ ადამიანს, რომელიც მის მიერ მკაცრად ჩამოყალიბებული ყველა კრიტერიუმის აბსოლუტური საწინააღმდეგოა: ნაცოლები, შვილიანი, ნაკლებად სიმპათიური, ლოთი და უჟმური. იცის, რომ არ შეეფერება და მალე შავ დღეში ჩააგდებს, მაგრამ მაინც გაიძახის, მიყვარსო. თურმე სიყვარული მართლა დაფრინავს, ფაქტი ჯიუტია. სვანის ასული“.

### ქმრის ცოლი

„ამინდის მიხედვით ვიცვლი ხასიათს. ახლაც მოწყენილი ვზივარ სახლში და მიუხედავად ამისა, სულ იმ კურიოზულ სიტუაციაზე ვფიქრობ,



ავტობუსში რომ შემემთხვა. სტამბოლიდან გამოვედით, ხალხი დავთვალე, ჩავიწერე, ვინ სად ჩადის და შევუდექი შემდეგი მოვალეობის შესრულებას — ცხელი სერვისის დარიგებას. მგზავრებს შორის 2 აზერბაიჯანელი ქალბატონი იყო, რომლებმაც თანამემამულეებისგან განსხვავებით, თურქულის ნაცვლად, ქართული სიმღერები მოითხოვეს. პირველი შემთხვევა მქონდა ასეთი და გაკვირვებისგან ყურები ვცქვიტე, ხომ არ მომეყურა-მეთქი? ჯერ სადა ხარ, თურმე... ვარიგებ ყავას და უცებ, ერთი ქალი მეუბნება მეორეზე, იცი, ეს ქალი ვინ არის ჩემიო? უარი რომ ვუთხარი, გააგრძელა — ეს ჩემი მეორე ცოლიაო! რაა-მეთქი? გაკვირვებისგან თვალები შუბლზე ამივიდა. ამის გამგონე მგზავრები გულიანად ახარხარდნენ. არა, არა, შემეშალა, ქართულად ვერ ვთქვი სწორად, ჩვენ ერთი კაცის ცოლები ვართ, ეს ქალი ჩემი ქმრის მეორე ცოლიაო. სიცილისგან სული ძლივს მოვითქვი. ვკითხე, ეგ როგორ, არ ჩხუბობთ-მეთქი? არაო, ფხიზელი ქმარი ჩემია და მთვრალი იმისიო. ახლა მეორე ცოლმა შემომცინა. სიცილის ახალმა ტალღამ დაუარა მგზავრებს. კარგა ხანს ვიმხიარულეთ ამ ამბავზე და ბოლოს ვეუბნები ქალებს, თქვენზე ჟურნალში რომ დავწერო, ხომ არ გაბრაზდებით-მეთქი? არა, რას ამბობ, პირიქით, სახელებსაც გეტყვით, მე ზამილა მქვია, ამას მანანაო, — თითქმის ერთხმად მითხრეს. აი, ქმარს რა ერქვა, ვერ გეტყვით. ისე, კასპელები იყვნენ. ჩასვლისას მომაძახეს, არ დაგვივიწყოო. ღიმილით გავაცილე კეთილი ქალბატონები. ისე, კასპელი „აზერები“ ხშირად მგზავრობენ ჩემი ავტობუსით და ჩემთვის არავის დაუმახსოვრებია თავი ასეთი კარგი და გულწრფელი იუმორით. მანაველი“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი სიურპრიზი ცხოვრებამ ერთი წლის წინ გამიკეთა, როცა ჩემი ყვეელაზე საყვარელი, ყველაზე მაგარი და მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური მეგობარი მაჩუქა. აი, ზუსტად მის დაბადების დღეზე გავიცანი და შესაბამისად, მისი საჩუქარიც მე ვარ, ხომ? :)) კარგია, როცა არსებობენ ლამაზი სულის, ლამაზი ადამიანები. მიყვარხარ, მეგობარო. ეშმაკუნა“.

„სანდრომ ახლობლის ოჯახში ელენე გაიცნო და ძალიან მოეწონა. ერთმანეთს კარგად გაუგეს. ბიჭმა ოჯახი გააფრთხილა, ცოლი უნდა მოვიყვანოო. იყიდეს მუხის 2-ადგილიანი საწოლი. სანდრო ტანით ძალიან დიდია და პირველივე ღამეს ჩაუტყდათ ლოგინი. წაიღეს მეორე დღეს ხელოსანთან, გააკეთებინეს, მაგრამ იმ ღამესაც ჩატყდა. კიდევ გააკეთებინეს. მოკლედ, ნეფე-პატარძალმა მთელი კვირა აქეთ-იქით ატარა „ლოგინი“. რომ მოჰბეზრდათ, მოაჭრეს ფეხები და პირდაპირ იატაკზე დადეს. ასეთი სიურპრიზი მოუწყო ცხოვრებამ და ისეთი ლოგინი აჩუქა, რომელიც არასოდეს არავის ჰქონია. ჭრიჭინა“.

„ამას დიდ სიურპრიზს ვერ დავარქმევ... ამ საახალწლოდ ძმაკაცები ბათუმში გევილეწეთ. ეს ჩემი ძმაკაცი შევიტანეთ სახლში და დავდეთ. დილას რომ შევედით, ეძინა და ველოდებოდით, როდის გეიღვიძებდა. უცებ შემევიდა მეზობელი გოგო. ჰოდა, ამასაც გეეღვიძა. ამ გოგოს დანახვაზე დიდი ამბით წამოხტა და რას ხედავს? სულ შიშველი არ ყოფილა, საცოდავი?! თვალები ორივეს შუბლზე ოუვიდა. ჩვენ გევიგლიჯეთ სიცილით. აი, საახალწლო სიურპრიზიც. „ბათუმსკი“.

„ხუთშაბათს ვზივარ „მარშრუტკაში“ და ამოვიდა ბიჭი. არც შემიხედავს სახეზე, ჩემი თვალები „გზამ“ მიიტაცა. საბედნიეროდ, გვერდით მომიჯდა. გადაშალა და დაიწყო კითხვა. მეც, რა თქმა უნდა, თვალი გავაპარე. თავიდან მორიდებით ვკითხულობდი, მერე კი ისე გავერთე, ვერც შევნიშნე, როგორ ჩავუქროლე ჩემს სახლს. ამ დროს ამ ბიჭმა ამომხედა. ეტყობა, ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, თავხედობასაც აქვს საზღვარიო. მეც ავხედე. თვალი თვალს შეეფეთა და თურმე რა სიმპათიური ბიჭი ყოფილააა! გადავირიე! გავუღიმე, გამიღიმა და განვაგრძეთ კითხვა. ბამბუჩა“.

*„გამარჯობა, მარი, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე, რა... გოგო, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მიკვდება. ექიმები ოპერაციას აღარ უკეთებენ. არ რისკავენ... ძალიან ცუდად ვარ. მგზავნელებს ვეტყვი, გულს ნუ ატკენენ და გაუფრთხილდნენ ერთმანეთს, წუთიერია სიცოცხლე ჩვენი და მოვეფეროთ ერთმანეთს. მაპატიეთ, თუ ვინმეს გული ვატკინე და ამ მესიჯით „დაგგრუზეთ“. მე სამუდამოდ წავედი „გზიდან“. მაპატიეთ, გთხოვთ... შეწირული“.*

„სიურპრიზს ძვირფასი ადამიანის სახე აქვს. მოულოდნელად გამოჩნდა ჩემს ერთფეროვან სამყაროში და ისე მოკალათდა აქ, რომ არა მგონია, მისი გასახლება ადვილად მოვახერხო. ის მართლა სხვანაირია. ძალიან ამაყი, მაგრამ მის თვალებში სხვა რამის დანახვაც შეიძლება. იმის, რაც მე დავინახე, შეხვედრის პირველივე დღეს. არა, სიყვარულით არ მიყვარს. უბრალოდ, მინდა, რომ ხშირად ვნახო და კიდევ, შორიდან ყურებას და საინტერესო რეპლიკებს პირდაპირობა ჯობს... არ ვიცი, დღეის შემდეგ ვნახავ კიდევ თუ არა, მაგრამ ეს ადამიანი მარად ჩემს გულში დარჩება... ყველაზე დიდი საჩუქარი ბედისგან კი ის იქნება, თუ კიდევ ერთხელ მაინც გნახავ უნივერსიტეტის კიბეზე ჩამომჯდარს, ჩემთან ერთად. ნილბოსანი“.

„ჩემს დაქალს ვიღაც უყვარდა და თქმას ვერ ბედავდა. არადა, ხვდებოდა, რომ ის ბიჭიც ყურადღებას აქცევდა. ჰოდა, ერთხელაც გადაწყვიტა, მისთვის ყველაფერი ეთქვა. მეორე დღეს ნახა და უთხრა, რომ ძალიან უყვარდა. მოკლედ, ახლა ერთად და ძალიან ბედნიერადაც არიან“.

„ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი და სასიამოვნო სიურპრიზი ჩემი საყვარელი დაიკოს, ელის დაბადება იყო. ორი ძმა მყავს და სულ ვნატრობდი პატარა დაიკოს. ჩემმა მშობლებმა ოცნება ამისრულეს და 15 წლის ასაკში და მეყოლა. ახლა უკვე 2 წლისაა და როცა სადმე მიმყავს, ჩემი შვილი ჰგონიათ. ლივერ“.

„ჩემს ახლობლებს სიურპრიზი ცხოვრებამ კი არა, მოსწავლეებმა მოუწყვეს. 29-ში კარზე ზარი იყო, რომ გავაღეთ (მეც იქ ვიყავი), ჩიჩილაკიანი დიდი ყუთი იდო. სიურპრიზის ავტორი კი არ ჩანდა. მალე ამოირბინეს ქეთიმ და მისმა მეუღლემ. :) ყუთში ახალი ტელევიზორი იდო. ძველმა მოსწავლეებმა ასეთი საჩუქარი გაუკეთეს მასწავლებლებს. :) უკვდავი ხმა“.

„რას ვიფიქრებდი, რომ ორი გათხოვილი დისა და სამი დისშვილის პატრონს, ნანატრი ძმა შემეძინებოდა? თანაც, ისეთ ფეხზე მოვიდა გიორგი, რომ მისმა შემხედვარემ, ბევრმა ოჯახმა ჩაიფიქრა მომდევნო შვილი. იცით, ეს სიურპრიზი ლამის გაახუნა წინა სიურპრიზებმა. 26 ნოემბერს თავად სანდრამ მოგვინახულა, რათა ჩვენს ოჯახურ პრობლემებს უკეთ გასცნობოდა“. ■

***„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ცოდვა გამხელილი ჯობს“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:***
marorita77@yahoo.com ***რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“ ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „გამაღიზიანებელი მავნე ჩვევა“***

# „ბაბუა მიქელ გაბრიელმა წამართვა და გული ძალიან მატკინა“

## „მაგარ სამსახურს იშოვი და ერთგულ მეგობრებსაც შეიძენ“

**„გზის“ №2-ში დაიბეჭდა კლეოპატრას მესიჯი, სათაურით: „2009 წელმა საშინელი ტკივილი დამიტოვა“. გოგონა გვწერდა, რომ ჯერ იყო და პაპა გარდაეცვალა, შემდეგ მეგობრებმა ჰკრეს ხელი, მოგვიანებით კი 2 სამსახური იშოვა და ორივე დაკარგა. „ახლა ვცდილობ, დეპრესიას გავუმკლავდე, მაგრამ სახლში ჯდომა ამის საშუალებას არ მაძლევს. მხოლოდ უფლისთვის ვცოცხლობ და ვცდილობ, ფეხზე წამოვდგე...“**

*ლიკა ქაჯაია*



**სვანის ასული:**

„აუცილებლად გაერიე ხალხში, შეიძინე ახალი ნაცნობ-მეგობრები, ისევ ეძებე სამსახური და შეეცადე, მაქსიმალურად დატვირთული იყო, თუნდაც, საოჯახო საქმით. მერწმუნე, შენს ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ჯერ კიდევ წინაა, აუცილებლად დაგაფასებენ, სხვაგვარად გამორიცხულია!“

**ლუნა:**

„მეგობრობა ზეციური მცნებაა, რომელსაც ერთგულება და გაფრთხილება სჭირდება. ადამიანი, რომელიც გამოგიყენებს, არც არის შენი მეგობრობის ღირსი. ეგ ტკივილი 2009 წელს გაატანე და შეეცადე, ახალი მეგობრები შეიძინო, თუმცა ვიცი, ეს ძალიან რთულია. ჩვენს დროში ერთგულებაც ძვირი სიამოვნება გახდა — ღალატისთვის თითქმის ყველა მზადაა. ჩემო კარგო, ტკივილს მხოლოდ სიყვარული თუ გადაგატანინებს. მიყვარხარ!“

**პაწუ:**

„ვიზიარებ შენს მწუხარებას. პაპა მეც 2009-ში დავკარგე, ე.ი. საერთო ტკივილი გვაერთიანებს... შენი მეგობრების არ მესმის, განსაკუთრებით იმ გოგონასი, რომელმაც ჯვრისწერაზე არ დაგპატიჟა. ის სულელურად მოიქცა და ამ ნაბიჯს ოდესმე აუცილებლად ინანებს. ისე, რაღაცაში დამნაშავე შენც იქნებოდი, თორემ სამივე დაქალმა ერთდროულად რატომ გკრა ხელი? შეიძლება, ცუდი ხასიათი გაქვს და ყველაფერი ამის ბრალია. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ არა მარტო მეგობრები, არამედ 2 სამსახურიც დაკარგე. დღეს სამსახურის დაკარგვა იქნება? გასულ წელს არ გაგიმართლა, მაგრამ ნუ განიცდი, იმედია, ვეფხვი ღრენის ნაცვლად, გაგიღიმებს. ისე, საინტერესოა, ზოდიაქოთი ვინ ხარ?.. გკოცნი, უფალი შეგეწიოს... P.S. ლიკა, ამ ბოლო დროს ჩვენს მესიჯებს პასუხს არავინ სცემს და დავიჯერო, ვერავის ვერაფრით დავეხმარეთ? თქვენ მაინც გითხრან მადლობა იმ კეთილი საქმისთვის, რომელსაც აკეთებთ“.

**მეამბოხე სული:**

„ჩემო კარგო, მეგობრობა ყველას როდი ძალუძს. თუ მეგობრობა არ განგიცდია, ეს იგივეა, რომ არ გიცოცხლია. მეგობრობა სიყვარულზე და ნდობაზე, ურთიერთგაგებაზეა დაფუძნებული და მერწმუნე, ნამდვილ მეგობრობას მხოლოდ ერთეულები თუ გაგიწევენ. მოღალატე ადამიანები ნერვიულობად არ ღირან! მეგობრად მიგულე და დარწმუნებული ვარ, ამას ბევრი მგზავრელი შემოგთავაზებს“.

**გრუზინკა:**

„ეცადე, ყველაფერი ცუდი ძველ წელს გაატანო და ის ადამიანები დაივიწყო, ვინც ასე გატკინა გული. ცხოვრება ხანმოკლეა და თითოეული დღე შეირგე, კარგზე იფიქრე“.

**სალი, 18 წლის:**

„ცუდია, პაპა რომ დაკარგე. ჩემი ბაბუა მთელ ქვეყანას მერჩივნა, მაგრამ მისი თავი მიქელ გაბრიელმა, ორი წლის წინ წამართვა და გული ძალიან მატკინა... მაშინ ჩემი მეგობრები მხარში ამომიდგნენ და ეს ტკივილი შედარებით იოლად გადავიტანე. ცუდია, მეგობრებმა რომ გიღალატეს. ისინი საშინლად მოიქცნენ და ამას ოდესმე მიხვდებიან. თუ რომელიმემ პატიება გთხოვა, იცოდე, მათ შეცდომა უნდა აპატიო — აბა, მათნაირი ხომ არ ხარ, ბოროტებას ბოროტებითვე რომ უპასუხო?! კლეოპატრა, შეყვარებულზე რატომ არაფერს ამბობ? დავიჯერო, არავინ გყავს? სამსახურზე არ იდარდო, მალე იშოვი და გულსაც გადააყოლებ. ისე, ძველი სამსახური რატომღა დაკარგე? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, დაკარგული დაკარგულია. წარმატებებს გისურვებ!“

KIS-GIRL:

„შენი ძალიან კარგად მესმის. მეც ასე დამემართა, ყველა დაქალი ჩამომშორდა მხოლოდ იმიტომ, რომ არ მიყვარს ყველასთან ყველაზე და ყველაფერზე ჭორაობა. ერთ-ერთ მათგანს კი, რომელსაც ყველაზე მეტად ვენდობოდი, მას შემდეგ, რაც არდადეგები დაიწყო, არც გავხსენებივარ. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. ცხოვრება ამით არ მთავრდება, ყველაფერი წინაა. P.S. ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი“.

**ფლამინგო:**

„ძალიან ვწუხვარ. ცუდია, როცა ახლობლებს კარგავ, მაგრამ დეპრესია გამოსავალი არ არის. მართალია, ახლა ადამიანების ნდობა გაგიჭირდება, მაგრამ მაინც, ეცადე, მეგობრები შეიძინო. მართალია, ძველ დაქალებს ვერავინ შეგიცვლის, მაგრამ ახლები დეპრესიიდან თავის დაღწევაში დაგეხმარებიან. შენი გაცნობა გამიხარდება, კარგი ადამიანი ჩანხარ. წარმატებებს გისურვებ!“

**იკუშკები:**

„კლეოპატრა, საყვარელო, მე და შენ დაახლოებით ერთნაირი ტკივილი გვაქვს. მეც დავკარგე ადამიანი, რომელთანაც 21-წლიანი მეგობრობა მაკავშირებდა ანუ მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით, ის კი ბრალს მდებს იმაში, რაშიც აბსოლუტურად არ ვარ დამნაშავე. შექმნილმა მდგომარეობამ ლამის, მეც გამაგიჟა, მაგრამ შევძელი და დეპრესია საკუთარი ნებისყოფისა და საყვარელი ადამიანის თანადგომის წყალობით დავამარცხე. დამიჯერე, თუ საკუთარ თავს თავადვე არ უშველი, ამას სხვები ვერ მოახერხებენ. ბევრს არ ესმის, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა. ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ ფაქტია, ბევრი მეგობრობაზე წინ მატერიალურ საკითხს აყენებს. საკუთარი თავი აიძულე, ცუდზე არ იფიქრო, მერე კი სამსახურსაც იშოვი და მეგობრებსაც შეიძენ, მაგრამ თუკი ინერვიულებ, დიდი ძალისხმევა დაგჭირდება იმისთვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდე. იმედი მაქვს, ყველა პრობლემა მოგიგვარდება და სხვისი გულგრილობის გამო აღარასდროს დაიტანჯები. წარმატებებს გისურვებ!“

**შოკოლადა:**

„ჩემო კარგო, შენი ნამდვილად მესმის. მართლა რთულია, როცა მეგობარი გღალატობს, მაგრამ ადამიანი, ვისაც უყვარხარ და ვინც ნამდვილი მეგობარია, ასე არასდროს მოგექცევა. რადგანაც ცუდად მოგექცნენ, ე.ი. არ ყოფილან შენი მეგობრობის ღირსნი. მალე სამსახურსაც იშოვი და ნამდვილ მეგობრებსაც შეიძენ. აბა, შენ იცი, დეპრესია ძველ წელს გაატანე და ოპტიმიზმით აღსავსემ დაიწყე ახალი წელი. P.S. თუ სურვილი გექნება,

ვიმეგობროთ. ღმერთი გფარავდეს".

**სატანა:**

„მართალია, შენზე ბევრად პატარა ვარ, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრა, რომ თუ ასე მოგექცნენ, ე.ი. შენთან მეგობრობას არც იმსახურებენ. უფლის იმედი არ დაკარგო. წარმატებებს გისურვებ!"

**სანტა:**

„შენი დაქალების საქციელი უნდა „დაიკიდო". ახალი მეგობრები შეიძინე, ეს დარდს დროებით მაინც გაგიქარვებს. სახლში ჯდომით დეპრესია რომ არ დაგეწყოს, გარეთ გადი, მიიხედ-მოიხედე და დარწმუნდები, რომ კარგი ადამიანები ჯერ კიდევ არსებობენ".

**თეთრი/შავი:**

„ჩემო კარგო, ძალიან ცუდია, ეგრე რომ მოგექცნენ, მაგრამ ღმერთი ზემოდან იყურება და ყველას განსჯის. მათ არ სცოდნიათ მეგობრობის ფასი. მჯერა, საკუთარ საქციელს აუცილებლად ინანებენ".

**ჭრიჭინა:**

„ჩემო ძვირფასო, შენს პრობლემებს ძალიან მძიმედ აღიქვამ, არადა, საქმე ასე სულაც არაა. მოდი, თავიდან დავიწყოთ: ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი პაპიკო, მაგრამ რას იზამ, ასაკი თავისას შვრება და ჩვენ ვერაფერს შევცვლით. მთავარია, მის ასაკამდე ჩვენც მივაღწიოთ... თუ იმ გოგოებს არ უნდათ, შენნაირი კარგი (ნუ, არ გიცნობ, მაგრამ მჯერა, რომ კარგი ხარ) ადამიანი ლხინშიც გვერდით ჰყავდეთ, ეს მათი პრობლემაა. ვერც კი ხვდებიან, რომ საყვარელი დაქალი „მიბლოკეს" და მარტო დარჩნენ; ახლა მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი — საღოლ შენ, რომ ჩვენს დროში 2 სამსახური, დროებით მაინც იშოვე. სიხარული, უბრალოდ, გადაღლილი ხარ და ყველაფერს ზედმეტად განიცდი, თორემ ეგრე ცუდად და ხელის ჩასაქნევად სულაც არ გაქვს საქმე. მალე მაგარ სამსახურს იშოვი და იქ ერთგულ მეგობრებსაც შეიძენ". ■

## თინეიჯერები გვწერენ

**რუისპირი:**

„ლიკა, არ მინდა, განვმეორდე და ქალაქელი და სოფლელი ბავშვების განსხვავებაზე ვილაპარაკო, მაგრამ ის, რაც ამ კვირას მოხდა, ამაზრზენია! ყველა ვერთობით, ვტკბებით საახალწლო არდადეგებით და უეცრად, სკოლაში დაგვიბარეს — ოლიმპიადააო! რაც იქ მოხდა, მართლა გულისამრევი იყო. თბილისიდან რამდენიმე ახალგაზრდა ჩამოვიდა, რომლებმაც სოფელი და საერთოდ, რეგიონში მცხოვრები ადამიანები მიწასთან გაასწორეს, რამდენიმე გოგო ცხარე ცრემლით ატირეს... მართალია, მათ არც ჩვენ დავრჩით ვალში, მაგრამ ამის გამო გული ორმაგად გვეტკინა. გულდასაწყვეტი იყო არა შეურაცხყოფა, არამედ დამოკიდებულება ჩვენდამი. ჰოდა, მინდა გკითხოთ, რა გჭირთ? თუ არ ვიცი ვინაა Coldplay-ს სოლისტი, პირველი ვერ ვიგებ და ვერ ვნახულობ რიჰანას ახალ კლიპს, არ ვიცი რა ფირმის ჩანთას ატარებს აგილერა, ე.ი. გოიმი ვარ? არა, ბატონო! სიგოიმედ ის უფრო მიმაჩნია, ძროხაზე რომ იტყვი, უიმე, ვირიაო! მიპასუხეთ, ხალხო, რატომ გაქვთ ალერგია (თანაც, განუკურნებელი) სოფლელებზე? გეთანხმებით, აქ უამრავი „პრიკოლი" ხდება, მაგრამ თქვენს, ქალაქურ „პრიკოლებს" მაინც ვერ შეედრება. ჰოდა, დაფიქრდით, რა. ახლა იტყვით, ეს სოფლელების „ზესელია" საიდან მოვიდაო? მაგრამ რა ვქნა, აღვშფოთდი... და კიდევ, ამ ოლიმპიადას რომ გვიტარებენ, ნება იბოძონ და პასუხებიც შეგვატყობინონ. ხალხი თბილისში ისე დააჯილდოეს, ჩვენი ნაწერები არც კი უნახავთ. აბა, ბავშვებს რა უნდა ვუთხრა, როცა „დიდი მასწავლებელი" ამას აკეთებს? მოკლედ, ჩვენც ხალხი ვართ, გაჩენილი ღვთისაგან და ბაბულასი (კინოფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა") არ იყოს, დახრუკული მზისაგან. ცნობისათვის, ქალბატონი ლაურა ანუ ბაბულას როლის შემსრულებელი ჩემი მეზობელია, ჰოდა, გასკდით გულზე. P.S. ლიკა, ამას ხომ დამიბეჭდავ? თუ შენც დამჩაგრავ ამ სოფლელ ბიჭს? :)".

GOLD GIRL:

„იკუშკები, გენაცვალე მაგ პაწაწუნა ტვინის ნაოჭებში, რომელიც დარწმუნებული ვარ, მრავლად გაქვს. ჭკვიანი ადამიანი ხარ და ამავდროულად, კეთილიც. მომეწონა შენი წინადადება და მეც დიდი სიამოვნებით დავეხმარები მელორს, რათა ძველით ახალ წელს მაინც შეხვდეს შეყვარებულთან ერთად. თქვენ გვერდით მიგულეთ".

**იკუშკები:**

„მელორ, ძალიან გამიხარდა საყვარელ გოგოს რომ ნახავ. სიყვარული ყველაზე ძვირფასი და ულამაზესი გრძნობაა, რომელსაც ვერავითარი ცხოვრებისეული და მატერიალური პრობლემა ვერ დაამარცხებს. დარწმუნებული ვარ, ერთად ძალიან ბედნიერი იქნებით, თქვენი სიყვარული ხომ ყველაზე ლამაზი და წმინდა გრძნობაა... შენი დახმარების სურვილი აბსოლუტურად გულწრფელი იყო და დარწმუნებული ვარ, ცუდად არაფერი გაგიგია. სიმართლე გითხრა, იმ მესიჯის წერისას შენს თავმოყვარეობაზე არ მიფიქრია — როგორც მეგობარს, დახმარება ისე შემოგთავაზე. სხვა დროს რაიმე თუ დაგჭირდება, ჩვენი იმედი გქონდეს. ხომ ხედავ, სიყვარულის სახელით ყველა ადამიანი რომ გამოთქვამს დახმარების სურვილს. დიდი მადლობა დამავოის და ნიბუს თანადგომის გამოცხადებისთვის და საერთოდ ყველას, ვისაც შენი დახმარება უნდოდა, მაგრამ დამესიჯება ვერ მოახერხა. ნამდვილ სიყვარულს ვერავინ და ვერაფერი დაამარცხებს!"

**გადარეული:**

„გოგოებო, ვისაც გინდათ, დაგეხმაროთ, როგორც მეგობარი მეგობარს, ამ ნომერზე: 8(79) 10.68.66 დამიმესიჯეთ. აბა, გელით". ■

# „დაორსულება და ცხოვრების საბოლოოდ დანგრევა არ მინდა"

**ნათიკო,** *17 წლის:*

„ჯარისკაცი გავიცანი. „ლოვეს" 4 თვის წინ გავშორდი, მაგრამ ნიკუშამ თითქოს, ჯადო გამიკეთა... ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ ბიჭი ასე მთლიანად, მთელი არსებით მომეწონა. ის მეუბნება, რომ სერიოზულ ურთიერთობას არავისთან აპირებს, მაგრამ მე არასდროს დამკარგავს... ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ ვილაცაზე ვარ დამოკიდებული, იმ ბიჭის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. თანახმა ვარ, მისი გავხდე, მაგრამ ამავდროულად, მეშინია, რომ მომავალში ეს ნაბიჯი სანანებელი გამიხდება. მინდა ვინმე გამოცდილმა მირჩიოს, როგორ მოვიქცე? ნუ მთხოვთ, დავშორდე, ეს ჩემს ძალებს აღემატება. არადა, არც დაორსულება და ცხოვრების საბოლოოდ დანგრევა მინდა, მე ხომ ტრადიციების მიმდევარი ოჯახიდან ვარ. დამეხმარეთ, ნიკუშას გარეშე ვერ გავძლებ". ■

***P.S. მაშ ასე, თუ ნათიკოს წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

### „დამეხმარეთ თანხით, რათა თბილისში ბინა ვიყიდო"

**სოფო:**

„ლიკ, გთხოვ, გამოაქვეყნე, რა. თინეიჯერებო, გთხოვთ, დამეხმაროთ თანხით, რათა თბილისში 1-ოთახიანი ბინა მაინც ვიყიდო. ოჯახში პრობლემები მაქვს, აქ ცხოვრება აღარ შემიძლია, ცალკე მინდა ვიყო (*არ ვიცი, თინეიჯერები სოფოს დახმარებას შეძლებენ თუ არა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ მესიჯის დაბეჭდვა-არდაბეჭდვაზე დიდხანს ვიფიქრე. — ავტ.*)..." ■



# მობილი-ზაცია

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**



## ქალები

1. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. ვარ 25 წლის, მქვია სვეტლანა, შემეხმიანეთ და შევქმნათ ბედნიერი ოჯახი.

2. მსურს გავიცნო მამაკაცი სულიერი და არა — ფიზიკური ურთიერთობისთვის. მინდა ვინმეს ჩემი ესმოდეს, გვერდით დამიდგეს და დამეხმაროს.

3. გავიცნობ ობოლ ბიჭს, ოჯახის შექმნის მიზნით. სასურველია, ცხოვრობდეს თბილისში. ვარ კარგად აღზრდილი, ობოლი გოგო.

4. თუ კი აქ არის შეძლებული, თავისუფალი, ქალაქელი ადამიანი და, რა თქმა უნდა, სიმპათიურიც, შემეხმიანოს. უბრალოდ, ასეთი ადამიანი მყავდეს გვერდით. სალი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ... საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | a | მ | m | ღ | gh |
| ბ | b | ნ | n | ყ | y |
| გ | g | ო | o | შ | sh |
| დ | d | პ | p | ჩ | ch |
| ე | e | ჟ | zh | ც | c |
| ვ | v | რ | r | ძ | dz |
| ზ | z | ს | s | წ | w |
| თ | t | ტ | t | ჭ | wh |
| ი | i | უ | u | ხ | x |
| კ | k | ფ | f | ჯ | j |
| ლ | l | ქ | q | ჰ | h |



## კაცები

5. ვარ 42 წლის, მაღალი, საკმაოდ სიმპათიური. ვმუშაობ. სამეგობროდ და ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობდი ქუთაისელ ან დასავლეთში მცხოვრებ ქალბატონს.

6. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი, 29 წლის კაცი. ვეძებ ქალს. დანარჩენი — პირადად.

7. ვეხმაურები სვეტლანას. სვეტა, დამიკავშირდი. ვარ დასაოჯახებელი და იქნებ ავაწყოთ ურთიერთობა. პირობითად, ნიკა.

8. ჩვეულებრივი, თბილისელი მამაკაცი, მამაკაცური დადებითი და უარყოფითი თვისებებით, არაახალი ქართული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 35 წლის ქალბატონს.

9. ვარ განქორწინებული, 37 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35-წლამდე ასაკის, განათხოვარ ქალბატონს.

10. გავიცნობ 20-25 წლამდე გოგოს, ლაგოდეხის რაიონიდან. ვარ 30 წლის მამაკაცი. გელოდებით.

11. გავიცნობდი 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ ცოლგანაშვები და მინდა ვიცხოვრო საყვარელ ადამიანთან ერთად.



## სხვადასხვა

• ჩემო ლამაზო, ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ ახალ წელს. ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ხომ იცი, ჩემი საფიცარი ხარ. აბა, შენ იცი, როგორი ყოჩაღი დამიბრუნდები. გკოცნი. სუსუ.

• დათო ბ-ს მარისგან: აი, გწერ მესიჯს და რა მოგწერო, არც კი ვიცი. ნეტავ, რას ფიქრობ? ფიქრისა და ანალიზისთვის დრო ბევრი გაქვს. ჩვენ კარგად ვართ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ, კარგად ვიყოთ. ეგებ გაგვაგებინო ბავშვების ნივთების „მისამართი“? გილოცავთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი იყოს ჩვენი(!) მფარველი. მარი, ნიკა, მაკა.

• ზუგდიდელო ანა ქავთარაძევ, მეგრელო გოიმო, ჩემს სიყვარულს, ვანო აბულაძეს თავი დაანებე! ნუ ცდილობ ამახიო, თორემ მანდ ჩამოგაკითხავ და თმით გითრევ.

• მარ, რა ავარიაში მოყოლილივითაა აჩეხილი ჩემი SMS? პრიამა დამეწვა გულის კუნჭულები. უნდა იყოს: ნაგლო, შუა საუკუნეებში ინგლისმა და საფრანგეთმა შავი ჭირი მოიშორა და მე შენ ვერ მოგიშორე! აგვისტოს ომში რუსებს გადავურჩი და შენ უნდა მამკლა, შენ უნდა მამკლა? :) რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში 450 სახეობის წიწაკა არსებობს და თუ არ დაწყნარდები, ჩემი ენა შეიძლება ყველაზე მწარე ჯიშის წიწაკაზე მწარე აღმოჩნდეს. არც სხვისი კაცები მაინტერესებს და არც მაგ დონის ვარ, 1 ღამით დავუწვე ვინმეს. ზატო, შენ ხომ გხმარობს ყოველღამე შენი საქმრო? ჰოდა, დაწყნარდი. ახლა წადი, ფია ჭამე, სიზმარვიზიას უყურე საზოგადოებრივ მაუწყებელზე და დაიძინე. ნუ იფხორები ინდაურივით. უჟე მაჩვნე შენი დაბალი დონე და დალში, მკიდიხარ. P.K. ASHLEY PCD.

• ნიბუ, გმადლობ, გაიხარე, სიხ. ელექტრა, გაიგონ, რა! :) საკაილლად პრიკოლები არიან, მაგათ ვენაცვალე. გადარეული, სერიოზული მესიჯომანი ვაარ. :) ASHLEY PCD.

• არა მარ, მეც მივხვდი, რომ საიუბილეო ნომერი გქონდათ. :) მგონი ყველა მიხვდა, რადგან ბოლოს და ბოლოს, სტატიას მაინც წაიკითხავდა ხალხი, „გზის“ კულისებში რომ ჩაგვაჭყიტეთ. :) ASHLEY PCD.

• FILIPPO, შენ ნომერში სამი 6-იანი შედის მიყოლებით და ცუდად ვხდები. ბერბიჭ, არ გეკამათები. ეკა09, უტაქტოდ საუბრობ და ვაფშე! სექსი-მექსი და ლანძღვა-გინება ვსოოო, გვეყოო! ASHLEY PCD.

• ბავშვებო, არ გინდათ, მგზავნელები გაზაფხულზე ერთად წავიდეთ ექსკურსიაზე? ბოლოს და ბოლოს, გზავნილკლასი ვაართ. :) 15-15 ლარი დავდოთ და რომელიმე ისტორიულ ძეგლს ვესტუმროთ. შემდეგ კი, ბუნებაში მოვსხდეთ, ვიქეიფოთ, ბადმინტონი, ფეხბურთი და ჯოკერი ვითამაშოთ

და ა.შ. ASHLEY PCD.

• ჭრიჭინა და სკარლეტი გავიცანი. მპა, თქვენ. თოლი, მეც მომენატრე კნუუტ. ეეჰ, მეცა სიყვარულის ბნედა და... დავიტანჯე ბავშვი ეეჰ, მართლაც, რა ყოფილა სიყვარულიიი. ASHLEY.

• ფინტიკოზ, უნდა დაბრუნდე ქალი, მაგას კითხვა უნდა? გენათალე. მპა. უკვდავი ხმა, კრიშა, დეჟავიუ, სუსტი ქალი, ქეთო, ემიგრანტი, პატარა, სანტა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება გზავნილ-იორკში. მაგარიაა! ამდენი ხალხი შემოგვიერთდა! იმედია, 1-2 მესიჯის მერე არ გაქრებით. ASHLEY PCD.

• ეს ლექსი 2008 წლის იანვრის დასაწყისში დავწერე: ნისლიან ფიქრებს ღამეული ზმანება ერთვის, დროის ფაეტონს ჩაუვლია ცხოვრების გზასთან, ბედნიერების გალმა ნაპირას ვილაცა გელის, უბედურების ქარავანს კი ბოლო არ უჩანს... ტყუილი, ცრემლი, ისევ ტკივილი, სიხარულმაც კი ველარ დაფარა, სულს ეუფლება სიცივის ლანდი, მთვარის სონატას უკრავს სატანა. რა საზარელი ღამეა, ღმერთო! იმედიც ჩაკვდა, თითქოს ვნებდები... მე ბრძოლის თავი აღარ მაქვს, იცით?! ანდერძად დაგრჩეთ ჩემი ლექსები. გული სიღრმიდან ამოხეთქილი, კივილი სულის, ცხოვრება ჩემი; თუ დამივიწყეთ, არც მაგას ვდარდობ! ამაღამ უკვე წარსულში ვრჩები... ავტორი მე, ASHLEY PCD.

• ეს ლექსი 2008 წლის 23 მაისს დავწერე და „ბაზალეთის ტბის სერენადა“ დავარქვი. ჰო, სახელი სულელურად ჟღერს, მაგრამ მაინტერესებს, ლექსი როგორია და გთხოვთ, შემიფასოთ. დედაჩემი და მამაჩემი მეუბნებიან, შენ დაუკა, სუფთა ეგეთი ლექსიაო. არადა, მენანება. თქვენ შემიფასეთ და თუ თვლით, რომ ცუდია, ჩორტში გავუშვებ: უკიდეგანო ლაჟვარდს გავცქერი, სევდისფერ მთებსაც მზე ეთხოვება; ბინდდება ღამე, ბინდდება მთვარე, სული მწუხრისფერ ცაზე ბინდდება... ქარის შრიალი ტბის ტალღებს არხევს, არღვევს სიჩუმით მოსილ ზმანებას, სული ისწრაფვის, სიკვდილს მოელის, გული ბერდება, გზა ფერმკრთალდება... სხივი იმედის სადღაც წავიდა და დაიძინა ტბის ფსკერზე ალბათ... სად ანგელოზნი ნანას უმღერდნენ, დიდი თამარის უკვდავ ყრმის აკვანს... გადაღლილია მთვარე დიადი, ღრუბლების ველში დაიდო ბინა, კდემამოსილი ეს ვარსკვლავებიც, უსასრულობას აღარ უკრთიან. მე ჩამასვენეს ყვავილთ მორევში, გამთენიისას სულიც გაფრინდა, თითქოს მზის სხივებს მივართვი სული, სხეული ჩემი ტბისკენ წავიდა... დაინთქა ალბათ უკიდეგანოდ, ფსკერის კუბოსთან თუ დაიძინა... ღამეულ კოშმარს გამოვეთხოვე და ვარსკვლავებთან დავიდე ბინა! ავტორი მე, ASHLEY PCD.

• მარ, ანგელოზო, PLEASE, არ მომირეხო ჩემს ლექსებთან დართული ჩემივე კომენტარები და არც ის, რომ ავტორი მე ვარ. უმორჩილესად გთხოვ. მპა. ASHLEY PCD.

• ვასი, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. მსოფლიოში ყველაზე მაგარი ქმარი ხარ. ბედნიერი ვარ, შენ რომ მყავხარ. სულ ერთად ვიქნებით. პირველად გწერთ და გთხოვთ, დამიბეჭდოთ.

• რა იყო, ევროტურს უყურეე? ეეჰ, ნეტავ რამის თავ(ტრაკ)ი გქონდეს. ნუ ცელქობ, თორემ შენივე აქსესუარს შენი ტაკუცების გემოს გავასინჯებ. :-) უკვე ეკა 09-ც ხარ? მისტერ.

• SWEET-GIRL, ახლა შენი SMS წავიკითხე და ჩამეღიმა. :) უცებ წიწილი წარმოვიდგინე, როგორ უნდა არსებობა და მაგრად შემეცოდა. ეს რაღა თქმა უნდა, ხუმრობით. :) მისს.

• აი, დღენაკლული წიწილივით ურთიერთობა კი ჩემი აზრით ნამდვილი თვითგვემაა... მისს.

• სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ყოველ ხუთშაბათს ვტკბები 9717-ის პოეზიით. მერე რა, თუ თავისი დაწერილი არაა. დაშოშმინდით, საყვარელო მგზავნელებო. მიყვარხართ! მისს.

• კრიშას: სალამი სიხ. ეს მე ვარ მეგრელი და მგონი დაქალში შეგეშალე, ფოთელი ვარ ძვირფასო, მაგრამ თბილისში ვცხოვრობ. შენ სად ხარ? გამეცნობი? იდუმალი ქალი.

• რუსთავიდან მოვიკითხავ ჩემს ბიძაშვილებს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში, მანანა და მაკა ლაბაძეებს. გოგოებო, მომწერეთ ამ ჟურნალში. ზურა.

• ბერბიჭ, დედას ავუსრულოთ სურვილები საახალწლო, ქვეყანაზე პაწაწინა ბერბიჭები გავამრავლოთ, კაბითაც და უკაბოდაც შენი ვარ და არ დამკარგო. გაკოცეეე... ცხრათვალა.

• ჩემო მომხიბველო პარი, ზურგი მებურძგნება იმის წარმოდგენისას, რომ 17 იანვარს საგამოცდო ციებ-ცხელებაში ხარ და შენს დაბადების დღეს ვერ აღვნიშნავთ. გილოცააავ. ელექტრა.

• მარი, ძვირფასო, იმდენად მაოცებს შენი ნიჭი და ენერგია, არც კი ვიცი, როგორ მოგმართო, რომ გამოვხატო ჩემი მოწიწება და სიმპათია შენდამი. მაგარი ხარ და მაგრად მიყვარხარ.

• ჩემი მონატრება, ლამაზი ოცნება, რა ნაზად აყოლილა ქარს, წუთითაც არ იფიქრო, რომ ჩემზე მეტად, ვინმეს ეყვარები სხვას... მიყვარხარ, გიო მანწკავა. შენი პატარა ნიიი.

• ჩვეულებრივი ტვინი მაქვს და ნუ ალმიქვამ ზენიტად, წმინდა გიორგი გფარავდეთ ყველა გულმხურვალ ემიგრანტს. მადლობას გწირავ ხათუნავ, შენ დაგეჯიგროს ენიგმა! გაიხარეეე.

• თოლი, ჩვენ გაბუტულები ვიყავით? არ მახსოვს. იდუმალო ქალო, მადლობელი ვარ ღვთაებრივო, მოწონებისთვის. ნიბუ, თამადობამდე ჯერ სტუდენტობა, პარი უფრო თავმდაბალია. ბერბიჭა.

• საოცარი ტვინი გაქვსო? რა საოცრად დამიყვავეს? ხათუნამაც, ემიგრანტმაც, გული მაგრად გამიხარეთ. რა სითბო გაქვთ ქართველ ქალებს, ქართულ სულში გენაცვალეთ. თქვენი ბერბიჭა.

• მოგესალმებით მგზავნელებო და სიყვარულით მოგიკითხავთ. მაპატიეთ, თუ სათითაოდ არ დაგასახელებთ, მაგრამ მერწმუნეთ, ყველანი მახსოვხართ და თქვენთან ვარ. ყურადღებით ვადევნებ თვალყურს „გზას“. FILIPPO, ძაან კარგი ხარ, გაიხარე, ჩემო კარგო, კარგ ხალხს გულით ვაფასებ, ყველას გეფერებით. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. იდუმალი ქალი.

• რა არის რა, ვინც კი მიყვარს, ყველა უცხოეთში მიდის. ჩემი აქ მყოფი მეგობრების სია კიდევ 1-ით შემცირდა. :( მილე და დიკო ვერ მოვინელე და ახლა გიომაც დამტოვა. ეეჰ. თან დაქალიც მეუბნება, 1 წელში მეც მივდივარო. რა უბედური ვაალ. გული მტკივაა. :( ASHLEY PCD.

• ვაი, დედიკოო. ჩემს ლოგინზე შეყვარებული ვაარ. :) ნეტავ იცოდეთ, რამდენ ხანს მძინავს, მარტო იმიტომ, რომ ლოგინიდან არ ავდგე. :) მცივა და... :) ASHLEY PCD.

• აუ, ეს მშობლები რა კომუნისტები არიან, რა! სამოსის რეკლამებში მიღებდნენ და არ გამიშვეეს. :( ASHLEY PCD.

• მას მერე, რაც ჩემი პატარა პრინცესა, პუჩიტო დააბრუნა დედიკომ ჩემს ოთახში, ისევ ჩემი შავი ბეწვის გორგალი იქცა ჩემს „ბუძილნიკად“. :) თათებს მანამდე მირტყამს საწოლზე და მანამ მქაჩავს საბანს, სანამ არ გავიღვიძებ. მერე კი ბუნებას თავანს ჩააბარებს და 12-მდე სძინავს. მე კი დამიფრთხო ძილი. :) ნაგლასტ, კაკოეტა. :) ASHLEY PCD.

• ბერბიჭ, შენი კაფიები ხან მაბრაზებს, ხან მაცინებს, ღამეა და უკაბოდ ვარ, მოდი, არსად გაგიბაზრებ. 9 თვის მერე 9 თვალამდე ჩემი გოლფით მიგაბრძანებ. ცისია. ჩაგკოცნეოო.

• იდუმალ ქალის ალერსმა სისხლი მიდუღა ვენაში, ამ ემიგრანტმაც დაგლიჯა, რწმენა შემმატა წამებში, იქნება თქვენ დამეხმაროთ, ბერბიჭას მორჯულებაში? ჩაგეხუტეთო. ცისია.

• ვალერი მამასახლისო, კლასელებმა გაგწირეს და ციხისთვის გაგიმეტეს. დამნაშავე სოფელში დადის. მაგრად იყავი, ღმერთი გფარავდეს. ახალქალაქი. მოკითხვა უბნისგან.

• ვალერი მამასახლისო, დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ ჯანმრთელობას. იმედი არ დაკარგო. როგორ გაგიმეტეს ამხანაგებმა ციხისთვის? ვალერ, უდანაშაულო ხარ. მენატრები. ია.

• მეც მინდა გითხრა ერთი. მართალია, ადამიანში ადამიანურმა არ უნდა გადაწონოს ღვთიური, ბოდიშის მოხდა და აღიარება კი უფრო ადამიანურია, ვიდრე შეცდომის ჯიუტად დაცვა.

• მარი, გამარჯობა, უკარგესო. მობეზრებული გაქვს ალბათ ვირტუალურ თაყვანისმცემელთა ლაითმესიჯები. რა ხარ ამნაირი ჭკუის პატრონი? ასეთ საოცრებათა წრეს როგორ კრავ?

• თანხა იოხ, საყვარელო. დოლგოიგრაიუში მესიჯებმა გამაკოტრაა. სორრყ, ვერ დაგირეკაააავ!!!

• მე ახალი ვარ მინდა, ყველას მოგვიანებით მივულოცო ახალი წელი და შობის დღესასწაული. მინდა თქვენთან მეგობრობა. გამომეხმაურეთ, სპაისი.

• ASHLEY, ჩემსა და შენს შორის ის სხვაობაა, რაც ქალწულსა და როსკიპს. საქმრომაც იმიტომ მიგაგდო. ბერბიჭ, ეგ უზრდელი ნერვები გღალატობს. ასათიანზე შველიან. ნაგლი.

• 9717, ძამი, მეც ეგ ვთქვი, რომ ეგ ტაში სხვა პოეტებს ეკუთვნით. სიაში გორგანელის პოეზია გამოგრჩა. ჩვენ კი შენეული ლექსები და ჩანახატები მოგვენატრა. მა-ნია-კი.

• 9717, არ იდარდო ზოგიერთების ნაბოდვარზე. თქვენი შურთ და ბოლმა ალაპარაკებთ. ძალიან მსიამოვნებს შენი გზავნილების წაკითხვა. მართლა გამორჩეული ხარ, გაიხარე. ფლამინგო.

• რამდენიც გამახსენდები, იმდენს ვტირი. ძალიან გვჭირდები, ძალიან გვენატრები. თავს გაუფრთხილდი. ელენე.

• ვალერი მამასახლისს: როგორ ხარ? ყველას ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. გაუძელი, იმედი არ დაკარგო. ღმერთი შენკენაა. იმედია, მალე გნახავთ. შენი დეიდაშვილი, ანა.

• ბერბიჭა, საოცრად ნიჭიერი ადამიანი ხარ. ძალიან გაფასებ. წარმატებები მინდა გისურვო. ასე გააგრძელე. „გზავნილების“ სახე ხარ. თეთრი ყვავილც კარგად წერდა, მაგრამ შენ მაინც ვერ შეგედრება. თიკუნია999.

• ჩემი მარიამული როგორ მყავს? :) მარ, წინა კვირას ვერ მოგწერე და ვერ წარ-

მოიდგენ, სინდისმა როგორ შემიკიკინა. :) ვერ ვიტან, რომ არ გწერ. :) ლომკა მაქვს უჟე შენზე, „გზაზე“ და „გზავნილებზე“.

• აუუუ, მარ, ფინტიკოზას უთხარი რა, რომ დაბრუნდეს, თორემ გავაფრენ, ისე მომენატრა! :)) ჰო, მაგრად ვიცინი ხოლმე, ჩემს სავარაუდო ვინაობაზე. ეჰ, რას ვიზამთ, ცოდოა ხალხი... ფეშენ, გენაცვალე, შენ ვისაც სულით სოფლელს ეძახი, მე შეგნებაგარღვეულს ვუწოდებ. ძალიან მიყვარხარ და იმხელა პატივს გცემ, კარში რომ ვერ შეატევ! :)) თეთრი ყვავი.

• მააარ, „გზის“ გამოწერა მინდა მთელი წლით და ჩემი მარკო-პოლოობით როგორ მოვახერხებ? მომწერე რააა... გაკოცე, დედუცი... SWEET GIRL.

• ოჰ, სპეცნაზ, რა ხარ, ვინც არ გიცნოოოობს?! მომეწონა ASHLEY-ს და ფეშენას განმარტებები ტერმინზე, რომელსაც ვერ მიმიხვდი და ძაან ვწუხვარ... კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ტყუილად კი არ უთქვამთ. SWEET-GIRL.

• CRAZY, როგორ ხარ, საყვარელო? მომენატრე, ქალუკ. დამავოი და ფეშენა ჩემი ფავორიტები არიან. გენაცვალეთ, გოგონებო! მიყვარხართ გუუულში. SWEET-GIRL.

• ნინი შერმადინს დიდი მადლობა, ჩვენი ასეთი მძიმე დღეების გალამაზებისთვის. ნანიკო ხაზარაძე! დაათვალიერე საბერძნეთში მიმდინარე კონკურსის ვებგვერდი და თქვი კიდევ, ნინი ყნიჩოაო. შენი ყველა გადაცემა ხომ ხელოვნების ნიმუშია?! ნინიმ ყველას გააცნო ჩვენი ქვეყანა. კიდევ უფრო დიდი წარმატებები, ჩვენო სიამაყევ! მაია.

• სუპერსთარი და მაესტრო რა სიმპო ბიჭები ყოფილან?! სანტა.

• მინდა მოვეფერო ყველა ემიგრანტს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ჩემო კარგებო, გფარავდეთ უფალი, ყველგან და ყოველთვის. მოგმადლოთ სიძლიერე, რომ გავუმკლავდეთ და სულიერი ტკივილი, რასაც სამშობლოს მიწა-წყლის და ახლობლების მონატრება ჰქვია, გადაგეტანოთ. მე თითოეული თქვენგანის განცდა წარმომიდგენია. წარმომიდგენია, რის ფასად გიჯდებათ ოჯახისგან შორს ყოფნა. დაე, დასრულებულიყოს ეს გოლგოთა, დაე, მზე გაცისკროვნდეს თქვენს ცხოვრებაში და აღარ გქონოდეთ მწუხრის იერი, გაბაცებული ფერები. მე მინდა მჯეროდეს, რომ დადგება დრო, ივერიის გაბრწყინების და ქართველს აღარ დასჭირდება ფესვებს მოწყვეტა. იდღეგრძელე საქართველოვ, აწ და მარადის. გფარავდეთ უფალი. მემე.

• როგორ ხარ, მარი? აუ, რას ვგავართ ამ სურათებში მე და მაესტრო. მე განსაკუთრებით, გობლინს ვგავარ. მოვიკითხავ ყველას. ყოფილი თავზეცეცხწაკიდებული, სუპერსთარი.

• სიყვარულის არასოდეს მჯეროდა. არ ვიცოდი, როგორ უყვარდებოდათ. ჩემი გული მარტო როცა მეგონა, თურმე ამ დროს ვიღაც უყვარდებოდა. გულის ტკენა, ეგ მეც ვიცი რაც არის, სიყვარული დაგტანჯავს და გადაგღლის, მეც დამტანჯა და ატანა რთულია, შედეგი კი მკაცრი სიყვარულია. უნა ნანუ, მიყვარხარ.

• პაწუ17, სად დაიკარგე? ათინა55, სად ხარ? ათენში ხარ? შემეხმიანე, მე ათენში ვარ. ა, ჰო, მართლა, მინდა, საბერძნეთში მყოფ მგზავნელებს ვუთხრა: შევიკრიბოთ სადმე, გავიცნოთ ერთმანეთი. მარი, ძალიან გაფასებ. მინდა, მალე გაგიცნო, მაგრამ თუ საქართველოში არ ჩამოვედი, ისე როგორ იქნება, ჰა? მენატრებით. თიკუნია999.

• ASHLEY PCD, მაგრად გაფასებ და არ მეგონა, სოფლელებზე (ბოდიში, ცუდად თუ ვწერ) ასე ცუდად თუ ფიქრობდი. რა მნიშვნელობა აქვს, სოფლელი ხარ თუ ქალაქელი? მთავარია, ადამიანი იყო და გული გქონდეს კარგი. არ მეთანხმებით? თიკუნია999.

• ბერბიჭავ, შენი სახელობის სასწავლებელს საბერძნეთში ფილიალი აქვს? სწავლა მწყურია, დალევაზე მეტად! თიკუნია999.

• ბერბიჭა, მომეწონა შენი განცხადება, სასწავლებლის თაობაზე, მაგრამ რა ვქნა, როგორ გამოგიგზავნო ერთი მოსწავლე იტალიიდან? მას აქვს ერთი ნაკლი, ის ქალია, მაგრამ თუ შენი სასწავლებელი დიდხანს იარსებებს, ერთი წლის მერე შეგიძლია, გამოცდა ჩაიბარო ნაღდი ათენური ღვინით და სუფთა ქართული სუფრით (დედიკო, იმედია, არ გამიბრაზდები. შენი გადარეული შვილი). იტალია.

• მარი, როგორ მიყვარს „გზავნილები“, მაგრამ ვერ გწერ ხოლმე. უამრავი რამ მინდა მოგწერო. ჩემი ცხოვრება სრული ქაოსია. არც კი ვიცი, ვის გადავუშალო გული. ვერავინ გამიგებს. შ.69.

• მომენატრეთ, მგზავნელებო. დაგიბრუნდით, თუმცა აღარ ვარ მარტოსული. მომენატრეთ. ნესუკა.

• სოფიიი, მიყვარხარ ძალიან, ჩემი სიხარული ხარ. რა თქმა უნდა, ეს სოფი SONY არის. ნესუკა.

• უსასრულო ლოდინი, ამის მეტი არაფერი დამრჩენია... ლოდინი... სხვა არაფერი, მონატრება, შორეული ოცნებები და მეტი ისევ არაფერი. ნესუკა.

• მგზავნელებო, ყველას ძალიან, ძალიან დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ. ოლე, მაესტრო, 9717, ბელო, ნესუკა, აბეზარა, სევდიანო ქალო, უმაგრესი ადამიანები ხართ. ოლე, გმადლობ, რომ სითბოსა და ყურადღებას არ მაკლებ. კარგი ადამიანი ხარ. იმედია, ოდესმე შენც და ლიკუნასაც გაგიცნობთ. სო-ნი.

• ეკა09, შენ ვინ უნდა მიპეპლო? იქეთ თუ მიგპეპლავენ. გადარეული.

• შენ ქარიშხალი გინახავს ზღვაზე? მოგისმენია ღრიალი ზღვისა? ტალღა ბრაზდება საკუთარ თავზე, როცა სიყვარულს უცქერის სხვისას... იცი, რად არის გაბრაზებული, რად ახლის ნაპირს ტალღებს ქაფიანს? ზღვასაც ჰყოლია შეყვარებული და მერე რწმენა დაუკარგია. საკუთარ ტალღით მოუკლავს თურმე, საკუთარ გულში ჩაუმარხია და ახლა, როცა ბინდდება ზღვაზე, როცა სიყვარულს უცქერის სხვისას, საკუთარ სატრფოს იგონებს სევდით და ეს ღრიალი დარდია ზღვისა. სოფი19.

• ცოტას დაიცდი, მერე წავალ წვიმის კვალდაკვალ... დღეს თუ არ იცი, ხვალე გაიგებ, როცა დამკარგავ, რა იყო ჩემში ასე ცივი, რით შეგაშინე, შენკენ სავალი ბეწვის ხიდიც არ შემარჩინე. ცოტას დაიცდი, სანამ წვიმის გავა სურნელი, ნუღარ განიცდი, პატიებას ჩემგან ნუ ელი, ცოტას დაიცდი, მერე წავალ წვიმის კვალდაკვალ, ნუღარ განიცდი, ხვალ ხომ უკვე მართლა დამკარგავ. სოფი19.

• ოდესმე სულ მარტო თუ დარჩენილხარ, საკუთარ გრძნობებთან ხელჩართულს გიბრძოლია, ვინმესთვის უმიზეზოდ გული თუ გიტკენია, ხანდახან დაფიქრდი, თავი ვინ გგონია? შენ გესმის რას ჩურჩულებს თეთრწვერა მოძღვარი? გესმის, როგორ ტირის აკვანში პატარა? ოდესმე წაგიკითხავს წირვაზე ლოცვანი? გიგრძნია, როგორ თრთოდა ბნელეთში სატანა? მოხუცის დაკოჟრილ ხელებით ნაქსოვი წინდები, ჩაგიცვამს ოდესმე ყინვიან ზამთარში? მაშინ შეიგრძნობდი სითბოს და სიყვარულს, სიცოცხლეს იგრძნობდი საშინელ ავდარში. დედის ცრემლებით ნაამბობი ლამაზი ზღაპარი, მინდორში ეულად ამოსული ლურჯთვალა ია, სულში დანთებული სიყვარულის კაშკაშა ლამპარი, ეს თუ შეიგრძენი, მაშინ გიხაროდეს, ადამი გქვია... მაესტრო.

• იჯდა მდუმარედ ცხელ ბუხართან ლამაზი ქალი, გარეთ კი თეთრი ფანტელები თოვდა და თოვდა. იყო სიჩუმე, მოგონება, ფიქრები მკრთალი, ყინავდა, ქარი გაბუტული ზუზუნით ქროდა... თუმცა იცოდა, არასოდეს დაბრუნდებოდა, მაინც ელოდა, უსასრულოდ ძლიერ ელოდა და რომ ეთხოვა, მის ლოდინში დაბერდებოდა, თოვდა თეთრად და უსასრულოდ, სულში ბნელოდა... ფარდა გასწია, სოფელს გახედა, უცებ ჩაფიქრდა, თეთრი ფანტელის ქარისაგან იდგა ქაოსი, კვლავ მოაგონდა წარსული და წამით გაფითრდა, ბოლმა მოაწვა ამ დაწყევლილ სააქაოსი. მერე ფიფქები გაიფანტა დაბურულ ცაზე, ქრებოდნენ ისე, როგორც ჩვენ ვქრებით ცხოვრების გზაზე, დგებოდა ღამე, მოლოდინით, უსაზღვროდ ვრცელი და მოდიოდა მის გარეშე ახალი წელი. მაესტრო.

• ეჰ, მარი, რაღაცის მოწერა მინდა, მაგრამ რა მოგწერო? თემა ისევ არ ვიცი. მგონი ხუთშაბათს გზავნილფართიზე არ შემიშვებენ. არ გამიმეტოთ, რაა. კლეოპატრა.

• შენ სხვა ხარ, შენი მსგავსი ვინ არის, შენ ზღვა ხარ, შენ ხარ მდინარე, იასამანი სულია ჩემი, შენ ხარ სული, ჩემი იასამანი... ვარდებიც დამჭკნარაა... რა ცუდია. 9717.

• მაესტრო ასეთი პოპულარული მგზავნელია, ასე ხშირად რომ გვანებივრებთ მისი სურათებით?

• ხალხოო, მებაღეებს ნუ გაუშვებთ, მათ თავიანთი ვარდები ძალიან უყვართ და გული სტკივათ, თუ შემდეგ სხვა უვლის მათ ვარდებს. მებაღეებიც მესაკუთრეები არიან, თურმე... 9717.

• მოგესალმებით, მგზავნელებო, ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს. ეს წელი ჯანმრთელობის, სიხარულის, სიყვარულის, გამრავლების, გახარებისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს. ხომ ყველა კარგად ხართ? მე ცოტა პრობლემა მქონდა და ვერ გწერდით. დიდი მადლობა, თიკუნია999, მე კიდევ მოგიკითხე. ხალხო, დავიღალე ამ გიჟებთან, ჩემს სახლში მინდა, მაგრამ ვინც მიყვარს, ათენშია. ხალხო, რა ეჭვიანი ვარ, არ იცით. ვაფშე მაგარი. გკოცნით დაღლამდე და გაგუდვამდე. ათინა55.

• საყვარელო მარი! თქვენი ჟურნალის მე-500 ნომერთან ერთად გილოცავ ახალ წელს! „გზა“ მართლაც რომ ძალიან კარგი ჟურნალია შინაარსით, აქტუალობით და მგზავნელებით. შენი თავიც ამ ჟურნალმა შემაყვარა. გახსოვს, მოგწერე ლექსი „ჟურნალში ჟურნალი შობე“. როგორ მშურს მათი, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შენთან შეხვედრის ბედნიერება. სანატრელად მაქვს გადაქცეული ჩაგხედო მაგ ლამაზ თვალებში. შენი ფოტოც დამაკმაყოფილებს. მიყვარს ჟურნალი „გზა“, მასში დაბეჭდილი შენი და სხვა ჟურნალისტის მოთხრობები გაგრძელებებით და მგზავნელები. გმადლობთ, რომ კარგები ხართ. მკითხველებს გულს გვიხალისებთ თქვენი ნიჭის არომატით შეზავებული, არაჩვეულებრივი მოთხრობებით. ნანი დუმბაძე.

• ახალგაზრდა ბებიავ, მე ვიღაც კი არა, სულით ქართველი ვარ. მესიჯი იმიტომ მოგხვდა გულზე, რომ შენნაირების მისა-

მართითაა დაწერილი. ადამიანური მოპყრობა გვინდა და არა — ქალბატონობა.

• ლეგენდა არის, ლეგენდა დადის, ლეგენდად იქცა დღევანდელობა, ლეგენდა არის, აბა რა არის, ქართველს რომ არ სურს დღეს ქართველობა... არ მესმის მათი, ვისაც, ევროპისკენ მიუწევს გული. ბოზობაში კი არა, პატიოსნებაში უნდა იყოთ მიმბაძველები. უხეში გამოთქმისთვის მაპატიეთ, მაგრამ გული მტკივა... მარ, დამიბეჭდე, გთხოვ. აზრზე მოდით ხალხო! მარტოსული.

• მინდა მადლობა გადავუხადო სატანკო ბატალიონის ჯარისკაცს, FILIPPO-ს იმისთვის, რომ ჩემს მესიჯს გამოეხმაურა და სამართლიანად შეაფასა, რომ არავის ვერჩი და უსამართლოდ მლანძღავენ, „გზის“ ყოველ ახალ ნომერში. ღმერთმა ამრავლოს ასეთი სამართლიანი, ქართველი ახალგაზრდები და მშვიდობიან საქართველოში ეცხოვროთ. ქართველ ხალხზე შეყვარებული, ოსი ლია.

• გოგონების საყურადღებოდ: ვინ გამოიცნობს? ხან არის მოკლე, ხან არის გრძელი, გამოსაცნობად არ არის ძნელი. რა არის? გადარეული.

• გამარჯობა, ხალხოოო, გილოცავთ ძველით ახალ წელს. ახლა მე და ბიძაჩემს პაპა გაგვახსენდა და ნეტავ ნახოთ, ნიაგარას ჩანჩქერი გეგონებათ, ჩვენი ცრემლები. ისე, რას შვრება ეს სიმთვრალე, ჰაა? არა, პაპა კი მართლა მოგვენატრა, მაგრამ მაინც ეს ღმერთების სასმელი ბევრ რამეს შვრება, როგორც უნდა, ისე აგაჭიკჭიკებს. გაკოცეთ. თქვენი კლეოპატრა.

• ეჰ, მარიი, ნეტავ ახლა ცალი თვალით დამანახვა „გზა“. სოფელში ვარ. ყველა დათვრა და თავის სტიქიაშია. მე ვზივარ ღუმელთან და უსაქმურობით ვკვდები. დედა ალბათ უკვე წაიკითხავდა ყველაფერს. დეე, ჩართე ბლუთუსი და გამოუშვი რაა, „გზაა“. გაკოცეთ. კლეოპატრა.

• მარი, ამ წუთას როკო, სკარლეტი და კოზანოსტრა ვნახე, გული დამწყდა, რომ დიდი ხანი ვერ დავრჩი მათთან ერთად. ცხელ-ცხელზე გწერ ახლა ამ ამბავს. მგზავნელებო, ჩემს გზავნილს რომ კითხულობთ, დღეს ბათუმში ვბრუნდები და არ უნდა გამაცილოთ? მოვიკითხავ დიდი სიყვარულით იდუმალს, სევდიანს, გრუზის, ლუნას, ოლეს, კამის, ტირიფს, მგზავრს, შეწირულს, ბერბიჭას, მებალეს, ლიმონას, პარიჟანკას, აბეზარას, ეშმაკუნას, ჭრიჭინას, მეს, FILIPPO-ს, მაესტროს. იმ დღეს შემთხვევით სუპერსთარს ფეხი დავაბიჯე და ძირი აეხა ტუფლის. მაპატიე ძამიკო. ვინც გამომრჩა, მომიტევეთ, ყველანი ჩემს გულში ხართ და ძალიან მიყვარხართ, ჩემო სიხარულებო. გკოცნით ბევრს. თქვენი ქალი ცდუნება.

• ცხოვრება თურმე მართლაც სიურპრიზებით ყოფილა სავსე. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა (თუმცა არა, მიუხედავად ყველაფრისა, ახლაც მიყვარს). ის ისეთი თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი იყო... ეჰ, გამოდის, რომ მწარედ შევცდი. დღეს მისი ცოლი ვარ და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხვა ადამიანის ცოლი ვარ. ერთი ხელის მოსმით გაქრა ყველაფერი... ის სინაზე, სითბო, სიყვარული და დარჩა მხოლოდ ფიზიკური და სულიერი შეურაცხყოფა. ახლა უკვე ვხვდები, რომ ბედნიერება არ არსებობს. არადა, როგორ მეგონა, რომ უბედნიერესი ქალი ვიქნებოდი მის გვერდით. ერთადერთი, რაც მაძლებინებს და სტიმულს მაძლევს ამ სამყაროში, ჩემი პატარა ანია, რომელიც სულ რაღაც ერთ თვეში მოევლინება ქვეყანას და გამაბედნიერებს. P.S. ასეც ხდება ცხოვრებაში.

• ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს, ქალს მუდამ რაღაც მოჰყვება მზითვად, პირველი კოცნის მხურვალე ალი, ვნებით ნათქვამი პირველი სიტყვა. ქალის გაგება ძნელია, ძნელი, რაღაცას მალავს ყოველთვის ქალი, გაუშტერდება ხანდახან მზერა და წარსულისკენ გაურბის თვალი. ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს, ქალს მუდამ რაღაც მოჰყვება მზითვად, ან გაყვითლებულ, გაცრეცილ ბარათს, ან წიგნში ჩამჭკნარ ყვავილებს მინდვრის. ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს და დარდში გადის ჟამი ზოზინით, თვითონაც უცხო და შორი მარად, იდუმალების ბინდით მოსილი... გილოცავ, მარ, ძველით ახალ წელს, შემოგევლე. 9717.

• ათენის საავადმყოფოს ფანჯრიდან ვიყურები. დღეს ძველით ახალი წელია საქართველოში. ცა ღრუბლებითაა დაფარული. ისე დაბლაა, მგონია, მეოთხე სართულის ფანჯარას გავაღებ და ხელით მიწვდები. თითქოს სადაცაა, თოვას დაიწყებს, მაგრამ აქ ხომ არასდროს თოვს. ასეთ დროს იქ იწყება თოვა, სადაც შენ ხარ, სადაც ასე ლამაზი და დიდებული ციდან ცეკვით წამოსული ფანტელები, თოვლში დადგები, ზემოთ აიხედავ და ხედავ, როგორ ლამაზად ცეკვავენ ფიფქები, გესმის, როგორ საოცარ მელოდიას უკრავს უხილავი კომპოზიტორი და შენ ცაში მიფრინავ, მთელი არსებით გრძნობ ამ სიდიადეს და შენ მისი ტყვე ხარ, ბედნიერი ტყვე... მერი! მესმის ჩემი ქალბატონის ხმა და ისევ აქ, საავადმყოფოს პალატაში ვბრუნდები, თვალს ვახელ და დაგუბებული ცრემლი გზას პოულობს. უხმოდ ვტირი. ჩემს ქალბატონს არ უკვირს ჩემი უმიზეზო ცრემლები. მან იცის, რომ მხოლოდ ქართველს ენატრება ასე თავისი ქვეყანა და ეს მონატრებაა, მწარედ რომ გვატირებს...

• ვიცი, დადგება ის დრო, როდესაც შემიძულებ და მიმატოვებ, მე ამისთვის მზად ვარ იცოდე, წინასწარ მინდა ეს მიხაროდეს. მე ველი იმ დღეს, ძვირფასო, როცა შენ მოხვალ ჩემთან და მეტყვი ამას: უნდა წახვიდე აუცილებლად, რადგანაც უკვე სხვისი დრო დადგა! და თუკი ადრე შენ იყავ ჩემთვის, ყველაზე დიდი ფიქრი და ნატვრა, გთხოვ, მაპატიე, რადგანაც უკვე, იმ გატაცებამ გადამიარა... მომეძალება ალბათ იმ წამში შურიც, ცრემლებიც და სინანულიც, მე შეიძლება ავტირდე მაშინ, გამოვიგლოვო ის სიყვარული. მოახლოვდები, ხელს ჩამომართმევ, გულგრილად მეტყვი სიტყვას — მშვიდობით, ერთ თბილ კოცნასაც ვერ გაიმეტებ, თვალებს დახრი და გადგები შორით. მაშინ გეტყვი, რომ მსურს, შეგიძულო, რომ მინდა მშურდეს მორიგი მსხვერპლის, მაგრამ რა მომდის, ოჰ, ღმერთო ჩემო, მაინც მიყვარხარ და მეცოდები. თუმცა, რა მეთქმის? მე დავაშავე! რას გსაყვედურობ, საკითხავია, თუ შენ ტყუოდი და ვერ მიგიხვდი, რას იზამ, ეს რა შენი ბრალია? სულ, სულ პირველად როცა გითხარი, რომ სამუდამოდ შენთან მოვედი, მე შევცდი, უნდა მივმხვდარიყავი, მუდამ კი არა, გსურდი დროებით. მაშ წადი ჩემგან, არ გწყევლი, გლოცავ, არაფერს ვნანობ ახლა სრულებით, დაგთმობ ძვირფასო და უშენობას, ალბათ როგორმე შევეგუები. შენ წახვალ სხვასთან და დამივიწყებ... დაგავიწყდება ჩემი ალერსი, მინდა იცოდე მიყვარდი ძლიერ, ისევ მიყვარხარ და მეყვარები! 9717.

• გემშვიდობები, გახსოვდეს ოღონდ, სიმწარე მარად ჩემი ხვედრია, მტოვებ გათელილს და სულით ობოლს, რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია. არ გიყვარს ბაირონი, მარ? დავთვერი, მარ...

• ეს ბოლო კვირებია, ვკითხულობ და თემაზე მოსაწერი არაფერი დამრჩა, ახლაც თემაზე არ გწერ, მაგრამ დაობდა ჩემი ტელეფონი „გზავნილებში“ დაუმესიჯებლად და რა მექნა? :-) პირველ რიგში მინდა ჩემი შექმნილი სადღეგრძელო მოგაწოდოთ, აქ ხომ ბუმი გვაქვს სუფრებისა და სადღეგრძელოების! მოკლედ, მეგობრებო! მოდი, გაუმარჯოს სამ რამეს ერთად: ტკბილ მოგონებებს, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას ჩაუმქრალი ლამპარივით მიჰყვება მუდამ, ტკბილ რეალობას, რომლის გარეშეც არაფერია დღევანდელი დღე და რომელიც ხვალ ახალ ლამპრად აინთება, ტკბილ იმედს გაუმარჯოს, ჩვენს მომავალს, რომელიც ერთხელ ალბათ აუცილებლად გადაიქცევა ტკბილ რეალობად და მერე ისიც აინთება ლამპრად! ეს ჩემგან, ერთი დასალევი სადღეგრძელო მგზავნელებს. ჰო, კიდევ ერთი სურვილი მაქვს, რა იქნება, მეც ვიცნობდე მგზავნელებს? ეჰ... თქვენი დავიწყებული პატარა მავნე.

• ენიგმა, შენი მესიჯი მივიღე, მაგრამ დამესიჯება ველარ მოვახერხე. ასე რომ, როცა ამას წაიკითხავ, მე უკვე თბილისში ვიქნები. დაგირეკავ. ალინა.

• ოი, მარ, გამიცრუე იმედები. :) ყველას სათითაოდ რომ მიულოცე ახალი წელი, ჩემთვის ძველი მაინც მოგელოცა. :) თუ მე ზანგი ვარ? :) არა უშავს, ერთხელ შენთვისაც დავთვრები. :) ფეშენა.

• ნატალიზე რომ დავწერე წინა ნომერში, იცით, რა ქნა? ლობიოს მოხარშვა გადაწყვიტა. თქვა, ნახევარს სირსველად მოვხარშავ და ნახევარს ამოვზელო. ჰოდა, 2 ქვაბით დადგა ლობიო. :) ამის მერე მოდი და თქვით, სვანობა ცხოვრებისგან ნაჩუქარი შანსი არააო. უკვდავი ხმა.

• მაგარი იყო, პარიზში რამდენიმე მგზავნელთან ერთად რომ ვიყავი. თავზე დავიმხეთ მთელი ქალაქი. სიმღერაც კი ჩავწერეთ მგზავნელებზე. :) რა იყო, გგონიათ, გატყუებთ? არა. უბალოდ, ეს ის სიურპრიზი იყო, რომელიც ცხოვრებამ კი არა, სიზმარმა მომიწყო. რა კარგი იქნება, ეს სიზმარი რომ ამიხდეს?! გიჟუნიებო, მიყვარხართ ძალიან. მერე რა, რომ ზამთარია? :) გენათალეთ. უკვდავი ხმა.



## გილოცავ!

• გოგიტა მაჭავარიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ბარაქასა და წინსვლას, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. ციური.

• თაკო ყურაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან და ყველა კარგ ადამიანთან ერთად. ულევ ბედნიერებას გისურვებ. უფალი გფარავდეს.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ვიკის ვულოცავთ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოაკლოს. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს.

• მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 20 იანვარს. გისურვებთ ყოველივე კარგს. სულ გახარებული გვენახე. მალე შევხვდებით. გკოცნის შენი ლაკო და ქეთი.

• ჩემს ადამიანურ სიმარტოვეში ზეციურმა ანგელოზმა შემოაბიჯა და ჩემი სიყვარულით ისიც გაადამიანურდა. მას ამ გაადამიანურების ანუ დაბადების დღეს ვულოცავ. ენიგმა.

• მარ, გილოცავ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს, მგზავნელებთან ერთად. შოკოლადა.

• დიდი სიყვარულით მინდა დაბადების დღე მივულოცო ულამაზეს იდუმალ ქალს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ყველა ოცნების ასრულებას. უფალი გწყალობდეს და გფარავდეს. ოლეგარიო.

• დედიკო, დაბადების დღეს გილოცავთ. ძალიან გვიყვარხარ. შენი გადარეული შვილუკები, ფლამინგო და ესმერალდა.

• ნანა დეიდა, 24 იანვარს გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს. ასეთი ლამაზი და სათნო ყოფილიყავი მთელი ცხოვრების მანძილზე. გფარავდეს წმინდა მარიამის კალთა. შენი დისშვილები, მარიკა და ალიკა, ფოთიდან.

• ბიცო! გილოცავთ იუბილეს, 24 იანვარს. ჩვენი ბიცოლა კი არა, საუკეთესო მეგობარი ხარ, ძაან გვიყვარხარ. გაიხარე, საყვარელ ხალხთან ერთად. შენ საოცარი ადამიანი ხარ და ამიტომაც იმსახურებ დიდ სიყვარულს. იდუმალი ქალი მაგარიაააააა! შენი მაზლიშვილები. სენაკი.

• ჩვენს საყვარელ დედიკოს, იდუმალ ქალს, 24 იანვარს ვულოცავთ დაბადების დღეს. დედიკო, ძალიან გვიყვარხარ. შენ საუკეთესო დედა ხარ მსოფლიოში. გპირდებით, არ გაგაბრაზებთ და შენს ამაგს დავაფასებთ. გვიყვარხარ და გკოცნით ბევრს. შენი ნიკუშა და მეგუჩია.

• ყველას გილოცავთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს. ASHLEY PCD.

• ჩვენო ნანუჩია, დიდი სიყვარულით გილოცავთ 24 იანვარს, დაბადების დღეს. შენ ისეთი კარგი ხარ, სიტყვებს ვერ ვპოულობთ. შენ საუკეთესო ხარ, საუკეთესოთა შორის. ნამდვილი მეგობარი, მეუღლე, დედა, და და ვინ მოთვლის, რამდენი საოცარი თვისებაა შენში. იხარე და იდღეგრძელე, შენს ლამაზ ოჯახთან, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ასეთი ლამაზი და სპეტაკი სულის პატრონს, იდუმალი კი არა, ღვთისნიერი ქალი უნდა გერქვას. შენი მეგობრები ფოთიდან, ნონა, მაკა, თეა, ლია, ჯენი.

• ათენში, ჩემს მონატრებულ დედას, დოდო ჯუღელს ვულოცავ დაბადების დღეს. დედა, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ასმათი. ელენე, ავთო.

• ვალერი მამასახლისო, 25 იანვარს 22 წლის ხდები. ბედნიერებასა და ჯანმრთელობას გისურვებ. მე გელოდები ყოველდღე. უშენოდ გული ცარიელია. დედა. ახალქალაქი. მზია.

• ჩემს უსაყვარლეს დაქალს, საუკეთესო მეგობარს, სულით, გულით უმშვენიერეს იდუმალ ქალს, 24 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს. ნანუჩი, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ლია.

• 24 იანვარს დაბადების დღეს ვულოცავთ ნინო იაშაღაშვილს! სიკეთეს, სიყვარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ! უფალი ჰფარავდეს მარადჟამს! ორი ნათია.

• 24 იანვარს დაბადების დღეს ვულოცავთ ნინო იაშაღაშვილს! სიკეთეს, სიყვარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ! უფალი გფარავდეს, მარადჟამს! ორი ფოტინე.

• ჩემს შვილს, ვაკო არსენიძეს ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს. 24 წლის გახდი დედი და ყველაფერს კარგს გისურვებ. მალე დადგება ის დროც, როცა ერთად ვიქნებით, გულში ჩაგიხუტებ და გეტყვი, აღარასოდეს მიგატოვებ... 5 წელი ცოტა ხომ არ არის? ღმერთი გფარავდეს, შვილო. შენი დედიკო, მზია.

• მალვინა და ლიანა დევიძეებს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, თქვენს კეთილ ადამიანებთან ერთად. გფარავდეთ უფალი. ნატო დევიძე.

• თორნიკე აფრიდონიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი. დედიკოს გულის გასახარი, რომელიც ათენშია და ენატრება ძალიან. მაია ბებია.

• მინდა, ათენში დროებით მცხოვრებ ჩემს მეგობარს, დიმა გოგაბერიშვილს მივულოცო დაბადების დღე, 24 იანვარი. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. მალე საქართველოში დამელოცო. აბა, შენ იცი, ყველა რესტორნის კარი ღიაა! მივდივართ? თიკუნია999.

• ნინო ჩაგუნავას ვულოცავ დაბადების დღეს, 20 იანვარს. ჯანმრთელობა, სიკეთე და სიხარული არ მოგიშალოს შვილო, ღმერთმა, დემურისთან და ანანოსთან ერთად. მიყვარხარ და მენატრები. მაია.

• ქუთაისში, პლაშატკაზე, ლუკა-გიორგი გოლეთიანს 23 იანვარს ვულოცავთ 5 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს, მშობლებთან ერთად. წმინდა გიორგი იყოს მთელი ცხოვრება შენი მფარველი. გვიყვარხარ და გვენატრები ძალიან, ჩვენო სიხარულო. ბებია-ბაბუა ილზა და გია, ბიძია შმაგი გიორგაძე. გკოცნით, გეხუტებით.

• ქობულეთში, ჩემს ერთადერთ შვილს, ჩემი ცხოვრების იმედს, მეგის ვულოცავ დაბადების დღეს, 22 დეკემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. გფარავდეს უფალი და დედის ლოცვა. ლია.

• 27 იანვარს 2 წლის ხდება ჩემი პაწუკელა ქალი და მინდა, წინასწარ მივულოცო. ნინოობასა და დაბადების დღეს გილოცავ დეი, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებ, რომ დიდხანს, დიდხანს გაუხარო გული შენს შიკო დეიდას. მიყვარხარ. შოკოლადა.

• მეგი, გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი და ჯანმრთელი გოგო. შენი მომავალი ია-ვარდით ყოფილიყოს მოფენილი. ლეილა დეიდა.

• ჩემს უცნობ მეგობარს, გიას, 20 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთის მფარველობას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ, მომავალში. ირმა.

• 21 იანვარს დაბადების დღეს ულოცავს ნათელა ბებო პატარა ნათიას. ბებოს მონატრებავ, გისურვებ ჯანმრთელობასა და უფლის მფარველობას. სულ ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა. ლამაზი და გახარებული ბავშვობა გქონდეს, ჩემო სიხარულო. შენი უცნობი ბებო. ნათელა ჭიკაიძე.

• 21 იანვარს დაბადების დღეს ულოცავს ნათელა ბებო ჩემს პატარა ნათიას. ბებოს მონატრებავ გისურვებ ჯანმრთელობასა და უფლის მფარველობას. სულ ია ვარდით მოფენილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა გასავლელი. ლამაზი და გახარებული ბავშვობა გქონდეს ჩემო სიხარულო. შენი უცნობი ბებო. ნათელა ჭიკაიძე. ათენი.

• მნათობიშვილ ნანულის სამეგობრო წრე ვულოცავთ შვილიშვილის შეძენას. ღმერთმა გაზარდოს თქვენი პატარა ანგელოზი. ჯანმრთელობა, სიკეთე და ღმერთის წყალობა არ მოაკლოს უფალმა. თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულია. გვიყვარხარ ყველას. ნათელა.

• ეკა მნათობიშვილს და აჩიკო კოჭლამაზიშვილს ციური ჭიკაიძე ულოცავს ქალიშვილის შეძენას. გილოცავთ, ჩემო ლამაზებო, ღმერთმა უბედნიერესი მშობლები გამყოფოთ. თქვენს პატარას ვუსურვებ, ჯანმრთელობა, სიხარული და ღმერთის მფარველობა არ მოაკლოს უფალმა. გკოცნით და გეფერებით.

• ანა ციხიშვილს მამიდები, ნესტანი და თინა ულოცავენ პატარა ანგელოზის შეძენას. სიხარულო, ღმერთმა ბედნიერი მშობლები გამყოფოთ. ვუსურვებ თქვენს პატარას ულრუბლო ზეცას, ჯანმრთელობას, სიკეთესა და ბედნიერ ბავშვობას. ღმერთმა გიმრავლოთ. გვიყვარხართ ძალიან. თინა და ნესტანი ციხიშვილები.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ შვილს, მაია ხურციძე-ფანჩვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 იანვარს. შვილო მაიკო, უზომოდ მენატრები და მიყვარხარ. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ღმერთის წყალობას, შენს ლამაზ ოჯახთან და ქმარ-შვილთან ერთად. სულ გახარებული მენახე, მთელი ცხოვრება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. გფარავდეთ უფალი და დედის ლოცვა. გკოცნით და გეფერებით შორიდან. მონატრებული დედა, ნარგიზა.

• ათენში გაცნობილ მეგობარს, ანიკო ჩუბინიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულსა და კარგად ყოფნას, თავის კარგ ხალხთან ერთად. ცინარა და მზია.

• ნათლისღებას ვულოცავ ჩემს საყვარელ ნათლულებს: ათენში, ნათია არმეგონაშვილს, თიანეთში ცირა ოთარაშვილს და ორჯონიკიძეში ნაირა ნანიევას. მზია ნათლია.

• გამარჯობა, მარი. მრავალს დაესწარი! ყველა საოცარი აგიხდეს სიზმარი! დათო.

• ათენში ანიკო ჩუბინიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს. ულოცავენ შვილები, აზა და ინგა.

• მაკა მაჭავარიანს ვულოცავთ 30 იანვარს, დაბადების დღეს. ვუსურვებთ კარგ მომავალს, ღვთის წყალობას და ყველა ლამაზი სურვილის ასრულებას. ულოცავენ დედა, დეიდა, ბებო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# საყვარელი ადამიანებისთვის მირთმეული მდიდრული საჩუქრები

### 70-კარატიანი ბრილიანტი

მსახიობი რიჩარდ ბარტონი ულამაზეს ელისაბედ ტეილორზე იყო შეყვარებული და თავისი გრძნობის დასამტკიცებლად, 70-კარატიანი ბრილიანტი მიართვა. უნიკალურად დამუშავებული ალმასი ძალიან ძვირი ღირდა. მოგვიანებით, ტეილორი და ბარტონი ორჯერ დაქორწინდნენ და ორივეჯერ გაიყარნენ.

### ვარდები კალათით

60-იანი წლების ერთ-ერთ ცნობილი სპორტსმენი, ჯო დი მაჯიო ჰოლივუდის სექსსიმბოლო მერილინ მონროს, შეყვარებულობისა და ქორწინების დროსაც, დღეში თითო კალათა წითელ ვარდს უძღვნიდა. დი მაჯიო მერილინს განქორწინების შემდეგაც უგზავნიდა ყვავილების კალათას. თუ ქალი გადაღებებზე იყო, ვარდები მას საგრიმიოროში ხვდებოდა (არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელ ქალაქში, შტატსა და ქვეყანაში მიმდინარეობდა გადაღება). მსახიობის გარდაცვალების შემდეგ, ჯოს ვარდების კალათა მის საფლავზე დაჰქონდა.



### გულწასული მეძავი

პარიზის საროსკიპოს ერთ-ერთ თანამშრომელს მუდმივმა კლიენტმა პატარა კოლოფი გადასცა და სთხოვა, მთელი ცხოვრება შეენახა. „საჩუქრის“ გახსნის შემდეგ მეძავს დიდხანს ასულიერებდნენ, რადგან მისი კლიენტი ვან გოგი იყო, ხოლო კოლოფში მისი მოჭრილი ყურის ნაწილი იდო.

### კუნძული ქვრივისთვის

ბერძენმა მილიარდელმა არისტოტელე ონასისმა საყვარელ ქალს, აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ კენედის ქვრივს — ჟაკლინ კენედის „მოკრძალებული“ საჩუქარი მიართვა — ხმელთაშუა ზღვის კუნძული სკორპიო. მოგვიანებით, წყვილმა ამ კუნძულზე იქორწინა.



### სიყვარულის მავზოლეუმი

ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი ინდოელმა შაჰ-ჯაჰანმა ცოლის პატივსაცემად ააგო, რომელიც მე-14 ფეხმძიმობას შეეწირა. „ტაჯ-მაჰალის ნახვისას ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მისი მშენებლობა გოლიათებმა დაიწყეს და იუველირებმა დაასრულეს“, — ამბობენ მნახველები. სპარსელები, რომლებმაც ინდოეთის თითქმის ყველა ტაძარი გაქურდეს და დელი მიწასთან გაასწორეს, ტაჯ-მაჰალის სილამაზით ისე მოიხიბლნენ, რომ მასთან მიკარებაც ვერ შეძლეს. მავზოლეუმი ისეა აგებული, თითქოს მზის ამოსვლისას ნათდება, ხოლო ჩასვლისას — ქრება. ■

# ნაციონალური უცნაურობანი

* სტრესისგან თავდასაცავად, ოფისებში მომუშავე გერმანელებს სამსახურში ძაღლი დაჰყავთ;

* ევროპული ქალაქებიდან ყველაზე დიდი საცობები ინგლისშია, ყველაზე მცირე — საბერძნეთში;

* ფინეთში 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს და ამ ქვეყანაში საუნების რიცხვმა მილიონ 400 ათასს გადააჭარბა. ადგილობრივებს ასეთი ანდაზაც კი აქვთ: სახლის მშენებლობა საუნით უნდა დაიწყოს;

* საფრანგეთში 260 პარფიუმერიული ფირმაა. ისინი ყოველდღიურად 172 ათას ფლაკონ სუნამოს ყიდიან;

* შვეიცარიელები ყვავილების მოყვარულები არიან. თითოეული 15 წელს გადაცილებული შვეიცარიელი წელიწადში 94 ევროს ყვავილებზე ხარჯავს. ამ მხრივ ყველაზე ძუნწები ბერძნები არიან — ისინი ყვავილების შესაძენად წელიწადში მხოლოდ 16,3 ევროს იმეტებენ. ■



*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა*

*დასაწყისი იხ. გვ. 18*

## *საფრთხე*

მანი ხულიგნობის მუხლს უყენებენ. როგორც წესი, ჩადენილი დანაშაულების 80% გაუხსნელი რჩება, რადგან მილიცია ხელს აფარებს მათ, მაგრამ თუკი მაინც ჩავარდება ვინმე, ის სათანადოდ არასდროს ისჯება. მას „შემარბილებელი გარემოებების“ გამო, უმცირეს სასჯელს უსჯიან, რომელსაც შემდეგ უნახევრებენ ციხეში კარგი ყოფაქცევისთვის. არადა, ამ ადამიანებს, კარგი ყოფაქცევა რა არის, წარმოდგენაც არა აქვთ. ეს დაღუპული, ზომბირებული, გადაგვარებული, ამაზრზენი ნაწილია იმ ქვეყნისა, სადაც მე, სამწუხაროდ, ემიგრაციაში ვიმყოფები. დამიჯერეთ, მათ გვერდით ცხოვრება იმდენად მწარეა ქართველისთვის და სირთულის გარდა, საშიშიც, რომ ახლა საქართველოში მთავრობა სპეციალურ კანონებს უნდა იღებდეს, რუსეთიდან, უსაფრთხოების მიზნით, თავისი მოქალაქეების საქართველოში დასაბრუნებლად.

**— მაგრამ ამასთანავე, რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი წარმატებული ადამიანია. რით ახსნით ამ ფაქტს?**

— ჩვენი ხალხის ნიჭიერებით. საქართველოში ქართველს გაცილებით მეტი შრომა სჭირდება თავის დასამკვიდრებლად, რადგან ირგვლივ, თავისი მსგავსი, ნიჭიერი თანამემამულეები ახვევია. რუსეთი კი, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ქვეყანაა, ახლა ნიჭიერებით ვერ დაიკვეხნის. განათლება ნიჭიერებას ვერ შეცვლის... ჩვენ რომ უფრო სამართლიანები ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, დამიჯერეთ, აყვავებული ქვეყანა გვექნებოდა. მაგრამ ეს ახლა ჩვენი საუბრის თემა არ არის — აქ მოღვაწე ქართველებზე ვსაუბრობდით: მათ, რა თქმა უნდა, უწევთ ლავირება, ბევრ რამეზე თვალის დახუჭვაც, მაგრამ ქართველი ქედს არასდროს მოიდრეკს; როცა საომარი სიტუაციაა (არა პირდაპირი მნიშვნელობითაც), ქართველის მებრძოლი სული ყოველთვის იღვიძებს და გამოსავალსაც დამცირების გარეშე პოულობს, სამწუხარო გამონაკლისების გარდა.



**გაყვიროდნენ, რომ ქართველები, აფხაზები და ოსები მათი მტრები არიან**

**— ვიდეორგოლებს, რომლებიც სკინჰედების წვრთნას, ასევე სასტიკი დარბევის ფაქტებს ასახავს, იოლად მოძებნით ინტერნეტში. რით აიხსნება ეს? დავიჯერო, ასე ადვილია მათ ბაზებში შეღწევა ან მათი დარბევის დროს კამერით ხელში მუშაობა?**

— მსგავსი ფაქტის გადაღება შემთხვევითმა ადამიანმა რომ სცადოს, მას სასტიკად გაუსწორდებიან. იყო ასეთი ფაქტი: რუსმა კაცმა, შემთხვევითმა გამვლელმა ტელეფონით დარბევის გადაღება სცადა. ის იქვე მოკლეს. ამ რგოლებსაც და ინფორმაციასაც თავადვე ათავსებენ ინტერნეტში. ამას ასეთი ახსნა აქვს: მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ისედაც შეშინებულია, ისინი საკუთარ ხალხს მაინც უჩვენებენ, თუ რა შეიძლება დაემართოთ, თუკი გაბედავენ და მათ წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავენ. ჰოდა, როგორც კომენდანტის საათის შემთხვევაში, ახლა მოსკოვში ადამიანები 5 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლას ერიდებიან. ადგილობრივ მოსახლეობასაც ეშინია, იმიტომ, რომ ფაშისტებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ებრაელებს ერჩოდნენ, ესენი საკუთარ ხალხსაც სცემენ და ძარცვავენ, თუკი უცხოელი ვერ მოიგდეს ხელში. რამდენიმე დღის წინ ასეთ ფაქტს შევესწარი სტადიონზე: „სპარტაკისა“ და „ცესკას“ მატჩის დროს სკინჰედებმა საშინელი ღრიანცელი ატეხეს — გაყვიროდნენ, რომ ქართველები, აფხაზები და ოსები მათი მტრები არიან. სტადიონზე ეს არაფერ შუაში იყო, მაგრამ მათ ზიზღის გადმოსანთხევად მიზეზი არ სჭირდებათ. იქ მყოფი ხალხის ნაწილი ამ ღრიანცელს შეუერთდა, ნაწილმა გაცლა არჩია, მაგრამ არავინ შესდავებია. სკინჰედებისთვის ხომ პრობლემას არ წარმოადგენს, საკუთარი დედა გალახონ, მოკლან, ამიტომაც ვინც არ თანაუგრძნობს, ისიც ერიდება... თუმცა მკვლელობის ამსახველ ვიდეომასალას თვითონაც არ უწევენ აფიშირებას. ეს მკაცრად გასაიდუმლოებულია, რადგან მათ ხელს არ აძლევს... მოსკოვში ძალიან გახმაურდა ერთი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა უზბეკი ქალი, მის 9 წლის შვილთან ერთად მოკლეს. მერე, როგორც გაირკვა, ბავშვი იმიტომ მოკლეს, რომ მათი ამოცნობა შეეძლო... ასეთი ფაქტები ხალხმრავალ ადგილებში — მეტროში, „ელექტრიჩკაში“, სტადიონზე ხდება. როგორც წესი, მსხვერპლს არავინ ესარჩლება, რადგან თუ გამოესარჩლე, ეს ნიშნავს, რომ რუსეთის მტერი ხარ, და რუსიც რომ იყო, მოკვდები.

**— ჯგუფები რამდენი კაცისგან შედგება?**

— ჯგუფში 30-დან 50 კაცამდეა. ბაზას გააჩნია — რამხელაა. ეს ბაზები მუდმივად განახლების პროცესშია — ხომ უნდა იყვნენ მზად, რომ გაგვისწორდნენ?!

**— თუ ყოფილა შემთხვევა, მასმედიას ობიექტური ინფორმაცია გამოექვეყნებინოს მათი სისასტიკის შესახებ?**

— ცალკეული შემთხვევა არის, მაგრამ საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან — ჟურნალისტები ყოველთვის ერიდებიან იმის თქმას, რომ ეს ორგანიზაცია დუმიდან იმართება. თუმცა საინფორმაციო-ანალიტიკურმა ცენტრმა „სოვამ“ გამოაქვეყნა ანგარიში რუსეთის ფედერაციაში რადიკალური ნაციონალიზმის თაობაზე, სადაც წერია, რომ ყველაზე მეტად საყურადღებოა სხვადასხვა რასის ადამიანებზე განხორციელებული სასტიკი თავდასხმები, რომელთა უმრავლესობაც მსხვერპლის სიკვდილით მთავრდება. სკინჰედების მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და თავდასხმები უფრო და უფრო ორგანიზებული ხდება. მაგალითად, სკინჰედებმა ჩაატარეს „წმენდა“, რომლის შემდეგაც მოსკოვის პროკურატურამ აღიარა, რომ ქალაქის რამდენიმე რაიონში ერთდროულად მოქმედებდა რამდენიმე დაჯგუფება და ამ აქციას რამდენიმე ათეული ადამიანი შეეწირა. სხვათა შორის, „სოვა“ ლაპარაკობდა იმ ტენდენციაზეც, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, — სამართალდამცავთა მხრიდან სკინჰედების დანაშაულების დაფარვაზე.

**— საინტერესოა, თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ყოფილი სკინჰედი გონზე მოსულა და ნორმალური ცხოვრება დაუწყია? მონანიების ფაქტები თუ არსებობს?**

— მონანიება მათგან თითქმის წარმოუდგენელია. თუ ასე მოხდა, ეს სასწაულის რანგში უნდა განვიხილოთ, რადგან ეს ადამიანები განუწყვეტლივ იღებენ ნარკოტიკებს, დამოკიდებულნი არიან ამაზე და უბრალოდ აღარ სურთ ცხოვრების ნირის შეცვლა. გარდა ამისა, მათ აღარ ახსოვთ ან არც იცოდნენ ოდესმე, თუ რას ნიშნავს ნორმალური ცხოვრება. ჩატარებული დარბევის შემდეგ, აგზნებული და გამარჯვების სიხარულით ეიფორიულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სკინჰედები თრობას ეძლევიან. ეს ხალხი ხელისუფლებამ გაწირა — მათ აღარაფერი ეშველებათ. თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც ყოფილი სკინჰედი მოსკოვის ერთ-ერთი ოლქის ადმინისტრატორი გახდა და ამ თანამდებობაზე წელიწად-ნახევარი იმუშავა.

**— ამბობენ, რუსეთში კავკასიელთა ბანდფორმირებებიც არსებობს, რომლებიც სკინჰედებს ებრძვიანო. ეს სიმართლეა?**

— დიახ, არის ასეთი ორგანიზაციებიც — ვაჰაბიტების, აზერბაიჯანელების და ქართველების. ამ ფორმირებებში უფრო, კავკასიელი მუსლიმანები არიან გაერთიანებულნი: ჩეჩნები, დაღესტნელები, ინგუშები, აზერბაიჯანელები. ყველანი სპორტსმენები — მოჭიდავეები და მოკრივეები არიან. მეც შემომთავაზეს და ჩემს ნაცნობ რამდენიმე ქართველსაც მათ ჯგუფში გაწევრება, მაგრამ მათზეც ამბობენ, — პუტინის ხალხიაო. ამ ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხს ვერ ვაგებ.

**— დანარჩენზე აგებთ პასუხს?**

— რა თქმა უნდა — ჩემი სიცოცხლით! გარკვეულწილად, ახლაც ვრისკავ: რაც ახლა გიამბეთ, ამათ რომ გაიგონ, ჩემს კვალსაც ვეღარ მიაგნებთ... ■


ოსკარი
ზამთრის სეზონი
WWW.KVIRISPALITRA.GE
აირჩიე ფავორიტი, მიეცი ხმა
და დაეხმარე მას გამარჯვებაში
სასტუმროების
ქსელი
RCHEULI
DELFOS
სილამაზის სალონი
WELEDA
ველედა
CONVERSE
ALL STAR
EVITA PERONI
DeFacto
ოსკარი



# „მე პოეზიის გიჟი ვარ“

**გიო ხუციშვილი** ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა. თურმე, დროის უმეტეს ნაწილს სპორტს უთმობდა, წყალბურთში საქართველოს ნაკრების წევრიც ყოფილა და გასვლითი შეხვედრების გამო, IX–X კლასში ყოფნისას, სკოლაში თითქმის არ უვლია. როგორც მომღერალი ამბობს, შეკრებებზე ყოველთვის თან დაჰქონდა წიგნები და თავისუფალ დროს კითხულობდა, რის გამოც თანაგუნდელები დასცინოდნენ, მაგრამ მათ ნათქვამს ყურადღებას არ აქცევდა.

## რომელი ავტორები „აგიჟებენ“ გიო ხუციშვილს

თამუნა კვინიკაძე

### პრეამბულის მაგიერ

— **გიო, ყველაზე ხშირად, რომელი ჟანრის ლიტერატურას კითხულობ?**

— რომანები, დეტექტივები და ფანტასტიკა მიყვარს, მაგრამ პოეზიის გიჟი ვარ.

— **რომელი ავტორები „გაგიჟებენ“?**

— გალაკტიონი და ტერენტი გრანელი, ძალიან მომწონს ტარიელ ჭანტურიას ხელწერაც; ვაჟა-ფშაველა ხომ მწვერვალია, არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მწერლობისა.

— **ზეპირად ბევრი ლექსი იცი?**

— საკმაოდ და მათ სადღეგრძელოებში ხშირად ჩავურთავ ხოლმე (*იცინის*). სუფრას ლექსის და სიმღერის გარეშე ეშხი ნამდვილად არა აქვს!

— **ამწუთას რომელი ლექსი გახსენდება?**

— გოგლა ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“.

— **კარგი მეხსიერება გაქვს?**

— კარგი მეხსიერება მქონდა, მაგრამ აფხაზეთის ომის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გამიფუჭდა.

— **დროა, კითხვარზე გადავიდეთ.**

— გამოგიტყდები და ცოტათი ვღელავ... აბა, დავიწყოთ.

— **მცენარეები ამ კუნძულის მხოლოდ სანაპირო ზოლში თუ ხარობს და მას მაინც, მწვანე მიწას უწოდებენ. დაასახელე ეს კუნძული.**

— რადგან მწვანე მიწა ახსენე, ვფიქრობ, ეს კუნძული გრენლანდიაა.

— **ნამდვილად ასეა! ახლა კი გამოიანგარიშე: უდიდესი ორნიშნა რიცხვი უმცირეს ორნიშნა რიცხვზე რამდენით მეტია?**

— 1-ით.

— **გიო, მარტივი კითხვაა, დაფიქრდი.**

— აბა, 2-ით მეტია?

— **2 როგორ მიიღე, მაინტერესებს.**

— დავიბენი, გთხოვ, კითხვა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*) ვერ გიპასუხებ. შენ მითხარი, რა.

— **89-ით.**

— (*იცინის*) ჰო, მართალი ხარ, დავიბენი. კარგი, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

— **რომელი ქვეყნის წარმომადგენლები გვაფრთხილებენ — „საკუთარი ოცნებების გეშინოდეთო“?**

— იაპონელები.

— **ცდები, ჩინელები გვაფრთხილებენ. „ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული. თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვის გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“, — ვინ არის ამ ცნობილი სიტყვების ავტორი?**

— ნოდარ დუმბაძე. ეს მისი „მარადისობის კანონია“ და თუ ჩვენც ასე ვიცხოვრებთ, არაფერი გაგვიჭირდება.

— **„სამშობლოს არავის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ...“**

— (*მაწყვეტინებს*) „...შეგვეცილება, თორემ ისეთს დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“.

— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— (*ფიქრობს*) ვაიმე! მიშველე, რამე მინიშნება მითხარი.

— **მისი მამა თვითნასწავლი მღვდელი იყო.**

— ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის, არა?

— **გამოიცანი. „ამ ქალაქში ჩასვლისას ზღვის, მდინარის და ტბის შუა აღმოვჩნდი და ამიტომაც, პირველ რიგში, თევზი მოვიკითხე“, — საქართველოს რომელ ქალაქში ჩასვლას აღწერს ასე ალექსანდრე დიუმა?**

— სოხუმში ჩასვლას.

— **ცდები, დიუმა ამ სიტყვებით ფოთში სტუმრობას აღწერს. სად არის დამზადებული თანამედროვე აზერბაიჯანული, უკრაინული, მოლდავური და ქართული ფულის ერთეულები?**

— ევროპაში, მაგრამ კონკრეტულად რომელ სახელმწიფოში, არ მახსოვს.

— **საფრანგეთში. ვისი მეფობის დროს აშენდა მეტეხის ტაძარი?**

— დემეტრე თავდადებულის დროს.

— **ვინ თარგმნა ქართულად შექსპირის სონეტები?**

— რეზო თაბუკაშვილმა.

— **პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია, დანია — ამ ქვეყნებიდან, რომელია ყველაზე პატარა?**

— შვეიცარია.

— **ეს ინგლისელი მწერალი წერისას უამრავ შეცდომას უშვებდა...**

— (*მაწყვეტინებს*) უკვე ვიცი, რასაც მეკითხები. აგათა კრისტის გულისხმობ. ის წერისას შეცდომებს უშვებდა, რადგანაც სკოლაში არ უვლია. მისი ნაწარმოებები რამდენჯერმე მაქვს გადაკითხული და ძალიან მიყვარს.

— **დაასახელე პირველი ქალაქი მსოფლიოს ისტორიაში, რომლის მოსახლეობამ მილიონ ადამიანს გადააჭარბა.**

— რომი, არა?

— **ცდები, ეს ქალაქი ბაბილონი იყო. „იმედი იქონიე ძაღლის ერთგულებისა ბოლომდე, ქალისა კი — შემთხვევამდე“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **სტენდალი. მას ეთანხმები?**

— ვეთანხმები...

— **ქალებზე ასეთი ცუდი წარმოდგენა გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველა ქალზე არ ითქმის, მაგრამ

მერწმუნე, ასეთებიც არსებობენ. ცხოვრებაში არაერთი საშიში ქალი შემხვედრია.

— **მაგალითად?**

— შეიძლება, ქალი ისე შემოგიჩნდეს, რომ ტვინი აგირიოს. მოდი, მათზე ლაპარაკს შევეშვათ, ასეთ თემაზე საუბარი არ მსიამოვნებს.

— **ღვინოზე ვილაპარაკოთ?**

— სიამოვნებით!

— **დაასრულე ინგლისელი მწერლის, ოსკარ უაილდის ცნობილი გამონათქვამი: „ღვინის ხარისხის და ხანის გასაგებად ხელადა ფსკერამდე...“**

— „...არ უნდა დაცალო“. სხვათა შორის, უაილდი მართალი იყო, სხვაგვარად ღვინის გემოს ვერ შეიგრძნობ.

— **ამ კომპოზიტორმა მუსიკის წერა 5 წლიდან დაიწყო, 6 წლისამ კი ევროპა ტრიუმფით შემოიარა. ის გაჭირვებაში ცხოვრობდა და ნაადრევად, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან 626 მუსიკალური ნაწარმოები შექმნა, აქედან — 17 ოპერაა. დაასახელე ეს კომპოზიტორი.**

— რომელი ქვეყნიდან იყო?

— **ის ავსტრიელი გახლდათ.**

— მოცარტი.

— **„შფოთიანი თბილისი, პოეტების სამეფო“, — რომელი პოეტი წერდა ასე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქზე?**

— გალაკტიონი.

— **რომელ ოკეანეში ჩაედინება მდინარე კონგო?**

— (*ფიქრობს*) ატლანტის ოკეანეში, არა?

— **დიახ. ამ ქართველ მწერალზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს რომენ როლანმა, შტეფან ცვაიგმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. ამავდროულად, იგი არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. რომელ მწერალზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **გრიგოლ რობაქიძეზე. ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი — რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?**

— ფილადელფია.

— **ვის სახელს უკავშირდება ქართული მარიონეტული თეატრის დაარსება?**

— რეზო გაბრიაძის სახელს.

— **რა ჰქვია მუსლიმანი ქალების თავსაბურავს?**

— ჩადრი.

— **აშშ-ში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 დასახლებული პუნქტი ამ ადამიანის სახელს ატარებს. ვის ვგულისხმობ?**

— ჯორჯ ვაშინგტონს.

— **აშუღური პოეზია გიყვარს?**

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, აშუღური პოეზია ჩვენში მუსლიმანური ქვეყნებიდან შემოვიდა.

— **დიახ, მუსლიმანურ ქვეყნებში აშუღი ეწოდებოდა მგოსანს, რომელიც თარზე უკრავდა და ზედ საკუთარ ლექსებს ამღერებდა. თუ იცი, რას ნიშნავს არაბულად სიტყვა „აშუღი“?**

— არ ვიცი.

— **მიჯნურს. ბრიტანეთის რომელმა პრემიერმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?**

— ჩერჩილმა.

— **სოფელ რუხთან მდინარე ენგური ორ ტოტად იყოფა. რა ჰქვია სოფელს, რომელიც 12-კილომეტრიან კუნძულზეა გაშენებული?**

— შამგონა.

— **სამხედრო გზა, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებს, ჯვრის უღელტეხილზე გადის. რომელ მდინარეთა ხეობებს შორის მდებარეობს ჯვრის უღელტეხილი?**

— არაგვის და თერგის ხეობებს შორის.

— **ვინ ასრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში — „ქრიჭინა“?**

— დოდო აბაშიძე.

— **რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ცნობილი კურორტები — ნიცა და კანი?**

— ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

— **მერამდენე კაცად შევიდა სულხან-საბა ორბელიანი ლუდოვიკო XIV-სთან?**

— ხომ შეიძლება, ამ კითხვას მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსით ვუპასუხო?

— **რა თქმა უნდა!**

— „ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან/ ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა/ ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება/ ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე/ ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემ/ მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება...“

— **ყოჩაღ! ახლა კი დაფიქრდი და ისე მიპასუხე, თამარ მეფე უფრო დიდხანს მეფობდა თუ დავით აღმაშენებელი?**

— (*პაუზის შემდეგ*) დავით აღმაშენებელი.

— **ალექსანდრე დიუმამ რომელ რომანში აღწერა მსოფლიოს ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილი, ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი — ბართლომეს ღამე?**

— „დედოფალ მარგოში“.

— **რომელ ქვეყანაში მოიპოვებენ ყველაზე მეტ ალმასს?**

— არ ვიცი.

— **ავსტრალიაში. დაასახელე მხედართმთავარი, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.**

— ქართველია?

— **არა, ქართველი არ არის.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ალექსანდრე მაკედონელი. ეს ორდენი რუსეთში 1714 წელს შემოიღეს. ეს ერთადერთი ორდენი იყო, რომლითაც ქალებს აჯილდოებდნენ.**

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— **წმინდა ეკატერინეს ორდენი. სადაური ფირმაა „ვრანგლერი“?**

— ინგლისური.

— **იგი 1987 წელს, 46 წლის ასაკში, სპექტაკლ — „ფიგაროს ქორწინებაში“ თამაშისას, სცენაზევე გარდაიცვალა. დაასახელე ეს მსახიობი.**

— ანდრეი მირონოვი.

— **ამ მავნე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა. რაზეა ლაპარაკი?**

— არ ვიცი.

— **გიო, ეს მავნე ჩვევა შენც გაქვს და ამ წუთშიც ამას აკეთებ.**

— ა! სიგარეტს ვეწევი (*იცინის*). ისე, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გამომეცნო.

— **რომელ ქვეყანაზე გადის მდინარე მტკვრის ყველაზე დიდი მონაკვეთი — აზერბაიჯანზე, თურქეთსა თუ საქართველოზე?**

— რა თქმა უნდა, საქართველოზე.

— **დაასახელე ჩვენს ქვეყანაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი.**

— ქალაქი თუ დასახლებული პუნქტი?

— **ქალაქზე გეკითხები, იგი ზღვის დონიდან 1917 მეტრზე მდებარეობს.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ახალქალაქი. დაბოლოს, დაასრულე გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ უახლოვდები, შორდები, ადიხარ მაღლა; მაშინ იწყებენ...“**

— ზუსტად არ მახსოვს, რას იწყებენ?

— **„...ქვის დაშენას“.** ■

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ამერიკელ ფიზიკოსს, ეროვნებით ჩინელ პროფესორ ლის, რომელიც შტატებში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს, ერთმა ნაცნობმა სთხოვა, — ჩინურ რესტორანში მივდივარ და მირჩიეთ, რა კერძები შევუკვეთოო. „სიამოვნებით დაგეხმარებით, მაგრამ მათი წარმოთქმა გაგიჭირდებათ და სახელწოდებებს ქაღალდზე დაგიწერთ“, — უთხრა პროფესორმა და ფურცელზე რამდენიმე იეროგლიფი მოხაზა. ამერიკელს, რომელიც მეორე დღეს ჩინურ რესტორანში წავიდა და ბარათი ოფიციანტს უჩვენა, მეფურად გაუმასპინძლდნენ; იგივე განმეორდა ყველა ჩინურ რესტორანში, სადაც იგი შემდგომში მოხვდა, ოღონდ რატომღაც, კერძი ყოველთვის სხვადასხვანაირი იყო. რა ეწერა ბარათზე?

2. ვისი თიკუნი იყო „მეფე მზე“?

3. დრომადერი ცალკუზიანი აქლემია. რას ეძახიან მას საქართველოში?

4. დაასახელეთ ქალაქი, სადაც მსოფლიოში არსებული ბოშათა ერთადერთი თეატრი — „რომენი“ მდებარეობს?

5. დაასახელეთ ენა, რომელშიც ყველა არსებითი სახელი „ო“-ზე, ყველა ზედსართავი სახელი კი „ა“-ზე მთავრდება.

6. გოეთე კოლექციონერებს ბედნიერ ადამიანებად მიიჩნევდა. რატომ?

7. რა სტატუსი მიანიჭა ამერიკულმა მთავრობამ მფრინავებს, რომლებმაც თვითმფრინავ „X-3“-ით 107 კმ სიმაღლეს მიაღწიეს?

8. რა არის ფატა-მორგანა?

9. რომელი სპორტული კომენტატორია ავტორი გამოთქმისა — „გოლი მომწიფდა“ ?

10. „ია ანტეია ატ ზემლი ატრივაიუ, კაკ პერვი დრევნეგრეჩესკი შტანგისტ“, — მღერის ვლადიმირ ვისოცკი. ვინ იყო ანთეოსი?

11. „რეზინა ნომერ ადინ“ — ასე ეძახდნენ საბჭოთა კავშირში აირწინაღს. რას მოიხსენიებენ დღევანდელ რუსეთში ამავე სახელწოდებით?

12. დაასრულეთ რომაელი მხედართმთავრის, მარკუს კრასუსის სიტყვები: „ადამიანი ჭეშმარიტად მდიდარი მაშინ არის, როცა ძალა შესწევს...“

# ანეკდოტები



* * *

მიხომ და მიტომ ვეტერინარული დაამთავრეს. სინჯავენ ძროხას. ერთი ხახაში ჩაჰყურებს, მეორე — უკანალში.

— მიხო, შენა მე მხედავ?

— ვერა, მიტო, ვერა გხედამ.

— ჰოდა, ჩასწერე: „ნაწლავების გადახლართვა“.

* * *

მოსაზრება: ქალები ყველაზე ცოტას თებერვალში ლაპარაკობენ, რადგანაც თებერვალი ყველაზე მოკლე თვეა, მამაკაცები კი მათ საჩუქრებს მარტში უძღვნიან — თებერვლის თვისთვის მადლიერების ნიშნად.

* * *

მიხო მიტოს ურეკავს:

— რას აკეთებ?

— ვჭამ...

— რასა ჭამ?

— არაა მაგ ტელეფონზე სალაპარაკო...

* * *

კახელი და მისი ცოლი ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და მათ გარშემო ცეკვავენ.

— გაუპატიურება არ აგვცდება, — ამბობს ცოლი.

— არა, შეგვჭამენ!

— სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო?!.

* * *

— ჩემმა სიდედრმა შარშან, ამ მუხაზე ჩამოიხრჩო თავი, — უყვება კახელი მეგრელს.

— ნერგი ხომ არ გაქვს, ნერგი?!.

* * *

— მსოფლიოში ყველაზე კარგი დედა ვარ, — ტრაბახობს თალიკო.

— ეს საიდან დაასკვენი?! — ამრეზით ეკითხება მული.

— ოთხი ქალიშვილი გავზარდე, ოთხივე დავაქორწინე და ოთხივე ჩემი ინიციატივით განვაქორწინე, მეტი რაღა ვქნა ამ ერთმა ქალმა?!

* * *

პატარა დასახლებაში ღამით მეხანძრეები გამოიძახეს. ქუჩა, სადაც სახლი იწვის, ცუდადაა განათებული. ერთი მეხანძრე მეორეს ეუბნება:

— ვერაფრით შემიერთებია შლანგი, მაგარი სიბნელეა!

— ცოტა აცალე, ცეცხლი გაძლიერდება და უფრო კარგად დაინახავ!

* * *

პლანაქეში, სადისტი და მეხანძრე კამერაში სხედან. ქეში ნატრობს:

— აუ, ახლა ერთი მომაწევინა, რა!

მეხანძრე:

— მე კი ჩამაქრობინა!

სადისტი:

— შენს მოტვლეპილ თავზე!

* * *

გამოცდაზე:

— რა გვარი ხარ?

— ქორიძე, — პასუხობს სტუდენტი და ილიმება.

— რა გაცინებთ?

— მიხარია, რომ პირველ შეკითხვაზე სწორად გიპასუხეთ.



* * *

კახელმა ცოლი მოიყვანა. ქალი მანამდე ორჯერ იყო გათხოვილი, მაგრამ ქალიშვილი აღმოჩნდა.

— კი, მაგრამ ეს როგორ? — ეკითხება ქმარი.

— როგორ და, პირველი ქმარი რაჭველი მყავდა, ვიდრე რამეს მოიფიქრებდა, თავზე გვათენდებოდა; მეორე ქმარი იმერელი იყო. დავწვებოდით თუ არა, ამოიღებდა იმ საოხრესა და მთელი ღამე გაიძახოდა: „რავარიია, მაგარია ხომ? არა, ხოა მაგარი?!.“ ამასობაში კი თენდებოდა კიდეც!

* * *

დილით ქმარმა წვერი გაიპარსა და სააბაზანოდან კმაყოფილი გამოვიდა.

— უჰ, რა კარგია, თითქმის 10 წლით გავახალგაზრდავდი!

— დალოცვილო, თუკი ეგ გშველის, ძილის წინ გაიპარსე ხოლმე! — ეუბნება ცოლი.

* * *

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

— აბა, ბავშვებო, როცა გაიზრდებით, ვინ უნდა გამოხვიდეთ?

მიტო: — მე აგრონომი.

კოლა: — მე იურისტი.

შორენა: — მე დედა გავხდები.

მიხო: — მე კი შორენას შვილების მამა ვიქნები.

* * *

სვანები ტელევიზორში მძლეოსნობის ჩემპიონატს უყურებენ. პატარა ბიჭი მამას ეკითხება:

— მამა, ეს კაცები რატომ გარბიან?

— პირველი ჯილდოს მიიღებს!

— აბა, დანარჩენები რატომღა გარბიან?!

* * *

მიხოს ძალიან უყვარს კრივი. ერთ დღეს სახლში მთვრალი დაბრუნდა და მაროს ეუბნება:

— დედაკაცო, ამაღამ კასიუს კლეი ჩხუბობს ფრეზერთანა და თუ დამეძინოს, გამაღვიძე, გაიგე?!.

ჩართო ტელევიზორი და უყურებს, მაგრამ სიმთვრალემ სძლია და ჩაეძინა. დილას იღვიძებს, ტელევიზორი გამორთულია, მარო სამზარეულოში საქმიანობს.

— ქალო, ი კლეიმ რა ქნა წუხელა? — ეძახის ცოლს.

— იი, მეხი კი დაგაყარე! შენ დაგეძინა და ის რაღას იზამდა?!



* * *

— მარო, პერანგზე ღილი დამიკერე, კანტორაში ვარ ასასვლელი.

— მიხო, აქ ორი ღილია აწყვეტილი და რომელი დავაკერო?

* * *

ორი ბიჭი — კეთილი და ბოროტი ქუჩაში იდგა და ერთმანეთს აფურთხებდა. ბოროტმა კეთილს ოთხჯერ მოარტყა, კეთილმა — ცხრაჯერ. გამვლელმა მათ ჭკუის სწავლება დაუწყო, — ერთმანეთისთვის ფურთხება ცუდიაო და ორივე მას მიუბრუნდა. ბოროტმა შვიდჯერ მოარტყა, კეთილმა — თორმეტჯერ. მორალი: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. „ეს კაცი ჩემი მეგობარია. საუკეთესოდ გაუმასპინძლდით. პროფესორი ლი“.
2. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ის.
3. ნარაქლემას.
4. მოსკოვი.
5. ხელოვნური ენა „ესპერანტო“.
6. რადგან ისინი კონკრეტული ნივთების ფლობით აღწევდნენ ბედნიერებას.
7. კოსმონავტის სტატუსი.
8. მირაჟის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ჰორიზონტზე შორეული კუნძულების, მთების, ქალაქებისა და სხვა ობიექტების სწრაფად ცვალებადი და დამახინჯებული გამოსახულებანი ჩნდება.
9. ეროსი მანჯგალაძე.
10. უძლეველი გმირი, მიწის ქალღმერთის, გეას შვილი. ვიდრე მიწაზე (დედაზე) იდგა, ვერავინ ამარცხებდა. ჰერაკლემ იგი ჰაერში აიტაცა და ისე დაახრჩო.
11. პრეზერვატივს.
12. „...არმია იყიდოს“.

## ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა **თემურ ივანიძემ**

# ჰოროსკოპი

## 21-27 იანვარი

**ვერძი:**
საკუთარი მიზნებისა და იდეების განსახორციელებლად დამოუკიდებლად იმოქმედეთ. სხვათა რჩევებმა შეიძლება, გაგალიზიანოთ კიდეც. კვირის ბოლოს ალკოჰოლის მიღებას არ გირჩევთ.

**კურო:**
ეს კვირა მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრებით იქნება დატვირთული. შეიძლება, საერთო საქმეც წამოიწყოთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**ტყუპები:**
თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა გსურთ, თქვენს სფეროში საუკეთესო უნდა იყოთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებას. კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დარეგულირდება.

**კირჩხიბი:**
წარმატება თქვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. დასვენების დღეებში დროის მხიარულად გატარება გელით.

**ლომი:**
ამ კვირაში ამაღლებულ განწყობილებაზე იქნებით. კარგია, თუ დილაობით ივარჯიშებთ და აუზს ეწვევით. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან, ნათესავებთან ერთად.

**ქალწული:**
ნათესავების დახმარებით ახალ ნაცნობებს შეიძენთ. მეტი დრო დაუთმეთ თვითგანვითარებას და შეიძინეთ ახალი პროფესია. დასვენების დღეებში მეგობრებთან ერთად, კინოთეატრში წადით.

**სასწორი:**
ეცადეთ, არ გადაიღალოთ. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. დასვენების დღეებში შინ ნათესავები მიიპატიჟეთ და საოჯახო წვეულება მოაწყვეთ.

**მორიელი:**
კვირის დასაწყისი შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვენით. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. განწყობილებას ბავშვებთან ურთიერთობა აგიმაღლებთ.

**მშვილდოსანი:**
საოჯახო საქმეების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. სამსახურში დაუფიქრებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამთ.

**თხის რქა:**
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საკუთარი ემოციები და განცდები ფურცელზე გადაიტანეთ. ხანმოკლე მოგზაურობა განწყობილებას აგიმაღლებთ.

**მერწყული:**
შეეცადეთ, არ გათქვათ სხვათა საიდუმლოებები. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ, საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძოლეთ. კვირის ბოლოს მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

**თევზები:**
კოლეგებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მშვიდად და დიპლომატიურად იმოქმედეთ. კვირის ბოლოს საკუთარ იმიჯზე იზრუნეთ, სალონში შეიარეთ და გარდერობი განაახლეთ.

# პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

4 წლის დემეტრე ბაქრაძე მეტროთი პირველად მგზავრობს და შენიშნა, რომ დიქტორის სიტყვების შემდეგ კარი იღებოდა და იხურებოდა. გაოცებული ბავშვი დედას მიუბრუნდა:

— დედიკო, ეს კარი იმ ქალს უჯერებს?

7 წლის დაჩი ვადაჭკორია დედასთან ერთად ქუჩაში მიდის. უცნობმა ქალმა ბავშვს კანფეტი მიაწოდა. დედა ეკითხება:

— რა უნდა უთხრა დეიდას?

— კიდევ მინდა.

6 წლის სანდრო მდივანი დედას ეუბნება:

— ხომ გახსოვს, როგორ გეშინოდა, ლარნაკი არ გაგიტყდესო?

— მერე, რა მოხდა — ჰკითხა შეშფოთებულმა დედამ.

— არაფერი, დედიკო, ახლა აღარ შეგეშინდება.

4 წლის დეიკო დედას ეკითხება:

— დე, საიდან გავჩნდი?

— აი, აქ იჯექი ცხრა თვე — ხელით უჩვენებს დედა.

— როგორ, მუცელში სკამი გაქვს?

ბაზრიდან დაბრუნებული დედა შვილებს ეკითხება:

— ჭურჭელი თუ დარეცხეთ?

— მე დავრეცხე, — უთხრა რუსუდანმა.

— მე კი გავამშრალე. — მიუგო ნინომ.

— შენ რა გააკეთე, მაიკო?

— მე ნამსხვრევები ავკრიფე.

3 წლის ანა რატიანი უყურებს აქაფებული ზღვის ტალღებს და დედასეუბნება:

— დედი, ნახე, ზღვა როგორ ადუღდა.

3 წლის თამარ მირზაშვილი დედას ეფერება:

— რა ლამაზი ტუჩები გაქვს, რა ლამაზი ცხვირი და თვალები, — წარბებს რომ მიუახლოვდა, დაფიქრდა და გააგრძელა, — და რა ლამაზი ულვაშები.

*მოამზადა* **რუსუდან ბელაშვილმა**



1. გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვა ინგლისში
2. მონარქიული სახელმწიფოს ტიპი
3. მხარე იმერეთში
4. ძაღლის ჯიში
5. კუბოის ოსტატობის ჩვენება
6. ენერგიის ერთ-ერთი სახეობა
7. მწვანილი
8. კუნძულთა ჯგუფი
9. სამკითხაო კარტი
10. ზნე, ხასიათი
11. იაპონური ავტომობილი
12. კლიმატი
13. ბრაზილიელი ფეხბურთელი
14. მსგავსება საგნებს, მოვლენებს შორის
15. ქალაქი, გერმანიაში
16. თურქული აბანო
17. ფულის ერთეული ერაყში
18. ტყის მხალი
19. ცეცხლის ღვთაება ინდ. მით.
20. ფარიკაობის იარაღი
21. გრიგოლ ჩხარტიშვილის ფსევდონიმი
22. მღვდელი კათოლიკეებში
23. ძვ. ბერძენი მათემატიკოსი
24. ვულკანური მასა
25. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
26. ხვიარა მცენარე
27. ცხოველთა ხროვა
28. ინგლისის ექს-პრემიერ-მინისტრი
29. მეტყველების ორგანო
30. პირის ნაცვალსახელი
31. თაქთაქიშვილის ოპერა
32. რძის ნაწარმი
33. განთიადი
34. მავნებელი მწერი
35. რომის იმპერატორი
36. ირლანდიის რესპუბლიკის არმია
37. ჭრილობა
38. კარგი ამინდი
39. მორალურად გახრწნილი ჯარისკაცი
40. მრავალშრიანი ფანერა
41. რადიოტალღების მიმღები გადამცემი
42. უგონო მდგომარეობა



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ესპანდერი; 2. პიკაპი; 3. მაროკო; 4. ნაგანი; 5. დენთი; 6. პრეტორია; 7. ინკოგნიტო; 8. საპონი; 9. ციხე; 10. კოლუმბი; 11. პონი; 12. კიი; 13. კაკადუ; 14. ლიმონი; 15. დაბა; 16. კნუტი; 17. კლიენტი; 18. იადონი; 19. კამერდინერი; 20. დაჩია; 21. ტატუირება; 22. პანო; 23. სე; 24. ნექტარი; 25. აბატი; 26. ეტლი; 27. კუმისი; 28. აპრილი; 29. მონაკო; 30. ორლი; 31. უდინეზე; 32. წვიმა; 33. ჯირითი; 34. პარალიზი; 35. ლაინერი; 36. იმპერია; 37. გაზეთი; 38. იდეალური. **სურათებზე:** 1. ემი სმარტი; 2. ჯუდ ლოუ.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | ს | ქ | უ | რ | ნ | ა | ლ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ი | | ა | ა | ე | ა | ნ | ა | ე | ს | | ლ | ტ | | ა | ხ | ს | ა | თ | ი | ა | ო | ლ | თ | ს | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**დ**. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ საამიროში, რომელსაც ხშირად სტუმრობენ ქართველები; **ა**. თამბაქოს სამშობლო; **ი**. ფრინველი, რომლის ხორცისგან დამზადებულ ტოლმას ხუმრობით ახსენებენ ხოლმე; **ს**. ბერძნული ცეკვა; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში? **ე**. მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ**. ყანის სამკელი მოკლეტარიანი იარაღი; **ე**. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ჩ**. პატარა ჩიტი; **ვ**. თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესა“ და „მონანიებასთან“ ერთად შეადგინა ტრილოგია; **ე**. რა ერქვა ჰემინგუეის; **ნ**. ბიბლიური პერსონაჟი; **ს**. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **ქ**. ქართველი დრამატურგი და სცენარისტი, მხატვრული ფილმის, „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი; **უ**. წუხილი; **რ**. ქართველი მოჭიდავე; **ნ**. მომცრო ცული; **ა**. ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალით მიერთება, დაპყრობა; **ლ**. რა ერქვა არსენა მარაბდელის ცხენს; **თ**. საქართველოს კუთხე, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ომალო; **ა**. საბერძნეთის დედაქალაქი; **ნ**. ერი; **ე**. მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **რ**. შეკრული და გარეკანში ჩასმული ქაღალდის ფურცლები; **თ**. ივნისის ქართული ხალხური სახელწოდება; **ა**. მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან ვისმე შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში; **დ**. ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ**. გლაზგო; **ა**. აქსიომა; **ე**. ერშოვი; **რ**. როენა; **თ**. თემიდა; **ე**. ეზოპე; **თ**. თამადა; **დ**. დოტაცია; **ა**. ათაბაგი; **დ**. დანია; **ა**. არსენა; **ი**. იკებანა; **ს**. სირია; **ვ**. ვითა; **ე**. ეშმაკი; **ნ**. ნიანგი; **ე**. ენგური; **თ**. თიანეთი; **გ**. გამბიტი; **ზ**. ზეტი; **ა**. ატაშე; **ს**. სინოდი; **თ**. თემური; **ა**. აზარტი; **ნ**. ნიაგარა; **ე**. ელჯი; **რ**. რიონი; **თ**. თიბათვე; **ა**. ანანასი; **დ**. დიოგენე.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**ას შემომტანს ერთმა გამტანმა აჯობაო**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 9 | 1 | 2 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 4 | 5 | 8 | 9 | 3 | 7 | 1 | 2 | 6 |
| 1 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 5 | 9 | 7 |
| 5 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 3 | 8 | 4 | 7 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 3 | 5 | 8 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 1 | 6 | 3 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 4 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 7 | 9 | 2 | 1 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 2 | 5 | 3 | 7 | 8 | 6 | 9 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 8 | 2 | 3 | 1 | 4 |
| 6 | 8 | 3 | 9 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 3 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 2 | 4 | 6 |
| 7 | 6 | 8 | 4 | 2 | 1 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 7 | 2 | 6 | 8 | 5 | 9 | 1 |
| 2 | 9 | 5 | 1 | 4 | 3 | 6 | 7 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 7 | 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 |
| 8 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 3 | 6 | 7 |
| 9 | 1 | 3 | 5 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 9 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 5 | 7 | 6 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 | 3 |
| 3 | 9 | 4 | 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 8 |
| 2 | 8 | 5 | 9 | 1 | 7 | 6 | 3 | 4 |
| 6 | 3 | 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 1 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 | 5 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 8 | 1 | | | | 3 | 6 |
| | 7 | | 2 | | | 4 | | |
| 6 | | | 5 | | 9 | | | 8 |
| | 4 | 9 | | 1 | 2 | 6 | | |
| 1 | | | | 6 | | | | 2 |
| | | 3 | | | 7 | 9 | 8 | |
| 4 | | | 3 | | 8 | | | 7 |
| | | 6 | | | 1 | | 2 | |
| 9 | 3 | | | | 5 | 8 | | 4 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | 7 | | | 2 | | |
| | | | 5 | | | 6 | | |
| 6 | | | | | 1 | | 8 | |
| | 5 | | | 7 | 3 | | | 1 |
| | | 3 | | 6 | | 5 | | |
| 9 | | | | | 5 | | 4 | |
| | 9 | | 1 | | | | | 2 |
| | | 7 | | | 9 | | | |
| | | 8 | | | 4 | | | 3 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 9 | | | 5 |
| | | | 5 | | | | 3 | |
| 6 | | | | | 2 | | 4 | |
| 1 | | | 4 | | 7 | | 2 | |
| | | 7 | | | 6 | 8 | | |
| | 4 | | 3 | | | | | 1 |
| | 7 | | 9 | | | | | 6 |
| | 9 | | | | 1 | | | |
| 4 | | | 2 | | | 1 | | |

# ფოტოკურიოზები



















# „კვირის პალიტრის“ კოლექცია

# „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

# კლიმტი

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ




**კოლექციის I-II-III წიგნი - ვან გოგი, გოგენი და მონე, შეგიძლიათ შეიძინოთ იანვრის მეორე ნახევრიდან წიგნის მაღაზიებში!**